თავისი გაუპიროვნების გამო, ევფემისტური გამონათქვამი ემოციურობას კარგავს პრესის ენაში; ევფემიზმები უპირატესობას ანიჭებენ აღწერილობით და არა აფექტურ ტერმინებს. ევფემიზმები: “პატარა ტანის 10 000 ფრანგი” ნაცვლად “10 000 ქონდრისკაცისა” ან “ფიზიოლოგიური თავისებურებების მქონეთა” ნაცვლად “ფიზიკური ნაკლოვანებების მქონეთა”, რასაკვირველია, ასუსტებს ემოციურ რეაქციას.

ევფემიზმები საშუალებას აძლევენ მოსაუბრეს დაფაროს სხვადასხვა გრძნობა, მაგალითად, ნაციონალური მტრობის გრძნობა; ასევე იძლევიან სექსუალური უმცირესობისადმი მტრობის დაფარვის შესაძლებლობას; ასე მაგალითად, არაბი იქცევა “ხმელთაშუაზღვის ტიპის ადამიანად”:

Les enquêteurs disposent d'un portrait-robot, diffusé dans tous les commissariats: un homme de type méditerranéen, entre 25 et 30 ans. Un homme qui parle français sans accent (Le Nouveau Quotidien, 27.11.1997).

La Toile s'est emparée du sujet et les commentaires fusent: «Wouh, apparemment, il n'y avait aucune personne de couleur dans le service marketing qui a validé ça», ironise Ms Rodwell sur nicekicks.com (Le Monde, 16.05.2012).

ეს მაგალითი აღებულია სტატიიდან, რომელიც ეძღვნება “ადიდასის” ფირმის ფეხსაცმლის ახალ კოლექციას. მრავალთა აზრით, იგი შეურაცხყოფას აყენებს აფროამერიკელთა ნაციონალურ გრძნობას, რომლებიც მონები იყენენ ისტორიულად. აქ გამოიყენება შედარებით რბილი ფორმულირება, რაც არ შეურაცხყოფს მუქი ფერის კანის მქონე ადამიანთა გრძნობებს.

ემოციონადაკარგულ, არაფერი ახლისმოქმედ ფრაზად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი: "პაულის **the newest new Nixon**, a moocher belied.", მასში ავტორს იმის თქმა უნდა, რომ როგორც მისი წინამორბედი, ნიქსონი, რაიანიც არაფრისგამკეთებელია და რომ ისიც კარგი აუსაქმურია (Charles P. Pierce at *Esquire*, August 2012).

Avec l'élection de François Hollande, l'ouverture du mariage aux personnes de même sexe semble imminente. Je propose, au lieu d'ouvrir le mariage, de le supprimer, ou plutôt de le confondre avec le pacs en un contrat universel ouvert à davantage de possibilités, mais qui ne transforme pas les célibataires en pigeons de la farce (Le Monde, 02.06.2012).

სტატიაში, საიდანაც აღებულია ეს მაგალითი, საქმე ეხება ერთსქესიანი ქორწინებების ღეგალიზაციას საფრანგეთში. სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელთათვის, გამონათქვამი “ჰომოსექსუალური ქორწინებები” შეიძლება აღმოჩნდეს შეურაცხყოფელი, ამიტომაც

სტატიის ავტორი იყენებს უაღრესად რბილ და კორექტულ ფორმულირებას “ერთი სქესის ადამიანთა ქორწინებები”.

როგორც ჩანს, დანაშაულის გრძნობაც კი ქრება, როდესაც აბორტი იცვლება აბრევიატურით “IVG”: L’IVG est désormais pratiquée en toute sécurité à la clinique mutualiste de Saint-Etienne. Près de 50 patientes sont prises en charge chaque mois dans le service du dr Triollier.

ეს ევფემიზმები მოხმობილია საზოგადოებრივი მორიდებულობის გასაქარწყლებლად ან არასუფთა სინდისის დასამწვიდებლად, ფაქტების განეიტრალების გზით. ეს აფექტური ნეიტრალიზაცია ძლიერდება, თუ მას ახლავს დამამცირებელ განსჯათა აკრძალვა. თუ გამოვიყენებთ “ჩარევას” “ომის” ნაცვლად, ეს ნიშნავს, რომ მიუკერძოებელ გამონათქვამს ვხმარობთ, რომელშიც გამონათქვამი უკუაგდება თავის სუბიექტურობას.

3. შეთანხმებული ხატი

ევფემიზმებით მოსაუბრის კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს ეთოსი (საკუთარი თავის წარდგენა მეტყველების დროს). იყენებს რა ევფემიზმებს პრესის ენაში, მოსაუბრე ცდილობს გვიჩვენოს პიროვნების შეთანხმებული სურათი სტრატეგიითა ერთობლიობის გზით. ზოგიერთი მათგანი ეფუძნება ევფემისტურ წარმონაქმნებს. ამ შემთხვევაში საქმე ეხება საკუთარი დამოკიდებულების დემონსტრირებას, პოზიტიური ხედვის უკუგდებითა და რეალობაში დაბრუნებით; ამას ემატება მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარების ტენდენციები და ყველაფერი ეს უნდა იყოს გაწონასწორებული და დაფუძნებული საკუთარი “მე“-ს დაფარვაზე. აქედან გამომდინარეობს კეთილგონიერების ხელშემწყობი შთაბეჭდილება. მოსაუბრე ხაზს უსვამს თავისი გამონათქვამის თავდაჭერილობას. ევფემისტურ ეთოსთან დაკავშირებულია მეორე სტრატეგიაც – წარმოადგინოს ევფემიზმი პოზიტიურად, ანუ მოახდინოს სასიკეთო და თავაზიანი შთაბეჭდილება საზოგადოებაზე. ყველა ეს მახასითებელი ნიშანი ჩანს იმ მაგალითში, რომელშიც სერბიის დაბომბვის «ოპერაციას», სტატიის ავტორი ეტიენ დიუბუა იჭერს ნეიტრალურ პოზიციას თავშეკავებული ინფორმაციით, რითაც ამართლებს მკითხველთა მოლოდინს. ეს ჟურნალისტი, უპირველეს ყოვლისა, მიდრეკილია ფაქტების პოზიტიურ პლანში წარმოჩენისაკენ, ასევე მას ახასითებს მოკრძალება და თავაზიანობა მკითხველთა მიმართ და თავს იკავებს მათ წინაშე სასტიკი გამონათქვამებისაგან.

მოსაუბრის ეს სამეტყველო ეთოსი მუდამ დაკავშირებულია იმ სოციალურულ ჩარჩოებთან, რომლებშიც ის ვლინდება. პრესაში, ევფემიზმებით მოსაუბრის ენა წარმოადგენს კოლექტიური ხმის ექოს (გამოძახილს). შეიძლება ითქვას, რომ ის წარმოადგენს საკუთარი სოციალური ჯგუფის ხმას. მაგალითად, ის პასაჟი, სადაც ჟურნალისტი, რომელმაც დაწერა სტატია სერბიაში სამხედრო ძალების ქმედებაზე, ლაპარაკობს “არაძირითად დანაკარგზე”, ნაცვლად სამოქალაქო ნგრევისა. ეს სურათი, რომელიც მან ასახა და წარმოაჩინა ამ გამონათქვამით, წარმოადგენს კოლექტიური ეთოსის მაგალითს; თითქოს ეს გამონათქვამი ნატოს ხელმძღვანელობისა და ოფიციალური წარმომადგენლებისაა, რომელთა თვალსაზრისიც ავტორმა მიიღო და გაიზიარა; აქ იგრძნობა ანაბეჭდი იმ ოფიციალური მოლაპარაკებებისა, სადაც მოისხენიება ხელისუფლების სუფთა სინდისი, მიუხედავად ზოგიერთი შეცდომისა, რომლებიც დაშვებულ იქნა სერბიასთან ბრძოლის დროს. კოლექტიური ეთოსი მოწოდებულია, რომ დაფაროს ხელისუფლების შეცდომები. ჟურნალისტი გვიჩვენებს თავის დამოკიდებულებას ხან ადმინისტრაციულად კორექტულს (მაგალითად, გასახლებასთან დაკავშირებით), ხან პოლიტიკურად კორექტულს (განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნების მაგალითი), ხან კი სოციალურად კორექტულს (დაბალი ტანისა და სუსტი მხედველობის მქონე ადამიანების მაგალითი). ამგვარად, ის ქმნის ეთოსს, რომელიც რეაგირებს წინასწარ დადგენილ საზოგადოებრივ მოდელზე.

ამგვარად, ევფემისტური გამონათქვამების მახასითებელი ჩარჩოებია: პრობლემური სიტუაცია, საზოგადოებრივი წნეხის ქვეშ დედრამატიზირებული რეალობა. გარდა ამისა, ევფემიზმების პრაგმატიკული კომპლექსური სტატუსი კარგად ჩანს პრესის ენაში. კომუნიკაციური კომპლექსურობა შედგება ჟურნალისტთა ევფემიზმებისაგან, ანუ პრესის ენის ევფემიზმებისაგან, რომლებიც, თავიანთი არსით, პოლიფონიურნი არიან, შეიცავენ რა ავტორისა და სხვათა ინდივიდუალურ ხმებს.

შეჯამება:

- Bonhomme M. Pragmatique des figures du discours. – Paris, Editions Champion, 2005.**
Cossutta F., Maingueneau D. L'analyse des discours constituants. – P., 1995.
Kerbrat-Orecchioni C. Rhétorique et pragmatique: les figures revisitées. – P, 1994.
The media coverage of Paul Ryan's speech: 15 euphemisms for 'lying' - The Week, 2012
Holder, R.W. How Not to Say What You Mean A Dictionary of Euphemisms - 2002.
Warren, B. What euphemisms tell us about the interpretation of words. Studia Linguistica 46/2 – 1992

Tsiuri Akshvlediani, Giorgi Kuparadze

Euphemisms in French and English Mass Media
Abstract

Our aim was to present the pragmatic role of euphemism functioning. This implies the direct influence upon the addressee and makes him/her perceive this or that type of opinion about information delivered.

We have analysed a definite aspect of pragmatic functioning of euphemisms within a homogeneous corpus of a language, namely in the field of mass media (on the material of French and English languages); Special attention was drawn to communicative strategies and sociocultural aspect. The latter appears to be the basis of these strategies.

Euphemism is, generally, characterised by its urgent figurative potential. Besides, it can be singled out by another feature – its socio-communicative characteristics. Euphemism does not come from a particular person. It has been created in the sphere of collective expression of an idea. Euphemisms are indispensable from processes of communicative iteration. And the processes like this are quite frequent in mass media.

ციური ახვლედიანი, გიორგი კუპარაძე

Эвфемизмы в Языках Французской и Английской Прессы
Резюме

Эвфемизм имеет необходимый потенциал для фигурального толкования. Его регулирующие конфигурации, которые повторяются в течение высказывания, благотворно действуют на меморизацию и эффективность вербального обмена. Эвфемизм отмечен также другим типичным для него аспектом – социоречевой значимостью. Эвфемизм происходит не от изолированного лица. Он рождается в коллективном выражении мысли. Исходя из этого, эвфемизм включают в семью фигур речи с социолектальной составляющей. Эвфемизм неразделим с процессами наглядного изображения в процессе речевого обмена и направлен на оптимальное развитие общения. Процессы образности представлены в изобилии в языке прессы. Они представлены самими журналистами или участниками новостей, которых журналисты цитируют. Особенно это касается вопросов политики, экономики или социальной жизни.

რეცენზენტი: პროფ. ი. გომბეტელიანი

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

Ekatériné Gatchétchiladzé

ქუთაისი, საქართველო

Symétrie dans la Grammaire Générative

ტრანსფორმაციული და გენერაციული გრამატიკის წესები მიზნად ისახავს გამონათქვამთა მრავალმნიშვნელობის დეკოდირებასა და კომპაქტური და სავსე სინტაქსური სისტემების ჩამოყალიბებას. ის ერთგვარი ცდაა იმისა, რომ სისტემური, სიმეტრიული სახე მისცეს ენის ასიმეტრიულ განზომილებას.

Le morphème est l'unité minimale de l'analyse grammaticale. Les morphèmes sont les unités du rang le plus bas, dont les mots, unités du rang immédiatement supérieur, sont composés. Le morphème se présente comme l'unité minimale de signification. Il ne peut être réduit à l'unité expressive plus petite et encore douée de signification.

Au niveau morphophonologique les catégories de la symétrie et de l'asymétrie se manifestent dans le système des oppositions des formes temporelles, mais il est à noter qu'il existe des règles appelées à garder la symétrie du système.

Les langues sont souvent classées selon des types structurels (d'après un système de classification élaboré au XIX siècle). Ces types sont le type isolant, agglutinant et flexionnel.

On peut dire que les langues analytiques sont les plus symétriques. Une langue isolante, ou analytique, est une langue dans laquelle tous les mots sont invariables. La langue française est analytique, c'est à dire symétrique. Les mots des langues flexionnelles ou synthétiques ne se prêtent pas à une segmentation en morphes. L'impossibilité d'une segmentation nette et systématique des mots en morphes illustre l'une des caractéristiques de la langue flexionnelle. L'autre caractéristique, plus importante, est l'absence de toute correspondance entre les éventuels segments qu'on pourrait reconnaître dans le mot et les morphèmes (en tant qu'unités grammaticales minimales). Dans la langue agglutinante les mots sont composés d'une suite de morphes où chaque morphe représente un morphème. Chaque morphe conserve son identité phonologique et est immédiatement reconnaissable. Les mots peuvent se décomposer facilement en leurs morphes constituants. (Lyons 1970: 200-206)

Il faut bien comprendre que la reconnaissance de trois types de langues avec l'opposition analytique/synthétique, puis avec l'opposition agglutinante/flexionnelle à l'intérieur de synthétique, ne signifie pas que toute langue se range avec netteté dans un type. Cela signifie encore moins qu'il y ait nécessairement une loi d'évolution qui régit le développement historique des langues d'un type à l'autre. Les langues romanes sont considérées comme les langues analytiques tandis que le latin sur lequel elles sont basées, était plutôt langue flexionnelle.

On peut dire que la base du composant syntaxique est strictement une grammaire de structure syntagmatique. La base du composant syntaxique est un système de règles qui engendrent un ensemble très restreint de

séquences de base, pourvues chacune d'une description structurale appelée indicateur syntagmatique. Ces indicateurs de base sont les unités élémentaires dont sont constituées les structures profondes. L'analyse en constituants immédiats (au moyen de parenthèses étiquetées) d'une séquence effective de formants pourrait peut-être constituer une description adéquate de la structure de surface, mais il n'en va certainement pas de même de la structure profonde.

La théorie des constituants immédiats n'explique pas la totalité des phénomènes de production d'énoncés, également, elle ne peut expliquer l'ambiguïté des phrases. Rien dans les structures de surface et les indicateurs syntagmatiques qui fournissent l'interprétation phonologique ne permet de distinguer les phrases ambiguës. Donc, la linguistique distributionnelle ne peut rendre compte des ambiguïtés syntaxiques. Encore moins peut-elle définir les divers types d'ambiguïté syntaxique et les relations qu'ils peuvent entretenir entre eux, en raison de la pauvreté du modèle mis en œuvre. Par ex.

L'amour de Dieu est une belle chose.

a) L'amour de Dieu pour les hommes est une belle chose.

b) L'amour des hommes pour Dieu est une belle chose.

Dans la linguistique moderne, on a véritablement tenté de construire des grammaires génératives explicites et d'en examiner les conséquences. La grammaire générative s'est développée depuis 1957 sous l'impulsion de Noam Chomsky. Le composant syntaxique d'une grammaire transformationnelle consiste en une grammaire de structure syntagmatique, qui en est la base, et en un système de transformations permettant d'obtenir, par application, à partir des structures engendrées par la base, des phrases effectives.

Une grammaire générative doit être un système de règles qui peuvent être utilisées pour engendrer un nombre infini de structures.

On pourrait supposer que la structure de surface et la structure profonde seront toujours identiques. Et de fait, les théories syntaxiques développées dans le cadre de la linguistique structurale moderne pourraient être brièvement caractérisées par l'hypothèse fondamentale selon laquelle structure profonde et structure de surface ont effectivement le même sens; l'idée centrale d'une grammaire transformationnelle est qu'elles sont en général distinctes et que la structure de surface est déterminée par l'application répétée, à des objets de nature plus élémentaire, de certaines opérations formelles appelées "transformations grammaticales". Si cela est vrai, le composant syntaxique doit engendrer pour chaque phrase une structure profonde et une structure de surface, et il doit les mettre en relation. Il existe une différence fondamentale entre la phrase réalisée, issue de la suite terminale (phase dernière des opérations transformationnelles), à laquelle est appliqué l'ensemble des règles morphophonologiques, et l'indicateur syntagmatique sous-jacent, représenté en général par un arbre (ou par un système de parenthèses).

L'ambiguïté structurale résulte de ce que la même structure de surface peut être engendrée de deux structures profondes différentes. En ce cas les deux phrases ne peuvent pas être distinguées par une parenthèse distincte. L'ambiguïté provient des deux interprétations sémantiques distinctes qui doivent être données au même énoncé pour des raisons syntaxiques. Il faut remonter à la structure profonde pour constater que les deux phrases réalisées sont issues de la transformation de propositions basiques distinctes.

Les règles de la grammaire transformationnelle et générative ont pour objectif de désambiguïser l'énoncé et de former des systèmes syntaxiques corrects. Cette grammaire tâche de construire un système symétrique de la structure de la langue naturelle.

Bibliographie

1. Chomsky N. Aspects de la théorie syntaxique. Paris: «Edition du Seuil », 1971.
2. Dubois J. Grammaire structurale de français III; La phrase et les transformations. Paris: « Larousse », 1969.
3. Gross M. Grammaire transformationnelle du français. I : Syntaxe du verbe. Paris: « Cantilène », 1986.
4. Lyons J. Linguistique Générale. Introduction A La Linguistique Théorique. Paris: « Larousse », 1970.

Екатерине Гачечиладзе

**Симметрия в Генеративной Лингвистике
Резюме**

В статье рассмотрено Генеративная лингвистика в основе которого лежит представление о порождающей модели языка, то есть о конечном наборе правил, способных задать, или породить, все правильные, и только правильные, предложения языка. Теория непосредственно составляющих не может объяснить синтаксических двусмысленностей. Исходным и базовым для Генеративной лингвистики типом формальных моделей являются трансформационные порождающие грамматики. В трансформационную порождающую грамматику вводится два уровня синтаксического представления: глубинный (глубинная структура) и поверхностный (поверхностная структура); задачей синтаксического описания является исчисление всех глубинных и поверхностных структур, а также установление между ними строгого соответствия. Цель трансформационной порождающей грамматики является устранения неоднозначности и формирование правильных синтаксических систем. Задача этой грамматики это построения симметричной системы естественного языка.

Ekaterine Gachechiladze

**Symmetry in Generative Grammar
Abstract**

Transformational generative grammar describes primarily the competence of the speaker. It should be especially emphasized that the generative grammar is not engaged in the production of the description (or perception) of the specific statements, and its scope - the so-called linguistic competence, i.e. the ability of a speaker to operate with a certain system of units by the system of rules. The structure of this grammar has three main components: a syntactic, semantic and phonological, of which the main, central, is the syntax. In the transformational generative grammar introduced two levels of syntactic representation: deep (deep, the so-called deep structure) and the surface (surface, so-called surface structure), a syntax description is the calculus of deep and surface structures, as well as the establishment of strict conformity between them. Transformational generative grammar forms correct syntactic systems and symmetrical structure of the natural language.

რეცენზენტი: პროფ. ც. ახვლედიანი

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

ნინო დემეტრაძე

ქუთაისი, საქართველო

ტექსტის ლინგვისტიკა, როგორც სრულიად ფილოლოგიური დისციპლინა

წინამდებარე სტატიაში მოკლედ მიმოვიხილავთ ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც სრულიად „ფილოლოგიური“ დისციპლინის ძირითად პრინციპებს, ასპექტებსა და მეთოდებს. ბევრი რამ თქმულა ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა სტატიაში წარმოდგენილია ტექსტის ლინგვისტიკური ანალიზის ძირითადი ამოცანები. ვამახვილებთ რა ყურადღებას თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკის ძირითად ობიექტზე, ანუ - ტექსტზე, ვახდენთ მისი სტრუქტურის, კატეგორიებისა და შემადგენლების, ასევე ტექსტის შექმნის, „შელამაზების“ და აშენების საშუალებების სტრუქტურალიზაციას.

ტექსტის ლინგვისტიკა შედარებით ახალი (თანამედროვე) დამოუკიდებელი მეცნიერება და სასწავლო დისციპლინაა, მისი თეორიითა და პრაქტიკით მან ხელი შეუწყო კიდევ ერთი რიტორიკული მიმდინარეობის განვითარებას, კერძოდ - ე.წ. ფილოსოფიური რიტორიკის, რომელიც ეფუძნება ტექსტის გაგებას და დაკავშირებულია მის ანალიზთან.

თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკა შეისწავლის თვითონ ტექსტს და მის სტრუქტურას, მის კატეგორიებსა და შემადგენლებს, ასევე ტექსტის შექმნის, აშენების და „შელამაზების“ საშუალებებს - განსაკუთრებით კი მხატვრული ტექსტებისას.

ბოლო ათი წელია, ტექსტის ლინგვისტიკაში გამოიყოფა სამი დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინა:

1. ტექსტის საერთო თეორია (И.Р. Галперин)
2. ტექსტის გრამატიკა (И. Москольская)
3. ტექსტის სტილისტიკა (Г. Арнольд)

ისინი შინაარსობრივად შეესაბამებიან ტექსტის რიტორიკას და მის კანონებს:

- ინვენციით – მეტყველების გამოგონება
- დისპოზიციით – გამოგონილის მდებარეობა, მეტყველება, კომპოზიცია
- ილოკუციით – სიტყვიერი გამოხატულება, მეტყველებს გამდიდრება ტროპითა და ფიგურებით.

ტექსტის ლინგვისტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული სტილისტიკასთან, რადგანაც ტექსტში გამოყენებული სხვადასხვა კონტაქტის (ფუნქციონალურ-სტილისტიკური, ემოციონალურ-ექსპრესიული) საშუალებები, შეისწავლება ფუნქციონალურ სტილისტიკაში, და ასევე „კულტურულ მეტყველებაში“, რომლის ნორმების ცოდნის გარეშე წარმოუდგენილია კულტურული ურთიერთობის დაუფლება და გრამატიკულად და კომუნიკაციურად ადეკვატური ტექსტის შედგენა.

თვისობრივად, ტექსტის ლინგვისტიკა (და ტექსტის ლინგვისტური ანალიზი) გახლავთ „სრულიად ფილოლოგიური“ დისციპლინა, უფროს რა თავს ციკლს მანამდე შესწავლილ ლინგვისტურ და ლიტერატურულ დისციპლინებს, გამოუმუშავენ რა მომავალ პედაგოგებს მოლიანად ენობრივი (სტილისტური) ადღოს შეგროვებას, რისთვისაც დაუშვებელია გულ-გრილი დამოკიდებულება ნათქვამი და დაწერილი სიტყვის მიმართ; იგი ავალდებულებს მათ იყონ უფრო ყურადღებიანები, არა მხოლოდ ტექსტის შინაარსთან მიმართებაში, არამედ მისი სიღრმისეული არსის მიმართაც.

ტექსტის ლინგვისტიკას, ასევე მის პრაქტიკულ კურსს (ტექსტის ლინგვისტურ ანალიზს) და ლიტერატურათმცოდნეობას გააჩნიათ საერთო ობიექტი - ტექსტი, მაგრამ ტექსტის ლინგვისტური ანალიზის ობიექტი უფრო ფართოა, ვიდრე ლიტმცოდნეობა, რადგან, 1) იგი მოიცავს მეტყველების ყოველგვარ ნაწარმოებს, არა მარტო მხატვრულს, არამედ 2) შეისწავლის ტექსტს, როგორც ყველა ენობრივი ელემენტების კომბინაციას, რომელთა ურთიერთქმედების შედეგად წარმოიქმნება ეს ტექსტი. ის ანალიზს უკეთებს აგრეთვე ენობრივი ურთიერთობების ცვლას, მათ დინამიკას ტექსტის სიღრმეში, აწესრიგებს გამოთქმის წყობის ფუნქციას და ახდენს შინაარსის პლანის ფორმირებას. აი, აქ ის უპირისპირდება ლიტმცოდნეობას.

ლიტმცოდნეობა სწორედ რომ განიხილავს ტექსტს მისი შინაარსობრივი იდეის მხრივ, მის ესთეტიკურ ღირებულებებს, ჟანრობრივ სპეციფიკას, კომპოზიციას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტექსტის ლინგვისტური ანალიზი მიდის ფორმიდან ანალიზისაკენ, ხოლო ლიტერატურათმცოდნეობა პირიქით, შინაარსიდან - ფორმისაკენ.

● უმეტეს შემთხვევაში ლინგვისტი განსაზღვრავს მის ანალიზს კონკრეტულ ტექსტზე დაყრდნობით, ე.ი. იყენებს კვლევის იმანენტურ მეთოდს, ხოლო ლიტმცოდნე გამუდმებით ატარებს ისტორიული, სოციალური და ფილოსოფიური ხასიათის ექსკურსს ე.ი. სარგებლობს კვლევის პროექციონალური მეთოდით.

● ლინგვისტი აანალიზებს ტექსტს მკითხველის პოზიციიდან (ადრესატი), ხოლო ლიტერატურათმცოდნე ავტორის პოზიციიდან (ადრესანტი).

ტექსტის ლინგვისტიკაში მიღებულია გამოიყოს ტექსტის ორი უმთავრესი ობიექტი:

1) სრული სამეტყველო ნაწარმოები ტექსტი, ფართო გაგებით - მაკროტექსტი.

2) ზეფრაზული ერთეული, ანუ რთული სინტაქსური ერთეული - ტექსტი ვიწრო გაგებით - მიკროტექსტი.

სავსებით შესაძლებელია ამ ორი ობიექტის თანხვედრა. (ანუ მაკროტექსტის და მიკროტექსტის). არც ისე დიდი მოცულობის მთლიანი სამეტყველო მოთხრობა - მაგ. საგაზეთო ტექსტი, მოკლე მოთხრობა, ამინდის ბიუროს ცნობა, განცხადება და ა.შ. შეიძლება შეიცავდეს ერთ ზეფრაზულ წინადადებას, მაგრამ რადგანაც ეს ეხება მხოლოდ და მხოლოდ მცირე ჟანრის ტექსტებს და მცირე მოცულობის მოთხრობებს, ღირს განვასხვავოთ ტექსტის ორი ობიექტი - მანოტექსტი და მიკროტექსტი, რადგანაც ერთიც და მეორეც - ორივე გახლავთ პრინციპულად განსხვავებული წყობის. შესაბამისად, მანოტექსტი არის სოციალურ-სამეტყველო მოვლენა, ყველაზე მაღალი რანგის კომუნიკაციური ერთეული, რომელიც ემსახურება საზოგადოების სხვადასხვა სფეროს ცხოვრებას.

ლინგვისტური ტექსტის კვლევის ძირითადი ამოცანები კი გახლავთ:

- ტექტის ანალიზი
- ტექტის პარამეტრები
- ტექსტის ერთეულების განსაზღვრა
- ტექსტობრივი კატეგორიების განსაზღვრა
- ტექსტობრივი ერთეულების გრამატიკული ან სემანტიკური კვლევა.

ტექსტის ანალიზის არსებითი ასპექტებია:

- ლინგვისტური კომენტირება - ენობრივი ერთეულების განხილვა თანამედროვე ლიტერატურული ინგლისური ენის პლანში თანამედროვე ლიტერატურულ ნორმებთან მიმართებაში
- სემანტიზაცია ნაკლებად გასაგები სიტყვების ახსნა, მათ შორის ისეთი სიტყვებისაც, რომლებიც ატარებენ მეტნაკლებად იდეურ-თეორეტიკულ დატვირთვას (ლექსიკო-ფრაზეო-

ლოგიური დონე).

- ანალიზი ტექსტის გაგების კუთხით და ენის ესთეტიკური ფუნქცია.

ტექსტის ლინგვისტური ანალიზის მაწარმოებელი პრინციპები:

- ისტორიციზმის პრინციპი (ენობრივი ეპოქა, როცა იწყება ეს ნაწარმოები)

- პრინციპი ურთიერთობისა, ურთიერთდამოკიდებულება - ფორმას და ნაწარმოების შინაარსს შორის.

- პრინციპი - გაწონასწორებული მიდგომა ტექსტის ანალიზისადმი (ყველა ნაცნობი ტექსტის ენობრივი დონის სისტემათა კვლევა, შესწავლა).

- პრინციპი მთლიანი და ცალკეულის კოორდინაცია (ტექსტში საერთოენობრივი, საერთოსტილისტური, საერთოჟანრობრივი ურთიერთქმედებისა და ინდივიდუალურ-საავტორო უფლების გათვალისწინება)

ლინგვისტური ტექსტის ანალიზის მეთოდებს მიეკუთვნება

1) სტილისტური ექსპერიმენტის მეთოდი - სინონიმების შერჩევა, ტექსტის გაფართოება და შემცირება, არანჟირების სხვადასხვა ფორმები, ტექსტში წინადადების პოზიციის ცვლა, წინადადებაში კომპრესიის გამოყენება, ტექსტში მარტივი და რთული წინადადების ურთიერთობის ცვლა და პირიქით.

2) სემანტიკურ-სტილისტური მეთოდი - ენობრივი ნომრებიდან, წესებიდან განდგომა, საგნობრივი და კონტრაციური ელემენტების შინაარსობრივი შეთანხმება, კონკრეტულ ტექსტში ინდივიდუალური ბევრისმცოდნეობა. მეთოდი იყენებს ტექსტობრივი ერთეულების ჩანაცვლებას საერთო-სახალხო ენობრივ ელემენტებთან (ანუ, ტექსტობრივი ერთეულის ჩანაცვლებას მის ლექსიკონურ მნიშვნელობასთან).

3) ჩანაცვლებით-სტილისტური მეთოდი. ეხმარება შევამჩნიოთ მსგავსება და განსხვავება ტექსტის ენობრივ გაფორმებაში, ძირითადად გამოიყენება ტექსტის ორიგინალისა და მისი თარგმანის შედარების დროს.

4) ტექსტის რაოდენობრივი ანალიზის მეთოდი.

ეს გახლავთ სავარაუდო-სტატისტიკური მეთოდი, რომელიც გვეხმარება ტექსტში რაოდენობრივი კანონმდებლობის (წესების) გამოვლენაში. (მაგ. წინდებულების რაოდენობა, მიმდებარება და ა.შ.)

ლიტერატურა:

1. Арнольд И.В. Стилистика современного английского языка. М., 1990
2. Бахтин М.М. Эстетика слова и язык писателя. М., 1970
3. Виноградова В.В. О теории художественной речи. М., 1971
4. Гальперин И.Р. Текст как объект лингвистического исследования. М., 1981

ნინო დემეტრადზე

ლინგვისტიკის ტექსტის "Wholephilological" დისციპლინა

Резюме

Много было сказано и написано о лингвистике текста. Это современный и temporary самостоятельного обучения дисциплине. Она представляет собой "wholephilological" изучение текста, который объединяет и суммирует все ранее изученных литературных и лингвистических дисциплин. В данной статье хотим обратить внимание на основные методы, аспекты и принципы лингвистики текста.

Nino Demetradze

Text linguistics is the "Wholephilological" discipline

Abstract

Much has been said and written about the text linguistics. It is a temporary modern and independent learning discipline. It is a "wholephilological" study of a text which combines and sums up all the previously studied linguistical and literary disciplines. In the given article we are drawing your attention to the main methods, aspects and principals of the text linguistics.

რეცენზენტი: პროფ. ს. კოროტიკაია

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

ლელა ეძგვერაძე

ქუთაისი, საქართველო

სიტყვისა და კონტექსტის ურთიერთმიმართების საკითხისათვის

სტატიაში სიტყვისა და ენობრივი კონტექსტის ურთიერთმიმართების საკითხებია განხილული. სიტყვა განხილულია არა როგორც გარკვეული კონკრეტული მნიშვნელობის მატარებელი ერთეული, არამედ როგორც რთული სემანტიკური სტრუქტურის მქონე ოდენობა. სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ფარგლებში მოიაზრება როგორც სიტყვის საგნობრივ-ლოგიკური მნიშვნელობა, ისე მისი ექსპრესიულ-ემოციური შეფერილობა, ყველა ის ფორმობრივი და ფუნქციური ნიშანი, რომელიც ახასიათებს ამ სიტყვით აღნიშნულ ობიექტს.

ერთი მიკროკონტექსტის ანალიზის საფუძველზე შევეცადეთ გვეჩვენებინა სემანტიკურ სტრუქტურათა ურთიერთქმედების რთული მექანიზმი, სიტყვათა შორის გრამატიკული და სემანტიკური ურთიერთმიმართების არაერთგვაროვანი ხასიათი.

სიტყვა და კონტექსტი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებია. სიტყვა განისაზღვრება, როგორც ენობრივი ერთეული, რომელსაც განცალკევებულად შეუძლია მნიშვნელობის გამოხატვა, მაგრამ ფაქტობრივად სიტყვა კონკრეტულ მნიშვნელობას გარკვეული კონტექსტის ფარგლებში იძენს. კონტექსტი ფართო ცნებაა და გულისხმობს არა მხოლოდ სიტყვის ენობრივ გარემოცვას, არამედ იმ რეალურ, ყოფით სიტუაციასაც, სადაც ესა თუ ის სიტყვა იქნა გამოყენებული.

მოცემულ სტატიის მიზანს არ წარმოადგენს სიტყვის კონტექსტთან მიმართების მრავალფეროვანი სპექტრის ფართო ანალიზი. აქ მხოლოდ სიტყვისა და ენობრივი კონტექსტის ურთიერთმიმართების ერთ ასპექტს მიმოვიხილავთ. ამისათვის სიტყვა უნდა განვიხილოთ არა როგორც გარკვეული კონკრეტული მნიშვნელობის მატარებელი ერთეული, არამედ როგორც რთული სემანტიკური სტრუქტურის მქონე ოდენობა.

სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა მრავალშრიანი ფენომენია. სიტყვის უშუალო მნიშვნელობასთან ერთად იგი მოიცავს ამ მნიშვნელობის ნიშნებს. სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაში მოცემულია ყველა ის ფორმობრივი და ფუნქციური ნიშანი, რომელიც ახასიათებს ამ სიტყვით აღნიშნულ საგანს, მოვლენასა თუ განყენებულ ცნებას.

სემანტიკური სტრუქტურის ფარგლებშივე უნდა მოვიაზროთ სიტყვის ემოციური შეფერილობაც, რაც ზოგ შემთხვევაში სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის მყარ ნიშნად გვევლინება (პრაქტიკულად ეს სიტყვები სწორედ ემოციურ-შეფასებითი ნიუანსის გადმოსაცემად არსებობს), ზოგჯერ კი კონოტაცია ლაბილურია და თუ სრულად არა, გარკვეულწილად მაინც კონტექსტით კონტროლირდება.

მაშასადამე, სიტყვის სემანტიკური სტრუქტურაში ერთიანდება როგორც სიტყვის საგნობრივ-ლოგიკურ მნიშვნელობა, ისე მისი ექსპრესიულ-ემოციური შეფერილობა.

ცალკეული სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაში მოცემულ ნიშანთა სიმრავლე-მრავალფეროვნება განსაზღვრავს ამ სიტყვის მეტყველებაში გამოყენების დიაპაზონს.

სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა არ არის სტატიკური მოცემულობა. იგი იცვლება საზოგადოების კულტურული, მსოფლმხედველობრივი, ზნეობრივ-ეთიკური, სოციალური და ტექნიკური განვითარების კვალობაზე. რაც უფრო დრამად ჩაწვდება საზოგადოებრივი ცნობიერება საგანთა და მოვლენათა არსსა და ფორმას, რაც უფრო მაშტაბურად გაიაზრებს სამყაროსეულ კავშირებს, მით უფრო მრავალფეროვანი, მრავალსახოვანი ხდება სიტყვის სემანტიკური შიგთავსი.

სამყარო საერთო კანონზომიერების საფუძველზეა შექმნილი. საერთოა ნებისმიერი საგნისა თუ მოვლენის ემპირიული მოცემულობის ფორმები. საგნები და მოვლენები არ წარმოადგენენ სინამდვილის იზოლირებულ ფაქტებს, ისინი ერთიანი სისტემის ერთეულები არიან და ამ სისტემის მახასიათებელ ნიშან-თვისებებს ატარებენ. შესაბამისად, ნებისმიერ საგანს ან მოვლენას შეიძლება ჰქონდეს სხვა საგნის ან მოვლენისათვის დამახასიათებელი ნიშანი ან ნიშანთა კომპლექსი (ეს ნიშნები შეიძლება ატარებდეს ობიექტურ ხასიათს ან მიეწერებოდეს საგანსა და მოვლენას გარკვეული კულტურულ-მსოფლმხედველობრივი მოდელის ფარგლებში).

რამდენადაც ცალკეული სიტყვის სემანტიკაში წარმოდგენილია ამ სიტყვით აღნიშნული რეალობის ყველა ნიშანი, ერთი სიტყვის სემანტიკურმა სტრუქტურამ შესაძლოა მრავალი საგნისა და მოვლენის მახასიათებელი ნიშანი მოიცვას. შესაბამისად, ერთსა და იმავე სიტყვას პოტენციაში მოეპოვება ყოფიერებისა და ცნობიერების სხვადასხვა ფაქტის აღნიშვნის შესაძლებლობა.

სიტყვა შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი საგნისა და მოვლენის აღმნიშვნელად, რომელსაც მოეპოვება ამ სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაში წარმოდგენილი ერთი ან რამდენიმე ნიშანი. სემანტიკურ სტრუქტურაში მოცემული ყოველი ნიშანი შესაძლოა იქცეს სიტყვის ახალ აღსანიშნთან მიმართების საფუძველად.

ახალი მნიშვნელობით ხმარების დროს სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ის ელემენტია დომინანტური, რომლის მიხედვითაც ხდება ამ სიტყვის ახალ ობიექტთან დაკავშირება. თავდაპირველ მნიშვნელობაში ეს ნიშანი სხვადასხვა დონეზე შეიძლება მოიაზრებოდეს.

მაგალითად, როდესაც ადამიანს ვუწოდებთ მელას. სიტყვის „მელა“ სემანტიკაში წინა პლანზე გამოდის ნიშანი „ცბიერი“. ეს ნიშანი თავდაპირველ აღსანიშნს მიეწერება გარკვეული ფოლკლორულ-ლიტერატურული ტრადიციის საფუძველზე და არცთუ უმთავრესია სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობით ხმარების შემთხვევაში.

სიტყვის გადატანითი მნიშვნელობის ხმარების საფუძველი ყოველთვის არ არის მკაფიო და ხელშესახები. ხშირად იგი რთულ ასოციაციურ კავშირებს ემყარება, რაც ამნელებს სიტყვის განსხვავებულ მნიშვნელობათა შორის არსებული საერთო სტრუქტურული ელემენტის გამოყოფას. ასევე რთულდება კავშირის დამყარება სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობებს შორის იმ შემთხვევაში, როცა ისტორიული მდინარების პროცესში იკარგება ამ სიტყვის ორი ობიექტის საერთო მახასიათებელი ნიშანი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა არ არის ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული სისტემა. მისი განვითარების, გამრავალფეროვნების ერთ-ერთი გზა ახალ აღსანიშნთან მიმართებაში გადის. იმ შემთხვევაში თუ ლექსიკური ერთეულის ახალი მნიშვნელობით ხმარება უზუალურ ხასიათს ატარებს, მის სემანტიკურ სტრუქტურაში მოიაზრება ახალი ობიექტის ნიშნები. რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სიტყვის ახალ ნომინაციურ შესაძლებლობებს. რიგ შემთხვევებში სიტყვის თავედაპირველი მნიშვნელობა იკარგება და მის ადგილს ახალი მნიშვნელობა იჭერს.

კონტექსტში ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური სტრუქტურების ურთიერთმიმართება რთულ და მრავალპლანოვან მექანიზმს ემყარება.

სიტყვა, როგორც მეტყველების ერთეული, წარმოადგენს ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობათა კონსტრუქციულ ერთობას. სიტყვები კონტექსტში გარკვეული გრამატიკული ფორმით მონაწილეობენ, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს აზრობრივ მიმართებას მათ შორის.

ყოველი სიტყვა აზრობრივ მიმართებას უპირველეს ყოვლისა სინტაგმის ფარგლებში ამყარებს. სინტაგმა ორი სრულმნიშვნელოვანი სიტყვის გრამატიკულად გაფორმებული შენაერთია, რომლის კომპონენტები იმყოფებიან ფორმობრივ და აზრობრივ კავშირში. სინტაგმას ვერ ჩავთვლით დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულად. მისი მნიშვნელობა (ისევე როგორც მისი კომპონენტების მნიშვნელობა) აშკარად კოორდინირებულია ზოგადი კონტექსტით.

უდავო ფაქტია, რომ ორ სიტყვას არ შეუძლია აზრის მქონე სინტაგმის შედგენა იმ შემთხვევაში, თუ ამ სიტყვების სემანტიკური სტრუქტურის ნიშნები არ ეხმაურებიან ერთმანეთს რომელიმე ასპექტში. შესიტყვების აზრობრივი სტრუქტურა მასში მონაწილე ლექსიკური ერთეულების სემანტიკურ სტრუქტურათა ურთიერთგავლენის საფუძველზე იქმნება. სინტაგმის თითოეული კომპონენტი იწვევს მეორე კომპონენტის სემანტიკური ელემენტების გააქტიურებას და იქმნება ახალი სემანტიკური სტრუქტურა, რომელშიც წინა პლანზეა წამოწეული შემადგენელ ერთეულთა ის ნიშნები, რომელთა საფუძველზეც სინტაგმის აზრი ჩამოყალიბდა. თუმცა ამ სტრუქტურაში პასიურად წარმოდგენილია ორივე კომპონენტის ყველა სემანტიკური ელემენტი. სემანტიკური სტრუქტურის პასიური ელემენტი ან საერთოდ არ აღიქმება ანდა მეორე პლანზე დგას. იგი შეიძლება გააქტიურდეს კონტექსტის სხვა სემანტიკურ სტრუქტურასთან ურთიერთობაში.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ იძენს სიტყვა კონკრეტულ მნიშვნელობას სხვა სიტყვებთან მიმართებაში, განვიხილავთ აზრობრივ მიმართებას სამი სრულმნიშვნელოვანი სიტყვისაგან შედგენილი წინადადების კომპონენტებს შორის.

წინადადებაში: „მთის თავი გაჭაღარავდა“, შეიძლება გამოვყოთ ორი სინტაგმა: 1) თავი გაჭაღარავდა 2) მთის თავი.

თუ ამ ორ სინტაგმას ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განვიხილავთ, შესიტყვებაში „თავი გაჭაღარავდა“ სიტყვა „თავის“ მნიშვნელობა ყალიბდება სემანტიკური სტრუქტურის იმ ელემენტების საფუძველზე, რომლებიც „თავს“ წარმოგვიდგენს, 1) როგორც ადამიანის სხეულის გარკვეულ ნაწილს, 2) როგორც თმით დაფარულ ნაწილს. ამ კომპონენტებთან მიმართებაში სიტყვა „გაჭაღარავდა“ თავისი ძირითადი მნიშვნელობით შედის და თმის გათეთრებას აღნიშნავს; ხოლო შესიტყვებაში „მთის თავი“ სიტყვების „მთა“ და „თავი“ ფორმობრივი ასპექტებია გააქტიურებული. „მთა“ აღიქმება, როგორც გარკვეული ფორმის მქონე ობიექტი, „თავი“ -, როგორც რაიმე საგნის ხედა ნაწილი.

ამ ორი შესიტყვების კომპონენტების ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები მოცემული სინტაგმების განცალკევებულად წარმოდგენის შემთხვევაშია გააქტიურებული. ისინი ქმნიან შესიტყვების სემანტიკურ ბირთვს, რომლის საფუძველზეც ამ შესიტყვების აზრი ყალიბდება. სინტაგმის კომპონენტთა პასიური ელემენტები მხოლოდ პოტენციურად არის მოცემული სინტაგმის აზრობრივ სტრუქტურაში. სხვა სურთი იქმნება ამ სინტაგმების ურთიერთკოორდინაციაში განხილვის შემთხვევაში.

წინადადების „მთის თავი გაჭაღარავდა“ ფარგლებში გაერთიანებული სემანტიკური სტრუქტურების ურთიერთმიმართება რამდენიმე განსხვავებული ვარიანტის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ: 1) წინადადების აზრი იქმნება ორი სინტაგმის: „თავი გაჭაღარავდა“ და „მთის თავი“, სემანტიკურ სტრუქტურათა შერწყმის შედეგად; 2) სინტაგმას „თავი გაჭაღარავდა“ მიემართება სიტყვა „მთა“; 3) სინტაგმას „მთის თავი“ მიემართება სიტყვა „გაჭაღარავდა“; 4) სიტყვები „თავი“ და „გაჭაღარავდა“ ინდივიდუალურად ამყარებენ კავშირს სიტყვა „მთის“ სემანტიკურ ნიშნებთან.

მოცემული წინადადების ერთეულებს შორის აზრობრივი მიმართების შესაძლო ვარიანტთაგან ყველაზე გამართლებულად მიგვაჩნია წინადადების სემანტიკურ ღერძად ჩავთვალოთ შესიტყვება „მთის თავი“, რომელსაც უკავშირდება სიტყვა „გაჭაღარავდა“.

ამ შემთხვევაში ხელშესახებად ჩანს როგორც მნიშვნელობათა მიმართება თავად სინტაგმის ფარგლებში (შესიტყვება „მთის თავი“ აღნიშნავს გარკვეულ ადგილს), ისე მოცემული სინტაგმის ერთიანი სემანტიკური სტრუქტურისა და სიტყვა „გაჭაღარავდას“ მახასიათებელ ნიშანთა ურთიერთობა.

წინადადება „მთის თავი გაჭაღარავდა“ სინტაგმატური შენაერთია, რომელშიც „გაჭაღარავდას“ სემანტიკური სტრუქტურის ნიშანი „სითეთრე“ ასოციაციურად უკავშირდება სიტყვა „მთის“ სემანტიკური სტრუქტურის ამ ნიშნის მატარებელ ელემენტს „თოვლს“, რომელიც პასიურად არის მოცემული შესიტყვებაში „მთის თავი“, მაგრამ წინა პლანზე გამოდის სიტყვასთან „გაჭაღარავდა“ მიმართებისას და ეს უკანასკნელი იძენს მნიშვნელობას „თოვლით დაიფარა“.

მოცემულ წინადადებაში პრაქტიკულად იგნორირებულია აზრობრივი კავშირი, რომელიც არსებობს ცალკე აღებულ სინტაგმაში „თავი გაჭაღარავდა“. ამ სინტაგმის ორივე ერთეული კონკრეტულ მნიშვნელობას სიტყვა მთის სხვადასხვა ნიშანთან კავშირში იძენს.

ერთი შეხედვით, სიტყვა „თავი“ აქ არანაირ როლს არ ასრულებს „მთისა“ და „გაჭაღარავდას“ კონკრეტულ მნიშვნელობათა რეალიზაციაში, მაგრამ მისი სხვა სიტყვით ჩანცვლების შემთხვევაში აშკარად შეიცვლება როგორც მთის, ისე „გაჭაღარავდას“ აქტიური სემანტიკური ნიშნები.

მაგალითად, წინადადებაში „მთის სული გაჭაღარავდა“ „მთა“ სიტყვა „სულის“ სემანტიკური ნიშნების გავლენით აღიქმება ცოცხად (ბიოლოგიურ) ორგანიზმად და „გაჭაღარავდა“ იძენს „მოხუცების“, „ასაკის მატების“ მნიშვნელობას.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები აძნელებს სინტაგმის მიჩნევას კონტექსტის სემანტიკური სტრუქტურის ერთ-ერთ საფეხურად. თუმცა ვერ უარვყოფთ გრამატიკულ-ფორმობრივი ურთიერთმიმართების (რომელიც სწორედ სინტაგმის ფარგლებში ხორციელდება) როლს სიტყვათა შორის აზრობრივ მიმართებაში.

მოცემული მაგალითი გვიჩვენებს, თუ რაოდენ რთული და არაერთმნიშვნელოვანია აზრობრივი მიმართება ლექსიკურ ერთეულებს შორის თუნდაც სამერთეულიანი კონსტრუქციის ფარგლებში. ეს მიმართება, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო რთულდება ფართო კონტექსტში.

სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის შესაძლებლობანი განსაკუთრებით ფართოდ და საინტერესოდ ვლინდება მხატვრული ლიტერატურის ენაში. სწორედ სემანტიკური სტრუქტურის მრავალშრიანობა ქმნის პოეტური მეტყველების საფუძველს.

ლიტერატურა:

1. ბ. ფონსეა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ.1974
2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ), თბ. 1953
3. M. Toolan, Language in Literature, London, 2007

ლელა ედგვერადზე

Слово в контексте

Резюме

Контекст, как лингвистическая явление, представляет собой среду, в которой реализуется значение слова (прямое или переносное, узуальное или окказиональное).

Способность слова модифицировать и изменять значение опирается на семантические свойства данной лексической единицы.

Семантическая структура слова сложный и многослойный феномен. В ней представлены все функциональные и формообразующие признаки обозначаемого объекта, как предметно-логическое значение данного слова, так и присущий ему экспрессивно-эмоциональный оттенок.

Вне контекста слово обладает потенцией обозначать практически любой объект, который имеет признаки представленные в его семантической структуре. Конкретное значение слово обретает только в контексте, в процессесложного взаимодействия с семантическими структурами других слов.

В статье, на примере анализа одного микроконтекста, постарались раскрыть механизм сложных взаимодействий семантических структур в пределах контекста.

Lela Edzveradze

A word in context

Abstract

In speech any word may be used in direct or figurative meaning. The quality of the words to modify or change the meaning depends on the peculiarities characteristic for the semantic structure of this linguistic unit.

Semantic structure of the word is very complex and stratified phenomenon. It comprises all functional and shape formed signs of defined objects, all shades of meaning and expressive nuances of the word.

The word out of context, in fact, is in a position to denote any object which has any sign represented in the semantic structure of this word. Literal meaning the word acquires within the linguistic context, in complicated and involved mutual relations with semantic structures of the other words.

Words within the context are connected according to definite syntactic rules. Grammatical relations are expressed by grammatical forms of words. Word functions as a structural element in a syntactic unit.

The analyze syntactic and semantic structures interrelation within linguistic context shows that there is no direct correspondence between them. Abilities of words semantic structure most widely are used in poetic speech.

რეცენზენტი: პროფ. მ. ქაცარავა

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

ეკატერინე თოფურია

ქუთაისი, საქართველო

ინტრაკულტურული კომუნიკაცია და კონცეპტოსფერო „ადამიანი“

დღევანდელ დღეს გაგების პრობლემა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, რაც უდავოდ კავშირშია გეოპოლიტიკური თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციების გამწვავებასთან და წინააღმდეგობებთან, რომლებითაც ჩვენი ეპოქა აღსავსე. ეს პრობლემა თავს იჩენს ყოველთვის, როცა კრახს განიცდის მცდელობა, დამყარდეს ურთიერთგაგება რეგიონებს, ერებს თუ თაობებს შორის; როდესაც არ არსებობს საერთო ენა, როდესაც ჩვევაში გადასული საკვანძო ცნებები გაღიზიანებას იწვევენ და მხოლოდ ამბაფრებენ და აღრმავებენ იმ წინააღმდეგობებსა და დაპირისპირებებს, რომელთა დასაძლევად საერთო ძალისხმევაა საჭირო. საკმარისია, გავიხსენოთ თუნდაც ისეთი სიტყვები, როგორებიცაა “დემოკრატია” და “თავისუფლება”

შესაბამისად წარმოდგენილი სტატია ეხება ეკონომიკური ცხოვრების გლობალიზაციის ცივილიზებულ პროცესს. კერძოდ ენობრივი უნიფიკაციის, სტანდარტიზაციის, კულტურათა “ვესტერნიზაციის” პროცესებს ასტიმულირებს. კულტურები აქტიურად ეჯახებიან ერთმანეთს, ეკონტაქტებიან, იკვეთებიან და ზოგჯერ კონფლიქტში შედიან. ამგვარ პირობებში, შესაძლებელია, წარმოიშვას ეთნიკური იდენტობისა და კულტურული თვითგამარობის პრობლემა, ამიტომ განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს კულტურათშორის კომუნიკაციებთან დაკავშირებული საკითხები.

კულტურათშორისი ურთიერთობების პროცესში განსაკუთრებულ სირთულეს კომუნიკანტთა ცნობიერების სხვადასხვაობა ქმნის. სწორედ ესაა კომუნიკაციურ კონფლიქტთა (პარტნიორთა ურთიერთგერგაგების კონფლიქტები) ძირითადი მიზეზი. პუმიანტარულ მეცნიერებათა თანამედროვე მდგომარეობა, ერთი მხრივ, და შეცვლილი სამყაროს ობიექტური პირობები, მეორე მხრივ, როგორც ძველი, ასევე, თანამედროვეობისთვის აქტუალური პრობლემების გადააზრებას მოითხოვს. ამიტომ შემთხვევითი არაა ინტერესების გააქტიურება ისეთი ახალგაზრდა სამეცნიერო მიმართულებებისადმი, როგორებიცაა ეთნოფსიქოლოგია, ლინგვოკულტუროლოგია, კოგნიტოლოგია, სამეტყველო აქტების თეორია, კულტურათშორისი კომუნიკაცია და ა.შ.

დღევანდელ დღეს გაგების პრობლემა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, რაც უდავოდ კავშირშია გეოპოლიტიკური თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციების გამწვავებასთან და წინააღმდეგობებთან, რომლებითაც ჩვენი ეპოქა აღსავსე. ეს პრობლემა თავს იჩენს ყოველთვის, როცა კრახს განიცდის მცდელობა, დამყარდეს ურთიერთგაგება რეგიონებს, ერებს თუ თაობებს შორის; როდესაც არ არსებობს საერთო ენა, როდესაც ჩვევაში გადასული საკვანძო ცნებები გაღიზიანებას იწვევენ და მხოლოდ ამბაფრებენ და აღრმავებენ

იმ წინააღმდეგობებსა და დაპირისპირებებს, რომელთა დასაძლევად საერთო ძალისხმევაა საჭირო. საკმარისია, გაეხსენოთ თუნდაც ისეთი სიტყვები, როგორებიცაა “დემოკრატია” და “თავისუფლება”

ეკონომიკური ცხოვრების გლობალიზაციის ცივილიზებული პროცესი უნიფიკაციის, სტანდარტიზაციის, კულტურათა “ვესტერნიზაციის” პროცესებს ასტიმულირებს. კულტურები აქტიურად ეჯახებიან ერთმანეთს, ეკონტაქტებიან, იკვეთებიან და ზოგჯერ კონფლიქტში შედიან. ამგვარ პირობებში, შესაძლებელია, წარმოიშვას ეთნიკური იდენტობისა და კულტურული თვითკმარობის პრობლემა, ამიტომ განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს კულტურათშორის კომუნიკაციებთან დაკავშირებული საკითხები.

კულტურათშორისი ურთიერთობების პროცესში განსაკუთრებულ სირთულეს კომუნიკანტთა ცნობიერების სხვადასხვაობა ქმნის. სწორედ ესაა კომუნიკაციურ კონფლიქტთა (პარტნიორთა ურთიერთვერგაგების კონფლიქტები) ძირითადი მიზეზი. პუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე მდგომარეობა, ერთი მხრივ, და შეცვლილი სამყაროს ობიექტური პირობები, მეორე მხრივ, როგორც ძველი, ასევე, თანამედროვეობისთვის აქტუალური პრობლემების გადააზრებას მოითხოვს. ამიტომ შემთხვევითი არაა ინტერესების გააქტიურება ისეთი ახალგაზრდა სამეცნიერო მიმართულებებისადმი, როგორებიცაა ეთნოფსიქოლოგია, ლინგვოკულტუროლოგია, კოგნიტოლოგია, სამეტყველო აქტების თეორია, კულტურათშორისი კომუნიკაცია და ა.შ. გასული საუკუნის დასასრულისთვის ნიშანდობლივია ახალ სამეცნიერო პარადიგმაზე გადასვლა, რამაც მეცნიერთა ინტერესების ორბიტაში მოაქცია თანამედროვე საზოგადოებაში ინფორმაციის აღქმისა და გადაცემის პრობლემატიკასთან დაკავშირებულ მოვლენათა ფართო წრე.

ახალ სამეცნიერო პარადიგმაში ენა განიხილება, როგორც ერის კულტურული კოდი, და არა როგორც მხოლოდ კომუნიკაციისა და შემეცნების იარაღი. ენის მეშვეობით ჩვენ ვიჭრებით არა მხოლოდ ერის თანამედროვე ცნობიერებაში, არამედ – ძველი დროის ადამიანების მსოფლადქმაშიც. ცნობილია, რომ წარსული წლების გამოძახილი დღესდღეობით ანდაზებში, მეტაფორებში, კულტურის სიმბოლოებშია შემონახული. ასევე, აშკარაა, რომ სამყაროს შესახებ არსებული ინფორმაციის უდიდესი ნაწილი ადამიანამდე ლინგვისტური გზით აღწევს. ამიტომ ადამიანი უფრო მეტად ინტელექტუალური, სულიერი, სოციალური მოთხოვნილებებისთვის თავის მიერვე შექმნილი კონცეპტების საუფლოში ცხოვრობს, ვიდრე საგნების სამყაროში: ინფორმაციის უდიდესი ნაწილი მას სიტყვის საშუალებით მიეწოდება. ადამიანის წარმატება სამყაროში იმაზეა დამოკიდებული, რამდენად კარგად ფლობს ის სიტყვას. აქ ვგულისხმობთ არა მარტო ენის კულტურის ფლობას, არამედ – ენის საიდუმლოებებში წვდომის უნარსაც. ფილოსოფოსების აზრით, ნივთიერი სამყაროს შეცნობა უკეთაა შესაძლებელი, თუ სიღრმემდე ჩაგვჭვდებით ამა თუ იმ საგნისა და მოვლენის აღმნიშვნელ სიტყვას.

ამდენად ანტროპოცენტრიზმის იდეა დღესდღეობით საყოველთაოდ მიღებული გახდა. მრავალი სამეცნიერო კონცეფციისათვის ადამიანის შესახებ წარმოდგენა ათვლის ბუნებრივ წერტილად იქცა.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის ტვინი რეალურ სინამდვილეს მოლიანად კი არა, მხოლოდ ფრაგმენტულად ასახავს. წინამდებარე პრეზენტაციაში შეუძლებელია ეთნოენობრივი ცნობიერების სრული სურათის ჩვენება, ამიტომ გადავწყვიტეთ, შემოვიფარგლოთ კონცეფტოსფერო „ადამიანის“ ლოგოეპისტემის სპეციფიკური ნაირსახეობის – ფრაზეოლოგიური ანუ მყარი ენობრივი შედარებების (იგივე კომპარატივების) ბაზაზე კვლევით. ეს არჩევანი შეიძლება აიხსნას როგორც აღნიშნული კონცეფტის უნივერსალურობით (რაც საშუალებას გვაძლევს, შედარების ერთიან საფუძველზე ვილაპარაკოთ), ასევე – ანტროპოცენტრიზმის თავისებური გავლენით (რომელიც სამართლიანად აყენებს ადამიანს კვლევის ცენტრში).

კონცეფტოსფერო “ადამიანის” სტრუქტურირება შიდასისტემურ კავშირებს ეფუძნება. რომლებიც ასახავენ ადამიანის არსებობის სხვადასხვა მხარეს: ფიზიკური არსებობა, ინტელექტუალური მოღვაწეობა, სულიერი მოღვაწეობა და სოციალური საქმიანობა. ადამიანის

როგორც ეთნოენობრივი ფენომენის ინტერპრეტაციას მე ოთხი ველის ფარგლებში წარმოგიდგენთ:

- 1 ველი -“ადამიანი როგორც ბიოლოგიური არსება “
- 2 ველი -“ადამიანი როგორც ინტელექტუალური არსება”
- 3 ველი -“ადამიანი როგორც სულიერი არსება”.
- 4 ველი -“ადამიანი როგორც სოციალური არსება.

კონცეფტოსფერო “ადამიანი” შეიძლება წარმოვადგინოთ ცხრილის სახით,რომელიც შესაბამისი ველების საშუალებით ასახავს საკვლევი ფენომენის სხვადასხვა მხარეს.

კონცეფტოსფერო “ადამიანი “

1. ადამიანი როგორც ბიოლოგიური არსება	ადამიანი როგორც ინტელექტუალური არსება	ადამიანი როგორც სულიერი არსება
--------------------------------------	---------------------------------------	--------------------------------

ადამიანის გარეგნული მხარე და თვისებები	ინტელექტუალური მახასიათებლები და თვისებები	მორალური თვისებები	ფსიქიკურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლები
--	--	--------------------	--------------------------------------

გარეგნული მიმზიდველობა	გარეგნული არამიმზიდველობა	განმასხვავებელი თვისებები	სააზროვნო აქტივობის უწყასება	აზროვნების უნარი	ადამიანის თვისებები სააზროვნო აქტივობის ხასიათის მიხედვით	დადებითი ნიშან -თვისებები	უარყოფითი ნიშან-თვისებები	სიტუაციით და გარემოებებით განპირობებული მდგომარეობა
------------------------	---------------------------	---------------------------	------------------------------	------------------	---	---------------------------	---------------------------	---

ადამიანი როგორც სოციალური არსება

ადამიანის თვისებები სხვა ადამიანებთან მიმართებაში	ადამიანის პირადი და საზოგადოებრივი კავშირები სოციუმში
---	---

ადამიანის თვისებების გამოვლინება სხვა ადამიანებთან მიმართებაში	ადამიანის მოქმედებები სხვა ადამიანებთან მიმართებაში	სოციალური სტატუსი,საქმიანობის სახე	ოჯახური მდგომარეობა	ადამიანის თვისებები საქმესთან და საქმიანობასთან მიმართებაში
--	---	------------------------------------	---------------------	---

პირველი მიკროველი “ადამიანი როგორც ბიოლოგიური არსება “ ასახავს ბიო-ფიზიოლოგიურ ანუ ბუნებრივ ნიშან -თვისებათა ერთობლიობას.ადამიანის გარეგნობის აღწერა გულისხმობს სტატიკური ანატომიური დეტალებისა და გარეგნული ნიშნების ფიქსაციას, რომლებიც პიროვნებას გამოარჩევენ. ამ ველის კოგნიტური მოდელი ეფუძნება მხედველობით აღქმას.

მეორე მიკროველი - “ადამიანი როგორც ინტელექტუალური არსება “–

საკვლევ ფენომენს ინტელექტუალურ მოღვაწეობასთან მიმართებაში განიხილავს,რომელიც უკავშირდება ადამიანის ლაპარაკისა და გაგების სამყაროს ხედვისა და აღქმის, მოქმედებების დაგეგმვის,ფანტაზირებისა და განსჯის და ა.შ. უნარს. იმ ძირითად სისტემებ-

ზე საუბრისას „რომლისგანაც“ „იქმნება“ ადამიანი, ინტელექტის სფეროში გამოყოფენ ისეთ ქვესისტემებს, როგორცაა, ცოდნა, რწმენა, გაგება, მეხსიერება და სხვა

მესამე ველი -“ადამიანი როგორც სულიერი არსება“-ადამიანს წარმოგვიდგენს როგორც არსებას, რომელსაც ხელეწიფება თავისი ნების გამომჟღავნება, ემოციური შეფასების გაკეთება, საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების გამოხატვა.

მეოთხე ველი - “ადამიანი როგორც სოციალური არსება” -ასახავს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას, ადამიანის დამოკიდებულებას საკუთრებისადმი, შრომისადმი, პოლიტიკურ და სოციალურ ინსტიტუტების და ორგანიზაციების და “სოციალურ ქცევას” მიმართ

ნებისმიერი ენის ანტროპოცენტრულობის იდეას თუ დავუბრუნდებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ მყარ ენობრივი შედარებებში მოცემული შეფასებითი ასპექტი საშუალებას გვაძლევს პიროვნების დახასიათებაში ეთნოსის დამოკიდებულება დავინახოთ. ამ “სიღრმისეულ“ დონეზე შეიძლება გამოვლინდეს მნიშვნელობა, რომელიც ცნობიერების პერიფერიაზე ქვეცნობიერის სფეროში იმყოფება.

ნებისმიერი შეპირისპირება გარკვეული პროცედურებისა და პრინციპების დაცვას მოითხოვს. ცემს პრეზენტაციაში სხვადასხვა კულტურის კომპარატიული ლოგოეპისტემების შედარების საფუძველს კონცეფტ “ადამიანის“ სქემის სახით ზემოთ მოყვანილი მოდელი წარმოადგენს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ადამიანის, როგორც ბიოლოგიური არსების“ ინტერპრეტაცია გულისხმობს ანატომიური დეტალების, გარეგანი ნიშნების და სხვა ანალოგიური მახასიათებლების ფიქსაციას გარემო სინამდვილის სხვა მოვლენებთან შედარების გზით. სომატური ლექსიკა სხვადასხვა კულტურაში ხშირად სიმბოლურად გაიაზრება და სხვადასხვა კლიშირებული სახით გვევლინება. სხეულის ნაწილები ფიგურირებს მრავალ ენაში, პირველი ლურსმული წარწერებიდან დაწყებული, სოციალური ემბლემებით დამთავრებული.

სომატურ ელემენტებთან დაკავშირებულ მყარ ენობრივ შედარებებში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი თმის საფართან დაკავშირებულ კომპარატივებს უჭირავს. სხვადასხვა კულტურაში, მაგალითად, კელტებში, თმა განასახიერებდა სამეფო ძალაუფლებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ებრაელებში გრძელი გაშლილი თმა სიქალწულისა და გაუთხოვარი ქალის სტატუსზე მიუთითებდა. თმები თავზე დაკავშირებული იყო ინდივიდუალურ სულთან და სასიცოცხლო ენერჯიასთან

თმა დაკავშირებულია მრავალ არქეტიპულ წარმოდგენასთან. ის წარმოადგენს ადამიანსა და გარესამყაროს შორის საზღვარს, რის გამოც მასზე შეხება ადამიანის პიროვნული სივრცის დარღვევად აღიქმება. ასე, მაგალითად, გამოთქმა “to get in smb’s hair” აღნიშნავს სხვის ვიტალურ სივრცეში შეჭრას და უკიდურესი გაღიზიანების გამოწვევას. შესაბამისად, “to lose one’s hair“ მდგომარეობიდან გამოსვლას, შიდა ჰარმონიის დარღვევას გამოხატავს. ინგლისელთათვის თმას დამცავი ფუნქცია გააჩნია, ამიტომ გამონათქვამი - “not to harm hair of smb.’s head” - ვინმეს თავიდან თმის არ ჩამოვარდნას და ზრუნვა-დაცვას უკავშირდება.

ცნობილია, რომ თმებთან ასოცირდება რიგი სიმბოლური ქმედებისა. ასე, მაგალითად, გამონათქვამი “tear one’s hair out” გვაჩვენებს, რომ მწუხარების გამოხატვის ისეთი ფორმა, როგორცაა თავზე თმების დაგლეჯა ტიპური იყო ინგლისელთათვისაც. ასევე ტიპურია მათთვის წითური თმის სიმბოლიკა, რასაც გამონათქვამი - „as Judas hair“ ადასტურებს. შემთხვევითი არ არის, რომ იუდას თმები, დემონური ძალების მსგავსად, ინგლისელთათვის წითური ფერისაა.

ინგლისური ენა მიგვითითებს კიდევ ერთ არქეტიპულ წარმოდგენაზე, რომელიც უკავშირდება თმას. კერძოდ, რომ გაშლილი თმები, თუ არ გამოხატავდა მწუხარებას, ზედმეტად თავისუფალ ქცევად აღიქმებოდა. ასე, მაგალითად, “let down one’s hair” ნიშნავს ზედმეტი პირობითობისთვის ანგარიშის გაწვევას უარის თქმას.

როგორც ვ. მასლოვა აღნიშნავს, რუსეთში თმას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ფეხმძიმე ქალებს ეკრძალებოდათ თმის შეჭრა, ვინაიდან თმასთან დაკავშირებული იყო დამცავი ფუნქცია. იმავე კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ბავშვს ერთ წლამდე არ ჭრიდნენ თმას.

ხალხურ პოეზიაში მოჭრილი ნაწნავი ქალიშვილს არცხვენს. მკვლევარის აზრით, რუსულმა ენამ ბევრი ფრაზეოლოგიური ერთეული შემოინახა, რომელთაც საფუძვლად თმის შესახებ სხვადასხვა არქეტიპული წარმოდგენა უდევს:

1) ის ძალის, გამოცდილების – «до седых волос», «до корней волос»; 2) მეხსიერების და ნების სამყოფელია – «волосы стали дыбом» (ძლიერი შიშის დროს, როდესაც ნების პარალიზება ხდება) – (შეად. ინგლ. “the hair stand on end”).

საქართველოშიც მოჭრილი ნაწნავი, ისევე, როგორც გაშლილი თმა, სამარცხვინოდ ითვლებოდა. „წმიდა შუშანიკის წამებაში“ მას განზრახ უშლიან თმას, რომ შეარცხვინონ. მსგავსი ქმედება შეიძლება ვნახოთ თენგიზ აბულაძის ფილმში „ნატურის ხე“, სადაც მთავარ გმირს თმაგაშლილს სვამენ ვირზე.

თმის კონცეფტი რუსულ კომპარატიულ-ფრაზეოლოგიურ სისტემაში სხვადასხვა ოპოზიციური ერთეულის საშუალებით ხასიათდება. ასე, მაგალითად, თმის ფერი შედარებულია თოვლთან, ჩაღასთან, ძელ-ქორთან, კუპრთან, ნახშირთან და ა.შ. (волосы белые, как снег; волосы светлые, как солома; седая, как лунь, ; волосы черные, как вороново крыло), ფორმა – ბატკანთან, პუდელთან, ზანგთან (волосы, кудрявые, как у барашка; ...как у пуделя; ...как у негра), მდგომარეობა – თექასთან, ქალთევზასთან, დიაკვანთან, ტყის სულთან – «леший», სელთან, ბუმბულთან, ცხენის ფაფართან, მავთულთან, ჯაგართან (волосы, спутанные как войлок; волосы, распущенные как у русалки; борода, заросшая как у дьячка (попа, лешего); волосы, мягкие как лен (пух, шелк); волосы, жесткие как конская грива (провода, щетина).

ქართულ და ინგლისურ შესაბამის მასალასთან შედარებამ დაგვანახა ბევრი კომპარატიული შედარების მსგავსება („აბრეშუმით რბილი თმა/თოვლივით თეთრი თმა / ბატკანივით ხვეული თმა“, “hair as soft as silk/ hair as white as snow,/as aigrette/ as curly as lamb და ა.შ. საინტერესოა, რომ “ზანგივით ხუჭუჭი თმის” ნაცვლად თანამედროვე ინგლისური ზანგის ნაცვლად იყენებს სიტყვა „black“-ს.

რაც შეეხება ეროვნულ-კულტურულ სპეციფიკაზე დაფუძნებულ სახეებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათ არ გააჩნიათ შესაბამისობები სხვა კულტურაში. ასე, მაგალითად, მყარი შედარებები «зарасты (обрасти) как леший» или «волосы, распущенные как у русалки» ადამიანებში, ვისაც წარმოდგენა არა აქვს, ვინ არიან რუსული ფოლკლორის აღნიშნული პერსონაჟები, არ იწვევს ერთგვაროვან რეაქციას. ასევე, გაუგებარია არაქართველისთვის გამოთქმა „ტალავერივით თმა“. ცნება „ტალავერი“ დაკავშირებულია ქართულ სინამდვილესთან, ხოლო „ტალავერივით თმა“ ისეთ ვარცხნილობას აღნიშნავს, რომლის შემთხვევაშიც გრძელი თმა გვერდიდან გადავარცხნილია ისე, რომ სიმელოტე დაფაროს.

თმის საფართან დაკავშირებულ მყარ შედარებებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წვერ-ულვაშს. წვერი ძველ სამყაროში ღირსებას, მამაკაცურ საწყისს, სიბრძნესა და სიმამაცეს განასახიერებდა.

იკონოგრაფიაში მეფეები, გმირები, ბრძენნი გამოსახულნი არიან წვერით.

ისევე, როგორც თმა, ძველ სლავებთან წვერიც დამცავი ფუნქციის მატარებლად ითვლებოდა, წვერზე მოქანვა კი – დიდ შეურაცხყოფად (იხ. რუს. ანდ. „борода дороже головы“). საინტერესოა, რომ რუსეთის ევროპეიზაცია პეტრე პირველმა წვერით დაიწყო, რამაც ბოიართა დიდი აღშფოთება გამოიწვია. მეფის რუსეთში კატორღელებს ნახევრად პარსავდნენ წვერს, რაც, ასევე, უდიდეს დამცირებად ითვლებოდა. ქართულ ფოლკლორულ ტრადიციაში წვერი ასევე დამცველ ფაქტორად ითვლებოდა. ფოლკლორის გმირი არსენა გრძელ სიზმარში ნახულობს, თუ როგორ იღებავს სისხლით წვერს, რაც მის მიერ მოსალოდნელ უბედურებად აღიქმება.

ინგლისშიც და რუსეთშიც წვერი მამაკაცური საწყისის სიმბოლოდ ითვლებოდა, ამიტომ ჭაბუკობიდან შემდეგ პერიოდში გადასვლის მთავარ ატრიბუტად ფოლკლორული ტრადიცია წვერს მიიჩნევს. („борода еще не отросла“, შეად. ინგლ. “A breadless boy would teach old man”).

წვერი ინგლისელთათვის სიბრძნეს, ღირსებასა და სიმამაცეს განასახიერებდა. (“Chins without beards deserve no honour”, “To be king of his own beard”, “A beard is a symbol of courage“). მეორე

მხრივ, ინგლისელები ხაზს უსვამდნენ წვერის ფაქტორის პირობითობასაც (“Wisdom is in the head and not in the beard”, „If wisdom is measured by the size of the beard than the goat is a philosopher king”), ვინაიდან გარეგნული ფაქტორი (წვერი) ყოველთვის არ გამოხატავს მოვლენის არსს.

თმის საფართან დაკავშირებულ მყარ შედარებებში ბევრი ინტერნაციონალიზმია: „პიტღერივით უღვაშები“, „სალვადორ დალივით უღვაში“, „ფიდელ კასტროსავით წვერი“, „ბიტღერივით თმები“, „სკინჰედივით ვარცხნილობა“ და ა.შ. სამივე კულტურაში თმა სასიცოცხლო ძალებთან და ენერჯიასთან იყო დაკავშირებული. თმის დაკარგვა სასიცოცხლო ძალების დაკარგვასაც ნიშნავდა, ამიტომ თმის უქონლობა ხშირად დაცინვის საგანს წარმოადგენდა. იხ. «лысый как попка младенца / как Хрущев”, „bald as an egg” / billiard ball“ „მუხლისთავივით მელოტი”.

ნებისმიერი ენის სომატოსფეროში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი კონცეფტ „თვალეზ“ უჭირავთ, ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ კომპარატიულ შედარებებშიც მას გამორჩეული ადგილი შეესაბამება.

ენა აფიქსირებს თვალეზის არაჩვეულებრივ უნარს: მისი გუგები მოძრაობაშია, აქედან – მოძრაობის აღმნიშვნელი ამდენი ზმნის შეთავსება სიტყვასთან „თვალეზი“. «окинуть глазами», «обвести глазами», «отвести глаза», «скользить глазами», «смерить глазами», «обшарить глазами», «проводить глазами», «приковать глаза». თვალეზი წარმოადგენს ორგანოს, ყურების ინსტრუმენტს, ამიტომ აგვდის თვალეზი შუბლზე გაკვირვებისგან; თვალეზი ფართოდ იღება, როდესაც ჩვენ არაცნობიერად ვცდილობთ, მათი მეშვეობით ინფორმაციის მაქსიმუმი მივიღოთ;

სხვადასხვა კულტურაში თვალის ფერს განსხვავებული სემანტიკა გააჩნია.

ასე, მაგალითად, რუსულში და ქართულშიც მწვანე ფერის თვალეზი რომანტიკულად აღიქმება. ოდნავ განსხვავებული მდგომარეობა აქვს თვალის ფერთა სიმბოლიკას ინგლისურში: ცისფერი უკავშირდება შეყვარებულობასა და უმანკობას, წითელი – დემონურობას, ცრემლსა და უკიდურეს სიბრაზეს, მწვანე ეჭვიანობას. ის უარყოფითი კონოტაცია, რომელიც ინგლისურში მწვანე თვალეზმა შეიძინა, შექსპირთან არის დაკავშირებული, რომელმაც ეჭვიანობას მწვანეთვალეზა ურჩხული «a green-eyed monster» უწოდა.

სომატოსფეროში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ადგილი უჭირავს კონცეფტს „თავი“. საყრდენი კომპონენტების ხასიათს რომ მივადევნოთ თვალი, რომელთა ფონზეც ხასიათდება აღნიშნული კონცეფტი, შეიძლება, მოცემულ სიტყვასთან დაკავშირებულ მოვლენათა ფართო სპექტრი დავინახოთ.

ფოლკლორულ ტრადიციებში თავი მიიჩნევა ადამიანის უმნიშვნელოვანეს ორგანოდ, რომელიც საშუალებას აძლევს მას, იაზროვნოს. ამგვარი თვისებით დაჯილდოებულ ადამიანს რუსები უწოდებენ: «ясная (светлая) голова», ხოლო მას, ვისაც ეს არ გააჩნია, «без царя в голове», «у него ветер в голове», «каша в голове», «без головы на плечах». შესაძლებელია, „თავიან ადამიანს“ თავბრუ დაეხვეს – «голова пойти кругом», ან „სრულიად დაკარგოს თავი“ – «совсем потерять голову». განსაკუთრებით ხშირად ეს ემართებათ შეყვარებულებს, რომლების მართვის მთავარ ორგანოდ თავის მაგივრად გული იქცევა.

ინგლისურ ენობრივ სურათშიც თავი აზრის სათავსოა. ის, შეიძლება, იყოს ცარიელი “not to have brains on one’s head”, ან სავესე ქვებით “have a rocks on one’s head”, ან ქარით “have a wind in the head”. მასში, შეიძლება, რამე ჩაიდოს “to put ideas on one’s head”, ან ამოღებულ იქნას “get smb.out of one’s head”. სიჩღუნგის ნიშნებად ითვლება, აგრეთვე, სირბილე “soft in the head” ან კარტოფილთან და ბანანთან შედარება “potato/banana head.”. საცერთან და ნახვრეტთან შედარება “head like a sieve /hole“ მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს თავიდან ინფორმაციის გადინების პრობლემა.

ამრიგად, უნდა აღვნიშნოთ, რომ მყარი ენობრივი შედარება როგორც სპეციფიკური ლოგოპისტიკა გვევლინება როგორც ინტრაკულტურული ნიშანი, რომელშიც ასახულია შესაბამისი კულტურის ეთნოეროვნული ხედვა და, მეორე მხრივ, როგორც – კულტურის სპეციფიკური კოდი, რომელიც მონაწილეობს კულტურათშორის კომუნიკაციაში, რომელშიც

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ადამიანს. ადამიანს ,რომელიც წარმოადგენს ფიზიკურისა და სულიერის , ბუნებრივისა და სოციალურის , მემკვიდრეობისა და შექმნილის ინტელექტუალურ მთლიანობას.

ლიტერატურა:

1. Valdes J. (Ed.) Cultural Bound: Bridging the Cultural Gap in Language Teaching. Camb. Univ. Press, 1986.
2. Vernon P.E. Intelligence and Cultural Environment. London: Metuen, 1969.
3. Whitehead A.N. The Concept of Nature. Cambridge Uni. Press. 2004
4. Wierzbicka A. Cross-Cultural Pragmatics: The Semantics of Human Interaction. Berlin, NY, 1991.
5. Wately R. Elements of Rhetoric. London, 1846 .
6. Wierzbicka A. Semantics, Culture, and Cognition: Universal Human Concepts in Culture-Specific Configurations. NY, 1992.

Ekaterine Topuria

Intercultural Communication and Conceptsphere "a human-being"

Abstract

Nowadays the problem of understanding occupies a very important place in the changing world within its geopolitical as well as socio-political specters .The contemporary epoch is much engaged with the controversial character of the present day .This problem always provokes much interest among researchers as the unique language does not exist and the major parts of concepts often cause the controversial ideas of learning the certain lingual phenomena. To overcome the existing barer we need the common might to revise the words such as democracy or freedom etc. which may get a thorough understanding of the changed linguistic reality and simultaneously changed extra lingual context.

The fixed linguistic comparison as the specific logoepectema appears to be the subject of the article. It as the intercultural unit comprises the certain cultural ethnic individualism . On the other hand it is the specific lingual code in the centre of which a human being occupies a special place. A human-being appears to be the unique unity of a physical, spiritual, natural and social, inheriting and intellectual properties which are human qualities influencing the speech performance of a human being.

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

ათინა თოიძე

ბათუმი, საქართველო

კვანტორული განსაზღვრება როგორც სარეკლამო ინგლისურენოვანი ბეჭდური ტექსტის მარკერული მაჩვენებელი

კვანტორული განსაზღვრება ნამდვილად ითვლება თავისებურ მარკერად ბეჭდური მედიის ინგლისურენოვან ტექსტებში, იმდენად, რამდენადაც მკითხველს გადასცემს ობიექტურ, ხარისხიან, ინფორმაციას ამა თუ იმ მოვლენაზე, რომელიც რეალურად ხდება ცხოვრებაში. მსგავსი ინფორმაცია კი გაცილებით ლაკონურია და ნაკლებ დროს ან ძალისხმევას მოითხოვს ინფორმაციის აღსაქმელად, რაც ორმაგად მნიშვნელოვანია დღევანდელი ადამიანის ცხოვრებაში დროის სიმცირის გამო.

ციფრული ინფორმაცია წამყვან როლს თამაშობს ნებისმიერი სახის მედია ტექსტებში, ციფრული კომპონენტი საინფორმაციო საშუალებებში აისახება როგორც სიზუსტის ძირითადი მოთხოვნა. რიცხვითი მაჩვენებელი – „რამდენი“ არსებითთან ერთად აყალიბებს ისეთ გაგებას, როგორცაა „კვანტორული კონსტრუქცია“, რაც გულისხმობს „კვანტორს+არსებითი სახელი“.

ფაქტობრივ მატერიალურ წყაროდ იქცა გამომცემები The Times (დიდი ბრიტანეთი) და The New York Times (ამერიკა); ვთვლით, რომ მოცემული პერიოდის გამომცემლობების ტექსტები კვანტორი განხრით შესაფერის საკვლევ მასალად ითვლებიან, რამეთუ ის პოლიტიკური და ეკონომიკური კუთხით ხარისხიან გამომცემლობას მიეკუთვნება.

მკვლევარები ამ გაზეთების 2 დამახასიათებელ ნიშანს გამოყოფენ: სიმკაცრე და მასალის მაღალი დონე. ამ გამომცემების პუბლიკაციები ხარისხიანად ითვლება. „ხარისხიანი ჟურნალისტიკა გათვლილია საზოგადო ელიტაზე“. მეთოდის თემატიკა და ტრადიციულობა განაპირობებს ანალიზის სიღრმისეულ და მკაცრ გაფორმებას. ხარისხიანი პრესისათვის დამახასიათებელია ინფორმაციული ფაქტების სიზუსტე; ხარისხიან გამომცემლობაში ნებისმიერ მასალას თავისი წონა და დავალება აქვს, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საერთო შინაარსობრივ და პროფესიონალურ დონეს. ითვლება, რომ მოცემული მოთხოვნა შეესაბამება ანალიტიკურ გამომცემლობას. ბეჭდური მედიის ტექსტებში გვხვდება კვანტორის (რიცხვითის) შეთანხმება ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფთან როგორც პროცენტული ერთეული. კვანტორული კონსტრუქციის მაგალითად შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი :

1. Discussing daily activities, more than half of the presidents, 53 percent said they spent part of everyday on fund-raising.
2. General David Richards said that 70 percent of Afghans may start supporting the Taliban if their lives did not improve in the next six months.

მოცემული სიტუაციებიდან ჩანს, რომ დიფერენცირებადი რიცხვითის (კვანტორის) განსაზღვრება წინადადებაში შეიძლება აისახოს არამხოლოდ ვერბალური ფორმით, არამედ ციფრებით – 53. ბეჭდური მედიის ტექსტისთვის დიფერენცირებადი კვანტორის როგორც შუამავლის რიცხობრივი გრაფიკის გამოსახვა სრულიად გამართლებულია ეკონომიის თვალსაზრისით გაზეთებში, სხვა მხრივ კი დიფერენციული კვანტორის ამოცნობის პროცესი რიცხვით ფორმაში სწრაფად ხდება, რაც არანაკლებ აუცილებელია ახალი ამბების საუწყებლად.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილ მაგალითებში არსებული დიფერენციული კვანტორული განსაზღვრება 53 და 70 ასრულებს ნაცვალსახელის ფუნქციას. ამ მაგალითებში კვანტორიული შეთანხმება იმყოფება პოსტპოზიციიაში განმსაზღვრელ სუბსტანციებთან – “a president“ და “Afghans” მიმართებაში. მაგ: „პრეზიდენტების ნახევარზე მეტმა, 53%-მა განაცხადა, რომ ისინი დიდ დროს უთმობენ ქველმოქმედებას“, „მთავარსარდალმა დევიდ რიჩარდსმა გუშინ განაცხადა, რომ 70%-მა ავღანეთიდან შეიძლება მხარდაჭერა გამოუცხადოს ტალიბანებს“. მხატვრულ ლიტერატურაში ფაქტიურად შეუძლებელია ასეთი ჩანაცვლება, ვინაიდან იგი საგაზეთო სტატიებისთვისაა დამახასიათებელი. ცნობილია, რომ ყოველ კონკრეტულ ფორმას აქვს თავისი ხანგრძლივობის დრო. ციფრების ამოკითხვის პროცესი უფრო მცირეხნიანი პროცესია, სწორედ ამაში მდგომარეობს მისი უნივერსალურობა, ამ დროს ხდება მისი გახმოვანება (წაკითხვა). ყოველივე ზემოხსენებულზე დაყრდნობით მივედით იმ დასკვნამდე, რომ დიფერენცირებადი კვანტორი, რომელიც ხშირად სხვადასხვა ციფრებით გამოიხატება, ხასიათდება ნაკლები მოცულობით. ეს ფაქტი არ ახდენს პრინციპულ გავლენას დიფერენცირებადი კვანტორსა და მის სემანტიკაზე. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მისი რიცხვითი ფორმით გამოხატვისა – 53 ან ვერბალურად fifty-three, არსებითთან მიმართებაში მისი დანიშნულება და ფუნქცია მუდამ უცვლელი რჩება. კვანტორული გამოხატვის ფორმა საინფორმაციო ხასიათის ბეჭდვით პუბლიკაციებში უფრო რთულია და ეს ნათლად ჩანს შემდეგ ილუსტრაციებში.

“George Bush has spent \$ 60 million to stop negative ads“, said Mary Cahill, Mr. Kerry’s campaign manager (ჯორჯ ბუშმა დახარჯა 60 მილიონი დოლარი, რათა შეეწყვიტა ნეგატიური რეკლამები, განაცხადა მერი კაჰილმა მისტერ კერის კამპანიის მენეჯერმა).

მოცემული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ გრაფიკული გამოსახვა კვანტორულ კონსტრუქციებში, ინგლისურენოვან ბეჭდვით ტექსტებში შედგება 3 ელემენტისაგან: საერთაშორისო სიმბოლო, რომელიც გამოხატავს ფულად ერთეულს ამერიკაში, კანადაში, ავსტრიაში. რიცხვი მაგალითად 60 და ეგრეთ წოდებული რაოდენობრივი ერთეული მხატვრულ ლიტერატურაში შემდეგნაირად იქნებოდა გამოხატული – “Sixty million dollars“. მიიხევენ, რომ შემოკლებული ტექსტის წერილობითი ფორმით გამოყენება სრულიად ამართლებს ბეჭდვითი გამოცემების დავალებებს, განსაკუთრებით თუკი საქმე ეხება მკაცრ დიფერენცირებად კვანტორულ მიმართებას. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სპორტული მიმართულების კვანტორული ტიპის ტექსტებში ხაზგასმულია კონკრეტული ამონარიდები, ნაწყვეტები, მსგავსი ქმედება არ არის ხშირი მხატვრულ ტექსტებში და ანალიტიკური ხასიათის პუბლიკაციებში.

The Jaguars ran for 209 yards and scored the only touchdown of the game with 8 minutes 38 seconds. (იაგუარებმა გაირბინეს 209 იარდი და მხოლოდ თანდაუნი ჩაითვალა 8 წუთითა და 38 წამით).

აღსანიშნავია, რომ ახალი ამბების ტექსტებში, რომლებიც მრავალ თემატიკას მოიცავს (ეკონომიკური, სპორტული...) საკმაოდ ხშირია კვანტორის თანხვედრა პოლისემანტიკურ სუბსტანციებთან – “A specific item or detail” (სპეციფიური დეტალი ან საგანი), “a thing said as a part of discussion” (დისკუსიის საგნად განხილული საკითხი).

In financial markets, the Dow Jones industrials were off 11 points in morning trading. (საფონდო ბირჟაზე დაუ ჯონსის აქციები 11 ქულით დაეცა დილის ვაჭრობის დროს).

The big winner Sunday was Johnson. Just for four weeks ago he was eighth in the points, 156 points behind Burton, the leader at the time (კვირას მთავარი გამარჯვებული იყო ჯონსონი, სულ რაღაც ოთხი კვირის წინ ის მერვე ადგილზე იყო, ბერტონს 156 ქულით ჩამორჩებოდა, რომელიც ამჟამად ლიდერად ითვლება).

ინგლისურ ბეჭდვით ტექსტებში დიფერენცირებული კვანტორული თანხვედრა ისეთ არსებითთან, როგორცაა a weapon, a vehicle, a missile, a bomb წარმოქმნის კვანტორულ კონსტრუქციებს, „სამხედრო განლაგების“ მნიშვნელობით, მაგალითად:

Those nuclear fuel contained enough plutonium, experts said, to produce five or six nuclear weapons, though it is unclear how many the North now stockpiles. (ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ბირთვული საწვავი შეიცავს საკმარის დიდი რაოდენობის პლუტონიუმს საიმისოდ, რომ ვაწარმოოთ ხუთი ან ექვსი ბირთვული იარაღი, თუმცა გაუგებარია ამჯამად რამდენს ამარაგებს ჩრდილოეთი).

დიფერენცირებადი კვანტორის შერწყმას სულიერ არსებითთან თუკი გავანალიზებთ, დავინახავთ, რომ კვანტორული შეთანხმების მეტი წილი ბეჭდურ მედიაში დიფერენცირებული კვანტორის არსებითთან შეთანხმების დროს მოდის, მნიშვნელობით – „პროფესიული საკუთრება“ (a senator, a minister, an official, a policeman, a soldier, a fighter), „ეროვნული საკუთრება“ (an Albanian, a Georgian, a Iraqi, a Pakistani...), „ხალხი“ (a man, people, a woman, a child, a boy, a girl, a woman ...), მაგალითად:



The US military and Iraqi forces have launched a huge operation to take back Baghdad from squads, who killed almost 2000 people in Baghdad last month (ამერიკისა და ერაყის სამხედრო ძალებმა განახორციელეს უდიდესი ოპერაცია, რათა ბაღდადი სამხედრო ძალებისგან გაეთავისუფლებინათ, რომელმაც გასულ თვეს თითქმის 2000-მდე ბაღდადელის სიცოცხლე შეიწირა). დიფერენცირებადი კვანტორული განსაზღვრება 2000 მიუთითებს მსხვერპლის რაოდენობაზე სამხედრო ოპერაციის დროს.

კუთვნილებითი ნაცვალსახელი რიცხვით სახელთან შეთანხმებისას წარმოქმნის სხვადასხვა სახის შეთანხმებას. მაგ: Their bodies were found on January 22, several days after Mr. Entwistle flew





to England from Boston (მათი გვამები აღმოჩენილი იქნა 22 იანვარს რამდენიმე დღის შემდეგ, რაც მისტერ ენტუისტილი ბოსტონიდან ინგლისში გაფრინდა).

In interviews over the past few years, Pakistani government officials have made statement that they do not see the Taliban as a threat to Pakistan (პაკისტანის ხელისუფლება ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ინტერვიუში ამტკიცებდა, რომ თალიბანის მოძრაობა პაკისტანისათვის საფრთხედ არ განიხილება).

გავრცელებული კვანტორული განსაზღვრება many (ბევრი)–ს ემთხვევა მნიშვნელობას – „იშვიათად“ ინგლისურენოვან ბეჭდურ სარეკლამო ტექსტებში, დიდი რაოდენობის გამოსახატავად, ავტორთა უმრავლესობა იყენებს შემდეგი რიცხვითი სახელების მრავლობით რიცხვს მაგ: a ten (ათეული), a hundred (ასეული), a billion (მილიარდი) ... მაგალითად :

... and hundreds of Palestinians and foreign doctors have fanned out into the mountains, by helicopter, by car to step rudimentary health clinics. (ასობით პალესტინელი და უცხოელი ექიმი გადაყვანეს შვეულმფრენებით და მანქანებით მთებში, რათა მათთვის პირველადი დახმარების სამსახური გაეწიათ კლინიკებში).

რიცხვითი სახელის გამოყენება ხშირია მრავლობითი რიცხვის ფორმით, განუსაზღვრელი ნაცვალსახელის many-s ნაცვლად ან განმსაზღვრელი სიტყვით— a lot of, რაც იმით აიხსნება, რომ many ლექსიკონებში აიხსნება, როგორც „დიდი რაოდენობა“.

ამ სიტყვების გამოყენება ყოველთვის არ არის მიღებული მოვლენების აღსაწერად ბეჭდურ მედიაში, იმდენად რამდენადაც ნებისმიერი დანართი განსაზღვრებისათვის არ ითვლება სიზუსტედ, ან ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნად ახალი ამბებისათვის.

ლიტერატურა:

1. გერმოგენოვა 1994. Гермогенова Л.Ю. Эффективная реклама в России. Практика и рекомендации. – М.
2. დეიანი 1993: Дейян А.: Реклама. – М.
3. შმიგა 2007: Шмыга Ю. И. Современное состояние коммуникативной эффективности рекламы. Запорожский нац. унив. ст.11-14

Атина Тоидзе

Количественное определение маркера печатных средств массовой информации в английских текстах Резюме

Соответственно, мы можем подвести итог, что количественное определение действительно считается маркером печатных СМИ на английском языке тексты, а также оно отражает объективную и качественную информацию о некотором событии, которое действительно случается в жизни. Такая информация достаточно лаконичны и занимает очень короткий период времени для понимания данной информации, это так важно в сегодняшней жизни за то, что нехватка времени.

Atina Toidze

Quantitative definition - a marker of printed media Absrtact

Accordingly, we can sum up, that quantitative definition is really considered to be the marker of printed media in English texts, as well as it reflects objective and qualitative information about some event that really happens in life. Such information is rather laconic and takes very short period of time for understanding the given information, it is so important in today's life for having a lack of time.

რეცენზენტი: პროფ. ნ. ზეილაძე

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

Яговкина Е.П., Мелкадзе Н.С.

ქუთაისი, საქართველო

К вопросу о семиотике текста

Понятие текста в семиотике имеет самое широкое толкование. Текст – это наполненная смыслом структура, состоящая из знаков. Таким образом, текстом считается не только вербальное, но и невербальное произведение, а именно, музыкальные произведения, танцы театральные пьесы, произведения живописи, различные церемониалы и даже представления в цирке, т.е. всё то, что использует знаковые системы, независимо от их типа.

С лингвистической точки зрения, под текстом понимается только вербальное произведение, построенное с помощью элементов системы языка. Кроме того, «...текст представляет собой основную единицу коммуникации, способ хранения и передачи информации, форму существования культуры, продукт определённой исторической эпохи, отражение психической жизни индивида и т.д.» [5;104]. Всё это создаёт основы для множественности описаний текста и для его многочисленных определений.

В зависимости от точки зрения на область лингвистики могут быть выделены три основных типа разграничения семиотического поля текста.

Первое разграничение, принятое большинством французских семиологов, основывается на более узкой модели лингвистики - от фонетики до синтаксиса (по некоторым представлениям, уровни лингвистики это – фонема, молема и фраза). С этой точки зрения, структуры, существующие вне предложения, не являются более предметом лингвистических исследований. Исследование же на текстуальном уровне рассматривается уже в семиотике. Такое разграничение – основа Бартовского определения семиотики текста как учения, где предметом анализа являются не молемы или фонемы, а более крупные фрагменты дискурса.

По его мнению, семиология поглощается транслингвистикой, материалом которой могут быть миф, нарратив (повествование), газетный материал или, с другой стороны, объекты нашей цивилизации, поскольку они проговариваются через прессу, проспекты или даже через нашу внутреннюю речь. [6;106]

Второе разграничение отличается от той лингвистической модели, которая включает в себя уровень текста, однако лингвистику текста представляет как дисциплину, имеющую отношение к синтаксису текста и к семантике текста. В этом случае семиотика текста предполагает расширение анализа в область прагматики. Основное внимание сосредотачивается на коммуникативных процессах и на функциях текста; особый же упор делается на восприятии текста и на роль читателя. [4;38]. У. Эко вводит даже термин «Lettore Modello», что буквально означает «читатель-модель» или «модель читателя» и считает, что любой текст подразумевает («моделирует») определённого читателя.

Третье разграничение представляет собой, возможно, не самое главное направление в семиотике текста, но тем не менее, это - тенденция, характеризующаяся множеством толкований о специфике семиотических исследований текста. В соответствии с этим мнением расширение семиотического

поля текста до лингвистики текста начинается только с анализа нелингвистических знаков и кодов в текстах.

Такая точка зрения в семиотике текста в основном касается семиотики театра, но она также сохраняется при изучении непосредственно вербальных текстов. [7;331] Сходство между лингвистическими структурами текста и нелингвистическими знаками или кодами в текстах могут быть одним из иконических проявлений или одной из индексальных ассоциаций.

В первом случае вербальный текст описывает или сообщает о невербальных или визуальных знаках (например, в стихотворении или нарративе). В последующем случае вербальный текст помещается в контекст нелингвистических знаков или кодов (например, в театре, фильме, комиксах и пр.).

Как мы уже отмечали, в более узком смысле текст – это только вербальное сообщение. Несколько вариантов подобного понимания представлены в различных семиотических школах.

1. Текст или дискурс. Если текст используется как синоним дискурса, то рассматриваемые вербальные сообщения могут быть либо устными, либо письменными. В лингвистической науке ряд учёных (американские и некоторые европейские) предпочитает термин «дискурс», имея в виду устные или разговорные сообщения. Немецкие учёные в этом случае предпочитают термин «текст».

2. Текст в противовес дискурсу. Р. Барт и ряд других семиологов ограничивали понятие текста только письменными сообщениями.

3. Текст в противовес эмпирическому дискурсу. Текст рассматривается как абстрактная структура, находящаяся в основе дискурса и определяемая как эмпирическое вербальное высказывание.

4. Текст в противовес системе. Луи Ельмслев рассматривал текст как семиотическую величину в процессе и в синтагматических связях, в то время как сама система является парадигматической величиной.

5. Текст, высказывание, произношение. Все эти понятия относятся к прагматическому определению текста. Произношение – это индивидуальный акт во время продуцирования речи. Оно (произношение) может указывать на участников речи, на время и даже место речевого акта. Высказывание – это продукт речевого акта, который может быть текстом или просто его частью (фрагментом).

По-прежнему дискуссионным остаётся вопрос о знаковом статусе текста. Обычно текст считают либо языковым знаком (П. Хартманн, В. Дресслер), либо речевым знаком (Н.И.Серкова), либо считается, что так как текст имеет знаковую природу, он вообще не является знаком (М.Л. Дымарский). Из всех подходов к решению вопроса о статусе текста наиболее правильной можно считать точку зрения О.И. Москальской, которая считает, что текст является не только единицей речи, но и единицей языка, так как в основе построения текстов лежат общие принципы, которые относятся не к области речи, а к системе языка или к языковой компетенции. Как отмечает В. А. Бухбиндер, текст, являясь единицей речи, состоит из единиц языка – предложений; он объединяет в себе языковые сущности и речевые свойства. Следовательно, текст - одновременно единица языка и произведение речи. [3;30-35]

Таким образом, текст следует признать основной единицей не только речи, но и языка, так как он объединяет единицы всех низших уровней общностью замысла, целей и условий коммуникации. Текст – это продукт совместной коммуникативной деятельности автора и адресата, в результате чего он приобретает черты речеповеденческого акта, который всегда семиотичен, т. к. рассчитан на восприятие его другими.

Использованная литература

1. Дымарский М.Я. Проблема русского текстообразования: сверхфразовый уровень организации художественного текста. Автореферат дис. д-ра филологических наук, 1999.
2. Москальская О.И. Грамматика текста (пособие по грамматике немецкого языка для ин-тов и фактов иностранных языков): учебное пособие. Высшая школа, 1981, стр.9 -13.

3. Бухбиндер В.А. О некоторых прикладных и теоретических аспектах лингвистики текста. Киев, 1978, стр. 30 – 35.
4. Эко Умберто. Отсутствующая структура. Введение в семиологию. СПб, 6 Симпозиум, 2004.
5. Садченко В.Т. Текст как объект лингвистической семиотики. Вестник Челябинского государственного ун-та. 2009, №5 (143). Филология. Искусствоведение. Вып. 29 .
6. Barthes, Roland. Elements of Semiology. London: Cape, 1967.
7. Noth, Winfried. Handbook of Semiotics. Indiana University Press. 1990.

იაგოვკინა ე., მელქაძე ნ.

ტექსტის სემიოტიკის საკითხისათვის რეზიუმე

ტექსტის სემიოტიკა ხშირად განიხილება როგორც ლინგვისტიკის გაფართოება ტექსტის ანალიზის ან ლიტერატურული კრიტიკის დარგში.

ლინგვისტიკის დარგში სხვადასხვა თვალთახედვის გათვალისწინებით შეიძლება გამოიყოს ტექსტის სემიოტიკური ველის სამი ძირითადი გამოჯენის ტიპი.

პირველი გამოჯენა ემყარება ლინგვისტიკის უფრო ვიწრო მოდელს - ფონეტიკიდან სინტაქსამდე.

მეორე გამოჯენა წარმოადგენს ტექსტის ლინგვისტიკას როგორც დისციპლინას, რომელიც დაკავშირებულია ტექსტის სინტაქსთან და სემანტიკასთან.

მესამე გამოჯენა ხასიათდება ტექსტის სემიოტიკური კვლევის სპეციფიკის მრავალი განმარტებით.

ტექსტის სხვადასხვა სემანტიკური და სინტაქსური კრიტერიუმები, რომლებიც დამახასიათებელია მისთვის, მიღებულია ლინგვისტური ელემენტების ჩანერგვის ხერხების აღწერისათვის.

Yagovkina H., Melkadze N.

To the Question of Text Semiotics

Abstract

Text semiotics has been often defined as an extension of linguistics into the field of textual analysis or literary criticism.

Such delimitations of text semiotic field depend on the scope of the underlying linguistic model, which is sometimes narrower, excluding the level of the text, and sometimes more extended, including a text linguistics. Depending on the views about the scope of linguistics, three major types of delimitation of the text semiotic field may be distinguished.

The first delimitation is based on a narrower model of linguistics extending from phonology to syntax only. The second delimitation considers text linguistics as a discipline concerned mainly with text syntax and text semantics. The third delimitation represents tendency characterizing many assumptions about the specifically semiotic extension of textual research.

Various text syntactic and text semantic criteria have been proposed to describe the integration of linguistic elements into the textual whole.

რეცენზენტი: პროფ. ე. ბუნიაკოვა

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

მარინე ეხსალაშვილი

ქუთაისი, საქართველო

აბზაცი, როგორც ტექსტის ძირითადი ერთეული

სტატიაში განხილულია აბზაცის გამოყოფის საკითხი. აბზაცი რამდენიმე ლოგიკურად და აზრობრივად ურთიერთდაკავშირებული წინადადების ერთობლიობაა. აბზაცში წინადადებებს ერთი აზრი და თემა აკავშირებთ. მათ შორის აზრობრივი, ლოგიკური ურთიერთმიმართულება. აბზაცში გამოიყოფა შემდეგი სახის წინადადებები: მთავარი წინადადება, ამხსნელი წინადადება, შემაჯამებელი წინადადება.

აბზაცში წინადადებათა გადაბმის რამდენიმე ხერხი არსებობს: პარალელური გადაბმა, ჯაჭვური გადაბმა და გადაბმის ნარევი სახე.

ტექსტის შესწავლის ინტერესი განპირობებულია ენის შემეცნების სწრაფვით. ტექსტის ლინგვისტიკის შესწავლის საგანს წარმოადგენს წყობა, ტექსტის შექმნა, მისი სტრუქტურის როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისი. აბზაცი განიხილება როგორც სტილისტიკური, ლიტერატურულ-კომპოზიციური ერთეული. იგი წარმოადგენს სინტაქსურ ერთეულს, რადგან სწორედ აბზაცის სინტაქსური ბუნება წარმოადგენს იმ ბაზისს, რომელიც შესაძლებელს ხდის მის გამოყენებას ლიტერატურულ-კომპოზიციურ ერთეულად.

ტექსტის ორგანიზებაში დიდი როლი ენიჭება აბზაცის გამოყოფას. აბზაცი რამდენიმე ლოგიკურად და აზრობრივად ურთიერთდაკავშირებული წინადადების ერთობლიობაა. აბზაცში წინადადებებს ერთი აზრი და თემა აკავშირებთ. მათ შორის აზრობრივი, ლოგიკური ურთიერთმიმართულებაა. აბზაცში გამოიყოფა შემდეგი სახის წინადადებები: მთავარი წინადადება, ამხსნელი წინადადება, შემაჯამებელი წინადადება. მთავარი წინადადება გადმოსცემს აბზაცის ძირითად აზრს და ავტორი უნდა ეცადოს წინადადება იყოს მარტივი, წინადადება იყოს ნათელი და არ იყოს გადატვირთული ზედმეტი ტერმინოლოგიით, რთული კონსტრუქციებით. ამხსნელი წინადადება ავითარებს მთავარი წინადადებაში დასმულ იდეას, აზრს. ამ წინადადების შექმნის რამდენიმე საშუალება არსებობს: მაგალითებისა და ფაქტების მოყვანა; სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება; ციტირება. შემაჯამებელ წინადადებას ორი ძირითადი მიზანი აქვს: 1) იგი მიგვანიშნებს, რომ აბზაცი მთავრდება; 2) იგი კიდევ ერთხელ გამოკვეთს აბზაცის მთავარ სათქმელს; ეს მიიღწევა სამი გზით: ა) აბზაცში გამოთქმული ძირითადი მოსაზრების შეჯამებით; ბ) მთავარი წინადადების გამეორება სხვა სიტყვებით; გ) შესაძლოა ორივე ეს ხერხი ერთდროულად გამოვიყენოთ.

აბზაცში წინადადებისა გადაბმის რამდენიმე ხერხი არსებობს; პარალელური გადაბმა, ჯაჭვური გადაბმა და გადაბმის ნარევის სახე.

პარალელური გადაბმა ისეთ წინადადებათა კავშირია, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა, მაგრამ თანაბარმნიშვნელოვანი წინადადების კავშირს.

ჯაჭვური გადაბმისას აბზაცის ყოველი მომდევნო წინადადება უნდა ხსნიდეს ან ავი-

თარებდეს წინამავალ წინადადებაში გამოთქმულ აზრს. ასეთი გადაბმა გავრცელებულია სამეცნიერო სტილში.

გადაბმის ნარევი სახე წინადადების იმგვარი კავშირია, როცა პარალელური და ჯაჭვური გადაბმის ხერხები აბზაცში ერთმანეთს ენაცვლება.

აბზაცის სტრუქტურის გარკვევის შემდეგ მნიშვნელოვანია აბზაცის ფუნქცია. თავისი დანიშნულების მიხედვით, აბზაცის ორი ძირითადი სახეობა შეიძლება გამოიყოს: დამოუკიდებელი აბზაცი, რომელიც გადმოსცემს ძირითად ინფორმაციას და დამხმარე აბზაცი, რომელიც აერთებს ტექსტის ამა თუ იმ ფრაგმენტს. დამხმარე აბზაცი თავის მხრივ ორი სახისაა: ერთმიმართულებიანი, რომელიც აჯამებს, აერთებს ტექსტის ამა თუ იმ ფრაგმენტს და ორმიმართულებიანი, რომელიც აჯამებს და აერთებს ტექსტის მოცემული ფრაგმენტის შინაარსს და, ამავე დროს, არის ერთგვარი გადასვლა ახალ თემაზე (ქ. გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, ნინო შარაშენიძე, 2009, გვ. 61).

ტექსტს გააჩნია წყობის განსაზღვრული კანონები, აზრობრივი და ფორმალური შეერთება და მისი შემადგენელი ერთეულების გამიჯვნა. ტექსტის შექმნის მექანიზმების გამოვლენა წარმოადგენს სწორედ ტექსტის ლინგვისტიკის ამოცანას, რომელიც სამეტყველო საქმიანობის შესწავლას გულისხმობს, რაც ფიქსირებულია ნებისმიერ წერილობით ქანრში.

მთლიანი ტექსტი, როგორც სამეტყველო საქმიანობის პროდუქტი, იქნება სიტყვებისაგან, წინადადებებისაგან, ტექსტის ნაწილებისაგან, რომლებიც შეიცავენ ცალკეულ, შედარებით დამოუკიდებელ ნაწილებს დაკავშირებულებს ტექსტის საერთო სიუჟეტური ხაზით. ამასთანავე, ისინი წარმოადგენენ თხზულების ან აღწერის მეტნაკლებად დასრულებულ, ერთმანეთისაგან გამიჯნულ ელემენტებს. ტექსტის ნაწილები, თავის მხრივ, შედგებიან წინადადებათა სერიისაგან, ან ერთი წინადადებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან არა მხოლოდ ლოგიკურად და სემანტიკურად, არამედ ფორმალურადაც, ლინგვისტიკურადაც.

დღეისათვის საყოველთაოდ აღიარებულია განსაკუთრებული სინტაქსური ერთეულის გამოყოფის აუცილებლობა, ვიდრე წინადადებაა, ანუ რამდენიმე წინადადების გამაერთიანებლის, რომელსაც აქვს განსაზღვრული სპეციფიკური ნიშნები, კონკრეტულად კი, აზრობრივი მნიშვნელობა, შედარებითი დამოუკიდებლობა ტექსტში და შიდა ჩაკეტილი სინტაქსური და ინტონაციური საშუალებებით. მთლიანი ტექსტის დანაწილების ობიექტური კრიტერიუმების პოვნის პრობლემა ბევრ ენათმეცნიერს აღარებს. ბევრი რამ ჯერ კიდევ ბურუსითაა მოსილი, სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებანი ამ პრობლემის ცალკეულ ასპექტებზე განსხვავებულია.

ლინგვისტიკურ ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებულია ორი ტერმინი - ზეფრაზული ერთობა და რთული სინტაქსური მთლიანი (Фридман, 1975, გვ. 195). ტექსტის სტრუქტურულ-შემადგენელ ნაწილებად დაყოფისას მეკლევრები ტექსტის შემადგენელ ერთ-ერთ ძირითად სტრუქტურულ ერთეულად წინადადების შემდეგ ე. წ. ზეფრაზული მთლიანობას გამოყოფენ. მაგრამ ეს ტერმინი სხვადასხვა ნაშრომში სხვადასხვაგვარად არის განმარტებული. ზეფრაზული მთლიანობის განსხვავებული განსაზღვრებანი პირობითად ოთხ ძირითად ქვეჯგუფებად შეიძლება დავეთ: 1) განსაზღვრებები, რომელთა მიხედვითაც ზეფრაზული მთლიანობა ტექსტის ძირითად ერთეულად ჩაითვლება; 2) ისეთები, რომლებიც ზეფრაზული მთლიანობას მეტყველების ერთეულად მიიხევენ, ხოლო აბზაცს - მის წერილობით გამოხატულებად; 3) ზეფრაზული მთლიანობა მეტყველების ერთეულად ითვლება, მაგრამ მისი ზომა ყოველთვის არ ემთხვევა აბზაცისას; სხვადასხვა ავტორთა განსაზღვრებით ზეფრაზული მთლიანობა შეიძლება აბზაცზე მცირე იყოს, ან მისი ტოლი; აბზაცის ტოლი იყოს ან რამდენიმე აბზაცს შეიცავდეს; იყოს მისი ტოლი, მასზე მოზრდილი ან მცირე. 4) ზეფრაზული მთლიანობა და აბზაციც ტექსტის ერთეულად ითვლება; ე. ი. საკითხი ზეფრაზული მთლიანობის შესახებ აბზაცთან კავშირში განიხილება, თუმცა არ არსებობს ერთიანი მოსაზრება, თუ რა ადგილი უკავია აბზაცს ტექსტის სტრუქტურაში. არსებობს მოსაზრება, რომ აბზაცი წარმოადგენს ტექსტის ავტორისეული დაყოფის შედეგს გარკვეულ ნაწილებად; აბზაცი მხოლოდ სტამბურ ტერმინად ან საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს (Бакарева А.П., 1981, გვ. 6).

სხვა მკვლევრები მკვეთრად მიჯნავენ აბზაცსა და ზეფრაზულ ერთობას და პირველს მიაკუთვნებენ წერიტი ტექსტის კომპოზიციის სფეროს, ხოლო მეორეს სინტაქსის სფეროს. მ. გ. სვოტინა მიიჩნევს, რომ აბზაცი არის მეტყველების პრაქტიკის რეალურად არსებული ერთეული, რომელიც შეგნებულად გამოიყოფა წერისას ადქმის გასაიოლებლად და აზრის გასაგებად. ამ გაგებით, მკვეთრად გაიმიჯნება აბზაცი და რთული სინტაქსური მთლიანი. პირველი გამოიყოფა ენის დონეზე, ხოლო მეორე - მეტყველების დონეზე. აბზაცს არა აქვს სპეციფიკური გრამატიკული ნიშნები (СВОТИНА М.Г., 1975, გვ. 105). ლიტერატურულ ტექსტში აბზაცის ბუნებისა და როლის შესახებ ტ. ი. სილმანი წერს, რომ „წინადადებათა თანხვედრას, რომლითაც იწყება ერთი აბზაცი და მთავრდება მეორე, არა აქვს საკმაოდ მყარად გამოკვეთილი გრამატიკული საზღვრები“ და ერთი აბზაციდან მეორემდე სახეხება „წვევბა, აზრის ნახტომი“.

აბზაცის ლიტერატურულ-კომპოზიციური ბუნების შეფასებისას, ის აღნიშნავს, რომ „ერთი აბზაციდან მეორეზე გადასვლისას არ ხდება ახალი სინტაქსური კანონზომიერებების დაგროვება, სამაგიეროდ ძალაში შედის სხვა კანონზომიერებანი - მოცემული ლიტერატურული ნაწარმების თხრობითი კანონზომიერებანი, მისი კომპოზიციური პრინციპები, სხვა შემთხვევებში ჟანრის ზოგადი კანონზომიერებების მახვენებლები“ (СИЛЬМАН Т.Н., 1975; გვ. 200).

მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისაგან აბზაცსა და ზეფრაზულ ერთობას ე. ა. რეფეროვსკაია. ის ეთანხმება იმას, რომ სემანტიკური შინაარსის მიხედვით აბზაცი და ზეფრაზული ერთობა თუ არ თანხვდებიან, არც დიდად განსხვავდებიან და ბევრი საერთო აქვთ. აბზაცსა და ზეფრაზულ ერთობას შორის განსხვავებას რეფეროვსკაია იმაში უყურებს, რომ ზეფრაზული ერთობა შეიცავს გამონათქვამს, რომელიც წარმოადგენს ობიექტურად შეზღუდულ მიკროთემას, რომელიც შესაძლოა შეწყვეტილი იყოს ჩანართებით, რათა შემდეგ დაუბრუნდეს შესვენების მომენტს და მიყვანილი იქნეს ბოლომდე. რაც შეეხება აბზაცს, იგი ყოველთვის შეიცავს დასრულებულ მიკროთემას, რომელიც ვრცელდება მეზობელ აბზაცებზეც. ე. რეფეროვსკაია ასკენის, რომ ერთი გამოთქმა - ერთი მიკროსქემა - ეს ყოველთვის ერთი ზეფრაზული ერთობაა, მაგრამ მას შეუძლია მოიცვას ერთი, ორი და მეტი აბზაცი; ანუ აბზაცისა და ზეფრაზული ერთობის საზღვრები სავალდებულო არაა თანხვედრი იყოს და თანხვდებიან მხოლოდ მაშინ, როცა ცალკეულ მიკროთემებად ტექსტის ობიექტური დაყოფა შეესაბამება ავტორის სუბიექტურ დამოკიდებულებას მის მიერ შექმნილი ტექსტის მიმართ (Реферовская Е.А., 1983, გვ. 100).

რაც შეეხება მხატვრული ნაწარმებისა და არამხატვრული პროზის სხვადასხვა ჟანრების აბზაცის სტრუქტურას, აქ ვლინდება სერიოზული განსხვავებები, რაც დაკავშირებულია მხატვრული ლიტერატურის ზოგად სპეციფიკასთან და მეტყველების განსხვავებულ ფუნქციონალურ სტილებთან. აბზაცის სტრუქტურა ყველაზე მეტად გამჭირვალეა სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარულ და სასწავლო ტექსტში.

სამეცნიერო პროზის აბზაცი, ისევე როგორც ნებისმიერი ზეფრაზული ერთობა, წარმოადგენს სემანტიკურად დასრულებულ გამონათქვამს; იგი შეიძლება მდებარეობდეს ტექსტის მთავარ ხაზზე და თან წინ წასწიოს თხრობის ძირითადი თემა, შესაძლოა მდებარეობდეს მის პერიფერიაზეც. მაგრამ წარმოადგენენ რა ერთი ტექსტის შემადგენელს, აბზაცები არა მხოლოდ გამოიჯნეულნი უნდა იყვნენ ერთმანეთისაგან სემანტიკურად და ფორმალურად, არამედ უკავშირდებოდნენ კიდევ ერთმანეთს. ერთი აბზაციდან მეორესკენ, თითქოს ხიდი გაიდება, ხდება დალაგებული თხრობის უზრუნველყოფა.

სამეცნიერო ტექსტის აბზაცი წარმოადგენს ტექსტის გამოკვეთილ დაყოფას რთულ აზრობრივ ერთეულებად. იგი წარმოადგენს საკუთარი სტრუქტურის მქონე შედარებით თავისუფალ და ხარისხობრივად დამოუკიდებელ ერთიანობას.

აბზაცის სტრუქტურა ექვემდებარება მოდელირებას. ითვლება, რომ სამეცნიერო ტექსტისათვის ყველაზე დამახასიათებელია ოთხნაწილიანი აბზაცი. აბზაცის შიგნით წინადადებები, როგორც წესი, არა ტოლმნიშვნელოვანია. თითოეულ მათგანს თავისი განსაკუთრებული

წვლილი შეაქვს ტექსტის აღქმაში, მაგრამ გადამწყვეტი გამოთქმები ტექსტის შინაარსის გასაგებად ისინია, რომლებიც გამოხატავენ მთავარ აზრს, ესებიან გადმოცემის არსს. ასეთ წინადადებებს ეძახიან საკვანძო ან ძირითად ფრაზებს.

ტექსტის აბზაცებად დაყოფას საფუძვლად უდევს აზროვნების ზოგადი, საერთო პრინციპები.

შეიძლება დავასკვნათ, რომ აბზაცის, როგორც ტექსტის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულის, როლის უარყოფა ან შეუფასებლობა გაუმართლებელია.

ლიტერატურა:

1. ქ. გონიტაშვილი (ავტორთა ჯგუფი), 2009 - ქ. გონიტაშვილი, აკადემიური წერა, თბ., 2009
2. Бакарева А.П., 1981 – Бакарева А.П., Структура предложения как средство связи предложений в сверхфразовом единстве. М., 1981
3. Свотини А.Г., 1975 – Свотина М.Г., Абзац как единица речевой практики. В. сб.: теоретические проблемы синтаксиса современных индоевропейских языков. Л., 1975
4. Сильман Т.Н. 1975 - Сильман Т.Н., Структура абзаца и принципы его развертывания в художественной прозе. Л., 1975
5. Реферовская Е.А., 1983 – Реферовская Е.А., Лингвистические исследования структуры текста. Л., 1983

Marina Kukhalashvili

Paragraph, as the text’s main unit

Abstract

Text linguistic is a comparatively new branch of linguistic. The interest of text study is stipulated by striving for cognition of the language, the language as a global occurrence from the modern standpoint, as a mean of communication to thoroughly study language connections with different kinds of the human life, which is realized by the text. The subject of text linguistic study is a construction, creation of the text, as formal as well contest standpoint of the structure.

In organization of the text the great attention is paid to paragraph. The paragraph is discussed as a stylistic, literary-compositional unit. It is a syntax unit as just the syntactic nature of the paragraph is the basis which gives possibility to use it as a literary and compositional unit. The paragraph is a unity of logically and semantically contacted sentences. In paragraph sentences have the same idea and subject. In paragraph there are distinguished the following kinds of clauses: main clause, explaining clause, summarizing clause. The main clause tells main idea of the paragraph and shall be simple and clear. The explaining clause develops the idea of the main clause. The summarizing clause displays the main idea of the paragraph and underlines that the paragraph is ended.

In the paragraph there are several ways of linking the sentences:

1. Parallel, which implies connection of different, but equivalent sentences
2. Chain, where every next sentence of the paragraph shall explain or develop the idea expressed in previous sentence. The chain connection is spread in scientific style.
3. The mix of linked sentences is the connection of sentences when the ways of parallel and chain linking replace each other.

After establishing structure of paragraph the function of paragraph is essential to be established.

რეცენზენტი: პროფ. თ. ლომთაძე

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

მაია მალუაშვილი

თბილისი, საქართველო

ენის დოკუმენტირება და საფროთხეში მყოფი ენები

სტატიაში განხილულია საფროთხეში მყოფი ენებისა და მათი დოკუმენტირების საკითხი, მოყვანილია ენათა გაქრობის მხრივ არსებული სტატისტიკური მონაცემები. ყურადღება გა-
მახვილებულია ენობრივ საფროთხეთა გამომწვევ მიზეზებსა და მათი თავიდან აცილების
გზებზე, თანამედროვე მსოფლიოსა და საქართველოში ამ მიმართულებით განხორციელებულ
დონისძიებებსა და სამომავლო პერსპექტივებზე.

ენის დოკუმენტირება ლინგვისტიკის ახალი დისციპლინაა, რომლის მიზანია მეტყველე-
ბის ამომწურავად ჩაწერა, ენობრივი მონაცემების შეგროვება და შენახვა, რაც შემდგომში
საშუალებას მოგვცემს, შევისწავლოთ ენა მრავალი ასპექტით. ეს ამოცანა განსაკუთრებით
აქტუალურია მცირერიცხოვანი ენებისათვის, რომლებიც გაქრობის საფროთხის წინაშე იმყო-
ვებიან. [10]

ენის დოკუმენტირების საფუძველია სხვადასხვა ჟანრის ტექსტები – მოთხრობები, ზღაპრე-
ბი, ლექსები, ცხოვრებისეული შემთხვევები, დიალოგები, სიმღერები... [7] – ჩაწერილი აუდიო
და ვიდეოაპარატურაზე, გადაყვანილი ტექსტურ ფორმატში და აღჭურვილი მრავალდონიანი
ლინგვისტური და მეტატექსტური ანოტირებით. ენის დოკუმენტირება მულტიმედიანი ენობრივი
პროცესია, რადგან დოკუმენტირებული მასალა მკვლევართათვის საინტერესოა არა მხოლოდ
ლინგვისტური კუთხით, არამედ ინტერდისციპლინური თვალსაზრისითაც. იგი ასახავს კონკრე-
ტულ ეპოქასთან დაკავშირებულ კულტურულ-ისტორიულ და პოლიტიკურ ვითარებას. [2]

ყოველი ენა წარმოადგენს ინფორმაციის უნიკალურ საცავს, რომელშიც ასახულია სამყაროს
აღქმის ორიგინალური, მხოლოდ ამ ენისათვის დამახასიათებელი სურათი. სხვადასხვა
ენა შეიცავს ამ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოების უნიკალურ ცოდნას, ისტორიას და მსოფ-
ლმხედველობას. სამწუხაროდ, დღეს მსოფლიოში მრავალი ენა დგას გაქრობის საფროთხის
წინაშე. დადგენილია, რომ ბოლო 500 წელიწადში კაცობრიობამ დაკარგა დაახლოებით ნახე-
ვარი იმ ენებისა, რომლებიც მას გააჩნდა. ამჟამად არსებული ენების ნახევარი კი გაქრება ამ
ასწლეულის ბოლოსათვის. ეს საშიშროება განსაკუთრებით მცირერიცხოვანი, უმწერლობა
და ნაკლებად შესწავლილი ენების წინაშე დგას. ამდენად, მათი დოკუმენტირება სასიცოცხ-
ლოდ მნიშვნელოვანია.

ენები კვდებოდნენ ყოველთვის: ომების, სტიქიური უბედურებების, ეპიდემიების, ერთი ხალ-
ხის მიერ მეორის დაპყრობის შედეგად, მაგრამ ენათა გაქრობა არ მიმდინარეობდა ისეთი
სწრაფი ტემპით, როგორც ახლა. დადგენილია, რომ ყოველ ორ კვირაში, სადღაც მსოფლიოში
თავის უკანასკნელ მატარებელთან ერთად კვდება თითო ენა, მასთან ერთად კი ქრება მთელი
ეთნოსის შეხედულებები, რწმენა და იმედები.

ენათა სიკვდილის გამომწვევი მრავალი მიზეზი არსებობს, მაგრამ ძირითად ფაქტორებად
21-ე საუკუნეში ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზები გვევლინება: გლობალიზაცია, მო-

დერნიზაცია, ინდუსტრიალიზაცია და ურბანიზაცია, რომელთა თანამდევია სხვადასხვა ხალხის ჭრელი ნაკრებისაგან შემდგარი მსოფლიოს გადაქცევა ერთ „გლობალურ სოფლად“.

დღეს, 21-ე საუკუნეში, უფრო და უფრო მგრძობიარე ხდება თანამედროვე მსოფლიოს დაყოფა ეკონომიკური, კულტურული და ენობრივი ცენტრების გავლენათა სფეროებად, რომლებიც თავინთი გავლენის ქვეშ თანდათანობით აქცევენ უფრო პატარა ხალხებსა და ეთნოსებს. მსოფლიოში მიმდინარე ამ პროცესის შედეგად მცირე ერები და ეთნოსები (მათთან ერთად კი მათი ენებიც) კარგავენ სოციალურ მნიშვნელობასა და პრესტიჟს. დასაწყისში მშობლიური და ახლად შექმნილი (ძლიერი) ენა თანაარსებობენ, მაგრამ მშობლიური ენის გამოყენების სფერო თანდათან ვიწროვდება, შემდგომში კი მასზე საერთოდ აღარ ლაპარაკობენ და, ამგვარად, ენა კვდება. სამწუხაროდ, ხშირად ენათა გაქრობას, ნებით თუ უნებლიეთ, ხელს უწყობენ ამ ენის მატარებლებიც, რომლებიც აღარ გადასცემენ მომავალ თაობას თავიანთ მშობლიურ ენას, რადგანაც მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პირობებში ეს უკვე არაპრესტიჟულ და არაპერსპექტიულ საქმედ მიაჩნიათ და არჩევენს აკეთებენ ძლიერ, წამყვანსა და დომინანტურ ენაზე. [5]

ენათა გაქრობის ტენდენციის მხრივ ძალზე სამწუხარო და შემაშფოთებელია სტატისტიკური მონაცემები:

- ლინგვისტების შეფასებით, დღეს მსოფლიოში არსებობს 6809 „ცოცხალი“ ენა, მაგრამ ამ ენათა 90%-ზე საუბრობს 100 ათასზე ნაკლები ადამიანი.
- მსოფლიოში არის 46 ენობრივი ნაირსახეობა, რომლებსაც მხოლოდ თითო მატარებელი ჰყავთ.
- ბოლო 500 წლის მანძილზე აღწერილი ენების საერთო რაოდენობის 4,5% უკვალოდ გაქროა.
- მეცნიერთა აზრით, 100 წლის შემდეგ გაქრება 3000–დან 6000–მდე ამჟამად არსებული ენებისა (50%–დან 90%–მდე). დღეს უკვე ვკარგავთ დღე-ღამეში თითო ენას. იმისათვის, რომ ენა შევინარჩუნოთ, საჭიროა მისი დაახლოებით 100 000 მატარებელი (ან სპეციალისტების განსაკუთრებული ჯგუფი ენთუზიასტებთან ერთად). ამჟამად არსებობს 400 ენაზე მეტი, რომლებიც გაქრობის საფრთხეში მყოფ ენებად ითვლებიან. მაგ.:
 - რუსეთში: კერეკული (2 ადამიანი), უდეგეური (100 ადამიანი).
 - აფრიკაში: ბიკია (1 ადამიანი), ელმოლო (8 ადამიანი), გოუნდო (30 ადამიანი) კამბაპი (30 ადამიანი).
 - ავსტრალიაში: ალაუა (დაახლოებით 20 ადამიანი).
 - ჩრდილოეთ ამერიკაში: ჩინუკი (12 ადამიანი), კანსა (19 ადამიანი), კაგუილა (35 ადამიანი).
 - სამხრეთ ამერიკაში: ტეხულჩე (დაახლოებით 30 ადამიანი), იტონამა (დაახლოებით 100 ადამიანი). [9]

როგორც ვხედავთ, სტატისტიკური მონაცემები მართლაც არასახარბიელოა. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, როგორ უნდა შეუშალოს მსოფლიომ ხელი ამ პროცესს?

მეცნიერებმა და პოლიტიკოსებმა უკვე დიდი ხანია „ატეხეს განგაში“ ამ საკითხთან დაკავშირებით. გაერომ 1994-2004 წლები გამოაცხადა მსოფლიოს ძირძველი ხალხების ათწლეულად. იუნესკოსა და ევროპის საბჭოს ინიციატივით მეცნიერებმა შექმნეს „საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიოს ენების იუნესკოს ატლასი“. [5] ატლასის ბოლო გამოცემის მთავარი რედაქტორია ქრისტოფერ მოსლი, რომელმაც ასევე გამოსცა „საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიოს ენების ენციკლოპედია“ და „მსოფლიოს ენების ატლასი“.






რამდენიმე ათეული წლის წინაც ლინგვისტები, სოციოლოგები, ლინგვისტ-ანთროპოლოგები დიდი ინტერესით იკვლევდნენ ენის დაკარგვის ფენომენს. ამ მიმართულებით კვლევები განსაკუთრებით გაძლიერდა იუნესკოს ხელშეწყობით, რომელიც 1960–იანი წლებიდან ენის პროგრამას ახორციელებს. აღნიშნული ორგანიზაციის ინიციატივით, წარმატებით სრულდება სხვადასხვა მიმართულების პროექტები საფრთხეში მყოფი ენების გადარჩენისა და მათი მატარებელი ეთნიკური ჯგუფების კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის. ეს მიმართულებებია: განათლება, კულტურა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებები, მეცნიერება. [1]

2002-2003 წლებში იუნესკომ ლინგვისტთა საერთაშორისო ჯგუფს სთხოვა ენის სიცოცხლისუნარიანობის განსაზღვრის მაჩვენებლების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობდა პოლიტიკის შემუშავებას, მოთხოვნებიდან განსაზღვრას და უსაფრთხოების შესაბამისი ზომების მიღებას. საფრთხის ქვეშ მყოფი ენების ექსპერტთა ამ სპეციალურმა ჯგუფმა შეიმუშავა უმნიშვნელოვანესი კონცეპტუალური დოკუმენტი სახელწოდებით „ენის სიცოცხლისუნარიანობა და საფრთხე“, რომელიც ეფუძნება ცხრა კრიტერიუმს:

- ენაზე მოლაპარაკეთა სრული რიცხვი.
- მოლაპარაკეთა პროპორციულობა მოსახლეობის სრულ რაოდენობასთან.
- ენის შესწავლისა და წიგნიერებისათვის საჭირო მასალების ხელმისაწვდომობა.
- ახალ დარგებსა და მედიაზე რეაგირება.
- დოკუმენტირების ტიპი და ხარისხი.
- მთავრობისა და დაწესებულებათა ენობრივი დამოკიდებულება, მათ შორის ოფიციალური სტატუსი და გამოყენება.
- ენის გამოყენების რაიონების ცვლილება.
- საზოგადოების წევრთა დამოკიდებულება საკუთარი ენისადმი.
- თაობათა შორის ენის გადაცემა.

ამ კრიტერიუმებიდან ატლასის მიხედვით საფრთხის დონის განსაზღვრისათვის უმთავრეს ფაქტორს თობათა შორის ენის გადაცემის ხარისხი წარმოადგენს. [3] როგორც წესი, იმის განსაზღვრისათვის, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ენა და რამდენად შეიძლება იგი საფრთხეში მყოფად მივიჩნიოთ, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ რამდენი ადამიანი ლაპარაკობს მასზე, არამედ ის, თუ როგორ გადაეცემა იგი შემდეგ თაობებს, ასწავლიან თუ არა მას ბავშვებს. [8]

თაობათა შორის ენის გადაცემასთან დაკავშირებით საფრთხეთა შემდეგი დონეები გამოიყოფა:

საფრთხის დონე	თაობათა შორის ენის გადაცემა
უსაფრთხო	ენაზე ლაპარაკობს ყველა ასაკის ადამიანი ყველა სიტუაციაში და თაობათა შორის ენის გადაცემა უწყვეტია. >> ატლასში არ არის შეტანილი.
 საფრთხეში მყოფი	ბავშვების უმეტესობა ლაპარაკობს ამ ენაზე, მაგრამ შეიძლება ზოგან აკრძალული იყოს (სკოლაში, სახლში...).
 აშკარა საფრთხის ქვეშ მყოფი	ბავშვები სახლში აღარ სწავლობენ ამ ენას, როგორც დედაენას. ენაზე ლაპარაკობენ ბები-ბაბუები და წინა თაობები.
 ძლიერი საფრთხის ქვეშ მყოფი	მშობლების თაობას შეიძლება ესმოდეს ეს ენა, მაგრამ შეიძლება ან ერთმანეთს აღარ ესაუბრებიან ამ ენაზე. ამ ენაზე ყველაზე ახალგაზრდა მოლაპარაკეა
 კრიტიკული საფრთხის ქვეშ მყოფი	ბები-ბაბუა და წინა თაობა და ისინიც ამ ენაზე ნაწილობრივ და იშვიათად საუბრობენ.
 მკვდარი	აღარავინ ლაპარაკობს ამ ენაზე. [3]

იუნესკოს ატლასის მონაცემებთან დაკავშირებით საგანგებო წერილი დაიწერა არნ. ჩიქო-ბაგას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში სახელწოდებით – „იუნესკოს „მსოფლიოს საფრთხეში მყოფ ენათა ატლასი“ და საქართველო“, რომელშიც ხაზი გაესვა ატლასში

არსებულ ზოგიერთ უზოსტობას ქართულსა და კავკასიურ ენობრივ სინამდვილესთან დაკავშირებით და ასევე აღინიშნა, რომ თობათა შორის ენის გადაცემის ხარისხთან ერთად საფრთხეების განსაზღვრისას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დემოგრაფიულ რყევებსაც, რომელთა მიხედვითაც სრულიად მოსალოდნელია, რომ მხოლოდ ე. წ. უმწიგნობრო და მცირერიცხოვანმა ენებმა კი არ დაიკავეთ ადგილი საფრთხის ქვეშ მყოფ ენათა ნუსხაში, არამედ ძველი მწიგნობრული ტრადიციის მქონე იმ ეროვნულმა ენებმაც, რომლებიც უკანასკნელ ათწლეულებში ობიექტურად აღმოჩნდნენ გეოპოლიტიკური და დემოგრაფიული კატასტროფის მსხვერპლნი. ამდენად, ქართული ენა სამომავლოდ შეიძლება მოაზრებულ იქნეს იმ ენათა რიგში, რომელთა შესახებ იუნესკოს დოკუმენტში ნათქვამია: „21-ე საუკუნის ბოლოს უმეტეს რეგიონებში ენათა 90%-ს უფრო დომინანტური ენები ჩაენაცვლება“. [4] აღნიშნული საკითხი აწუხებთ დღეისათვის წამყვანი და დომინანტური ენების წარმომადგენლებსაც. მაგალითად, რუსი ლინგვისტი ე. ჩირკოვა წერს: „იყო 7000-მდე ენა, დარჩება 2000-მდე. ვის რა ესაქმება? იოლია ასე ფიქრი, სანამ ხიფათი არ დაემუქრება შენს საკუთარ მშობლიურ ენას... წარმოიდგინეთ ერთი წუთით, რა მოხდება, თუ ჩვენ ყველა გადავალთ ინგლისურზე? რუსული ენის დაკარგვასთან ერთად გარდაუვლად გაქრება ჩვენი „რუსობა“... რადგან ყოველი ენის დაკარგვა ყოველთვის ნიშნავს მისი მატარებელი ხალხის კულტურის დაკარგვას“. [5]

რა კეთდება მსოფლიოში იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ენობრივი საფრთხეები? ბოლო პერიოდში სწრაფად დაიწყო სხვადასხვა ფონდისა და საქველმოქმედო ორგანიზაციის დაარსება, რომლებიც მიზნად ისახავენ წინააღმდეგობის გაწევას საფრთხეში მყოფი ენების გაქრობისადმი და ხელშეწყობას მათი ადეკვატური დოკუმენტირება-აღწერისათვის.

ამ მიმართულებით მსოფლიოში შექმნილია მსხვილი ფონდები, მაგ.: ფოლკსვაგენის ფონდი (Volkswagen-stiftung), აღსანიშნავია ასევე ჰანს რაუსინგის საფთხეში მყოფი ენების პროექტი (The Hans Rausing Endangered Languages Project), ორგანიზაცია საზაფხულო ლინგვისტური ინსტიტუტი (Summer intitutie of Linguistics) და სხვ. ენობრივ საფრთხეთა თავიდან აცილების კუთხით რუსეთში აქტიურად მუშაობს იუნესკოს პროგრამის რუსეთის კომიტეტის „ინფორმაცია ყველასათვის“ ორგანიზაციაც, მისი თავმჯდომარის, ე. ი. კუზმინის, ხელმძღვანელობით. ორგანიზაცია მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: მრავალენოვნების მხარდაჭერა და განვითარება ინტერნეტში, მრავალენოვნება კიბერსივრცეში, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და სხვ. [6] რა ვითარებაა საქართველოში? საქართველოში კავკასიური და ქართველური ენების დოკუმენტირებაზე მუშაობა მიმდინარეობს სხვადასხვა სასწავლო-სამეცნიერო ორგანიზაციაში (არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვ...). მეცნიერთა ცალკეულ გამოკვლევებთან ერთად საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ფონდების დაფინანსებითა და მხარდაჭერით განხორციელდა და აუამადაც ხორციელდება ბევრი პროექტი: „გადაშენების საფრთხის წინაშე მდგარი ენების შესწავლა“, „ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“, „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი“ და სხვ. (პროექტთა ვრცელი ჩამონათვალი იხ. დოკუმენტში „იუნესკოს „მსოფლიოს საფრთხეში მყოფ ენათა ატლასი“ და საქართველო“: http://www.lingua.ge/pages/unesco/atlas_g.pdf).

განვიხილავთ რა ენის დოკუმენტირების საკითხსა და მსოფლიოში და ჩვენთან ამ მხრივ არსებულ ვითარებას, ჩნდება კითხვა, რა საშუალებებით უნდა მოხდეს კონკრეტულ ენათა დოკუმენტირებული ინფორმაციის შენახვა? საგულისხმოა, რომ ენათა გადასარჩენად მასალის დოკუმენტირებასთან ერთად ძალზე მნიშვნელოვანია მისი ყველასათვის ხელმისაწვდომობა, რაც მიიღწევა:

- მრავალენოვანი საძიებო და სათარგმნი სისტემების შექმნით;
- ელექტრონული ლექსიკონებისა და ელექტრონული სასწავლო კურსების შექმნით;

- ინტერნეტბიბლიოთეკებისა და ტექსტური კორპუსების შექმნით;
- ნაციონალური კორპუსის შექმნით.

რაც შეეხება ქართული ენის წინაშე სამომავლოდ არსებულ საფრთხეებს, ისინი უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ რამდენადაა მზად ქართული ენა დღეს, 21-ე საუკუნეში, კომპიუტერის ეპოქისათვის და რამდენად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. ამდენად, აუცილებელია დოკუმენტირებული მასალის კონსოლიდაცია, სტანდარტიზაცია და ყველა-სათვის ხელმისაწვდომობა, ამისათვის კი უმნიშვნელოვანესია ტექსტური კორპუსებისა და ნაციონალური კორპუსის შექმნა, რომელზე მუშაობაც საქართველოში უკვე დაწყებულია, რაც ძალზე მნიშვნელოვანი და სასიხარულო ფაქტია, რადგან ამ სახით არსებული დოკუმენტირებული და ანოტირებული ინფორმაციის გამოყენებას შემდგომში თანაბარი წარმატებით შეძლებენ როგორც მეცნიერ-მკვლევარები, ისე ქართული ენით დაინტერესებული სხვა პირები. რაც ყველაზე მთავარია, მოხდება კონკრეტულ ეპოქათა მასალის შენახვა და ამ სახით გადაცემა მომავალ თაობებს.

ცხადია, ყოველივე ამის ეფექტურად განსახორციელებლად და სასურველი შედეგის მისაღებად, სახელმწიფოს მხარდაჭერასა და მეცნიერთა კვალიფიციურ ჯგუფთან ერთად, ძალზე მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის ნება და სურვილი, დაიცვას და შეინარჩუნოს საკუთარი ენა და გაუწიოს პოპულარიზაცია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

ლიტერატურა:

1. გიგაშიძე ქ. (2010): თანამედროვე მსოფლიოს ლინგვისტური რუკა და საფრთხეში მყოფი ენების პრობლემები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
2. Gippert J., Himmelmann N., Mosel U. (2006): Essentials of Language Documentation, Mouton de Gruyter, Berlin/New York.
3. საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიოს ენების იუნესკოს ატლასი: <http://www.lingua.ge/pages/unesco/2g.pdf>
4. იუნესკოს „მსოფლიოს საფრთხეში მყოფ ენათა ატლასი“ და საქართველო: http://www.lingua.ge/pages/unesco/atlas_g.pdf
5. Чиркова Е. Ю., Исчезающие языки: когда россиянин станет американцем, а байма – китайцем: <http://prediger.ru/forum/index.php?showtopic=3053&st=0&p=34783&#entry34783>
6. Кузьмин Е. И., Плыс Е. В., Языковое разнообразие в интернете: http://www.ifapcom.ru/files/publications/kuzmin_plys.pdf
7. Архипов А. В., Документирование малых языков: научные и технические аспекты: <http://www.philology.ru/linguistics1/arkhipov-08.htm>
8. Исчезающие языки мира: http://www.openlanguage.ru/inform/ischezajushhie_jazyki
9. Реликтолингвистика и "Красная книга" языков: <http://www.garshin.ru/linguistics/system/relic-languages.html>
10. The Hans Rausing Endangered Languages Project: What is Language documentation: <http://www.hrhelp.org/documentation/whatisit/>

Maia Madaashvili

Документирование языка и языки находящиеся в опасности

Резюме

Документирование языка – новая дисциплина лингвистики, целью которой является исчерпывающая запись речи, собирание и хранение языковых данных, что в будущем позволит изучить язык по многим аспектам. Эта задача особенно актуальна для малых языков, которые находятся перед угрозой исчезновения.

Основным видом документирования языка являются тексты различных жанров – рассказы, сказки, легенды, случаи из жизни, диалоги, песни... – записанные на аудио и видеоаппаратуру, переведённые в текстовый формат и снабжённые многоуровневым лингвистическим и метатекстовым аннотированием. Документирование языка мультицелевой процесс, так как документированный материал для исследователей интересен не только с лингвистической стороны, но и с междисциплинарной точки зрения. Он отражает связанную с конкретной эпохой культурно-историческую и политическую обстановку.

Сегодня многие языки стоят перед угрозой исчезновения. Причин, ведущих к их смерти много, но основными, играющими в XXI веке определяющую роль, можно назвать экономические и политические причины: глобализация, модернизация, индустриализация и урбанизация, влекущие за собой превращение мира, некогда состоящего из пёстрого сборища отдельных народов, в одну «глобальную деревню».

Установлено, что за последние 500 лет человечество потеряло приблизительно половину из ранее имеющихся языков. Из существующих же на сегодня языков, половина исчезнет к концу этого столетия. Эта опасность в особенности стоит перед малочисленными, малоизученными языками неимущими собственной письменности. Соответственно, в условиях процесса всемирной глобализации их документирование жизненно необходимо.

В отношении наблюдаемой тенденции исчезновения языков в статье предлагаются весьма печальные и удручающие статистические данные. Внимание уделяется путям устранения языковых опасностей, проектам осуществляемым в этом направлении и к будущим перспективам во всём мире, в том числе и в Грузии.

Maia Maduashvili

Language Documentation and Endangered Languages

Abstract

Language documentation is a new discipline of linguistics that aims to record speech comprehensively, to collect and maintain linguistic data that shall enable us to study the language in many aspects. This problem is particularly topical for the languages of smaller peoples, which are in danger of disappearing.

The texts of different genres – stories, fairytales, legends, live events, conversations, songs ... – recorded on audio and video equipments, converted into text format and equipped with multi-level linguistic and metatextual annotation are the ground of language documentation. Language documenting is the multi-targeted process, as the documented material is interesting for researchers not only in linguistic field but also in interdisciplinary viewpoint. It describes cultural-historical and political situation related to particular era.

Nowadays, lots of languages are in the danger of disappearing all over the world. There are many reasons causing the disappearing of languages, but the major factors are economic and political reasons in the 21st century: globalization, modernization, industrialization and urbanization, which are accompanied by conversion of the world, consisting of colorful set of different people, to a ‘global village’.

It is ascertained that within the last 500 years the mankind has lost about half of the languages that he had. But the half of languages to the present day shall disappear by the end of this millennium. The languages of smaller peoples, having no written and less studied languages are especially endangered. Accordingly, documenting of the above languages is of vital importance in the conditions of current globalization over the world.

In regard with languages disappearing trends, statistical data is very deplorable and disturbing that is discussed in the article. There are underlined the ways of avoiding the language dangers, projects implemented in this field, situation in the modern world and Georgia and the future perspectives as well.

რეცენზენტები: პ. ლომიძე, მ. მიქაძე

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

მანანა მიქაძე

ქუთაისი, საქართველო

ქართულ-აღმოსავლური ენობრივი ურთიერთობებიდან (3)

ქართულ ენაში სხვა ენებიდან შემოსული ლექსიკური ერთეულების კვლევას ჩვენ არაერთი ნაშრომი მივუძღვენით. აქ კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ ენის განვითარებისა და გამდიდრების საშუალებათაგან (სიტყვაწარმოება, კომპოზიცია, სესხება) სესხებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

სიტყვების ერთი ენიდან მეორეში გადასვლა ადვილად ხერხდება. ენები მჭიდრო კონტაქტის პირობებში გრამატიკულად ღარიბდებიან. ლექსიკის თვალსაზრისით ენობრივი კონტაქტი უპირატესად პოზიტიურია, რამეთუ იგი ენის გამდიდრებას იწვევს. იშვიათად თუ გამოდევნის ხოლმე ნასესხები სიტყვა მკვიდრს.

ჩვეულებრივ, ახალშემოსული სიტყვა იკავებს ადგილს მკვიდრი სიტყვის გვერდით, ჯდება ენის ყალიბში, ივითარებს ყველა იმ გრამატიკულ ნიშანს, რაც მსესხებელი ენისთვისაა დამახასიათებელი. ქართული ენა თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე მსესხებელიც იყო და გამსესხებელიც. უშუალო სესხება ხშირად ქართულმა ენამ აწარმოა როგორც მეზობლებისაგან, ანუ ტერიტორიულად ახლო მყოფი ენებისაგან, ასევე დამპყრობელთაგან.

დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება ამ საკითხზე უხერხულიც იყოს საუბარი, მაგრამ ისტორიულ ფაქტებს ვერსად გავექცევით. ქართულ ენაში აღმოსავლური ენებიდან შემოსული და დამკვიდრებული ლექსიკური ერთეულების უმრავლესობა, სწორედ ჩვენი ქვეყნის ბედუკუდმართობასთან არის დაკავშირებული.

ამ ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებთ არაბულიდან, სპარსულიდან და თურქულიდან შემოსულ რამდენიმე სიტყვაზე (ჯალათი, სუფრა, აბჯარი).

არაბობის დროს ქართველებს უშუალო კონტაქტი ჰქონდათ მათთან. ამ დროიდან მოკიდებული არაბული სიტყვების შემოსვლა-დამკვიდრება თვით ჩვენს დრომდე გრძელდება. თუ არაბობის დროს სიტყვების სესხება უშუალოდ არაბულიდან ხდებოდა, მომდევნო საუკუნეებში, როდესაც ხალიფატი დაეცა, არაბული სიტყვები შემოდის სპარსული და თურქული ენების მეშვეობით. არაბთა პოლიტიკური ძლიერების გაქრობის შემდეგაც არაბული ენა დიდხანს დარჩა ახლო აღმოსავლეთის რელიგიისა და მეცნიერების ენად. არაბული სამეცნიერო ტერმინოლოგიიდან ბევრი რამ შევიდა შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის დასავლეთის სამწიგნობრო ენაში - ლათინურში, იქიდან კი ახალ ევროპულ ენებში და - ინტერნაციონალიზმების სახით ქართულში (ბ. ფონსეა, 1974, გვ. 358). დღეს ჩვენ ინტერნაციონალიზმებს არ შევეხებით.

ჯალათი [არაბ. ჯალად] - პირი, რომელიც განაჩენის თანახმად კლაუდა, ან აწამებდა მისჯილს // გადატან. მტარვალი, სისხლის მსმელი (ქეგლ, VIII, გვ. 1552). იგი მომდინარეობს (gallād)-იდან: ჯალათი, ტყავის გამყიდველი (ხ. ბარანოვი, 1994, გვ. 134). სულხან-საბა ორბელიანი ამ სიტყვას ასე განმარტავს: ქონდაქარი, მკვლევლობის მოხელე (ს.ს.ორბელიანი, 1993, გვ. 451). დ. ჩუბინაშვილს ჯალათი// ჯალადი არაბულიდან შემოსულ ლექსიკურ ერთეულად

მიანია (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1764). იუსტინე აბულაძე კი სიტყვას "ჯალად" სპარსული წარმომავლობისად მიიჩნევს (ი. აბულაძე, 1916, გვ. 847).

ნიკო მარს სიტყვა "ჯელეთი" ჩაწერილი აქვს იმერხეულში (ჯელეთ-ოღლი შენ მაქანაი რას ექცევი; ჯელეთ-ოღლი ბაღანამან გამოგხედვენ (ნ. მარი, 1911, გვ. 48). შ. ნიჟარაძეს ჯელეთი//ჯელეთი ჩაწერილი აქვს აჭარულშიც: "ბიჭმა ჯელეთებს ანიშნა" (შ. ნიჟარაძე, 1971, გვ. 418).

სიტყვა "ჯალათის" ქართული შესატყვისი "ქონდაქარი" იხმარება, ქართლის ცხოვრების I-II ტომებში:

"და ესრე სრულ ჰყვეს ბრძანებულ იგი ღანგ-თემურისა სპათა მისთა, ვითარცა პირველ ნაბუზარდან მთავარ ქონდაქარმან მეფისა ნაბუქოდონორისგან ჰყო იერუსალიმს შინა იუდიანთა ზედა" (ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 453 25);

"ჯალათი" არ დასტურდება არც თეიმურაზ I-ის, არც დავით გურამიშვილის შემოქმედებაში, გვხვდება "შაჰ-ნამესა" და თეიმურაზ II-ის ნაწერებში, ქართლის ცხოვრების IV ტომში, ბაქარიანში და სხვ.

"მაშინ ჯალადმან მარჯვნივ მდგომთა მიხედოს ეშმაკის წილადა" (თეიმურაზ II, სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება, ჩვენი საუნჯე, V, თბ., 1960, გვ. 339).

გვიქრობთ, "ჯალად" სიტყვის სპარსული ენის გზით ქართულში შემოსვლა უფრო მისაღები უნდა იყოს, რამეთუ იგი არაბობის ხანის ქართულ ტექსტებში ვერ დავადასტურეთ. ამავედროულად ა. ნაფისისა და მ. მოინის სპარსული ენის განმარტებით ლექსიკონში "ჯალათი" არაბულ ნასესხობადაა ჩათვლილი. ხოლო ჯელეთი//ჯელეთი//ჯელეთ ფორმები თურქულიდან შემოსული ჩანს, როგორც ნ. გურგენიძეს მიანია არა სალიტერატურო თურქულიდან, არამედ აჭარის ტერიტორიის მომიჯნავე თურქული დიალექტებიდან (ნ. გურგენიძე, 1973, გვ. 105).

"სუფრა" არაბულ ნასესხობად მიანია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს და ნიშნავს: 1. მაგიდაზე გადასაფარებელ ქსოვილს, 2. ტაბლას; 3. პურობას, ნადიმს, ქეიფს (ქეგლ, VI, გვ. 1201), ხოლო დ. ჩუბინაშვილი მას სპარსული წარმომავლობისად მიიჩნევს (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1202).

იუსტ. აბულაძის "შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების ლექსიკონში" ვკითხულობთ "სუფრა" (არაბ. თურქ.) - საიჯარო სტოლი, სტოლის საფარი (იუსტ. აბულაძე, 1916, გვ. 831).

სუფრას ვხვდებით: ჯავახურში, გურულში, აჭარულში, იმერულში; სურფა - (ჭანური, ს. უდენტი, 1938, გვ. 207), სოფრა - ჩვენებურების მეტყველებაში (შ. ფუტყარაძე, 1993, გვ. 569). ფორმა სუფრაჯი დადასტურებულია თუმურში რაც ნიშნავს ხატის მიერ დაჭერილი, ხატში სუფრის გამწვანად დაყენებულ გვარს.

სიტყვა "სუფრაჯი" ხშირ გამოყენებაშია ძველ ქართულ ძეგლებშიც:

"უმეტესად სუფრაჯმან შადიმან ბარათაშვილმა დაუცადებლად დაუწყო ბეხლობა მოურავსა" (ქართლის ცხოვრება II, 1959, გვ. 389).

მოიხმო შადიმან სუფრაჯი (იქვე, გვ. 394).

და ურჩია ბიძინა სუფრაჯმან თეიმურაზს (იქვე, გვ. 426) აქ ეს სიტყვა ახსნილია, როგორც სუფრის ზედამხედველი.

ქართულ ენაში ამ მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულებია ნადიმი, პურობა, პურის ჭამა, ნადიმობა, რასაც ადასტურებს მდიდარი ქართული ლიტერატურა:

"ოდეს ყოფილ არს აქამოდღე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური" (იაკობ ცურტაველი, წამება წმიდისა შუშანიკისა დედოფლისა, ჩვენი საუნჯე, I, თბ., 1960).

შეიქმნა პურობა და ნადიმობა შესატყვისი ჟამთა და მის დღისა (ქართლის ცხოვრება II, 1957, გვ. 73).

დღე ერთ გარდახდა, პურობა, სმა-ჭამა იყო, ხილობა, ნადიმად მსხდომთა ღაშქართა მუნ დიდი შემოყრილობა (რუსთაველი, 57).

მაშინვე დაჯდა ნადიმად მორჭმული, დიდი, შვებული, ენა მის დღისა შვებასა ყოლა ვერ იტყვის კლებული (რუსთაველი, 681).

სმა, პურობა, გახარება, ქმნეს ჯალაბი გაადიდეს (რუსთაველი, 1643).

"აბჯარი" ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს ასე აქვს ახსნილი: ძველი სამხედრო საჭურველი, იარაღი (ქეგლ, I, გვ. 86). სულხან საბას: აბჯარი-ესე ზოგადი სახელი არს ყოველთა საჭურველთა და უფროსად საცვამთა ჯაჭვთა (ს. ს. ორბელიანი, გვ. 6). მზია ანდრონიკაშვილს მიიჩნია, რომ "აბჯარი" საშუალო ირანულიდან კერძოდ, პართიულიდან, არის ქართულში შემოსული, რასაც არ იზიარებს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. მართალია ძველი ქართველი ტომები სასპერები, მესხები, ტიბარენები, მოსინიკები სპარსელთა მოხარკეებიც იყვნენ და ლაშქრობებში მონაწილეობაც ევალებოდათ, მაგრამ ფიქრობთ გასაკვირი არ იქნება, სადავოდ გაეხადათ და უყოყმანოდ არ გავიზიაროთ ამ სიტყვის არაქართულობა:

"და უპამრავითა ლაშქრითა მოვიდა და მოადგა ანისსა, ყოველთა დღეთა კართა ზედა იბრძოდა მაშქერებელი და მაძგერებელი ცხენთა და აბჯართა" (ისტორიანი და აზმანი შარავანდედიანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 7).

"ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა" (რუსთაველი)

"... გამიკვირდა აბჯარისა ტანსა უცმელობა" (მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი).

ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდა ხისაო (ხალხური).

ამდენად, ენათა შორის ურთიერთობა და სესხება ამოუწურავი, კვლავ საკვლევი და ბევრი საინტერესო საკითხის გამომვლენია, რასაც მომავალშიც გავაგრძელებთ.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა:

- ი. აბულაძე, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, ლექსიკონი, თბ., 1916.
 მზ. ანდრონიკაშვილი, სპარსულიდან შემოსული ლექსიკა ქართულში, თბ., 1971.
 ხ. ბარანოვი, *Арабско-русский словарь*, Ташкент, Камалак, 1994.
 ნ. მარი, ჭანური ენის გრამატიკა ქრესტომატიითა და ლექსიკონითურთ, თბ., 1910.
 შ. ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975.
 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949.
 ს. ჟღენტი, გურული კილო (ლექსიკონი), თბ., 1936.
 ბ. ფონსუა, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1974.
 შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, I, ბათუმი, 1993.
 ქეგლ, VI, თბ., 1960.
 ქეგლ, VIII, თბ., 1962.
 ნ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, II გამოცემა აკ. შანიძის წინასიტყვაობით, თბ., 1984.

დამოწმებული ლიტერატურული წყაროები:

- შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ნ. ნათაძემ, თბ., 1972.
 თეიმურაზ II (ბაგრატიონი), ჩვენი საუნჯე, V, თბ., 1960.
 იაკობ ცურტაველი, შუშანიკის წამება, ჩვენი საუნჯე, I, თბ., 1960.
 მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, ჩვენი საუნჯე, III, თბ., 1960.
 ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.

Manana Mikadze

**From Georgian-Orientalistic Language Relations
Abstract**

Georgian language as an old language of the world has its reach own lexical fond and grammatical structure. Languages has influence to each other.

Socio-cultural relations between Georgia, Arabian and Iran with its ups and downs, began before Christian era, and continued over centuries.

Sometimes these problems show off in the origin of the language, e.g. on the level of words, on the morphology of the language, on its syntax and logic. But the Orientalistic and Georgian languages have many different familiarities in their cultures which makes these languages much easier and possible. These languages due to traditional interests of their native speakers have similiarities with each other, especially these native speakers who from older times had cultural and neighbourhood relations with each other.

Georgian and Orientalistic languages have many interfering works, but, what approaches Orientalistic languages to Georgian language is cultural and social connections. These connections have appeared after lifetime relationships between the countries, these connections can be felt in language influences too.

In the article are analyzes words "sufra" (sufra), "jalati" (jalaTi), "abjari" (abjari).

These words found in ancient copies of the Georgian literature, dating back to the tenth century or earlier.

რეცენზენტი: პროფ. ც. აბულაძე

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

მანანა ნაპირელი

თელავი, საქართველო

გერმანულიდან ქართულ ენაზე რთული წინადადების
თარგმნის ზოგიერთი საკითხისთვის
(იოჰანა შოკ მაიერის დედის შეგონებანი ქალიშვილს-
ჩვენეული ქართული თარგმანის მიხედვით)

მოცემულ სტატიაში ჩვენი კვლევის მიზანია, გავარკვიოთ, როგორ ხდება გერმანული ენიდან ქართულ ენაზე წინადადებათა ტიპების გადმოცემა იოჰანა შოკ მაიერის „დედის შეგონებანი ქალიშვილს“ ჩვენეული ქართული თარგმანის მიხედვით. საინტერესოა როგორც გერმანული, ასევე ქართული რთული წინადადებების სინტაქსური მოდელები. კერძოდ, რა აქვთ მათ საერთო და რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. თარგმნისას ჩვენ საქმე გვქონდა რთული წინადადებების მრავალფეროვნებასთან. განვიხილეთ როგორც რთული თანწყობილი, ასევე რთული ქვეწყობილი წინადადებების თარგმნის სხვადასხვა შემთხვევები. გამოვყავით რთული წინადადების სახეები, რომლებიც შემდეგნაირადაა ნათარგმნი: კავშირიანი-კავშირიანად, უკავშირო-უკავშიროდ, კავშირიანი-უკავშიროდ, უკავშირო-კავშირიანად. ასევე შევეხეთ გამონაკლისის სახით არსებულ სხვადასხვა ნიუანსებს. მხატვრული თარგმანი მხატვრული შემოქმედების ფორმაა, რომელშიც გრამატიკული მომენტი ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნა საინტერესო და რთული პროცესია. თარგმანი დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკა ძალიან მდიდარია, მაგრამ ამავე დროს ძალიან მნიშვნელოვანია სალიტერატურო ენის ნორმების დაუფლება.

„თარგმანის პროცესი განიხილება, როგორც განსაკუთრებული (დინამიკური) სახეობა ორი ენის სამეცნიერო და ენობრივი ერთეულების შეპირისპირებისა. თარგმნის პროცესში ეკვივალენტურობა დგინდება არამარტო ორ სხვადასხვაენოვან ტექსტს შორის, არამედ ამ ტექსტების ელემენტებს შორისაც, თვით ცალკეულ ენობრივ ერთეულებამდეც კი“ [ფანჯიკიძე, 1995 : 7].

„მხატვრული თარგმანი რთული ესთეტიკური ფენომენია და თარგმნის პროცესიც ორიგინალის ასლის გადმოღებას არ ნიშნავს. თარგმნისას ერთმანეთს ხვდება არამარტო ორი სხვადასხვა ენა, არამედ ორი სხვადასხვა კულტურა, სხვადასხვა ლიტერატურული ტრადიციები, ცნებების აღქმისა და მოვლენების შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები“ [ფანჯიკიძე, 1995 : 60].

თარგმანზე მუშაობა ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა როგორც ლექსიკური, ასევე გრამატიკული თვალსაზრისით.

მოცემულ შემთხვევაში ჩვენი კვლევის მიზანია, გავარკვიოთ, როგორ ხდება გერმანული ენიდან წინადადებათა ტიპების გადმოცემა. ჩვენთვის საინტერესოა როგორც გერმანული,

ასევე ქართული რთული წინადადებების სინტაქსური მოდელები. კერძოდ, რა აქვთ მათ საერთო და რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ენათმეცნიერებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ რთული წინადადება ისტორიულად გაცილებით გვიან შემუშავდა, ვიდრე მარტივი. რთული წინადადების წარმოქმნა ადამიანის აზროვნებისა და მეტყველების განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია. იგი ენის სინტაქსური წყობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის მაუწყებელია. როგორც ქართულში, ასევე გერმანულშიც რთულ წინადადებებს ორ ჯგუფად ყოფენ: რთულ თანწყობილად და რთულ ქვეწყობილად.

„თანწყობა და ქვეწყობა რთულ წინადადებათა შედგენის ძირითადი საშუალებებია. რთული წინადადების აგებულებისას მისი კონსტრუქციული ელემენტების შესწავლის საჭიროებაში შინაგანი აუცილებლობით მოითხოვა, უწინარეს ყოვლისა, კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების ბუნების გარკვევა, რადგან კავშირები რთული წინადადების გრამატიკული დახასიათებისთვის უმთავრეს საყრდენს წარმოადგენს“ [კვაჭაძე, 1988 : 314].

ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ როგორც თანწყობილი, ასევე ქვეწყობილი წინადადების გადმოცემის სხვადასხვა საშუალებები ზემოთხსენებული მხატვრული თარგმანის მიხედვით. რთული თანწყობილი წინადადება შეიძლება იყოს როგორც კავშირიანი, ასევე უკავშირო.

„ენის ზოგადი სტრუქტურა მოიცავს სხვადასხვა სტილს, მათ ნიშანდობლივ თავისებურებებს. კავშირთა ფუნქციური ანალიზის დროს ნათელი გახდა, რომ ერთსა და იმავე კავშირს სხვადასხვა სემანტიკა აქვს, სხვადასხვა ტიპოლოგიის კავშირია, წინადადების სხვადასხვა კონსტრუქციაში მონაწილეობს“ [ძიძიგური, 1973 : 5].

რთული წინადადების ნაწილების აზრობრივი და გრამატიკული მიმართება მრავალფეროვანია. ამიტომ ისმის კითხვა: როგორ ხდება გერმანული ენიდან რთული წინადადებების ტიპების გადმოცემა ქართულ ენაზე?

ჩვენ შევეცდებით, წარმოვადგინოთ როგორც რთული თანწყობილი, ასევე რთული ქვეწყობილი წინადადებების გერმანულიდან ქართულად თარგმნის ის სხვადასხვა შემთხვევები, რომლებმაც განსაკუთრებით მიიქცია ჩვენი ყურადღება.

განვიხილოთ რთული თანწყობილი წინადადების გადმოცემის სხვადასხვა საშუალებებს მოცემული თარგმანის მიხედვით.

გვაქვს შემთხვევები, როდესაც გერმანული კავშირიანი თანწყობილი წინადადება ქართულადაც კავშირით არის ნათარგმნი”.

„Gehe immer Deinen geraden Weg und höre auf die Stimme deines Herzens“.

„ყოველთვის იარე შენი სწორი გზით და უსმინე შენს გულისთქმას“.

„Übe Dich in guten Taten, aber tue niemals Gutes, nur, um Lohn zu ernten“.

„ავარჯიშე საკუთარი თავი კარგი საქმეებისთვის, მაგრამ არასოდეს გააკეთო კარგი მხოლოდ იმისთვის, რომ გასამრჯელო მიიღო“.

ნაწარმოებში ვხვდებით უკავშირო თანწყობილ წინადადებებს, სადაც შემავალი წინადადებები ერთმანეთთან შეერთებულია მხოლოდ შინაარსობრივი კავშირით. ასეთ წინადადებათა შეერთებისას ერთ-ერთ ძირითად საშუალებას ინტონაცია წარმოადგენს. ხშირ შემთხვევაში ისინი თარგმანშიც უკავშიროდ გადმოიღის.

„უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებაში შემავალი მარტივი ან შერწყმული წინადადებების შეერთება ხდება ინტონაციით, ამიტომ წერის დროს ეს კავშირი აღინიშნება მხოლოდ სასვენი ნიშნით, მძიმით, ტირეთი და წერტილ-მძიმით“ [ბასილაია, ნ. 1974:23].

ზოგიერთი უკავშირო წინადადება ჩვენს მიერ ქართულადაც უკავშიროდაა ნათარგმნი. მაგ: „Habe Geduld, das Leben gleicht alles aus“.

„იქონიე მოთმინება, ცხოვრება ყველაფერს გაასწორებს“.

თანწყობილ წინადადებაში უკავშირო გადაბმა ჩვეულებრივი მოვლენაა, ის განსაკუთრებით ფართოდ არის გამოყენებული მხატვრულ ლიტერატურაში. უკავშირო რთული წინადადების ნაწილები ერთმანეთისგან მძიმით გამოიყოფა. ჩვენს მიერ შესრულებულ თარგმანში გვხვდეთ

ბა ისეთი შემთხვევები, როცა კავშირიანი რთული თანწყობილი წინადადება ნათარგმნია როგორც უკავშირო.

მაგ: „Erziehe alle Kinder gleich **und** habe alle gleich gern“.

“ყველა შვილი ერთნაირად აღზარდე, ყველა ერთნაირად გიყვარდეს”.

ასევე შევხებით რთული ქვეწყობილი წინადადების გადმოცემის სხვადასხვა საშუალებებს ქართული თარგმანის მიხედვით:

„ქვეწყობა ჰქვია ისეთ წინადადებათა დაკავშირებას, რომლებიც გრამატიკულად ერთიმეორის მიმართ არ არიან თანასწორი: ერთი გაბატონებულია, მეორე კი მასზეა დაქვემდებარებული [კვაჭაძე, 1988 : 338].

დამოკიდებული წინადადების მთავრისადმი დაქვემდებარების ძირითადი საშუალება საგანგებო სიტყვებია: მაქვემდებარებელი კავშირები, მიმართებითი სიტყვები, მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიხედები. დამოკიდებული წინადადების პოზიცია მთავარი წინადადების მიმართ სამკვარია: დამოკიდებული წინადადება უსწრებს მთავარს, მოსდევს მას, ანდა მთავარ წინადადებაშია მოქცეული. მთავრისა და დამოკიდებული წინადადებისთვის ადილების შეცვლა ხშირად არ იწვევს მათ შორის დამყარებული მიმართების შეცვლასა და დარღვევას.

თარგმანში ხშირად გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც გერმანული კავშირიანი რთული ქვეწყობილი წინადადებები ნათარგმნია კავშირიანად. ე. ი. არ არის შეცვლილი წინადადებათა ტიპები. მაგ:

“Sei zufrieden, **wenn** Dir deine Leistung soviel einbringt, **dass** du Steuern an Staat und Kirche zahlen kannst”.

„იყავი კმაყოფილი, თუ შენი შრომა იმდენს მოგიტანს, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას გადასახადი გადაუხადო”.

“Schenke und gib gern, **wenn** Du soviel hast, **dass** niemand deiner Umgebung zu kurz kommt”.

„გააჩუქე და სიამოვნებით გაეცი, თუ იმდენი გაქვს, რომ შენ გარშემო მყოფთაგან არავინ დაზარალდეს“.

“**Wenn** Du gesund bist, lebe der Arbeit”.

„თუ ჯანმრთელი ხარ, იცხოვრე შრომით“.

თარგმანში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც ადგილი აქვს კავშირის ცვალებადობას, მაგალითად უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადება ნათარგმნია კავშირიანად.

„Hast Du Kinder zu erziehen, so nimm die Erziehung selbst in die Hand“.

„თუ ბავშვები გყავს გასაზრდელი, თვითონ აიღე ხელში მათი აღზრდა”.

„Betrachte den Hausfrauenstand als Beruf“.

„ჩათვალე, რომ დიასახლისის წოდება პროფესიაა”.

“Bemühe Dich stets, vor Dir selbst vorbildlich zu leben.“.

“ყოველთვის ეცადე, ისე იცხოვრო, რომ სამაგალითო იყო საკუთარი თავის წინაშე”.

„Bist Du mit Kenntnissen und Kraft zur Arbeit gesegnet, so sei zufrieden“.

“თუ ცოდნა და შრომის უნარი შეგწევს, იყავი კმაყოფილი.

“Bringst Du es vorwärts im Leben –d.h. bringst Dir Deine Arbeit mehr ein, als die tägliche Bedürfnisse erfordern“.

“თუ შენ ამას ცხოვრებაში განახორციელებ, ეს ნიშნავს, რომ შენი შრომა იმაზე მეტს მოგიტანს, ვიდრე ყოველდღიური საჭიროებანი მოითხოვენ”.

რთული ქვეწყობილი წინადადების თარგმანში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც წინადადებათა თანმიმდევრობა გერმანულსა და ქართულში არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგ:

“Selbstgeschaffene Geschenke sind besser als gekaufte, wie Blumen, die Du selbst pflückst und zum Strausse bindest, schöner sind als die, die Du mit Geld bezahlst“.

“საკუთარი ხელით დამზადებული საჩუქრები უკეთესია, ვიდრე –ნაყიდი ისევე, როგორც ის ყვავილებია უფრო ლამაზი, თვითონ რომ დაკრეფ და თაიგულად შეკრავ, ვიდრე – ისინი, ფულით რომ შეიძენ”.

“Vor allem teile, **was Dir zufällt**, mit denen, die am Erfolg Deiner Arbeit beteiligt sind“.

“რაც წილად გერგება, უპირველეს ყოვლისა, იმათ გაუნაწილე, ვინც შენი შრომით მოპოვებულ წარმატებაში მიიღეს მონაწილეობა”.

დავასკვნით, მხატვრულ თარგმანზე მუშაობისას საინტერესო იყო როგორც გერმანული, ასევე ქართული რთული წინადადებების გაცნობა. განვიხილეთ როგორც რთული თანწყობილი, ასევე რთული ქვეწყობილი წინადადებების თარგმნის სხვადასხვა შემთხვევები. გამოვყავით რთული წინადადების სახეები, რომლებიც შემდეგნაირადაა ნათარგმნი: კავშირიანი-კავშირიანად, კავშირიანი-უკავშიროდ, უკავშიროდ –უკავშიროდ. უკავშიროდ-კავშირიანად. ასევე შევეხეთ გამონაკლისის სახით არსებულ სხვადასხვა ნიუანსებს. აღმოჩნდა, რომ უკავშიროდ წინადადება უფრო ექსპრესიულად გამოხატავს შინაარსს, ვიდრე კავშირიანი. მხატვრული თარგმანი მხატვრული შემოქმედების ფორმაა, რომელშიც გრამატიკული მომენტები ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ლიტერატურა:

1. ანდრაზაშვილი, მ. (2009) გერმანული ენის გრამატიკა წიგნი II, III, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა (884–908)
2. ბასილაია, ნ. (1974) უკავშიროდ რთული წინადადება, თბილისი
3. კვაჭაძე, ლ. (1988) თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი
4. ფანჯიკიძე, დ. (1995) თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა გამომცემლობა „განათლება“, თბილისი
5. ძიბიგური, შ. (1973) კავშირები ქართულ ენაში, თბილისი
6. Schoeck-Mayer, J. (1967) *Worte einer Mutter an ihre Tochter* Biberach an der Riss

Манана Напирели

Некоторые вопросы перевода сложно-сочиненного предложения

Резюме

В данной статье целью нашего исследования является на основании сделанного нами перевода «Наставления матери своей дочери» Иоганны Шок Маиерс выснить, как передаём типы предложений с немецкого языка на грузинский. Весьма интересными являются синтаксические модели как немецких, так и грузинских сложных предложений, а именно показать - что у них общего и в чём различие между ними. При переводе мы имели дело с многообразием сложных предложений. Нами были рассмотрены разные случаи перевода как сложносочинённых, так и сложноподчинённых предложений. Мы выделили виды сложных предложений, которые переведены следующим образом: союзные-союзными, бессоюзные-бессоюзными; бессоюзные-союзными; кроме того, в виде исключения мы коснулись и, существующих разных нюансов. Художественный перевод – форма художественного творчества, в котором грамматические моменты играют важнейшую роль.

Manana Napireli

About Translation German Compound Sentences at Georgian Language
Abstract

The following work aims, to realize how to transfer sentence' types from German language, according to our Georgian translation of Johana Shok Maier's "Mother's Exhortations to Daughter". It is interesting, as German complex sentences' syntactical models as Georgian, especially, their similarities and differences. There were complex sentences' diversity while translation. We examined different matters of translation of compound and complex sentences. We sorted out complex sentences' types, which are translated in the following way: conjunctive-with conjunction, conjunctive – parataxis, parataxis- with conjunction. We found out that parataxis sentence express content more expressively, than conjunctive one. Artistic translation is the form of art work, in which grammar plays one of the most important role.

რეცენზენტი: პროფ. დ. ბახტაძე

ტოქშოუს სათაურების სტილისტური თავისებურებანი

ტოქშოუს სათაურების კონტრასტული ანალიზის შედეგად გამოვლინდა გერმანული და ქართული ენის თავისებურებები. ტოქშოუს სათაურს გერმანულში ქართულისაგან განსხვავებით გააჩნია ძლიერ აქცენტუირებული სტილისტური გაფორმება, რომელიც როგორც ინფორმაციულ, ასევე პრაგმატიკულ ფუნქციას ასრულებს. გერმანული ტოქშოუს სათაურები გამოირჩევა ღიაობით, ემოციურობით, დამაინტრიგებელი მუხტით, მრავალფეროვანი სტილისტური ფიგურებით (მინიმუმ 5-6 ლექსიკური ერთეული) მაშინ, როცა ქართულ სათაურებში ეფექტის მიღწევის ეს საშუალებები ხელიდანაა გაშვებული (მაქსიმუმ 5 ლექსიკური ერთეული).

ტოქშოუს სათაურების კონტრასტული ანალიზის მიზანია გერმანული და ქართული ენის თავისებურებების გამოვლენა. სათაურის სიცხადე, სიზუსტე და ექსპრესიულობა წარმოადგენს ძირითად ფაქტორებს, უყურებს თუ არა რეციპიენტი ამა თუ იმ გადაცემას. მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად სხვადასხვა ლექსიკურ თუ სტილისტურ გამომხატველობით საშუალებებს მიმართავენ. ტოქშოუს სათაურები საერთოდ შეუსწავლელია, ხოლო საგაზეთო სათაურები კარგა ხანია როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მკვლევრების ინტერესს იზიდავს [დოლიძე, 2009: 71, გოგოლაშვილი 2006, კნიფკა 1980, კუბანოვა 2004, ჩოკოიუ 2007 და სხვ.]

“ანე ვილის” ყველა სათაური ნათლად და ემოციურადაა ფორმულირებული. უმეტესობა კითხვითი წინადადებაა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს ღიაობა უნდა შეივსოს ტოქშოუს მონაწილეთა და ტელემყურებელთა ინტერაქციით. მხოლოდ რამდენიმე ძახილისა და თხრობითი წინადადება გვხვდება. თუმცა თხრობით წინადადებაში იმდენად ემოციური ლექსიკა გამოიყენება, რომ სათაურის ექსპრესიულობისათვის ესეც საკმარისია: schuften/ kassieren / verschaukeln/ "Wir machen Dich fertig"/ nix/; malochen; Comeback; Mobbing/Milliardengrab.

ლექსემების რაოდენობა გერმანულ სათაურებში საკმაოდ დიდია (მინიმუმ 5-6), მაგალითად: „Mindestlohn statt Hungerlohn – Sorgt die Große Koalition für bessere Jobs?“ – „Das Große-Koalitions-Pokerkern – Wer blufft und wer hat wirklich gute Karten?“ – „Euro-Kritiker auf dem Vormarsch – kann Merkel sie kleinhalten?“

გერმანული ტოქშოუს სათაურები მრავალფეროვანი სტილისტური საშუალებებითაა გაფორმებული. აღუზიის მაგალითია შემდეგი სათაური: „Der erste Diener des Staates - fehlen uns heute die preußischen Tugenden des Alten Fritz?“ აქ რეფერენცია ისტორიულ პიროვნებაზე პრუსიის მეფე ფრიდრიხ II-ზეა, რომელსაც ქვეყანაში გატარებული რეფორმების ტალღა უკავშირდება. ასევე გამოყენებულია ციტატის ნაწილი: „Der erste Diener des Staates bin ich“. როგორც ცნობილია, ფრიდრიხ II საკუთარ თავს სახელმწიფოს პირველ მოსამსახურეს უწოდებდა. გადაცემის ავტორები სვამენ კითხვას: თანამედროვე გერმანიას მის მიერ შემოღებული ღირებულებები ხომ არ აკლია? რა იგულისხმება ამ სიკეთეებში? სიბეჯითე, დისციპლინა, წესრიგი, ტოლე-

რანტობა, ვალდებულებების გაცნობიერება და სხვა. ეს ალუზიის ინტერტექსტუალური ტიპია, რადგან აქ მიმდინარე ტექსტი და მასში რეფერირებული წყარო ტექსტი უშუალოდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რაც ფონური სახითაა დაფიქსირებული გადაცემის შემქმნელების ცნობიერებაში, რის გამოც ალუზიის შედეგად წარმოქმნილი ესთეტიკურ-კონცეპტური ქვეტექსტის ადეკვატური ინფერენცია აუცილებლად მოითხოვს წყარო ტექსტის ცოდნას რეციპიენტის მხრიდან. სათაური: „50 Jahre Ali in Almanya - immer noch nix deutsch?“ წარმოადგენს პრაგმატიკული ალუზიის მაგალითს, რადგანაც ეს სათაური სოციო-კულტურასთან კავშირში განიხილება და რეციპიენტი მის აღქმა-დეკოდირებას პრაგმატიკული ფონური ცოდნის მეშვეობით ახდენს. აქ მინიშნებაა იმ უცხოელების წარუმატებელ ინტეგრაციაზე, რომლებიც გერმანულ ენას კარგად ვერ ფლობენ. ალი ყველა იმ მოქალაქის აღმნიშვნელია, რომლებმაც 50-წლიანი მიგრაციის მიუხედავად ვერ მოახდინეს ინტეგრაცია გერმანიაში. აქ გამოყენებულია გერმანიის თურქული აღნიშვნა - აღმანია, რომელიც აღქმანებიდანაა ნაწარმოები. პრაგმატიკული ალუზიის საილუსტრაციოდ შემდგომი მაგალითიც გამოდგება: „Piraten entern Berlin - Meuterei auf der 'Deutschland'“. პირატების პარტიის გამარჯვება, რომლებმაც ბერლინის სენატში 15 ადგილი მოიპოვეს და ლიბერალები უკან ჩამოიტოვეს, მეტაფორულად მეკობრეების მიერ ხომალდის ხელში ჩაგდებასა და ბუნტთანაა შედარებული.

ხშირია სხვადასხვა სტილისტური ფიგურების (ალიტერაცია, ანტიოქსა, მეტონიმია, გამეორება, ელიფსები, სახელადი ჯაჭვები) გამოყენება. ქვემოთ მომყავს ტიპური მაგალითები: „Versichern, verkaufen, verschaukeln - wer traut noch seinem Berater?“; „Unten schufteten, oben kassieren - sieht so unser Jobwunder aus?“; „50 Jahre Ali in Almanya - immer noch nix deutsch?“ „Deutschland, deine Beamten - überversorgt und überflüssig?“ – „Guttenbergs Comeback - vorerst gescheitert?“ – „Einmal unten, immer unten - Aufstieg nur für Reiche?“

პირველ ნაწილში გვაქვს ელიფსური კონსტრუქციები, რასაც კითხვითი წინადადებები მოსდევს: „Syrien vor dem Angriff – bringen diese Bomben den Frieden?“ – „Lindners Rücktritt, Wulffs Kredit - was ist los mit unseren Politikern?“ – „Malochen bis 67 und dann arm - ist das sozial?“ – „Merkel auf Linkskurs - Kommt jetzt auch noch der Mindestlohn?“

ტექსტოში “ოლივერ გაისენის შოუ” ყველა სათაური ახალგაზრდებისათვის აქტუალურ თემატიკასა და პრობლემებს ეხება. სათაურის წაკითხვა ან მოსმენა მაყურებელს ცნობის-მოყვარეობას უღვიძებს. სათაურები უმეტესად პირველსა და მეორე პირშია ფორმულირებული და სასაუბრო სიტუაციიდან ამოღებულს ჰგავს. ნიშანდობლივია, რომ თითქმის ყველა სათაური კითხვითი ან ძახილის წინადადებაა, რაც თემისა და საუბრის ემოციურ დატვირთვაზე მიუთითებს. სტუმრები ვერანაირად ვერ მაღავენ თავიანთ გრძნობებს და რეაქციებს კამერის წინ, თითქოს საკუთარ ოთხ კედელში იყვნენ. სათაურები ღიაობით გამოირჩევა, რაც ერთგვარი გამოწვევაა გადაცემის რედაქტორების მხრიდან და რეციპიენტის ფსიქიკაზე დამინტრიგებლად მოქმედებს: ნეტავ რა გველის, რა მოხდება. ხანდახან ისეთი თემებია, რომელთა საჯარო განხილვა ქართული სატელევიზიო დისკურსისათვის წარმოუდგენელია: „Bettgeflüster - Warum willst du mich nicht mehr?“, „Hausfrauenstrip - Heute ziehe ich die Strapse an!“ „Dunkles Geheimnis – Von wem hast du dich schwängern lassen?“ ზოგადად, ასეთი პროვოკაციული თემები გამიზნულად ირჩევა ან ენობრივი საშუალებებით მძაფრად გადმოიცემა, რათა მაყურებელი დაინტერესონ და მიიზიდონ.

დამატებითი ეფექტისათვის სტილისტურად შეფერილი ლექსიკა (ჟარგონი, უცხო სიტყვები, სასაუბრო ენის ელემენტები, ფამილარული ლექსიკა და ა.შ.) გამოიყენება: „Albtraum – Ihr Teenies benehmt euch wie der letzte Dreck!“ „wie der letzte Dreck“ აღნიშნულია როგორც ფამილარულ-სასაუბრო გამოთქმა უარყოფითი კონტაქტით (salopp abwertend) და ამით რედაქტორები მოზარდების პრობლემებზე ქცევაზე მიუთითებენ. თაობათა შორის ურთიერთობების რთულ ფენომენს ეძღვნება შემდეგი სათაურები: „Belastungsprobe - Mein Kind macht mich zum Nervenwrack!“: „Rabenvater – Warum liebst du dein Kind nicht?“ ინგლისური წარმოშობისაა: Styling, Umstyling, Sex, Strip, Teenies, Strapse, Streik, Nanny, Terror, Partygirl (abwertend). Teenies დუდენში აღინიშნება როგორც ჟარგონი.

გვხვდება ასევე ამადლებული გამოთქმებიც. მაგალითად, zu Füßen liegen ვეხქვეშ გაგება, ვინმეს პატივისცემა. ამ სათაურში „Rasseweib - Mir liegen alle Männer zu Füßen!“ ერთმანეთს უპირისპირდება ფამილარულ-სასაუბრო Rasseweib და მაღალფარდოვანი გამონათქვამი zu Füßen liegen, რაც გარკვეულ კონტრასტს ქმნის, თუმცა სემანტიკურად ყველაფერი ლოგიკურია.

გერმანულ ლინგვოკულტურაში მამაკაცის ტიპები – მანო (Macho) და სუსტი მამაკაცი (Weichei) უარყოფითადაა კონტირებული. ეს კონტრასტი ანტითეხით კარგადაა წარმოდგენილი: „Weichei? Nein Danke - Ich brauch' einen Macho!“

მეტაფორულ-ასოციაციური აზროვნების ნიმუშია სიყვარულის აღიარებისა და ვარდების წვიმის ერთმანეთთან დაკავშირება: „Liebesgeständnis – Für dich soll es rote Rosen regnen!“ პრობლემატური სასიყვარულო ურთიერთობა გულის ჩხვლეტასთან ასოცირდება: „Stich ins Herz - Warum tut deine Liebe so weh?“ ეს თემები წყვილის ინტიმურ პირად ცხოვრებას განეკუთვნება და მათი საჯაროდ განხილვა ტოქსიკურს ჟანრის ინტიმიზაციას მოწმობს.

დანარჩენი გერმანული ტოქსიკუმიც სტილისტური ფიგურების სიუხვით გამოირჩევა: სათაური „Milliardengrab Griechenland - Rettung unmöglich?“ პრაგმატიკული აღუზიის მაგალითია. აქ მინიშნებაა საბერძნეთის ეკონომიკის დასახმარებლად გამოყოფილ მილიარდებზე. Milliardengrab სიტუაციის დრამატულობაზე მიუთითებს („ბერლინ მითე“).

ალიტერაციულ სათაურში „Weggesperrt und weggeschaut – die Lehren aus dem Fall Natascha“ სტილისტურად მარკირებული ლექსიკური ერთეულები გამოიყენება: wegschauen (სასაუბრო), wegsperrren (ლანდშაფტური). გადაცემა ნატაშა კამპუშის უჩვეულო და დრამატულ ბედს ეძღვნება.

რაც შეეხება ქართული ტოქსიკუმების სათაურებს, სტილისტური ფიგურები ძალზედ იშვიათად გვხვდება. თუმცა დასტურდება სახელადი ჟაჭვები, უცხოური სიტყვები, ემოციური ლექსიკა. იშვიათია კითხვითი წინადადებები, ძახილის წინადადება კი საერთოდ არ შემხვედრია. ლექსემების რაოდენობა ქართულ სათაურებში ძალზედ მცირეა (მაქსიმუმ 5).

საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვან:

სახელადი ჟაჭვები

“ლოთი ცოლი”, “შურიანი მეზობელი”, “ჭარბი კვებით დატვირთული ორგანიზმის განწმენდა”, “კონფლიქტი დედ-მამის შვილებს შორის”, “რაციონალური დიასახლისი”, “ინტერნეტლაღატი”, “ქალი და ჰიგიენა” (“სამოთხის ვაშლები”); “სამამულო სიყვარულის თავისებურებანი”, “ქუჩის შვილების შვილები”, “ყველაზე რეიტინგული ქართველი ქალები” (“პროფილი”); “ეპატაჟი ქართულად”, “დალატი ჩვენს ცხოვრებაში” (“აუდიტორია”).

ალიტერაცია

“წესრიგი და წესიერი ადამიანები” (“სამოთხის ვაშლები”)

ამრიგად, შეიძლება დავასკვნა, რომ ტოქსიკუმს სათაურს გერმანულში ქართულისაგან განსხვავებით გააჩნია ძლიერ აქცენტუირებული სტილისტური გაფორმება, რომელიც როგორც ინფორმაციულ, ასევე პრაგმატიკულ ფუნქციას ასრულებს. სწორად შერჩეული და ექსპრესიული სათაური ერთ-ერთი განმსახვრეელი ფაქტორია, უყურებს თუ არა ტელერეციპიენტი გადაცემას. სათაურში სტილისტურად მარკირებული ინფორმაციის მიწოდებით ხდება მაყურებლის განწყობის ჩამოყალიბება ამა თუ იმ მოვლენის მიმართ, ტელეაუდიტორიაზე ემოციონალური და ესთეტიკური ზემოქმედება. ექსპრესიულობის მისაღწევად სხვადასხვა ლექსიკურ თუ სტილისტურ გამომხატველობით საშუალებებს მიმართავენ: მაგალითად, ალიტერაცია, ანტითეზა, მეტონიმია, გამეორება, ელიფსები, სახელადი ჟაჭვები, უცხოური სიტყვები, ემოციური ლექსიკა. დამატებითი ეფექტისათვის სტილისტურად შეფერილი ლექსიკა (ყარგონი, სასაუბრო ენის ელემენტები, ფამილარული გამოთქმები და ა.შ.) გამოიყენება. აქტუალურ დისკურსში გავრცელებული ლექსიკური ერთეულები ასევე აირეკლება სათაურებში.

ლიტერატურა:

1. ბაღიაშვილი, 1999 – ბაღიაშვილი ე. (1999): საინფორმაციო საგაზეთო სტატიათა ზოგიერთი ლინგვისტური თავისებურება. თბილისი: საენათმეცნიერო ძიებანი, IX.
2. დარასელია, 1986 – დარასელია ნ. (1986): საგაზეთო სათაურის ლინგვისტურ თავისებურებათა განმაპირობებელი ფაქტორები. თბილისი: მაცნე; ენისა და ლიტერატურის სერია №2.
3. გოგოლაშვილი, 2006 – გოგოლაშვილი თ. (2006): სახის ლინგვისტური რეალიზაცია საგაზეთო კომუნიკაციაში (ბრიტანული და ქართული პრესის მასალაზე). დისერტაცია, თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
4. დოლიძე, 2009 – დოლიძე თ. (2009): ინგლისური საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტის სტილის თავისებურებანი. დისერტაცია, ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
5. კნიფკა, 1980 – Kniffka H. (1980): Soziolinguistik und empirische Textanalyse: Schlagzeilen-und Leadformulierung in amerikanischen Tageszeitungen. Tübingen: Max Niemeyer.
6. კუბანოვა, 2004 - Кубанова, А.З. (2004): Газетный заголовок современной газетной прессы. Русский язык и литература, №6.
7. ჩოკოიუ 2007 - Чокою, А.М. (2007): Роль эмоционально-экспрессивных средств в современном политическом газетном тексте. Автореф. М.: Государственный институт русского языка имени А.С. Пушкина.

Рамаз Сванидзе**Стилистические характеристики название ток-шоу****Резюме**

Стилистические характеристики название ток-шоу И в названии и в течение всего ток-шоу выходит в эфир в текущем дискурсов лексических единиц, социальные настроения и взгляды отражают, что в свою очередь, действуют от настроек телезрителей на различные события и фактического вещания. На основе сравнительный анализ название ток-шоу свои языковые особенности кристаллизовались на немецком и грузинском языках. В отличие от грузинских немецком ток-шоу ток-шоу названия имеют ярко подчеркивается стилистическое оформление, которые отвечают не только познавательным и прагматичной функции. Характеристика немецкого названия ток-шоу являются открытость, эмоциональность, наводящий эффектов и разнообразных стилистических фигур (по крайней мере 5-6 лексических единиц), а в грузинском ток-шоу, этот эффект будет предоставлена возможность добраться до (максимум 5 лексических единиц).

Ramaz Svanidze**Stilistische Besonderheiten der Talkshowtitel****Resümee**

Sowohl im Titel als auch in der ganzen Talkshow spiegeln sich die in aktuellen Diskursen verbreiteten lexikalischen Einheiten, gesellschaftliche Stimmungen und Ansichten wider, die wiederum auf die Einstellungen der Fernsehzuschauer zu diversen Ereignissen und zur eigentlichen Sendung wirken. Anhand der kontrastiven Analyse der Talkshowtitel wurden ihre sprachlichen Besonderheiten in deutscher und georgischer Sprache herauskristallisiert. Im Gegensatz zu georgischen Talkshows haben deutsche Talkshowtitel eine stark akzentuierte stilistische Gestaltung, die sowohl informative als auch pragmatische Funktionen erfüllen. Kennzeichnend für deutsche Talkshowtitel sind Offenheit, Emotionalität, suggestive Wirkung und mannigfaltige stilistische Figuren (mindestens 5-6 lexikalische Einheiten), während in georgischen Talkshows diese Möglichkeit Effekt zu erreichen vergeben wird (maximal 5 lexikalische Einheiten).

რეცენზენტები: პროფ. დ. ბახტაძე

ბგერის დაკარგვისა და ჩართვის შემთხვევები შავშურში

შავშურში ბგერათა დაკარგვა უფრო ფართოდ გავრცელებული მოვლენაა, ვიდრე ბგერის ჩართვა. იკარგება როგორც თანხმოვნები, ისე ხმოვნები. თანხმოვანთაგან განსაკუთრებით ხშირად იკარგება წინაენისმიერი სპირანტები, ბაგისმიერები, უპირატესად კი – სონორები. ამათგან გამოკვეთილია ს' ბგერის დაკარგვა სხვადასხვა პოზიციაში განურჩევლად სიტყვათა ჯგუფისა. მ' ძირითადად სიტყვის თავში იკარგება, გ' და რ' თავშიც და შუაშიც. არცთუ ისე იშვიათია ორი ბგერის ერთდროულად დაკარგვა, ძირითადად, ზმნებში.

ხმოვანთაგან იკარგება – ა, ე და ი'. ძირითადად შუა პოზიციაში.

ჩართულ ბგერათაგან გამოირჩევა მ' და გ' თანხმოვნები და ი' ხმოვანი. ი' – ს ჩართვა ხშირად სრულხმოვნობითაა ახსნილი.

შავშურში ბგერათა დაკარგვა ფართოდაა გავრცელებული. ეს ეხება როგორც თანხმოვნებს, ისე ხმოვნებს. თანხმოვანთაგან განსაკუთრებით ხშირად იკარგება წინაენისმიერი სპირანტები, ბაგისმიერები, უპირატესად კი – სონორები.

ს' ბგერის დაკარგვა. ხშირია მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა, განსაკუთრებით თანხმოვანფუძიან სახელთა მხოლოდით რიცხვსა და საერთოდ – ებ' იან მრავლობითში. მნიშვნელობა არა აქვს, სახელი აქტანტა – შეწყობილი პირია თუ გარემოება (ადგილისა ან დროის):

საქონელ ერთად ვაძუებდით (შავშ., 366); მოვხელ, მარილ დაგაყრი (შავშ., 366); სამ საათ სოღრა კვერებ დაგაკეთებ (შავშ., 367); ხას პურ გამააცხოზდა (შავშ., 367); მარილ დაგაყრი, ხახვ ვურთობ, ბიბერ, მაიდანოზ – არა (შავშ., 367); ჩემ შვილ ჰამერი ყავს (შავშ., 432); სიმინდ ვოესავო, ქერ არ ვოესავო (შავშ., 366); დედას მუუტანებენ საჩუქარ (შავშ., 401); იმას დეველაპარიკებოლით ყველაფერ (შავშ., 423); ბაზგირეთ (←ბაზგირეთს) დუგუნია (შავშ., 319); იქ გაზდილა, მურდულ (←მურდულს) (შავშ., 446); შორ არ წევალ (შავშ., 447)...

იშვიათად –ს იკარგება ხმოვანფუძიანებთანაც: სიძე (←სიძეს) თქვენ რას ეტყვი? (შავშ., 370); გურჯიჯა ქუფელა (←ქუფელას „ყურის ბიბილო“) ებნევიან (შავშ., 419); ჩულა (←ჩულას „შაღის ქსოვილს“) დუუგებო წინედან (შავშ., 380)...

ს– იკარგება –ებ– იან მრავლობითშიც: ფეხებ ასე მიაჭერდა სობას (შავშ., 368); ამგვარ ღარჭებ თურქულა ველაპარიკები (შავშ., 366); ჭაღებ თიბვენ (შავშ., 369); თველზე სიმინდებ მოჭრიან (შავშ., 370); სოკობე არ ვჭამ (შავშ., 370); ვირებ ავკიდევდით ზრუგზე (შავშ., 378); რუებ გუუმვებო, დადინდება წყალი (შავშ., 384); ფარებ ართმენ იმას ხისიმები (შავშ., 401); დუუძახებოლით მეზობლებ (შავშ., 323); ძველებ ეცოდინებიან ბელქი (შავშ., 403)...

იშვიათად გვხვდება შემთხვევები, როცა –ს' არ არის დაკარგული: კიტრს დაასალათებ (შავშ., 384); მე არ ვიცი რას შეეხვეწებიან ღმერთს (შავშ., 409); ბუზანკალია, ხარს ეხვევა (შავშ., 343); დოდოფალს ქი მეიყვან (შავშ., 344); ახლა მარტო ყართოფას ვოესავო (შავშ., 328)...

ერთსა და იმავე წინადადებაში სახელი ორგვარად არის წარმოდგენილი: მიცემითი ბრუნვის ნიშნით და უნიშნოდ:

კარ ვაკეთებთ, ფენჯერას ჩემი ცოლი აკეთებს (შავშ., 366); კარებ ვაკეთებ, ფანჯრებს, რამკებს ფუტკრისთინ (შავშ., 369); ზოგს გავახმობთ, ზოგ დავაჭრით (შავშ., 349)...

მიცემითის ნიშანი –ს' ხშირად იკარგება პირისა და ჩვენებით ნაცვალსახელთან:

იმა ← იმას; ამა ← ამას; ე ← ეს; ი ← ის:

ამა არ უყვარს (შავშ., 367); ყოველ დღე იმა არ ვაჭმევთ (შავშ., 408); ამა საღონ ვუძახით (შავშ., 319); არ ჭამს ე ჩვენი კაცი (შავშ., 367); ე საბანი ეეწია (შავშ., 368); ე პაწად ღარჭიც გვიან მევედა (შავშ., 368); იმა ღარჭ ვუხდი (შავშ., 370); იმა ტკივა და მე არ მტკივა? (შავშ., 439); ვუხდი იმა, რა ვქნა (შავშ., 370); ე ისეა, რან'ნა ქნა (შავშ., 370); ე ასეა, ე ისეა იშტა (შავშ., 431); ე რასოდ იყბალი გვაქ (შავშ., 439); ი კაი არ არი (შავშ., 371); ი კვერცხ დებს (შავშ., 372)...

იშვიათადაა შენარჩუნებული –ს', ან ერთმანეთის გვერდიგვერდ გვხვდება ორივე ფორმა:

იმას წასწევდენ წინ (შავშ., 319); იმას ციცინათელას ვებნევით, ღამით ანთობს იმა (შავშ., 324); ამას ეკალი ქვია (შავშ., 431); ი დიდი ბიჭიც დასახლებული მყავს–და ის დიდი ბიჭი წევდა ახლა (შავშ., 369); ი ჩემი ბაბოდ არი, ეს პაწად გოგო (შავშ., 405)...

ხშირია მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა კუთვნილებით ნაცვალსახელებსა და მასთან შეწყობილ არსებით სახელებში ერთდროულად:

ჩემ მეზობელ ანად ემიდან ყავდა (შავშ., 367); ჩემ დედამთილ–მამამთილ ხისიმები ყოლია (შავშ., 368); ემედ ყავს ჩემ დიდ ბიჭ (შავშ., 370)...

მიცემითი ბრუნვის ნიშანი იკარგება - თან' თანდებულისან ხმოვანფუძიან სახელებთან:

ჯამეთან (←ჯამესთან) რომ იყო, ის არი (შავშ., 320); მუსათან (← მუსასთან) ვერაფერ ვერ და-მახსენებს (შავშ., 412); აქ ჩემ დათან (←დასთან) ახვალთ... (შავშ., 419)...

იკარგება ნათესაობითი ბრუნვისნიშნისეული –ს მსაზღვრელ სახელებში:

თქვენ ჭამთ ღორი ხორც? (შავშ., 389); ჯანი მიცემამდე ჭკვა ქონდა (შავშ., 319); ტყი ღორები სუქანი არიან (შავშ., 439); კარი გამდებელი არაა (შავშ., 407)...

თუმცა: დელის წყალი გყავან? (შავშ., 389); ყრალი სული უდინს ანწლის ფურცელ (შავშ., 443); ყართოფ ყანის ქენერზე ვთესავთ (შავშ., 409)...

–ს იკარგება თანა' თანდებულისან ნაცვალსახელთან:

არც ხორცი იქნება გერმელი იმითანა (შავშ., 319); ჩვენც ჩავსხამთ მაგითანასა (შავშ., 429)...

ამ ფორმათა ანალოგიით უნდა იყოს დაკარგული –ს მსაზღვრელ კუთვნილებით ნაცვალსახელში – თავისი':

იქ არი თავი (←თავის) ბაბოსთან, თავი (←თავის) ანასთან (შავშ., 419)...

ძალიან ხშირია ს' ბგერის დაკარგვა სიტყვაში „სწავლა“ და ამ ფუძის შემცველ ფორმებში:

არც არავის ვაწავლი, არც იმათი წავლა მინდა (შავშ., 320); ვიწავლე ქართული (შავშ., 343)...

იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს სან–იანი ფორმები: მე არ მცალიაო და შენ ასწავლეო (შავშ., 420)...

ს' – იკარგება სხვა სიტყვებშიც:

ჰო, წორვა (შავშ., 322); წორეს ამბობ, დაღამდა (შავშ., 381)...

თუმცა: სწორეთ არ ასულან, სწორეთ არ მისულან აქ (შავშ., 332)...

საერთოდ, ს' – ბგერის დაკარგვა წინაენისმიერ ხშულებთან გავრცელებული მოვლენაა როგორც სამხრულში, ისე ქართული ენის სხვა დიალექტებშიც. ივ. ქავთარაძე ამ მოვლენას საერთოქართველურად მიიხნევს (ივ. ქავთარაძე, 1964:140).

ს' – იკარგება სხვა შემთხვევებშიც:

აქ არ არი ბევრი (შავშ., 369); ჰამა ეზვილი არი (შავშ., 369); იქიდან ფეხით ვერ იარ, შორ არი (შავშ., 320); რამდენ ხან იყავ? (შავშ., 369); შორ არ წავა (შავშ., 371);

გვხვდება თანხმოვანთა დაკარგვის სხვა შემთხვევებიც:

ხშირია სახელის თავკიდურა თანხმოვნის დაკარგვა.

იკარგება შ':

მომოშთად სხალი არი (შავშ., 366); თქვენ ძიმე ხართ (შავშ., 420); თავრობაში ვიყავი, თავრო-

ბაში (შავშ., 334); ოთხი წელწადია არ ავსულვარ თაზე (შავშ., 420); თაზე ახვალ ერთ საათზე (შავშ., 444); ბადიშები მყავს, თაზე არიან (შავშ., 445); თელი დაანამყენებენ (შავშ., 366); თელმა არ იციან (შავშ., 320); ეს უმუხსლელი კვახეა (შავშ., 441); ჩვენი დედედ ჭედელი იყო (შავშ., 448); ჩვენ ვიცით წვანე ლობიო (შავშ., 452); ეს არ იჭმის, წარეა (შავშ., 450); ბადვს რომ დასვამს შობი-არეაო-ვიტყვიო (შავშ., 429);

იკარგება რ’:

ძე ცხელდება (შავშ., 371); ძროხას მოწველენ, იმ ძეს დაასხმენ...(შავშ., 370); ზემოთ ახვალ კოც არი (შავშ., 405); შენ ძალი იქვერი გყავს? (შავშ., 453); არ დეგელაპარიკება, ცხვენია (შავშ., 448); სარშან თველზე ჩაველი (შავშ., 388); თველზე სიმინდებ მოჭრიან (შავშ., 370); იმა ძალი ღარჭი ყავს (შავშ., 373);

თუმცა: მე რძალთან ვარ (შავშ., 452)...

რ’ იკარგება არა მარტო სიტყვის თავში, არამედ შუაშიც და ბოლოშიც:

ჩვენც ერთი თუთა დაგვჩა (შავშ., 320); საიდან ბძანდები? (შავშ., 430); ახალგაზდები დიდ ქალაქებში არიან (შავშ., 443); ის აქ არ გაზდილა (შავშ., 451); ღმა დელიებში წვედეთ (შავშ., 320); გძელი ემე არი-ა? (შავშ., 434); აგე იმასაც ყავს ჰამერი (შავშ., 367); დაბუქებისთინ კად არი, ფჩხი-ღებზე წვესვამთ (შავშ., 426); ძველათ ფჩხილ არ დავაჭრიდით (შავშ., 456)...

თუმცა: ფჩხილით წამოკარ, თუ თეთრია, კაია (შავშ., 477)...

სიტყვის დასაწყისში ზოგჯერ იკარგება ორი ბგერა:

გვალი ვაშლი არი (შავშ., 457)...

რ’-ს დაკარგვის შემთხვევები დასტურდება სამწერლობო ქართულშიც, განსაკუთრებით სა-შუალო ქართულის ძეგლებში: იყო ერთი ხელმწიფე, დავდომილთა გამზდელი (რუსუდ. 461, 24); გრძნეულთაგან გაზდილი გრძნებით შექნილი გახდა (რუსუდ. 54,4); შემობძანდა, მიიხედ-მოიხე-და (რუსუდ. 226, 31); ხელმწიფის შვილს ზდა დაუწყო (რუსუდ. 269, 11); რა იცნა, მაშინვე ბძანა (ყარამ. 386)...

იკარგება ვ’:

კაციც აღარ მყავდა, მოკდა (შავშ., 373); მექთების მასწალელებელი ვარ (შავშ., 408); აქავრელებ-მა დარგეს ეს ნიგზები (შავშ., 437); ქვა გახრეტილი ყოფილა (შავშ., 345); ექსი თვე იქ ვარ (შავშ., 413); ერთი ქალი მოიდა, ლაზი იყო დევინახე (შავშ., 441); კაცი მოიდა (შავშ., 432); როდინა მოი-დეს! (შავშ., 386); წამოიდა და ახლა იქ არიან (შავშ., 430)...

იკარგება გ’:

წინ-წინ რავარ ვიყავით (შავშ., 430)...

თუმცა: რავარ უსაქმიან? (შავშ., 445)...

აღნიშნულ სიტყვაში ზოგჯერ ორი თანხმოვანი: გ’ და რ’ იკარგება: რავად გითხრა (შავშ., 448); რავად ვიყავით დაილაში (შავშ., 450)...

იკარგება ლ’: სკინტ (←სკინტლ) გუუღესევედით (შავშ., 433); სახში უნდა ვიყვე (შავშ., 373); სახში შევალთ, ამადამა დარჩით აქა (შავშ., 438)...

ღ’ უმეტესად იკარგება სიტყვის ბოლოში:

ამგვარ ღარჭებ თურქულა ველაპარიკები (შავშ., 366); ჩვენ გურჯულა ვლაპარიკობთ (შავშ., 366); ბადვი სა წეიყვანოს (შავშ., 371)...

იკარგება ორი ბგერა:

გვალი (←მრგვალი) ვაშლი არი (შავშ., 366); ცოტა ფთხალი (←მფრთხალი) ძროხაა (შავშ., 443)...

ზოგჯერ ზმნას აკლია ბოლო მარცვალი:

ფარა გასაკვებლად მიე (←მიეცი) (შავშ., 431); ღმერთო, მოგვე (←მოგვეცი) წვიმა-წყალი (შავშ., 320); ფარა მომეო (შავშ., 442); მოლი ბვერი გვაქ (←გვაქვს) (შავშ., 449); ბახნა მიცემული მაქ (←მაქვს) (შავშ., 369); ჩვენ ბვერი ალაგი გვაქ (←გვაქვს) (შავშ., 369); ერთი ფაცხა სახლი აქ (←აქვს) (შავშ., 371)...

ხმოვნის ელიზია საკმაოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა ქართული ენის სამხრულ დიალექტებში, სადაც ხმოვნით დამთავრებულ სიტყვასთან უნდა ნაწილაკის მეზობლობისას

თავკიდურა ხმოვანი უ' იკარგება და შეერწყმის წინამავალი სიტყვის ბოლოკიდურა ხმოვანს. მაგ.: ხარჯინა გადიხადოს; ჯამინა დაანტროს; რანა გაიგოს... შავშურში კი უნდა' ნაწილაკი-ან ფორმებში ბგერის დაკარგვის განსხვავებულ ვარიანტებს ვხვდებით და ეს მოვლენა ძალიან ხშირია. კერძოდ, ზოგჯერ იკარგება უნდა' ნაწილაკის თავკიდურა ხმოვანი უ', და მასთან ერთად თანხმოვანი დ', ან ნ':

იმა მახასით'ნა მოკნაჭო'და (შავშ., 370); ახვიდე'ნა ყალეში შიგან (შავშ., 438); თურქულად არნა იყოს პიხ (შავშ., 439); ახლა იმერხევ'ნა იყოს ფესტივალი (შავშ., 441); შემეშინა, რაცხა'ნა დაგმართონ'ნა (შავშ., 441); ახალათ ქი ფურცელი'ნა მებისხას (შავშ., 449); მატავრის ლოცვა კამერაში არ'ნა თქვა, შენ'ნა იცოდე, ცოდვია (შავშ., 415); წამოკვევ'და პასუხი მოგე (შავშ., 439); ძველებური რაცხა'და დაწერონ(შავშ., 380); ძროხა სხვამ'და მოგიწველოს? (შავშ., 386); შენი ღარჭი აქ'და დავასახლო (შავშ., 391)...

იშვიათია: გეიკითხო უნდა, ტყვილი ტყვილს იპოვს (შავშ., 439).

იშვიათია ხმოვანთა დაკარგვა, მაგრამ შავშურში მაინც დასტურდება რამდენიმე შემთხვევა: იკარგება ა':

პატრობის (←პატარაობის) დროს ვიცოდი (შავშ., 414); ახლა სიდამ (←საიდან) მოდიხარ? (შავშ., 370); სიდან ბძანდები? (შავშ., 430)...

იკარგება ე':

ნახვარი (←ნახევარი) მიღეთი ვედარ მიცნია (შავშ., 443)...

იკარგება ი':

ორი წელწადი მარტო ვარ (შავშ., 453); ტყვილი ტყვილს იპოვს (შავშ., 439)...

ბგერის ჩართვა. ბგერის ჩართვა, ანუ გაჩენა, ბგერის დაკარგვის საპირისპირო მოვლენაა. თუმცა შედარებით ნაკლებად გავრცელებული.

შავშურში ხშირია სონორი ბგერების ჩართვის შემთხვევები.

ჩართულია მ': ყველამფერი მავიწყდება (შავშ., 476); იქ რაცხამფერი მიქონდენ (შავშ., 416); აქ ემეები არ მცხოვრობენ, აქ ვინცხა მცხოვრობენ, იმათიდან'და მოკრიფონ (შავშ., 460);

ზოგჯერ ერთი სიტყვის ფარგლებში ხდება ჩართვაც და დაკარგვაც ერთდროულად: ის უმფო (ჩართულია მ' დაკარგულია რ') ხას პურს აცხოვდა (შავშ., 467); თურქნა უმფო ყოლია (შავშ., 428); ის აღეთი უმფო კად იყო (შავშ., 389) ...

ჩართულია ნ':

ღმერთმა კარგა ამყოფნოს (შავშ., 387); ყრალი სული უდინს (შავშ., 439); იქნიდამ ვერ გადავალთ (შავშ., 435)...

ჩართულია რ': აქ სათიფრებია (შავშ., 420)...

ჩართულია პ': ბახალას ნაპწნები თმებში აქ ჩასული (შავშ., 456)...

ჩართულია ვ': ჭკვით დაწერვა სხვა არი (შავშ., 461); ზოგი იქავრულად ლაპარიკობს (შავშ., 408); ზემოდან ასე გაღობვილი ყოფილა (შავშ., 435); მღუღვარე ამოდის ცხელი წყალი (შავშ., 476); მასკვან წეიყვანა ართვინ (შავშ., 439)...

ჩართულია ღ': აქ ქღვაი იცის (შავშ., 477)...

ჩართულია ლ': არ გედეხტუმდება და იმაზე ამბობენ (შავშ., 495)...

ხმოვანთაგან ჩაერთვის ძირითადად ი':

ზველათ სკები დააკეთეს (შავშ., 419); კილდი თავზე დაგუდებოდი (შავშ., 375); სარმას გავაკეთეფთ ბდრინჯით (შავშ., 423); ძველათ დადმოსულან ჩვენნი დიდვანი დედები (შავშ., 416); ასე გედეიარდენ თმებიდან (შავშ., 417); აქა იქნება თხები, ქები ექნება... გაღმა კილდები რომაა, იქ დაღებიან (შავშ., 440)... სხვა ხმოვანთა ჩართვის შემთხვევები არ დასტურდება შავშურში.

წყარო:

მამია ფაღავა, მერი ცინცაძე..., შავშეთი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტი, მონოგრაფია, თბილისი, 2011.D

ნათია პარტენაძე

**Акустических потерь и переключение в Шавшури
Резюме**

Акустических потерь и переключение в Шавшури случаев потере более распространенное явление, чем акустические цепи. Согласные теряются.

Natia Fartenadze

**Acoustic losses and switching to Shavshuri
Abstract**

Acoustic losses and switching to Shavshuri. Acoustic losses and switching loss in Shavshuri cases more common than the acoustic circuit. The consonants are lost and vowels – not..

რეცენზენტები: პროფ. მ. ქაცარავა

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

მარინა ჯაცარავა, ლეილა აბზიანიძე

ქუთაისი, საქართველო

კინოფილმი „მაგდანას ლურჯა“ - ქართული კინოს მშვენიება

რ. ჩხეიძისა და თენგიზ აბულაძის სადებიუტო მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა“ იყო თვალსაჩინო მაგალითი იტალიური ნეორეალიზმის გავლენისა ქართულ კინოსა და კინემატოგრაფისტებზე. ახალგაზრდა რეჟისორებმა გადაწყვიტეს ე. გაბაშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის ეკრანიზაცია. „მაგდანას ლურჯა“ თავისებურია პერსონაჟთა უკიდურესად გამძაფრებული სულიერი ტკივილების გამო. აქ წარმოდგენილი ამბავი ძალიან შთამბეჭდავი და მგრძობიარე იყო და ეხმაურებოდა იტალიურ ნეორეალიზმს.

1955 წელს მხატვრულმა ფილმმა „მაგდანას ლურჯამ“ კანის საერთაშორისო ფესტივალზე აიღო მთავარი პრიზი „ოქროს პალმის შტო“, ხოლო ედინბურგის X საერთაშორისო კინოფესტივალზე მიენიჭა I პრემია.

მსოფლიო დონის კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე ნათელი, თვითმყოფადი ოსტატია. მისი შემოქმედება განუყოფლადაა დაკავშირებული თავის სამშობლოსთან, მის ტრადიციებთან. ჩხეიძის ფილმებში ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს უდიდესი ტრაგედია და ღრმაშინაარსიანი, ხალასი, ხალხური იუმორი, პოეზია და ჭეშმარიტება.

მისი ფილმები მილიონობით მაყურებელმა შეიყვარა, ადამიანები ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ სულიერი ფასეულობების მარადიულობაში.

რეზო ჩხეიძის შემოქმედებაში იგრძნობა მისი ტალანტის ძალა. რასაც ადასტურებს მისი ფილმების შინაარსობრივ-თემატური სიღრმე და უშუალოება.

რევაზ ჩხეიძის შემოქმედება ნათელყოფს, რომ მან პროფესიულ დონემდე აიყვანა, ადამიანის სულიერი ცხოვრების საიდუმლოებათა განჭვრეტის უნარი. დიდი კინორეჟისორის პერსონაჟები ზნეობის მკაცრი დამცველი და სულიერად განწმენდილნი არიან.

რეზო ჩხეიძისა და თენგიზ აბულაძის სადებიუტო მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა“ იყო თვალსაჩინო მაგალითი იტალიური ნეორეალიზმის გავლენისა ქართულ კინოსა და კინემატოგრაფისტებზე. იგი გადაღებულ იქნა 1955 წელს. ეს ფილმი დაფუძნებულია ეკატერინე გაბაშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობაზე. რეზო ჩხეიძემ და თენგიზ აბულაძემ გადაწყვიტეს, მოეხდინათ ამ მოთხრობის ეკრანიზაცია. ისეთი გადაწყვეტილება კი განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ამ მოთხრობაში წარმოდგენილი ამბავი ძალიან შთამბეჭდავი და მგრძობიარე იყო და ეხმაურებოდა იტალიურ ნეორეალიზმს. მართალია, ისტორიული ეპოქების სხვაობა იყო XX საუკუნის იტალიასა და XIX საუკუნის საქართველოს შორის, მაინც რ. ჩხეიძემ და თ. აბულაძემ ამით გამოსატყს სოლიდარობა და პატივისცემა იტალიელი კოლეგების იდეებისადმი.

ცნობილია, რომ ქართული კინო ყოველთვის საზრდოობდა კლასიკური მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებით, ქართველ კინემატოგრაფისტებს ეკრანზე წარმატებით გადაჰქონდათ

როგორც ეროვნული, ასევე უცხოური ლიტერატურის საინტერესო და სახასიათო ნაწარმოებები.

ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ეკატერინე გაბაშვილი ქართული ხალხოსნური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. ხალხოსნობა XIX საუკუნის 70-იან წლებში წარმოიქმნა რუსეთის იმპერიაში და გავრცელდა საქართველოშიც. ამ მოძრაობის მიმდევრები ლიტერატურაში იწოდებოდნენ ხალხოსნურ რეალისტებად. ისინი შეუფარავი, რეალური ფერებით ასახავდნენ სინამდვილეს. ეკატერინე გაბაშვილის ლიტერატურულ შემოქმედებაში ფოტოგრაფიული ოსტატობით აისახა ქართული სოფლის ნამდვილი სახე, ქართველი გლეხების ზნე-ჩვეულებები და მსოფლმხედველობა. ეს ქალბატონი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ქართულ მწერლობაში შემოიტანა ლიტერატურული ნაწარმოების ისეთი სახეობები, როგორებიცაა ნოველა, პატარა მოთხრობა, მინიატურა.

ეკ. გაბაშვილის მოთხრობის მთავარი მოქმედი გმირი - ღარიბი ქალი მაგდანა ქვრივია, რომელიც ცხოვრობს სოფელში, ჰყავს სამი ობოლი და ყოველდღე დადის ქალაქში თავისივე დამზადებული მაწვნის გასაყიდად. ერთხელ მისი ვაჟი აღმოაჩენს დავარდნილ, დაღლილ ვირს, სახლში წაიყვანს და მოასულიერებს. მაგდანას ოჯახის წევრებმა მიიჩნიეს, რომ ღმერთმა დაასაჩუქრა ისინი. ოჯახი გაბედნიერდა, ვირს „ღურჯა“ დაარქვეს. „ღურჯამ“ დიდი დახმარება გაუწია მაგდანას მაწვნის ქილების თრევაში. მაგრამ სახედარს გამოუჩნდა პატრონი მენახშირე მიტუა, რომელიც მაგდანას უწივლებს სასამართლოში რათა დაიბრუნოს ვირი, მაგრამ სასამართლო უარყოფს მის სარჩელს და სახედარი რჩება მაგდანას ოჯახს.

ეკ. გაბაშვილის მოთხრობა „მაგდანას ღურჯა“ თავისებურია პერსონაჟთა უკიდურესად გამაფრებული სულიერი ტკივილების გამო. მისი ენა დაახლოებულია ხალხურ მეტყველებასთან. სამყაროს, სულიერსაც და უსულოსაც, ისე წარმოსახავს ავტორი, რომ შესაბამისი განცდებით დამუხტოს მკითხველი.

უკვე პირველი სტრიქონებიდანვე იგრძნობა ყოფითი კოლორიტი.

„მაგდანა ჯერ ძლიერ ყმაწვილი დედაკაცი იყო, როდესაც ქმარი მოუკვდა და ოთხი უსუსური ბავშვი ხელზე უღუკმაპუროდ დარჩა. ერთადერთი ძროხა, რომელიც ამის ბავშვებს ზაფხულობით ღუკმას უსველებდა, ქმრის დამარხვას მოუწია და სხვა სანუგეშებელი ქვეყანაზე აღარა გაჩნდა რა“ (გვ. 508).

რამდენიმე ფრაზით, მაგრამ მეტად მკაფიო შტრიხებით, ახასიათებს ავტორი მაგდანას მძიმე შრომას, შვილები რომ გამოეკვება. „მან ხელი მიჰყო იმისთანა საქმეს, რომელიც ძლიერ მძიმე და თითქმის აუტანელი იყო მისთვის. მაგრამ რას გააწყობდა, როდესაც ოთხი ბავშვის ტირილი: „დედა, პური, დედა პური!“ დღე და დამე მოსვენებას არ აძლევდა და მშობელს გულს უფათრავდა“ (გვ. 508).

ე. გაბაშვილის წერის მანერა რეალისტურია, ფრაზა ბუნებრივი, იგი ეყრდნობა ქართული პროზის ტრადიციებს.

„მაგდანას მუხლები მოეკვითა, პირზე მკედრის ფერი გადაედოდა. ხმის კანკალით ძლივს წაიღულულა: „- მინდორში დავარდნილი ვიპოვე, სული ამოსდიოდა და მოვაბრუნე“ (გვ. 514).

ეკატერინე გაბაშვილი სრულიად შეგნებულად მიმართავს პერსონაჟის დამახასიათებლად მეტყველებას.

„- დედა, რათა სტირი? უთხრა დედას გულამომჯდარმა სოფომ, - იქნება „სუდიებმა“ ჩვენ გვარგუნონ წინადვე გულს რად იხეთქავ ?

- დედა, მოდი, მე ზედ შემსვი - ტირილითვე უთხრა მიხამ, - და მანამ არ მომკვლენ ძირს არ ჩამოვალ“ (გვ. 516).

ეკატერინე გაბაშვილის კომენტარები მოზომილია. ხასიათის გახსნის მთელი დატვირთვა პერსონაჟის მეტყველებას ეკისრება:

„- იქით, იქით! ხელი აიღე, თორემ ეს არის მოთმენა დავკარგე! შენისთანებმა უნდა მაჯობონ შე მასხარაე“ (გვ. 515).

მიტუა უხეში, ბორბოტი ადამიანია, მისი მეტყველება ამ პიროვნების შინაგანი სამყაროს ამსახველია, თითოეული ფრაზა ისე აქვს შერჩეული ავტორს, რომ ჩვენ თვალწინ იხატება თვითდაჯერებული ბრიყვი ვაჭარი.

ეკ. გაბაშვილი არ ტვირთავს პერსონაჟების მეტყველებას დიალექტიზმებით, ბარბარიზმებით, თუმცა მათი გამოყენება აშკარად მიზანდასახულია: შეიქმნას ადგილობრივი კოლორიტი

„იქნება „სუდიებმა“ ჩვენ გვარგუნონ, წინადვე გულს რად იხეთქავ“ (გვ. 516);

„მოელმა ქვეყანამ იცის, „ტარშინა“ მამასახლისთან გამოცხადებული მაქვს“ (გვ. 515)

„დედობილო, ნუ იწყევლები ემანდა“ (514)

„ისე დაჰგურგურებს, როგორც კარგი დამზინილი დედაკაცი (514)

ეს მოთხრობა დაწერილია ნათლად და ბუნებრივად მისი ენისა და სტილის მომხიბლავობა მის ხალხურობაშია.

თუ პარალელს გავავლებთ სცენარსა (ავტ. კ. გოგოძე) და ეკ. გაბაშვილის მოთხრობას შორის, ნათელი გახდება, რომ ფილმის ავტორებს სულაც არ ჰქონდათ მიზნად დასახული საგანგებოდ გამოეძებნათ პოეტური საშუალებები და სიმბოლოები და ამით მოეწონებინათ თავი მაყურებლისათვის. მათ გადაწყვიტეს, ღრმად შეეღწიათ სიუჟეტში და წინ წამოეწიათ კეთილშობილური ადამიანური თვისებები. ამგვარმა სწრაფვამ სასურველი ნაყოფი გამოიღო - ფილმმა მიიღო არა სენტიმენტალური, არამედ მგრძობიარე სახე და, შესაბამისად, ცხოველი ინტერესი და დიდი მოწონება დაიმსახურა.

ეკრანზე ცხოვრებისეული მასალა ზუსტად და დამაჯერებლად არის გადმოცემული. ენობრივი თვალსაზრისით, წარმოდგენილი დიალოგებისათვის დამახასიათებელია მარტივი სინტაქსი.

საუბარს აქვს კითხვა-პასუხის, თანხმობა-უარყოფის, ახსნის ხასიათი. „მაგდანას ლურჯას“ გმირები არასოდეს აჭარბებენ მოქმედებასა და დიალოგებში.

„სოფო, შვილო, იქნებ ორი ქილაც მეც გამიყიდოს მაგდანამ“.

„მეტს ვერ წაიღებს დედაჩემი, ოცი კილო შევაგროვე და განა ცოტაა?“

„რა ქენი, ვერც შენ მოიცადე?“

ორი ქილაც დამრჩა, მოელი ქალაქი შემოვიარე და მაინც ვერ გავყიდე!“

სცენარის ენაში უკვე აღარ არის დიალექტიზმები, რუსიციზმები, უფრო ხშირად გვხვდება ელიფსური კონსტრუქციები, რაც დიალოგისთვის არის დამახასიათებელი.

„უი, შე ქურდო! შენა!“

„ოხ, ჩარჩო შენა, აქედან მოწყდი“.

რეჟისორებმა გამოიყენეს სხვადასხვა პასაჟი იმის ხაზგასმით, რომ როცა საქართველო იყო რუსეთის იმპერიის კოლონია, ქართველი გლეხები ცხოვრობდნენ მეტად მკაცრ პირობებში ადამიანური უფლებების გარეშე. ეს იყო კლასიკური და ტრადიციული თემა გაუბედურებული და დამცირებული ხალხის ბრძოლაზე მხაგრელთა წინააღმდეგ, გადაწყვეტილი გულახდილად კამერულ, ყოფით სტილში. ამ ფილმში ზედმიწევნით სიმართლითაა აღწერილი ძველი ქართული სოფლისა და ქალაქის სახე. მაშინ ახალგაზრდა რეჟისორებმა დიდი სიფრთხილითა და სიფაქიზით აჩვენეს ხალხის სიღარიბე, შიმშილი და სხვა მძიმე პრობლემები - ამ ფილმს თამამად შეიძლება გუწოდოთ პოეტური ნაწარმოები, რომელიც ეძღვნება სიყვარულს, სიკეთეს, უანგარობას, ადამიანთა ერთობას. ფილმის პოეტური ხასიათი იმთავითვე აღნიშნა ალექსანდრე დოვჟენკომ, რომელიც თვლიდა, რომ მასში ბრწყინვალეაა ერთმანეთთან შეხამებული ყოფითი და პოეტური დოკუმენტალურობა და განზოგადება.

რეჟისორებმა პოეტურად გაიაზრეს ისტორიული სინამდვილე და სრულიად სხვა ჟღერადობა შესძინეს ფილმს. ლიტერატურულ პირველწყაროს ჩამოაშორეს დრამატურგიული სტერეოტიპები და პირობითობები, სამაგიეროდ, მაღალ დონეზე აიყვანეს რეჟისურა, სამსახიობო ოსტატობა და გამომსახველობითი მხარეები (პეიზაჟები, ქართული სოფლისა და ქალაქის კოლორიტი, ახლო ხედები). მოქმედების განვითარების, დინამიკის გამძაფრების მიზნით მათ გადააკეთეს ორიგინალური მოთხრობის ფინალური ნაწილი. სცენარის ავტორი ცნობილი

ქართველი კინოკრიტიკოსი და დრამატურგი კარლო გოგოძეა, რომელიც იტალიური ნეორეალიზმის დიდი მოტრფიალე იყო. იგი ფილმის შემქმნელებთან ერთად აშკარად დაუპირისპირდა იმდროინდელ ყალბ პათეტიკას, არსებულ სტანდარტებს, რაც ახასიათებდა არა მარტო ქართულ, არამედ მთლიანად საბჭოთა კინემატოგრაფს.

ფილმის შემქმნელებმა საბჭოთა ცენზურის გული მოიგეს. მაგდანას თავგადასავლის კინემატოგრაფიული ინტერპრეტაცია ზუსტად ჯდება საბჭოური იდეოლოგიის მოთხოვნათა ჩარჩოებში.

ეკრანზე ცხოვრებისეული მასალის ზუსტად და დამაჯერებლად არის გადმოცემული. ფილმის შემქმნელთა პოეტური გააზრების უნარი. ცხადად პირველად „მაგდანას ლურჯაში“ გამოიკვეთა, მომავალში კი ქართული კინოს ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი გახდა. ქართული კინოს ისტორიაში ეს ფილმი გადაიქცა გარდატეხის ღერძად.

ქართული კინოს ისტორიაში არნახული წარმატება ერგო წილად „მაგდანას ლურჯას“, მან რამდენიმე პრიზი მიიღო საერთაშორისო კინოფესტივალებზე, მათ შორის კანის IX საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზი - „ოქროს რტო“ და I პრემია ედინბურგის X საერთაშორისო კინოფესტივალზე.

ამის შემდეგ რეზო ჩხეიძემ და თენგიზ აბულაძემ დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე გააგრძელეს თავიანთი მოღვაწეობა და მალე ისინი ქართული კინოს კლასიკოსებად იქცნენ.

რ. ჩხეიძის ფილმებს ახასიათებს მაღალი იდეურობა, სიახლის გრძნობა, სისადავე, მოქალაქეობრივი ჟღერადობა. მისი გმირები ქართული სულით, ამაჟად დააბიჯებენ მსოფლიო გზებზე და დიდი სიკეთისაკენ უხმობენ ადამიანებს.

ლიტერატურა:

გაბაშვილი ე. გაბაშვილი, ქართული პროზა, „წიგნი XIII გვ. 708
 ჯალაღანია - ჯალაღანია რ, „სიმადლე“ თბ., 1981
 „რეზო ჩხეიძე - კინოს დიდ გზაზე“ - 2011

Марина Кацарава, Лейла Абзианидзе

"Лурджа Магданы" - красота грузинского кино

Резюме

Дебют Р. Чхеидзе и Т. Абуладзе художественного фильма « Лурджа Магданы» был очевидный пример влияния итальянского кино и кино в неореализме. Молодой режисеры решили экранировать рассказ Е. Габашвили. Оригинальный сюжет, персонажи крайне ухудшилось душевную боль. История очень впечатляющая и чувствительна, и реагирование на итальянском неореализм. История параллели между историями и прохождения ясно, что авторы выдвинули благородных человеческих качеств.

1955 году Фильм «Лурджа Магданы» взял гран-при "Золотая ветвь" на Каннском международном фестивале, а также была удостоена первой премии на фестивале в Эдинбурге.

Marina Katsarava, Leila Abzianidze

"Magdana's Lurja" - beauty of Georgian cinema
Abstract

R. Chkheidze and . Abuladze's debut feature film "Magdana Blue" was an obvious example of the influence of Italian cinema and cinema in neorealizms. The young condustors decided to screen the short story of E. Gabashvili . The original story, characters are extremely deteriorated mental pain. The story is very impressive and sensitive, and responding in Italian neorealizms. The story parallels between the stories and the passage it is clear that the authors put forward a noble human qualities.

1955 Film "Magdana's Lurja" took the grand prize at the Cannes International Film Festival "Golden branch", and was awarded the first prize at the Edinburgh festival

რეცენზენტი: პროფ. გ. გოგოლაშვილი

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

გიგა ქამუშაძე

ქუთაისი, საქართველო

თურქული ენის გავლენის შედეგებისათვის იანეთში რეპატრიირებულთა ქართულ მეტყველებაზე

მეორე მსოფლიო ომის დასასრულს საბჭოთა იმპერიის ხელისუფალთა მიერ საქართველოს სამხრეთ რაიონებიდან (ისტორიული სამცხე-ჯავახეთიდან) შუა აზიაში გადასახლებული და მე-20 საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში რეპატრიირებულ ადამიანთა ამჟამინდელი მეტყველება მრავალმხრივია საკვლევი.

მეორე მსოფლიო ომის დასასრულს საბჭოთა იმპერიის ხელისუფალთა მიერ საქართველოს სამხრეთ რაიონებიდან (ისტორიული სამცხე-ჯავახეთიდან) შუა აზიაში გადასახლებული და მე-20 საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში რეპატრიირებულ ადამიანთა ამჟამინდელი მეტყველება მრავალმხრივია საკვლევი, ვინაიდან საზოგადოებას ინტენსიური ენობრივ-კულტურული ინტერფერენციის პირობებში უხდებოდა ცხოვრება.

დღეისათვის რეპატრიანტთა რაოდენობა იანეთის მე-9 უბანში (საერთოდ, დასავლეთ საქართველოში მდებარე ეს უდიდესი სოფელი უბნებად დაყოფილი) ასოთხმოც კაცს აღწევს.

დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ რეპატრიანტთა დიდი ნაწილი უზბეკეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოვიდა. მათ აბსოლუტურ უმრავლესობას დღეს ქართული პასპორტები და მოქალაქეობა აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ რეგიონში ცხოვრობს ყველაზე პროქართულად განწყობილი ნაწილი მუსლიმანი მოსახლეობისა. მათ უმრავლესობას უკვე აღდგენილი აქვს წინაპართა გვარები. აქ ცხოვრობენ ლაზიშვილები, ერისთავები, მამისაშვილები, ჩხეიძეები, ბექაძეები, აბულაძეები... ზოგიერთი მათგანი კი გვარის აღდგენის გაწეული პროცედურისა და უსახსრობის გამო ჯერჯერობით გამოგონილ და თავსმოხვეულ გვარს ატარებს.

ამ ხალხის მეტყველება ძირითადად თურქულია, მაგრამ მას განცდილი აქვს სხვა ენათა გავლენებიც. კერძოდ, იანეთელ რეპატრიანტთა თურქულ მეტყველებაში ბუნებრივია პ, ტ, წ, ჭ, კ, ყბგერები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ თურქული ქართულის ძლიერ გავლენას განიცდიდა; კერძოდ, საუკუნეების წინ მესხეთში ჩამოსახლებულ თურქულ ტომთა ამჟამინდელი მეტყველება აირეკლავს ასიმილირებულ ავტოქტონ ქართველთა სუბსტრატულ ფენას. საყურადღებოა ისიც, რომ ქართულ თავისებურ ბგერებს ვხვდებით არა მარტო ქართული წარმომავლობის სიტყვებში, არამედ თურქულ სიტყვებშიც. ქართული სუბსტრატი ძლიერ თვალსაჩინოა აგრეთვე ლექსიკაში. შეიძლება ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგში ტერმინოლოგია ქართულია.

რამდენიმე წლის წინ აწსუ ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის გეგმის მიხედვით დავიწყოთ შესწავლა იმ მეტყველებისა, რომელზეც დასავლეთ საქართველოში, სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთში დასახლებული მესხეთიდან დეპორტირებულთა შოამომავლები მეტყველებენ.

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მიერ შედგენილი სპეციალური პროგრამა-ინსტრუქციისა და ოცდაათამდე დარგობრივი კითხვარის მიხედვით მასალა ჩავიწერეთ იანეთში რეპატრიირებული მოსახლეობისაგან აუდიო კასეტებზე და შემდეგ ტექსტურ ფაილად გადაწერილი ინახება ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტში. მასალა ჩავიწერეთ თითქმის ყველა ასაკისა და სქესის ადამიანისაგან.

ზოგჯერ თავს იჩენს თურქული მეტყველების გრამატიკულ ნორმათა გავლენა აქაურთა ქართულ მეტყველებაზე.

ასეთი გავლენის ნიმუშად მიგვაჩნია ის გარემოება, როდესაც წარმომავლობის სახელი, რომელიც უსულო საგნის აღმნიშვნელ სუბსტანტივს ასახავს, ნაცვლად -ულ(ურ) სუფიქსისა, ნაწარმოებია -ელ სუფიქსით; ჩემი ბიჭის სახელი ქართველია; ქართველი სოფელი ყველა გადასახლდა და ამ ადგილზე სომხები შემოიყვანეს; ჩემი შვილი ქართველათ კარქათ იმღერეფს...

ამ მოვლენის მიზეზი ისაა, რომ მოქმელი ზედსართავის ფორმებს ქვეცნობიერად თურქული ენის ნორმების მიხედვით აწარმოებს. თურქულ ზედსართავებში აფიქსებით არაა გარჩეული სულიერ და უსულო საგანთა წარმომავლობა. მაგალითად, ზედსართავი Gürcü ერთდროულად ნიშნავს „ქართველსაც“ და „ქართულსაც“.

შდრ.: Gürcü sanatçı (ქართველი მომღერალი)

Gürcü şarkı (ქართული სიმღერა)

ამ ვითარების გავლენით იანეთელ რეპატრიანტებს ხშირად უჭირთ ქართულსა და ქართველს შორის განსხვავების დანახვა.

მსგავსი სიტუაცია გვხვდება სინტაქსშიც. ქართულ წინადადებებში ზოგჯერ ვლინდება თურქული ენის სინტაქსური ნორმები. გვაქვს თავისებური სინტაქსური კალკები:

მაგის ბავშვები არის (შდრ.: თურქ.: Onun çocukları var); გადასახლების დროს მამამისი პროკურორი იყო და ოჯახში ბევრი დოკუმენტი იყო (შდრ.: თურქ.: Sürgün sırasında babası savcıydı ve ailede çok evraklar vardı); აქ ყველანი არი პენსია, ვინ ახალი მოვიდა, იმისი არ არი (შდრ.: თურქ.: Burada herkesin emekli maaşı vardır, yeni gelenlerin yoktur); უზბეკეთიდან განსხვავებით, ჩვენ ჩვენი წესი გვაქვს (შდრ.: თურქ.: Uzbekistan'dan farklı adetlerimiz var); რატომ შენ პასპორტში ქართული დაწერე (შდრ.: თურქ.: Neden sen pasaportuna Gürcü yazdın); რატომ შენ თურქს ეძახი შენ თავსო? (შდრ.: თურქ.: Neden kendine Türk söylüyorsun?); რატომ შენ თურქულათ ლაპარაკო? (შდრ.: თურქ.: Neden sen Türkçe konuşuyorsun?); რატომ ჩვენ ვართ თურქი მესხი?! (შდრ.: თურქ.: Neden biz Türk Mesk'iz?); სომხების ბევრი ხალხი თურქეთიდან არიან (შდრ.: თურქ.: Ermeniler'in çoğu Türkiye'den dir); სომხების საქართველოში მიწა არ არის (შდრ.: თურქ.: Ermeniler'in Gürcistan'da yeri yok); სტატუსი ჩვენი ხალხის არ არის (შდრ.: თურქ.: Bizim milletimizin statüsü yok); ასეთი არ შიიძლება (შდრ.: თურქ.: Öyle olmaz); რუსეთის დროზე, საბჭოთა კავშირი რო იყო, მაგ დროი დაწერილია (შდრ.: თურქ.: Rusya zamanında Sovyetler olduğu zaman yazılmıştır); ჩვენი წყალი ვაფშე არ არის (შდრ.: თურქ.: Suyumuz hiç yok).

თურქული ენის გავლენით განვითარებულ სინტაქსურ თავისებურებათაგან აღსანიშნავია ქვემდებარის შემასმენელთან შეთანხმების აღრევა. სულიერი საგნით გამოსატული ქვემდებარე ხშირად შემასმენელს მსოფლიოთ რიცხვში ითანხმებს: ესენი ილაპარაკოს თათრულათ და ქართულათ; ებრაელები ხო ცხოვრობდა ჩვენში, კულაში; მაგენი აქ ცხოვრობდა და იციან რა...

თურქული ენის გავლენითაა გაბუნდოვნებული შემდეგი წინადადების შინაარსიც: მე არ მოგცემ მაგას იმ ბიჭს; კაი შტრაფს კიდო მიგცემენ; ზროხა მყამს, ჩემი რძლის მამამ მიცა, ჩემ ძმამ მიცა ერთი; ჩემზე ეს მთავრობა ჯობია; ჩემზე ყველაზე მეტად ჯობია ჩემი მშობლები; ...

მიმართებითი ნაცვალსახელი უმეტეს შემთხვევაში –ც ნაწილაკის გარეშე არის წარმოდგენილი: პატარა რომელია, მაგი დარჩა ოჯახში; რომელი პირველი მოვა; ის რჩება სახლში, იმყერი არ ვიცით, რაფერი მაგენი იციან; ესლა ქათმები, რომელი ჩვენ ჭამს, ყველა ბალზამის წამალია...

ქართულ ენაში მიმართებითი ნაცვალსახელი იწარმოება კითხვით და კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელისაგან ც ნაწილაკის დართვით და სწორედ ეს ნაწილაკი უკარგავს მას კითხვითის შინაარსს და აქცევს მიმართებითად. ძველ ქართულში მიმართებითი ნაცვალსახელი ც ნაწილაკს არ დაირთავდა, ამის გამო ფორმით კითხვითს ემსგავსებოდა, მაგრამ მათი გარჩევა არ იყო ძნელი, რადგან კითხვითი ნაცვალსახელი მარტივ წინადადებაში გამოიყენებოდა, მიმართებითი კი – რთულში. ასეა დღესაც ზოგ ევროპულ ენაში [ფეიქრიშვილი, 1992:108].

თურქულ ენაში მიმართებითი ნაცვალსახელი არ არსებობს. მის ფუნქციას უმეტეს შემთხვევაში ასრულებს –**An** მიმღეობა. საილუსტრაციოდ შეიძლება ვთარგმნოთ აქ მოტანილთაგან ერთი წინადადება: პატარა რომელია, მაგი დარჩა ოჯახში ‘*Küçük olan ailede kalır*’. აღნიშნულ თურქულ წინადადებაში არ ფიქსირდება არა თუ მიმართებითი ნაცვალსახელი, კითხვითი ნაცვალსახელიც კი. ზმნის ფუძეს **ol** დაერთვის მიმღეობის აღმნიშვნელი –**An** სუფიქსი, რომელიც ამ შემთხვევაში მიმართებითი ნაცვალსახელის ფუნქციას ასრულებს [კონონოვი, 1956: 236].

აღნიშნული –**An** მიმღეობითი ფორმა ხშირ შემთხვევაში შესაბამის ქართულ ელემენტებს ენაცვლება და ამით ქართული წინადადების სტრუქტურას გარკვეულწილად ცვლის.

დექსიკური თვალსაზრისით საინტერესოა სიტყვა „საქართველოს“ გამოყენება „ქართველის“, „ქართველობის“ მნიშვნელობით: ხუთასი ოჯადი საქართველო ვიყავით; მთელი თურქეთში მილიონამდე საქართველო არი ხალხი...

როგორც დავინახეთ, რეპატრირებულთა მეტყველების სინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმი ძირითადად თურქულია და თავისთავადობას დღემდე ინარჩუნებს, თუმცა განსხვავებულ გარემოში თანაცხოვრება იანეთელთა მეტყველებას თავისებურ ელფერს აძლევს და მრავალფეროვანს ხდის მათ მეტყველებას.

ლიტერატურა:

1. **Кононов** 1956: Кононов А. Н. *Грамматика современного турецкого литературного языка*, Издательство Академии Наук СССР, М.-Л.
2. 1. ფეიქრიშვილი 1992: ფეიქრიშვილი ჟ. ქართული ენის მორფოლოგია, თბილისი
3. 2009-2011 წლებში იანეთში აწერილი დიალექტური მასალა.

გიგა კამუშაძე**Действие турецкого языка в Ианети на диалект репатрированного грузинского языка
Резюме**

В конце Второй мировой войны, советскими властями в юга Грузии (исторический Самцхе-Джавахети) переселенцев в Среднюю Азию и 80-х годов 20-го века репатриантов в Грузии нынешнюю речь нужно исследовать многосторонне.

Несколько лет назад университет имени Акакия Церетели по данным грузинского института диалектологии начал изучать по намеченному плану тот диалект, по которому в западной Грузии в Самтрედском районе, селе Ианети, говорят люди заселенные потомками депортированных месхетинцев.

Иногда выявляется диалект нормы турецкого грамматического языка, который влияет на грузинский диалект.

Giga Qamushadze**The action of the Turkish language in Ianeti on the dialect of the Georgian language repatriated
Abstract**

At the end of the Second World War, the Soviet authorities in south Georgia (historic Samtskhe-Javakheti) persons in Central Asia and the 80s of the 20th century immigrants in Georgia, it is necessary to investigate the current multilaterally.

Several years ago, University of Akaki Tsereteli, according to the Georgian Institute of dialects began to study as planned the dialect in which the western Georgia Samtredskiy area Ianeti village, inhabited by the descendants of people say the deported Meskhetian.

Sometimes detected dialect of Turkish grammatical rules of language, which affects the Georgian dialect.

რეცენზენტი: პროფ. ნ. გელდიაშვილი

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

სოფიო ყიფიანი

ქუთაისი, საქართველო

ეპისტემური მოდალობის გამომხატველი საშუალებები ე. ჰემინგუის ნაწარმოებში „მოხუცი და ზღვა“

ნაშრომში განხილულია ეპისტემური მოდალობა და ეპისტემური მოდალობის გამომხატველი საშუალებები ე. ჰემინგუის ნაწარმოებში მოხუცი და ზღვა. წარმოდგენილი მაგალითების საფუძველზე ვასკენით, რომ ეპისტემური მოდალობა უმეტესწილად ვარაუდის მოდალობაა. ეს ვარაუდი კი საფეხურებრივი ხასიათისაა, რომლის უმდაბლეს საფეხურზე გვაქვს დიდი ეჭვი, ხოლო მომდევნო საფეხურზე ეჭვი თანდათანობით მცირდება დარწმუნებულობის მაქსიმალურად გაზრდის ხარჯზე.

ენათმეცნიერებაში მოდალობის რამდენიმე სახე გამოიყოფა, მაგრამ სხვადასხვა მეცნიერთან ეს განსხვავებულ კრიტერიუმზე დაყრდნობით ხდება. ჩვენს სტატიაში შევეცდებით განვიხილოთ ეპისტემური მოდალობის გამომხატველი მაგალითები ერნესტ ჰემინგუის ნაწარმოების „მოხუცი და ზღვის“ მიხედვით.

ტერმინი ეპისტემური ბერძნული „ეპისტემე“- დან წარმოიშვა და „ცოდნას“ ნიშნავს, ამდენად ეპისტემური მოდალობა ჭეშმარიტების სტატუსს ანიჭებს გამონათქვამს მოლაპარაკის ცოდნის ფონზე [გოქსაძე ... 1988: 124]. ეპისტემური მოდალობა სუბიექტურია და გულისხმობს: „ეს ასეა, რამდენადაც მე ვიცი“ (და არა როგორც ცნობილია).

ეპისტემური მოდალობა პროპოზიციას აძლევს აუცილებლობის სტატუსს. გამონათვამი, რომელიც ეპისტემურ მოდალობას შეიცავს, პროპოზიციას წარმოაჩენს როგორც ყალბს ან ჭეშმარიტს.

განარჩევენ ეპისტემური მოდალობის ორ სახეს: ეპისტემური შესაძლებლობა, ვარაუდი (Epistemic possibility) და ეპისტემური აუცილებლობა, გარდაუვალობა (Epistemic necessity).

ეპისტემური ვარაუდის შემთხვევაში ხაზგასმულია პროპოზიციის ჭეშმარიტება, ეპისტემური აუცილებლობისას კი, მოლაპარაკეს, მის მიერ შეძენილი ცოდნის საფუძველზე მიაჩნია, რომ ვარაუდი რაიმე გამონათქვამის შესახებ ჭეშმარიტია და პროპოზიციის ჭეშმარიტება არ შეიძლება ეჭვის ქვეშ იყოს დაყენებული.

ეპისტემური ვარაუდი, უმთავრესად, *may* მოდალური ზმნით გადმოიცემა, რომელიც გამოხატავს რეალობის ობიექტსა და განსაზღვრულ ნიშანს შორის კავშირის ეპისტემურ შეფასებას, დაფუძნებულს მოსაუბრის ვარაუდზე. მოდალური ზმნა *may* გამოხატავს „ფაქტობრივ შესაძლებლობას“ - **factual possibility** - რეალობის ობიექტსა და ნიშანს შორის კავშირის განხორციელების ალბათობას:

I will make it later on. Or I may eat the rice cold.

მოდალური ზმნა *can* გამოხატავს მოქმედების ზოგად ალბათობას, რეალობის ობიექტსა და ნიშანს შორის კავშირის განხორციელების შესაძლებლობას, რომელიც დამოკიდებულია

ობიექტის თვისებებზე და ხასიათზე (ზოგიერთ ავტორს, მაგალითად, პალმერს მოცემული მნიშვნელობა შინაგან ან დინამიურ მოდალობად მიაჩნია).

ეპისტემური *can* და *may* შეიძლება დაუკავშირდეს სხვადასხვა სახის ინფინიტივს, მაგალითად: განგრძობითი (Continuous), სრული (Perfect), ვნებითი (Passive), რაც არ არის დამახასიათებელი მოდალურ ზმნათა სხვა მნიშვნელობებისათვის, მაგალითად, ნებართვისა და ობიექტური შესაძლებლობის მნიშვნელობებისათვის. ასეთი სახის ინფინიტივის შეთანხმება ინფინიტივის სრულ დროსთან შეიძლება გამოიყენებოდეს მოდალური ზმნის ეპისტემური მნიშვნელობით. კითხვით წინადადებაში მოდალური ზმნა *can* გამოიყენება ნებისმიერი სახით ინფინიტივთან შეთანხმებაში. უარყოფით წინადადებას *can* მოდალური ზმნით შეიძლება ჰქონდეს დამატებით ემოციური ელემენტი იმისა, რომ სჯეროდეს ვარაუდის:

- Anyone can be a fisherman in May.
- Come on and eat. You can't fish and not eat.
- Chris can't have gone. He's making a turn.

Can it be anger, or the greater speed he makes that brings them out?

could და *might* გამოიყენება ჰიპოთეტურ გამოთქმათა გამოსახატავად, როგორც კავშირებითი კილოს ფორმა არარეალურ პირობებში:

აწმყო დროის კონტექსტში ეს ფორმები გამოხატავენ ალბათობას, მოსაუბრის დარწმუნებულობის ხარისხს ობიექტსა და განსაზღვრულ ნიშანს შორის კავშირისას.

- If it were necessary, a fish could take out over three hundred fathoms of line.
- It could have been a marlin or a broadbill or a shark.
- He might have gone with us.

Now everything is cleared away that might make trouble.

ეპისტემური აუცილებლობა გარკვეული დოზით მაინც შეიცავს ვარაუდს, უფრო ზუსტად, იგი შეუძლებლობის უარყოფას წარმოადგენს და ამდენად, პროპოზიციას წარმოგვიჩენს როგორც თითქმის უეჭველს.

ლოგიკური აუცილებლობის მოდალობა დაფუძნებულია ლოგიკურ დასკვნაზე, უტყუარ ფაქტებზე, რაიმეს წინასწარ ცოდნაზე, თვითმიხედვლის მტკიცებულებებზე. ლოგიკური აუცილებლობის გამომხატველი მოდალური გამოთქმები შეიძლება შევავსოთ ლოგიკური მსჯელობის ჯაჭვით. **Must** გადმოცემს დასკვნას, რომელსაც აკეთებს მოსაუბრე რეალური ფაქტების საფუძველზე, თუმცა ეს დასკვნა არაა საკმარისი ობიექტსა და ნიშანს შორის კავშირის არსებობის დამტკიცებისათვის. ამ თვალსაზრისით აქ გაკეთებული ყველაზე „ძლიერი“ დასკვნაც კი „სუსტია“ რეალობის მოდალობასთან შედარებით, რომელიც გამოიხატება თხრობითი კილოთი. არ შეიძლება დავეთანხმოთ აზრს, რომ *must* გამოხატავს დარწმუნებულობას. ძირითადი დასკვნა ჩვეულებრივ არის გამოტანილი ან ადვილად ჩანს კონტექსტიდან: [კვილიდეი 1970: 329]

- My big fish must be somewhere.
- I must remember to eat the tuna before he spoils in order to keep strong.
- He is a great fish and I must convince him, he thought.
- Now I must convince him and then I must kill him.

Will შეიძლება იყოს კონკრეტული სიტუაციის ძიების შედეგი. ის ხშირად ატარებს „წინასწარმეტყველურ“ ხასიათს. ხშირად *will* გამოხატავს დასკვნას, რომელსაც საფუძველად უდევს ობიექტის ხასიათი. გამოიყენება ჩვეულებრივი მოვლენების აღსანიშნავად (habitual events). *Will* ასევე გამოხატავს მტკიცე ვარაუდს. **Must** ხშირად გამოხატავს დასკვნას ფაქტებზე და მოვლენებზე დაყრდნობით, *will* - მოსაუბრის მოცემული ცოდნის, ინფორმაციის შედეგად:

- No fish will come along so great that he will prove us wrong.
- This will kill him, the old man thought.
- But I will kill you dead before this day ends.

Would will - ის შერბილებური ფორმაა და მისი გამოყენება მეტყველებაში მნიშვნელოვნად

ადემატებას will-ის გამოყენებას, განსაკუთრებით ჩვეულებრივი მოქმედებისა და ქცევის გამოხატვისას:

He knew he would shiver himself warm and that soon he would be rowing.

Sometimes someone would speak in a boat.

It was quit light and any moment how the sun would rise.

should მოდალური ზმნა გამოხატავს ლოგიკური აუცილებლობის მნიშვნელობის შესუსტებულ ფორმას, ე.ი. მოსაუბრის მიერ გამოთქმულ დასკვნას. აქვს დარწმუნებულობის ელფერი. ასევე ურთიერთნაცვლებადია ეპისტემური აუცილებლობის გამომხატველი must და should, იმ განსხვავებით, რომ should ოდნავ უფრო მორიდებული, თავაზიანი ფორმაა და მისი ხმარება თანამედროვე ინგლისურში უფრო ხშირია. მაგალითად:

You should not be that tired after a windless night.

He thought he should chew some more of the dolphin.

Do you think we should buy a terminal of the lottery with an eighty-five?

მოდალური სიტყვები სასაუბრო მეტყველებაში ეპისტემური მოდალობის გამოხატვის გავრცელებული საშუალებაა. ხშირია ინგლისური მოდალური სიტყვების probably, perhaps, maybe, possibly, presumably, hardly, scarcely, surely, certainty გამოყენება:

Perhaps I should have been a fisherman, he thought.

Certainly his back cannot feel as badly as mine does.

This is hardly sweet at all and all the strength is still in it.

Surely it will uncramp to help my right hand.

Maybe he suddenly felt fear.

მოყვანილი ანალიზის შედეგად, ვფიქრობთ, უმართებულო არ იქნება შემდეგი დასკვნის გამოტანა: ეპისტემური მოდალობა უმეტესწილად ვარაუდის მოდალობაა. ეს ვარაუდი კი საფეხურბრივი, გრადუალური ხასიათისაა, რომლის უმდაბლეს საფეხურზე გვაქვს დიდი ეჭვი და ამის შესაბამისად დაურწმუნებულობის მაღალი ხარისხი, ხოლო მომდევნო საფეხურზე ეჭვი თანდათანობით მცირდება დარწმუნებულობის მაქსიმალურად გაზრდის ხარჯზე.

ლიტერატურა:

1. გოქსაძე ლ., ბოლქვაძე ს. მოდალობის კატეგორიის სემანტიკისა და სინტაქსის თაობაზე, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, 1988
2. Palmer F. R. *Modality and the English modal*, London - New York: Longman, 1976.
3. Halliday M. A. K. *Functional diversity in language as seen from a consideration of modality and mood in English*, Foundations of Language, N 6, 1970.
4. Hemingway E. *The Old Man and the Sea*, London: Penguin Books, 1966.

Софио Кипиани

Эпистемические модальности Э. Хемингуэя "Старик и море"

Резюме

В статье рассматриваются эпистемические модальности и средства ее выражения в Э. Хемингуэя "Старик и море". На основании представленных примеров мы можем лишь заключить, что эпистемической модальности в основном модальности возможного. Эта возможность постепенного характера, на низком уровне у нас есть большие сомнения и на следующий шаг уверенность постепенно увеличивается.

Sophio Kipiani

Epistemic modality in E. Hemingway's "The Old Man and the Sea"

Abstract

The article deals with the epistemic modality and the means of expressing it in E. Hemingway's "The Old Man and the Sea". Based on the presented examples we can only conclude that epistemic modality is mostly modality of possibility. This possibility has the gradual character, on lowest level we have great doubts and on the next step confidence gradually increases.

რეცენზენტი: პროფ. მ. ღარიბაშვილი

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

ელისო ქორიძე

ქუთაისი, საქართველო

დისკურსი - ენათმეცნიერული თუ ფილოსოფიური ცნება?

დისკურსის ცნება მნიშვნელოვანი და აქტუალურია, როგორც ენათმეცნიერებაში, ასევე ლიტერატურატმცოდნეობასა და ფილოსოფიაში. არსებობს დისკურსის სხვადასხვა განმარტება, რომელთა მიხედვითაც დისკურსი არის მრავალპლანიანი ცნება. იგი დაკავშირებულია როგორც ენობრივ, ასევე არაენობრივ განზომილებებთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვერბალურ კომუნიკაციაში სოციალურ-ისტორიული ფონი. დისკურსის ანალიზი საინტერესოა როგორც ლინგვისტური, ასევე ფილოსოფიური კვლევებისათვის.

ბოლო დროს დისკურსის ცნება განსაკუთრებით აქტუალური გახდა. მისი გამოყენება ხდება არა მარტო შინაარსისა და დარგის შესაბამისად, არამედ იგი ხშირად ქდერს როგორც მოდური სიტყვა, რომელიც ამ შემთხვევაში ეფექტუა ორიენტირებული და შეუსაბამოა გამონათქვამის კონტექსტთან. პეტერ შოტლერის მიხედვით, დისკურსის ცნება აუცილებელი გახდა, როგორც სასკოლო მუშაობისას, ასევე თვით საგაზეთო ფელეტონის დაწერისას: „Das Wort ›Diskurs‹ ist in den letzten Jahren derart modisch geworden, daß man am liebsten vermeiden möchte, es weiterhin zu propagieren oder zum Gegenstand theoretischer Überlegungen zu machen... Kein Oberseminar mehr ohne Diskurs. Aber auch: kein Feuilleton mehr ohne Diskurs, keine Volkshochschule, keine Talk-Runde, kein Juso-Ortsverein“ (Schöttler, 1997: 134).

ლექსიკონებსა და სპეციალურ ლიტერატურაში დისკურსი განიხილება, როგორც სამეტყველო სისტემის სოციალურად განპირობებული ორგანიზაცია და განსაზღვრული პრინციპები, რომელთა შესაბამისად კლასიფიცირდება და წარმოდგება რეალობა დროის ამა თუ იმ პერიოდებში.

1960-70-იან წლებში დისკურსი განიხილებოდა, როგორც წინადადებათა ან სამეტყველო ქმედებათა ურთიერთდაკავშირებული და შეთანხმებული თანმიმდევრობა.

ზოგი განმარტების მიხედვით, დისკურსი არის რთული საკომუნიკაციო მოვლენა, რომელიც ტექსტის გარდა მოიცავს ასევე ამ ტექსტის გასაგებად აუცილებელ ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს (სამყაროს შესახებ ცოდნა, აზრი, ადრესატის მიზნები).

ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მისი განსხვავებული განმარტებები გვხვდება. ტექსტის ლინგვისტიკა და დისკურსის ანალიზი დისკურსს განსაზღვრავს, როგორც თემატურად, კულტურულად ან კიდევ რამე ნიშნით ურთიერთდაკავშირებული ტექსტების ერთობლიობას, რომლის განვითარება და შევსება შესაძლებელია დამატებითი ტექსტებით.

ზოგი მოსაზრებით, დისკურსი ფილოსოფიური ცნებაა. იმ განმარტების მიხედვით, რომელიც სოციოლოგიასა და სოციალურ სემიოტიკაშია მიღებული, დისკურსი არის ურთიერთობა, რომელიც განიხილება როგორც „გარკვეული დისკურსული პრაქტიკების განხორციელება“ (მ. ფუკო). „Es ist eine Aufgabe, die darin besteht, nicht - nicht mehr - die Diskurse als Gesamtheit von Zeichen ..., sondern als Praktiken zu behandeln, die systematisch die Gegenstände bilden, von denen sie

sprechen. Zwar bestehen diese Diskurse aus Zeichen; aber sie benutzen diese Zeichen für mehr als nur zur Bezeichnung der Sachen. Dieses *mehr* macht sie irreduzibel auf das Sprechen und die Sprache. Dieses *mehr* muß man ans Licht bringen und beschreiben“ (Foucault, 1996: 35)

განსხვავებულია იურგენ ჰაბერმასის დეფინიცია, რომლის მიხედვითაც დისკურსი გამოიყენება სოციოლოგიაში, მაგრამ ასევე გამოიყენება ლოგიკასა და ფილოსოფიაში: იგი განისაზღვრება როგორც სამეტყველო კომუნიკაციის სახეობა, რომელიც გულისხმობს სოციალური ცხოვრების ღირებულებათა, ნორმათა და წესთა რაციონალურ კრიტიკულ განხილვას და რომლის ერთადერთი მოტივია ურთიერთგაგების მიღწევა. დისკურსიული ანალიზი შეიძლება იყოს ფილოსოფიური, ლინგვისტური ან ლიტერატურათმცოდნეობითი „Skurstheorien versuchen zu beschreiben, wie Folgen von Äußerungen konstituiert werden. Die Form der Untersuchung kann philosophisch, linguistisch oder auch literaturwissenschaftlich sein“ (Habermas, 1991: 57). ჰაბერმასი დისკურსს აკავშირებს ადამიანის ენობრივ-სამეტყველო უნართან და მიაჩნია, რომ დისკურსი არის კომუნიკაციური რაციონალურობის გამოხატულება, წარმოდგენა (Schauplatz kommunikativer Rationalität). ჰაბერმასისთვის დისკურსი არის არგუმენტირებული დიალოგი, რომელშიც განხილვა მტკიცებულებების ჭეშმარიტება და ნორმათა ლეგიტიმაცია: „jeder Versuch der Verständigung über problematische Geltungsansprüche heißen, sofern er unter Kommunikationsbedingungen stattfindet, die innerhalb eines durch illokutionäre Verpflichtungen konstituierten öffentlichen Raums das freie Prozessieren von Themen und Beiträgen, Informationen und Gründen ermöglichen. Indirekt bezieht sich der Ausdruck auch auf Verhandlungen, soweit diese durch diskursiv begründete Verfahren reguliert sind“ (Habermas, 1991:76)

ლინგვისტიკაში დისკურსის ცნებით დაინტერესებას გარკვეული საფუძველი გააჩნია. დისკურსის განმარტება და საზღვრების დელიმიტაცია უშუალოდ არის დაკავშირებული ტექსტის ცნების განსაზღვრასთან, რომელიც ასევე პირდაპირ კავშირშია ტექსტის ლინგვისტიკის და დისკურსის ანალიზის როგორც დამოუკიდებელი ენათმეცნიერული დისციპლინების დეფინიციებთან.

„საკამათო რჩება ტექსტისა და დისკურსის, შესაბამისად, ტექსტის ლინგვისტიკისა და დისკურსიული ლინგვისტიკის (ანალიზის) გამოჯგნის საკითხი. როგორც ტერმინების პირველი, ისევე მეორე წყვილი სინონიმურად მოიხმარება. მათი დეფინიციები სიზუსტეს მოკლებული, ხშირად ბუნდოვანი და ტერმინოლოგიური სიტყვისთვის არასასურველი მრავალმნიშვნელობით ხასიათდება. მათ დამკვიდრებას ზოგჯერ იმით ხსნიან, რომ „...ზოგიერთ ევროპულ ენაში, რომელსაც არ გააჩნია ანგლო-ფრანკული „დისკურსის“ შესატყვისი ტერმინი, იძულებული გახდნენ შეეცვალათ იგი ტერმინით „ტექსტი“ და, ამრიგად, ელაპარაკათ ტექსტის ლინგვისტიკაზე“ (ფურცელაძე, 1998 :11)

მე-20 საუკუნის დასაწყისში იქმნება ინტერპრეტაციული სკოლა, რომლის დამფუძნებლად ითვლება გერმანელი რომანისტი ლეო შპიცერი. „იგი აღიარებს ენის სოციალურ ბუნებას და ხელფონების ინდივიდუალურობას. ამასთან იგი იმასაც უსვამს ხაზს, რომ ენაში შეიძლება მოვიძიოთ ის, რაც ინდივიდუალურის გამოხატვას ემსახურება.“ ლეო შპიცერმა შეისწავლა და გაანალიზა პირველი მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩაგარდნილი იტალიელი ჯარისკაცების წერილები. „უტკ მათსი მაღალ შეფასებას აძლევს ლეო შპიცერის თეორიას და პრაქტიკას. იგი განიხილავს მის მოღვაწეობას დისკურსიული ანალიზის თეორიის კონტექსტში და თვლის, რომ მან თავის შრომებში პრაქტიკულად ხორცი შეასხა დისკურსიული ანალიზის ძირითად დებულებებს. ლეო შპიცერმა წინ წამოსწია ენობრივი პრაქტიკის სოციალურობა და კონკრეტული მასალის ანალიზით აჩვენა, თუ როგორ არის შესაძლებელი ენობრივ გამოთქმაში სიტუაციის (აგრეთვე პოლიტიკურის) რეკონსტრუირება“ (ფურცელაძე, 1998: 17-18).

გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, დისკურსი სულ უფრო და უფრო იმკვიდრებს თავის ადგილს ლინგვისტიკაში, რაც განპირობებულია ენის კვლევის საზღვრების გაფართოებით:

„Diskursanalyse in den im Folgenden vorgestellten Spielarten in mehrfacher Hinsicht den Anspruch erheben kann, linguistisch zu sein. Erstens, indem sie bei der Theoriebildung auf in anderen linguistischen Teildisziplinen bereits etablierte Modelle zurückgreift bzw. diese erweitert (analytische Sprachphilosophie, Sprechakttheorie, Textplanungs- und Rezeptionstheorien usw.) und zweitens, indem sie sich bei der Analyse eines genuin

linguistischen Methodeninstrumentariums bedient (Erweiterung verschiedener wort-,satz-, textsemantischer Verfahren hin zur Diskurssemantik, Einbezug der Argumentationsanalyse, der Metaphernforschung usw.). Drittens kann sie durch die Wahl linguistischer Gegenstände einen Beitrag leisten zum Problemkomplex "Sprachwandel" zum Themenbereich Spracheinstellungen, Sprachbewusstsein, Sprachmentalitäten, zur Sprachwissenschaftsgeschichte, um nur einige Beispiele zu nennen" (3)

ბოლო წლების გერმანულენობან ენათმეცნიერულ ლიტერატურაში სულ უფრო იკვეთება ტექსტის ლინგვისტიკისა და დისკურსიული ანალიზის გამიჯვნის აუცილებლობა. მაგალითად შეიძლება დასახელდეს ანგელინა ლინკეს, მარკუს ნუსბაუმერის და პაულ პორტმანის „Studienbuch Linguistik.“ შესავალში ვკითხულობთ: „In der Gesprächsanalyse und in der Textlinguistik werden die zwei wohl wenigsten konkreten Erscheinungsformen der Sprache betrachtet, in denen Sprache soziale Funktion bekommt, d.h. intersubjektiv wirksam wird: Gespräche und (geschriebene) Texte. In beiden Disziplinen geht es um die Analyse der besonderen Bedingungen, unter denen Sprache in Gesprächen bzw. Texten gebraucht wird, und um die Regularitäten, die hier zu beobachten sind“ (Linke, 2004:134)

ვფურცელაძე მიუთითებს, რომ ამ პრობლემის გადაჭრა უშუალოდ უკავშირდება წერილობითი ენისა და ზეპირი მეტყველების ურთიერთმიმართებას. აღნიშნულ მონოგრაფიაში გაზიარებულია აზრი, რომ საჭიროა ტექსტის ლინგვისტიკის გამიჯვნა დისკურსიულისაგან და განსაკუთრებით აუცილებელია მაშინ, როდესაც წინა პლანზე წამოიწევა წერილობითი კომუნიკაციის ძირითადი ერთეულის, ტექსტის სპეციფიკის დადგენა, მისი სტრუქტურის აღწერა და სტატუსის განსაზღვრა (ფურცელაძე, 1998: 11).

კრიტიკული დისკურსის ანალიზი განიხილავს ზეპირ და წერილობით დისკურსს როგორც სოციალური პრაქტიკის ერთ-ერთ ფორმას, რომელიც ახდენს სოციალური მიმართებების რეფლექტირებას და ორგანიზებას. კრიტიკული დისკურსის ანალიზის ამოცანას წარმოადგენს, ერთის მხრივ, წარმოადგინოს მიმართება ენობრივ საშუალებებსადა კონკრეტულ დისკურსიულ ქმედებებს შორის, მეორე მხრივ, ურთიერთქმედება დისკურსიულ პრაქტიკასა და პოლიტიკურ, სოციალურ და ინსტიტუციონალურ რეალობას შორის. კრიტიკული დისკურსის ანალიზის მიზანია დააკავშიროს დისკურსის თეორია და ემპირიული დისკურსის ანალიზი საზოგადოების ცვლილებებთან დაკავშირებულ ხდომილებებთან.

დუისბურგის სკოლის წარმომადგენელი ზიგფრიდ იეგერი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია პოლიტიკური დისკურსი, რომელშიც მთავარია ნეო-ფაშისტური, რასისტული და ა.შ. დისკურსები. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ამონარიდი ონლაინ-გაზეთიდან, რომელიც უშუალოდ ქართულ რეალობასთან არის დაკავშირებული:

ქართული არჩევნების რუსული დისკურსი

საქართველოში 1990 წლიდან ჩატარებულ ყველა არჩევნებს დიდწილად განსაზღვრავს ე.წ. რუსული დისკურსი. ტრადიცია გამძლეა და 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინარე პერიოდიც ძირითადად ამ დისკურსს უტრიალებს. ლოზუნგი „რუსი მოდის“ იმდენად ფესვაძლიერია ქართულ ცნობიერებაში, რომ დამფრთხალი ელექტორატი დიდ ყურადღებას არ აქცევს პოლიტიკური ლიდერისა თუ მისი გუნდის ავანზავანს და მზად არის, ბრმად გაჰყვეს იმ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც ულტრარადიკალური ლოზუნგებით წარმოგვიდგენს თავს, როგორც ყველაზე შეურიგებელი ანტირუსული ძალა.

ავტორი კობა ლიკლიკაძე

23.08.2012

იეგერი ერთმანეთს უკავშირებს სოციალური კვლევების დისკურსიულ საფუძვლებს და ლინგვისტიკას იმ მიზნით, რომ დისკურსის ანალიზის მეთოდებით გამოიკვლიოს ადამიანის აზროვნება და ენობრივი ქმედება კონკრეტულ სოციალურ-ისტორიულ კონტექსტში (Jäger, 2004: 84)

დისკურსის კვლევის საქმეში დიდ როლს ასრულებს ასევე ე.წ. ჰაიდელბერგის და მანჰაიმის ჯგუფი. მნიშვნელოვანია დიტრიხ ბუსეს და და ფრიც ჰერმანის მოსაზრებები. ისინი დისკურსიულ ანალიზში უპირატესობას ანიჭებენ ისტორიას და თვლიან, რომ ენის ისტორია არის მენტალიტეტის ისტორია (Sprachgeschichte als Mentalitätsgeschichte). აღნიშნული თეორიები ეყრდნობა ფუკოს დესკრიპციულ-ანალიტიკურ მოძღვრებას.

ვოლფგანგ ტობერტის მიხედვით დისკურსებს ქმნიან თემატურად ერთმანეთთან დაკავშირებული ცალკეულ ტექსტთა კორპუსები. სხვა ტექსტთა კორპუსებისაგან ისინი იმით განსხვავდებიან, რომ ერთმანეთთან ინტერტექსტუალურად არიან დაკავშირებული და ამგვარად ქმნიან ე.წ. წარმოსახვით, ვირტუალურ (*das virtuelle, imaginäre Korpus*) კორპუსს (Busse, Teubert, 1997:76).

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ დისკურსის ცნება, მიუხედავად მისი გავრცელების მოდური ტენდენციისა, თავისი შინაარსით ყველაზე სრულყოფილად განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოიაზრებოდეს სუბიექტი, საგნები და წარმოდგენები ენობრივ კომუნიკაციაში, სოციალური და ისტორიული ფონის გათვალისწინებით.

ლიტერატურა:

1. ფურცელაძე, ვ. ტექსტი როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადება. ნაწილი მეორე. გამომცემლობა „სამშობლო“. თბილისი. 1998.
2. Busse, D. Teubert W. *Linguistische Diskursanalyse: neue Perspektiven*. Springer. 2013.
- Schöttler, P. Wer hat Angst vor dem ›linguistic turn‹? In: *Geschichte und Gesellschaft* 23, H. 1, 1997.
3. Bluhm C, Deissler D, Scharloth J, Stukenbrock A. *Linguistische Diskursanalyse: Überblick, Probleme*. www.scharloth.com/publikationen/scharloth_diskursanalyse.pdf.
4. Foucault, M. *Diskurs und Wahrheit: Die Problematisierung der Parrhesia*. 6 Vorlesungen, gehalten im Herbst 1983 an der Universität von Berkeley/Kalifornien. Merve, Berlin. 1996.
5. Jäger, S. *Kritische Diskursanalyse*. 4. erw. Aufl., Duisburg/Münster. 2004.
6. Habermas, J. *Erläuterungen zur Diskursethik*. Frankfurt am Main. 1991.
7. Linke, A. Nussbaumer, M. Portmann, P. *Studienbuch Linguistik*. Max Niemeyer Verlag. Tübingen. 2004.
8. Schöttler, P. Wer hat Angst vor dem ›linguistic turn‹? In: *Geschichte und Gesellschaft* 23, H. 1, (1997).

Элисо Кориdze

Дискурс лингвистический или философский термин

Резюме

Термин первоначально использовался в дискурсе значение "erörternder лекцию" или "идет вперед и назад разговор" используется. В последнее время, этот термин более изучены в так называемой теории речи и теорий, полученных в различных различных значений. Дискурс теории пытаются описать, как последовательность высказываний состоят. Форма экспертизы может быть философской, языковой или литературоведения. В дополнение к чисто лингвистическое значение дискурса сегодня можно часто, но используется в качестве философского термина в разных значениях.

Eliso Qoridze

Diskurs Resümee

Der Begriff **Diskurs** wurde ursprünglich in der Bedeutung „erörternder Vortrag“ oder „hin und her gehendes Gespräch“ verwendet.

In letzter Zeit wird der Begriff jedoch zunehmend in so genannten Diskurstheorien untersucht und erhält in den verschiedenen Theorien eine unterschiedliche Bedeutung. Diskurstheorien versuchen zu beschreiben, wie Folgen von Äußerungen konstituiert werden. Die Form der Untersuchung kann philosophisch, linguistisch oder auch literaturwissenschaftlich sein.

Neben der rein linguistischen Bedeutung wird *Diskurs* heute vielfach als philosophischer Begriff, jedoch in unterschiedlichen Bedeutungen verwendet.

რეცენზენტი: პროფ. დ. ბახტაძე

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

ნუნუ ჩარკვიანი

ქუთაისი, საქართველო

ჩართული სიტყვები და გამოთქმები და მათი შეპირისპირებითი ევლევა

(ქართული, ინგლისური და ამერიკელი
მწერლების ნაწარმოებების მიხედვით)

ნაშრომი განიხილავს ჩართულის რაობას, მის ტიპებს. მოცემულია ქართველ და უცხოელ ენათმეცნიერთა თეორიები ჩართულ სიტყვებსა და გამოთქმებთან დაკავშირებით.

მრავალნაირი მაგალითების საფუძველზე მოხდა ორი სხვადასხვა სისტემის ენაში აღნიშნული სინტაქსური ელემენტის შედარება-შეპირისპირება.

სიტყვათშეთანხმებები წინადადების ბაზაზე გამოიყოფა, სიტყვათშეთანხმების ცნება არ არის საკმარისი წინადადების სტრუქტურის ანალიზისათვის, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ვერ უზრუნველყოფს ობიექტის დაყოფა-დანაწევრების ამოცანის გადაჭრას. უშუალო შემადგენლები წარმოდგენილია, როგორც ენობრივი სტრუქტურის ანალიზის უნივერსალური ინსტრუმენტი მორფოლოგიურ ან სინტაქსურ დონეზე, მაგრამ სინტაქსის დონეზე არ ვლინდება სპეციფიკური სტრუქტურული ელემენტები.

სინტაქსის ისტორიაში წინადადების წევრთა პრობლემა არაერთხელ ქცეულა განსჯის საგნად. ისევე როგორც სიტყვა, წინადადებაც რთული სტრუქტურაა, რომელიც გულისხმობს მისი ნაწილებად დაყოფის შესაძლებლობას. წინადადების წევრები მიუხედავად მრავალფეროვნებისა, დაიყვანება გარკვეულ რაოდენობამდე. წინადადების წევრთა ტიპის განსაზღვრაში და მათ დაჯგუფებაში მთავარი მომენტი საბაზისო სინტაქსური ერთეულების ფუნქციონალური მსგავსება, ერთიანობაა.

„სიტყვისაგან განსხვავებით წინადადება ენის სისტემაში არ არსებობს, როგორც მზა ერთეული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთი გამონათქვამისა და ფრაზეოლოგიურ ციტირებას. წინადადება კომუნიკაციის პროცესში იქმნება მოსაუბრის მიერ“ (Bloch, 1983:237).

„წინადადების დაყოფას სრულმნიშვნელოვან ნაწილებად თანამედროვე გრამატიკაში უწოდებენ „ნომინანტიურ დაყოფას“ (უფრო ზუსტად კი „გრამატიკულ დაყოფას“ და „სინტაქსურ დაყოფას“) ამ ტიპის დაყოფას საფუძვლად უდევს სინტაგმატიკური მოდელი, რადგან დაყოფა ხდება უშუალოდ წინადადების ნაწილების ბაზაზე. ამ ტრადიციული სინტაქსური ანალიზის გვერდით თეორიულ ლინგვისტიკაში წინა პლანზე წამოვიდა წინადადების თანამედროვე დაყოფა. მიზანი წინადადების ასეთი აქტუალური დაყოფისა გახლავთ ე. წ. „ფუნქციონალური წინადადების პერსპექტივა“ ამ თეორიის მიხედვით წინადადება გვიჩვენებს სრულ ინფორმაციას მეტყველების კონტექსტთან კავშირში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ

აქტიური (თანამედროვე) დაყოფით წინადადება ავლენს ინფორმაციულ პერსპექტივას (Bloch 1983:243).

ბ. ილიშის სახელმძღვანელოში „თანამედროვე ინგლისური ენის სტრუქტურა“ ვკითხულობთ: „არსებობს სხვადასხვა სინტაქსური ელემენტი, რომელიც შეიძლება ითქვას წინადადების გარეთაა. ყველა ამათ განკერძოებულ სიტყვებად და გამოთქმებად ასახელებენ. ამ ტერმინით აღნიშნავენ სინტაქსური ელემენტების დიდ მრავალსახეობას. საყურადღებოა, რომ სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვა შეინიშნება წინადადების ფარგლებში შემავალ დამატებით ელემენტებს შორის. ერთნი გამოხატავენ მოსაუბრის დამოკიდებულებას წინადადებაში გამოთქმულ აზრთან, მაშინ როდესაც მეორენი დამატებით ინფორმაციას გვაძლევენ წინადადებაში უკვე ნახსენებ ფაქტზე ან მოვლენაზე [Ilyish 1971:233].

აკად. აკ. შანიძის აზრით, კი „წინადადების წევრების გარდა, მოიპოვება სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც წინადადების უშუალო ნაწილს არ წარმოადგენენ და განკერძოებული ადგილი უჭირავთ“ [ა. შანიძე, 1957:71]. როგორც ვხედავთ, ყველა მეცნიერი მათ განკერძოებულად მოიხსენიებს, ასაბუთებენ, რომ ისინი წინადადების უშუალო ნაწილს არ წარმოადგენენ. აქ მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ მათ გარკვეული ფუნქცია აკისრიათ და სწორედ ამიტომ, რომ მათი ამოღებით წინადადების აზრი მკრთალდება და ზოგჯერ ირღვევა კიდევც.

აღნიშნული სიტყვებისა და გამოთქმების ცალკეული სახე მეტად ნაირფეროვანია: ზოგი მათგანი წინადადების ამა თუ იმ წევრის ახსნა-განმარტებას, დამაზუსტებელ ცნობებს შეიცავს (განკერძოებული განსაზღვრება, დანართი), ზოგი აზუსტებს ზმნით გამოხატული მოქმედების ადგილს (განკერძოებული ადგილის გარემოება), ზოგიც - დროს (განკერძოებული დროის გარემოება), ზოგი კიდევ გვიჩვენებს მოსაუბრის დამოკიდებულებას წინადადებაში გამოთქმული აზრისადმი (ჩართული); ზოგიერთი განკერძოებული სიტყვა აღნიშნავს, ვისადმი მიმართული ნათქვამი (მიმართვა), ზოგიც უარყოფს ან ასაბუთებს წინადადებაში გამოთქმულ აზრს (მიგებითი ნაწილაკები) და ბოლოს, ზოგიერთი განკერძოებული სიტყვის მეშვეობით უშუალოდ ვგებულობთ ადამიანის სულიერ განწყობილებას ან გრძნობას (შორისდებული წინადადებაში).

„აკადემიის გრამატიკა ჩართულს ამგვარად განმარტავს: „ეს არის სიტყვები ან გამოთქმები, რომელთაც არავითარი სინტაქსური კავშირი არა აქვს წინადადებასთან; ისინი გამოხატავენ მოსაუბრის დამოკიდებულებას იმასთან, რასაც იგი ამბობს, აფასებენ გამოთქმულ აზრს და მათ კავშირს სხვა აზრთან ან მეტყვევლების უფრო ფართო კონტექსტთან [Ilyish 1971:233].

საინტერესო შეხედულებას ვხვდებით ქართველ გრამატიკოსებთან. ი. ნიკოლაიშვილი თავისი გრამატიკის მესამე გამოცემაში (1917 წ.) ჩართულს დამოუკიდებელ წინადადებად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ მისი გამოტოვებით აზრი არ ირღვევა, რადგან მას არავითარი გრამატიკული კავშირი არა აქვს წინადადებასთან. მ. კელენჯერიძის გრამატიკის ორივე გამოცემაში (1920, 1925 წ.) წარმოდგენილია ხშირად ხმარებული ჩართული სიტყვები და გამოთქმები, თუმცა თანამედროვე შეხედულებით ყველა ისინი შეიძლება ჩართულად არ ჩაითვალოს. ი. სიხარულიძის სახელმძღვანელოში „ქართული ენის გრამატიკა“ (1937 წ.) ჩართულის რაობის განსაზღვრაში სიახლეა შეტანილი. იგი წერს: „ჩართული სიტყვები, გამოთქმები და წინადადებები აღნიშნავენ მოლაპარაკის დამოკიდებულებას წინადადებაში გამოთქმული შინაარსისადმი: მოქმელი ან დარწმუნებულია ნათქვამის სისწორეში, ან თავის ვარაუდს გამოთქვამს, ან მწუხარებას და სხვ. [ი. სიხარულიძე, 1937:118].

ჩართულს განმარტავენ როგორც დამატებით მტკიცებულებას, რომელიც წინადადებაშივეა ჩართული. წინადადების ძირითადი კარკასი შეიძლება გაწყვიტოს დამატებითმა შენიშვნამ, რომელიც აზრის სიცხადეს, სიზუსტეს ან მეტ ინფორმაციას გვაძლევდეს წინადადებაში გამოთქმულ მტკიცებასთან, შეიძლება შედარებით ან პირიქით კონტრასტს გვიჩვენებდეს იმ იდეასთან, რაც უკვე ნახსენებია.

განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმებიდან „ჩართულით“ დაინტერესება სწორედ მისთვის დამახასიათებელი თვისებებით იქნა განპირობებული. აღნიშნული საკითხის შესწავლა

ორ სხვადასხვა სისტემის ენაში (ინგლისური და ქართული) დაეფუძნა ქართველ და უცხოელ ენათმეცნიერთა ურთიერთსაპირისპირო თეორიებს ზემოთმოცემული მოვლენის ირგვლივ.

მკვლევართა უმრავლესობა ჩართულს თვლის წინადადების გარეშე მდგომ სიტყვად. იმ საბაბით, რომ იგი არ შედის გრამატიკულ კავშირში წინადადების დანარჩენ წევრებთან, მათ არც ეთანხმება, არც იმართვის და არც მიერთვის. რადგან ჩართული, როგორც წესი, არ მიუგებს ლოგიკურ კითხვაზე, როგორც წინადადების სხვა წევრები.

თუმცა ზოგი ფიქრობს, რომ „ჩართულსა და წინადადების დანარჩენ ნაწილებს შორის ადგილი აქვს თვისებრივ კავშირს, რომელსაც შეფარდებას უწოდებს (соотношение или соотносительная связь) - (Гуднев, 1949:148). ეს შეფარდება მათი აზრით გრამატიკული კავშირის განსაკუთრებულ ტიპს გულისხმობს.

არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც ჩართულს წინადადების წევრად მიიჩნევს. მათი შეხედულებით მოდალურ-ჩართული სიტყვები, მართალია არ არიან წინადადების ძირითადი შემადგენელი ნაწილები, მაგრამ მაინც წარმოადგენენ წინადადების წევრებს. მისი სემანტიკური ფუნქციიდან გამომდინარე ამ მოვლენას თანამედროვე ამერიკელი და ინგლისელი ლინგვისტები სხვადასხვა სახელწოდებით აღნიშნავენ: ესენია: „წინადადების ზმინიზედა“ (Sentence Adverb), „შეფასების დანართი“ (Evaluating Adjunct), „განკერძოებული მსაზღვრელი“ (Dangling modifier), რემის ზმინიზედა (Comment Adverb) და ა.შ. ადრე იგი ტერმინით "insertion" - იყო ცნობილი უცხოურ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში.

ვებსტერის ლექსიკონში ვკითხულობთ: „წინადადების ზმინიზედა ან ზმინიზედური ფრაზა უფრო მთელ წინადადებასთანაა დაკავშირებული, ვიდრე ერთ სიტყვასთან ან ფრაზასთან. წინადადების ზმინიზედა თანამედროვე ინგლისურისთვისაა დამახასიათებელი. მისი ძირითადი ღირსება მისი კომპაქტურობაა. იგი საშუალებას აძლევს მწერალს ან მოსაუბრეს ერთი სიტყვით ან მოკლე ფრაზით გამოხატოს ის, რასაც შეიძლება ბევრად დიდი მოცულობის წინადადება დასჭირებოდა. (Webster's dict. 1994 (MWDEU 512).

ქ. რენდოლფი და ს. ფრაინბაუმი ჩართულს შემდეგი ტერმინებით მოიხსენიებენ: „შინაარსის დანართი“ და „სტილის დანართი“. ისინი ამ მოვლენის ფუნქციად მიიჩნევენ მოსაუბრის კომენტარის გაკეთებას ნათქვამის სტილსა და ფორმაზე. ამ გრამატიკული მოვლენით ხასიათდებოდა გადმოცემულის სარწმუნოება, სანდოობა თუ ავტორიტეტი. ისინი „სტილის დანართს“ ყოფენ: ა) მოდალობა და გარემოება ბ) პატივისცემა, ხოლო „შინაარსის დანართს“. ა) პირობების ხარისხი ბ) შინაარსის ღირებულება ან შეფასება.

რიჩარდ ნორდქუისი აღნიშნავს, რომ „წინადადების ზმინიზედას“ ინგლისურ ენაში მე-14 საუკუნიდან ვხვდებით, თუმცა ბოლო დროს ამ მოვლენის მიმართ კრიტიკულად განეწყო მეცნიერები.

ინგლისური ზეპირი და წერილი მეტყველების გრამატიკა „წინადადების ზმინიზედის“ პირვანდელ ფუნქციას დამოკიდებული წინადადების შინაარსსა და სტილზე კომენტარის გაკეთებას თვლის. იგი სამ კატეგორიად ჰყოფს მას. 1) ეპისტემური (პიროვნული რწმენა, სიმართლე ან შეფასება 2) დამოკიდებულება (მოსაუბრის დამოკიდებულება ან სიტყვის შეფასება), 3) სტილი (კომენტარის გაკეთება გამონათქვამის სტილზე ან ფორმაზე).

ისევ აკ. შანიძის განმარტებას დაუბრუნდეთ ამჯერად ჩართულის მიმართ. იგი ამბობს: „ჩართული ჰქვია წინადადების წევრთან გრამატიკულად დაუკავშირებელ სიტყვასა თუ სიტყვათა შეკავშირებას, რომელიც გადმოგვცემს, როგორ უყურებს მოქმელი წინადადებაში გამოხატულ აზრს ან თვით გამოთქმის ფორმას, ან კიდევ მიუთითებს წყაროს და სხვა. ჩართული ინტონაციურად (ნაწერში სასვენი ნიშნით) გამოყოფილია წინადადებისაგან, მეტწილად ეხება მთელ წინადადებას, იშვიათად კი მის რომელიმე წევრს (შანიძე, 1957:72).

ჩართული სიტყვა და სიტყვათა შეკავშირება მნიშვნელობის მიხედვით მრავალგვარია. ამ მოვლენის ყველა ტიპზე დაკვირვებამ როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ თუ ამერიკულ ლინგვისტიკაში დაგვანახა საინტერესო სურათი იმისა, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ ავტორებს მათ მიერ ნაწერში გადმოცემული შინაარსის მიმართ, რა მსგავსება და რა გან-

სხვაგვებაა ჩართულის სხვადასხვა ტიპის წინადადებაში, თუმცა ეს შეიძლება ავტორის სტილის განმსაზღვრელიც იყოს.

ჩართულის ძირითადი ჯგუფებია:

1. ჩართული სიტყვა და გამოთქმა გამოხატავს მოდალობას, ე.ი. იმას თუ როგორ უცქერის მოქმედი თქმულის შინაარსს, როგორც ფაქტს, თუ როგორც შესაძლებელ სავარაუდოს. ამის შესაბამისად, ამ ჯგუფში ჩართული სიტყვა-გამოთქმათა ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

ა) ჩართული გამოხატავს, რომ მოქმედი დარწმუნებულია თქმულის უქვევლობა-უტყუარობაში. ცხადია, თავისთავად ცხადია, რასაკვირველია, რა თქმა უნდა, უქვევლია, უთუოდ, აშკარაა, მართლაც და სხვა.

ბ) გამოხატავს მოქმედის ვარაუდს. წინადადებაში გამოთქმული აზრის საეგებიოდ თუ საეჭვოდ მიჩნევას: მგონია, ვგონებ, შესაძლებელია, ალბათ, როგორც ეტყობოდა, ვიმედოვნებ და სხვა.

ჩართულის ზემოაღნიშნული პირველი ტიპი ყველაზე ინტენსიურად გამოიყენება როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ თუ ამერიკულ ლიტერატურაში.

მაგ. 1) მართლაც, ერთი კვირის შემდეგ არუთინამ ჩამოიარა ორი ცხენით და ძახილით... (ფშაველა, 1986:38).

ქართულში ვხვდებით პირველ წინადადებაში მოცემული ჩართულის სხვა ვარიანტებსაც:

2) მართლაც-და, ძლიერ ცოტა სახნავ-სათესი მიწა აქვს ამ სოფელს (ლომოური, 1987:152).

3) ბევრს უცხოს, მართალია, ვეცოდებოდით საწყალი ობლები (ჭავჭავაძე, 1950:238).

4) რა თქმა უნდა, ეს მოგვარდა დიდი მეცადინეობის და გაჭირვების შემდეგ (კლდიაშვილი, 1988:524).

5) რასაკვირველია, რომ ჯიში არ გასწირავს კაცსა (ფშაველა, 1986:60).

ჩართულს „რასაკვირველია“ ვხვდებით როგორც თავში, ასევე შუაში და ბოლოში.

მაგ.: 6) რასაკვირველია, თან უნდა გაეყოლოდი (ჭავჭავაძე, 1950:41).

7) გამომცდელი, ეგ ზამენატორი - პოლკოვნიკია, რასაკვირველია (კლდიაშვილი, 1988:520).

8) ამ განმარტების შემდეგ მკითხველი, ეჭვი არ არის, მიხვდება რასაც ნიშნავდა ის ფიცი და კრება (ნინოშვილი, 1988:20).

9) მუშები ისე ორგანიზებულად ამოქმედდნენ, რომ, ცხადი იყო, მათ შესანიშნავი ხელმძღვანელი ჰყავდათ (კლდიაშვილი, 1988:526).

10) ამ ყმაწვილ ქალს, დარწმუნებული ვარ, იმდენად არ გაიმეტებდა, რომ ის ბედი, ღმერთმა რომ დაუნიშნა, მოაცილოთ ასე და ამით სასტიკად დასაჯოთ (კლდიაშვილი, 1988:87).

1) He underestimated, **no doubt**, the change in the spirit of the age... (Galsworthy, In Chancery 1973:48).

2) This, **doubtless**, accounted for his... (Short Stories, 2004:103).

3) **Undoubtedly** it was colder than fifty below (Short Stories, 2004:158).

4) **There was no doubt**, lurking somewhere in him, a touch of the spirit of the showman (Short Stories 2004:236).

ჩამოთვლილ 4 წინადადებაში ჩართული „უქვევლია“ ინგლისურად 4 ვარიანტად გვევლინება: რომელთაგან ერთს წინადადების სახე აქვს: "There was no doubt".

5) **Obviously**, in a general book of this kind we must ignore many of the less important differences (Gr. textbook:9).

6) In that old war, **of course**, his nephew Val Dartie had been wounded,... (To let 1975:20).

„რა თქმა უნდა“, ინგლისურ ენაში უმეტესად ორი სახით გვხვდება:

7) Here, **surely**, Timothy's own taste would be found... (To let 1975:40)

8) **To be sure**, young Mont had formed a habit of appearing on his -cycle almost (To let 1975:110).

„მართლა“ კი შეიძლება გამოიხატოს სიტყვებით "indeed", "in truth" "really" და ფრაზით "a matter of truth".

9) He never failed, **indeed**, to be astonished at her resource, especially in the evenings (To let 1975:102).

10) But, **in truth**, there was no denying the revolt among the younger Forsytes being owned by other (In Chancery 1973:11).

11) **As a matter of truth**, Jack Potter was beginning to find the shadow (Short Stories:60).

12) **Really** if she had only known. (In Chancery:98).

ზემოთნახსენები „ჩართულები“ ზოგჯერ წინადადების ბადეშია მოქცეული და წინადადების რომელიმე წევრს ან დამოკიდებულ წინადადებას განსაზღვრავს:

მაგ.: 1. He had **certainly done** somethiny heroic (In Chancery:159).

2. It was **really enough** (In Chancery:67).

3. He could bring Annete back quite separated from a past which **in truth** was not too distingwished (In Chancery:14).

4. I was **in doubt** as to the turn to take (In Chancery:95)

ჩართულის პირველი ტიპის მეორე სახეობა (როდესაც მოქმედის ვარაუდია გამოთქმული აზრის საეგებიოდ თუ საეჭვოდ) შემდეგი სიტყვებით და ფრაზებით გადმოიცემა: მგონი, შესაძლებელია, როგორც იტყვიან, ვიმედოვნებ და ა.შ.

1. სულ, ვგონებ, საკმაო ფარა შესდგება (ფშაველა 1986:150).

2. როგორც იტყვიან, ამ სიცოცხლეს სიკვდილი ჯობსო (ნინოშვილი 1978:27).

3. ვგონებ, მეოთხე კვირას ერთ საღამოს ჩემ უმცროს ძმას გააცივა (კლდიაშვილი 1988:115).

გვაქვს შემთხვევა, როცა „ვგონებ“ შუაშია.

მაგ.: სულ, ვგონებ, საკმაო ფარა შესდგება (ფშაველა 1986:150).

4. ალბათ, ღვთის ბრძანებაა (ნინოშვილი 1988:55).

5. იქიდან, ალბად, მტერს მოელის (ფშაველა 1986:118) შუაშია „ალბად“.

სიტყვა „შესაძლებელია“ და „იმედია“ გვხვდება როგორც „ჩართული“, მაგრამ ზოგჯერ შედგენილი შემასმენლის ფუნქციით, რომელსაც დამოკიდებული წინადადება მოსდევს. „იმედია“-ს „იმედი მაქვს“ ცვლის, როცა ცალკე წინადადებასთან გვაქვს საქმე.

6. რომელშიც ესლა, შესაძლებელია, ათასზე ერთი ერია ისეთი ადამიანი, რომელიც კიდევ ფიქრობდა ჯანყის განგრძობაზე (ფშაველა 1986: 142). - ჩართული.

7. შესაძლებელია ცუდი რამ შეგემთხვას, ცუდი რამ მოხდეს (კლდიაშვილი 1988:527).

8. იმედია, რომ ჩვენს საერთო თხოვნას ცოტაოდენს პატივს მაინც დასდებთ (კლდიაშვილი 1988:87). - ცალკე წინადადების სახით.

9. იმედი მაქვს, მივიხვდება სად რა როგორ გააკეთო (ჭავჭავაძე 1950:296).

პუნქტუაციით თუ ვიმსჯელებთ, ზოგჯერ ცთომილება დიდია, რადგან ჩართულიცაა და შედგენილი შემასმენელიც, თუკი მის შემდეგ დამოკიდებელი წინადადება მოდის, მძიმით გამოიყოფა.

1) This, **we beleive**, may be partly attributed to "grammar fatigue" (Gr.:5).

2) **So saying**, he threw it down at her feet, where, perhaps, it assumed life... (Short St.:5).

3) **Probably** the first use of that celebrated phrase so obscure are the origins of even the most classical language (In Chancery:20).

4) **As it might be**, the unlocated centre of a cyclone (In Chancery:160).

ჩართულის შემდეგი სახეობა გვიჩვენებს გადმოცემული ფაქტის ჩვეულებრიობას. ამას კარგად გამოხატავს შემდეგი ჩართული სიტყვა-გამოთქმები: ხომ მოგეხსენებათ, საზოგადოდ, ჩვეულებისამებრ, ჩვეულებრივ, დაპირისპირებისამებრ და სხვ.

მაგ.: 1. ამოდენა კაცს ღამის სულიც აქ დამელიოს, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, შენი ჭირიმე, კუდიანის საქმე ეგ არის (ჭავჭავაძე 1950:213).

2. ... შენ მავანო, მკითხაობა მიჩუქებია შენთვის, მეორეს კიდევ ეტყვის: შენთვის - აქიმობაო, ესე გახლავთ (ჭავჭავაძე 1950:214).

3. ყველა შინაყმები უნდა მობრუნდნენ თავიანთ ბატონებთან, რომლებსაც უნდა ემსახურონ ჩვეულებისამებრ (ფშაველა 1986:142).

4. მარა ხომ გაგიგონია, შენ, აბდალავ, ამღვრეულ წყალში თევზი უფრო დეიჭირებაო (ნინოშვილი 1988:30).

5. ნუ დაუყრი ღორს მარგალიტს, რომ იტყვიან, მართალი ყოფილა (ნინოშვილი 1988:35).

ჩართულის აღნიშნული სახე ძალზე მრავალფეროვნებით ხასიათდება, როგორც ქართულში, ისე ინგლისურში. თითქმის პირდაპირი თარგმანი ნაკლებად ჩანს, თუმცა ფაქტის ჩვეულებრიობის გადმოცემა ორივე ენაში არც თუ ისე ხშირად გვხვდება. შეიძლება ითქვას, რომ ეს ტიპი უმეტესად სამეცნიერო და პუბლიცისტური ხასიათის ტექსტებში გვევლინება.

მა.: 1. **In general**, it should be pointed out that (Gr. 15).

2. and **naturally** I was making special preparation (Short Stories:136).

3. **In fact**, he carried nothing but... (Short Stories:158).

4. **Unsparring and matter - of-fact**, her mind darted to his relations with her own mother (To let 1975:13).

5. And, **as a matter of fact**, I feel very much alive (The End of Chapter:58).

ძალიან საინტერესო მაგალითებს ვხვდებით აზრის ემოციური შეფასების ფუნქციით ჩართულის იმ ჯგუფში, რომელიც გამოხატავს კმაყოფილებას, სიხარულს, წყენას, სინანულს, განცვიფრებას და ა.შ. ასეთებია: სასიხარულოდ, საბედნიეროდ, სამწუხაროდ, გასაოცრად და ა.შ. ეს ეხება ორივე ენას.

მა.: 1) გაგიჟებით უყვარდა სანდროს სცენა, მაგრამ, საუბედუროდ, ძლიერ სუსტი მსახიობი იყო (დ. კლდ. 409).

2) გაჭირვებაში მყოფმა მოვუჭირე მუხრუჭი ჩემს ტვინს და ჩემდა იღბლად, სანამ ტაშისცემა შეწყდებოდა, შევადგინე საპასუხო სიტყვა (კლდიაშვილი 1988:541).

3) ჩვენდა სასიხარულოდ, შესწყდა ჩვენი კარების ბრახაბრუხი (კლდიაშვილი 1988:148).

4) საკვირველია, რომ ჯიში არ გასწირავს კაცსა (ფშაველა 1986:60).

მა.: 1) **Unfortunately**, I can 't. Who could? (the End of Chapter:45).

2) **Luckily**, poor der Roger had been spared this dreadful anxiety (In Chancery:15).

3) **Curiously**, he thought of Roger as Soame's uncle not as his own brother (In Chancery:40).

4) **Fortunately** they had no children (Short Stories:135).

გვაქვს მოელი წინადადება ემოციის გამოსახატავად.

მაგ.: **But it was surprising**, the rapidity with which his cheeks and nose were freezing (Short Stories:164).

ჩართულის შემდეგი სახეობა უფრო ინტენსიურად გამოიყენება ქართულ ენაში, ვიდრე ინგლისურში. ეს კი ეხება შინაარსის გადმოცემის წყაროს.

მაგ.: 1) მისი წარმოდგენით, ერთი დავიდარება უნდა ატეხილიყო უშვილო, ქვრივ დედაბრებს შორის (კლდიაშვილი 1988:120).

2) ხალხურის რწმენით, მოკლულის სული, ჩაღად ქცეული, მუდამ მწუხარე საფლავს არ შორდება, სანამ სისხლი აუღებელია (კლდიაშვილი 1988:419).

3) ჩემის ფიქრით, აგი ჩემი შვილი იმას უნდა ჰგავდეს (ფშაველა:242)

4) მისი სიტყვით, მე უნდა მიმეღო სასტიკი ზომები (კლდიაშვილი :578).

1) **Personally**, I disagree with their ideas (Short Stories:116)

2) Wel, now, **upon my word**, I trought that friend of yours was...(Short Stories:47).

დამოკიდებულებას წინათ გამოთქმულ აზრებთან ან აზრთა თანმიმდევრობას გამოხატავს შემდეგი სიტყვები: მაშ, მაშასადამე, ამგვარად, ამრიგად, დასასრულ, ერთი სიტყვით, სხვათა შორის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჯერ ერთი, მეორეც, ბოლოს, ერთი მხრივ და ა.შ.

1) ჯერ ერთი, გადავრჩი ბერძნულის მასწავლებელს ...(ფშაველა:56)

2) უკანასკნელ, როგორც იყო, მიღუძდა ტარიელის ხმა (ფშაველა:450).

3) ... ერთი სიტყვით, სადაც წაიხელთებდა, მისთვის სულ ერთი იყო, ვინც შეხვდებოდა (ნინოშვილი:59).

4) და ბოლოს ერთმანეთში აუტყდათ დაუსრულებელი სამღერავეები (კლდიაშვილი:466).

5) ...როგორც ზევით ვთქვი, რიცხვით ოთხს კაცზე მეტი (კლდიაშვილი:527).

6) ამგვარად, ჩემვის სრულიად შეუნიშნავად, გადავდიოდი ერთი ადგილიდან მეორეზე (კლდიაშვილი:118).

7) ამასთანავე, საქმე გაიჭირა მაგ შეჩვენებულმა (ლომოსური 1987:176).

1) **In Short**, he made himself as safe as a Forsyte... (To Let:31).

2) **Thus**, for a full hour of elusive spring Clare slept the sleep of one who... (The End of Chapter:137).

- 3) **On the other hand**, if you beleive the petetion... (The End of Chaper:248).
- 4) **Finally**, I resolved upon this... (Short Stories:35).
- 5) **On the contrary**, it seemed a perctely natural thing to do (Short Stories: 78).
- 6) Curious, by the way, that imagine who... (To Let:74).

ამ სახეობაში მაგალითების მრავალფეროვნება არ აკლია არც ქართულ ენას და არც ინგლისურს. როგორც ვხედავთ, ქართველი და უცხოელი ავტორები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ აზრთა ლოგიკურობა და თანამიმდევრობა დაიცვან მათ მიერ გადმოცემულ ტექსტში.

ჩართული ფრაზების სიმრავლით ბევრად აღემატება ქართული ენა. ზოგჯერ შეუძლებელი ხდება რომელიმე ჯგუფში მათი გაერთიანება;

მაგ.:

- 1) რომ თქვას კაცმა, რა გვაქვს ჩვენ რუსთან სასაყვედურო (ნინოშვილი:25).
- 2) დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩვენ ვიქნებოდით მაშინ სპარსეთის ყურმოჭრილი ყმა (ნინოშვილი:26).
- 3) ხალხი, ცოტა არ იყოს, სასოწარკვეთილებაში ჩავარდა (ფშაველა: 110).
- 4) რაღა გავაგრძელო, მოკლე სიტყვა სჯობია (ჭავჭავაძე:170).
- 1) **With reverence be it spoken**, the figure bore no slight similitude, both in... (Short Stories:3).
- 2) I went to the tombs, or, **to speak more properly**, the Halls of Justice (Short Stories:45).
- 3) **Strange to stay**, the child thrived (Short Stories:53).

ინგლისური ენა უმეტესად ზმნის უპირთ ფორმებით გადმოსცემს ჩართულის ფრაზებს, რომელსაც ზოგჯერ ოფიციალური ხასიათი აქვს, ქართული ენა კი იყენებს ხალხში დამკვიდრებულ გამოთქმებს, რაც უფრო საინტერესოს ხდის ტექსტს მკითხველისათვის.

ჩართულის ბოლო ტიპს, როდესაც სააღერსო სიტყვა-გამოთქმებს და ზოგიერთი ფიცისა და წყევლის ფორმებს განიხილავს შეგნებულად არ განვიხილავთ აქ, რამეთუ ისინი შესაძლებელია შორისდებულის ტიპებადაც ჩავთვალოთ.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ ჩართული შეიძლება იყოს წინადადებაც.

ჩართულ სიტყვათგამოთქმებსა და ჩართულ წინადადებას შორის ზღვარის დადება ჭირს, მაგრამ ფაქტია, რომ ჩართულ წინადადებას სხვაგვარი ფუნქცია და დანიშნულება აქვს ენაში, ვინემ ჩართულ სიტყვა-გამოთქმებს. ძირითად წინადადებასა და ჩართულ წინადადებას შორის აზრობრივი, სემანტიკური კავშირია, მიუხედავად ამისა, ჩართულ წინადადებას არ შეუძლია ძირითადი წინადადების გარეშე არსებობა; ასევე ძირითადი წინადადება ფერს იცვლის ჩართულის გარეშე.

ჩართულ წინადადებასა და ჩართულ სიტყვათ-გამოთქმებს შორის საერთო თვისების გვერდით გადმოსცეს მოქმედის, ავტორის დამოკიდებულება წინადადებაში გადმოცემულ აზრთან, შეიმჩნევა განსხვავება. კერძოდ, ჩართული წინადადება მთლიანად ინარჩუნებს თავის ლექსიკურ მნიშვნელობას, მაშინ როცა ჩართული სიტყვისა და გამოთქმის ლექსიკური მნიშვნელობა შესუსტებულია. ზოგჯერ ჩართული წინადადება მთავარ წინადადებას გრამატიკულად უკავშირდება. ამ შემთხვევაში კი ჩართული წინადადების განკერძოებულობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ჩართული წინადადება მარტივიც არის, შერწყმულიცა და რთულიც. მისი ადგილი, რასაკვირველია ან შუაშია ან ბოლოში.

მაგ.: 1) ბედი ახლაც შემეწია - ამ კრებაზე ჩემი ყოფნა გაუგებარი დარჩა (კლდიაშვილი:512).

მაგ.: 2) კაცები კი, როგორც მოგეხსენებათ ჩვენი ადათი, ჯგუფებად შეუდგნენ საყდრის დერეფნის წინ და დაიწყეს თავისუფლად ყაყანი (ჭავჭავაძე:48).

ასეთი წინადადება ხან მძიმითაა გამოყოფილი და ხან ფრჩხილებით.

მაგ.: - შემდეგ, ჯეირანმა მიჰყო ხელი მელანიას (ამის შემდეგ ჩვენც მელანია ვუწოდეთ ჯეირანის მეუღლეს) ზნე-ჩვეულების გარდაქმნას (ნინოშვილი:32).

უმეტესად ფრჩხილის გარეშე წარმოდგენილი ჩვენი წინადადება კავშირით უკავშირდება მთავარ წინადადებას, ეს კი იმის დასტურია, რომ მათ შორის გრამატიკული კავშირი დამყარდა, რასაც ვერ ვიტყვით ჩართულის სიტყვა-გამოთქმებზე, სადაც უმეტესად სემანტიკური კავშირი ფიქსირდება.

ამრიგად, ჩართული ის ლინგვისტური მოვლენაა, რომელიც ახასიათებს ნებისმიერი ერის წარმომადგენელს, რომელსაც მიზნად დაუსახავს გადმოსცეს თავისი აზრი ტექსტთან დაკავშირებით როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით, რაც სწორედ ჩართულის ფუნქციას წარმოადგენს.

ქართველი, ინგლისელი თუ ამერიკელი ავტორები თავიანთ ლიტერატურულ ნაწარმოებებში უხვად იყენებენ ჩართულ სიტყვა-გამოთქმებსა და ჩართულ წინადადებას, რის გარეშეც ალბათ მათი ქმნილებები დაკარგავდა ცხოველმყოფელობას და უინტერესო იქნებოდა მკითხველისათვის.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- 1) ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი, 1956 წ.
- 2) ი. სიხარულიძე, ქართული ენის გრამატიკა, მორფოლოგია და სინტაქსი., სახელმძღვანელო საშუალო სკოლის V-VI-VII კლ. ტფილისი, 1937 წ.
- 3) რ. შამელაშვილი - განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდოლოგია, გამომცემლობა „ცოდნა“. 1958 წ.
- 4) ა. შანიძე, ქართული ენის გრამ. II სინტაქსი, 1957 წ.
- 5) M. Bloch - A course in Theoretical English Grammar - Москва "Высшая школа", 1983.
- 6) V. V. Buzarov - Essentials of conversational English. Syntax, Москва, "просвещение, 1986.
- 7) А. Г. Руднев - Ученые записки Ленинг. госнединститута. Т. 76., 1949.
- 8) B. Leech - "The Structure of Modern English", Ленинград, изд. Просвещение, 1971.
- 9) G. Leash, J. Svartvik - A Communicative Grammar of English, Moscow, Prosveshcheniye - 1983.
- 10) C. Fries, The Structure of English, London, Longmans, 1963.
- 11) Merriam Webster's Dictionary of English Usage - 1994.

(MWDEU - 512)

ინტერნეტის მასალები

1. Brinton, Laurel and Brinton D. - The Linguistic Structure of Modern English. John Benjamins Publishing Company, 29, July 2010.
2. McArthur T. - The Oxford Companion to the English language pp 16-17. Oxford University Press, 1992 TSBN 0-19-214183-x.
3. Swan, Michael - Practical English Usage (2009) - comment adverb.
4. Grammar - Monster. com/lessons/paranthesis - choice of paranthesis. h/tm-Paranthesis a choice of paranthesis - Grammar Morster.

ლიტერატურა:

1. ნ. ლომოური - ქართული პროზა, წიგნი XIV - „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1987.
2. ვ. ფშაველა - ქართული პროზა, წიგნი XII, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986.
- დ. კლდიაშვილი, ქართული პროზა, წიგნი XVI, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1988.
4. ე. ნინოშვილი, ქართული პროზა, წიგნი XV, 1988.
5. ი. ჭავჭავაძე - თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, მხატვრული პროზა, ტ. 2. საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1950.
6. დ. კლდიაშვილი - მთხრობები, ტ. I, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1980.
7. J. Galsworthy - The End of Chapter, Foreign languages Publishing House, Moscow, 1960.
8. J. Galsworthy - The Forsyte Saga, book 3, To Let, Progress Publishers, Moscow, 1975.
9. J. Galsworthy - The Forsyte Saga, book 3, In Chancery, Progress Publishers, Moscow, 1973.

10. Great American Short Stories edited by Paul Negri Dover Publication, INC. Mineola, New York, 2004.
 11. The Best American Short Stories - selected by Stephen King with Heidi Pittor, Houghton Mifflin Company, Boston, New York, 2007.

ნუნუ ჩარკვიანი

**Вводные слова и предложения и их контрастное исследование
 (По произведениям грузинских, английских и американских писателей)**

Резюме

Представленная статья обсуждает те элементы предложения, которые не являются не их главными членами и не второстепенными. До сих пор они были знакомы как обособленные слова и выражения, в которых подразумевается большое разнообразие синтаксических элементов.

Не смотря на разность теории современных лингвистов об вводных словах и предложениях, которые являются одни из более интересных видов обособленных слов, их функции одни и тоже - они выражают отношение говорящего к высказываемой мысли, придавая ей различные оттенки (предположение, уверенности, сожаления и т. п.).

Сопоставление примеров из грузинских, английских и американских литературных произведений помогает нам определить сходство и различие вводных слов и выражении в грузинском и английском языках.

Исследование показало что:

1. Английский язык как и грузинский показывают почти одинаковые отношение к вводных слов, которые выражают логическую согласованность, сомнение, уверенность, хотя в некоторых случаях они используют разные слова и формы.

Разные грузинские примеры тех вводных слов, который дают оценки к высказываемой мысли в тексте проявляют характерное своеобразие для национального бытия грузина.

Nunu Charkviani

**Insertion and its contrastic research
 (According to Georgian, English and American Literature)**

Abstract

Presented article discusses the elements of the sentence which are neither its main parts nor any of the usual secondary ones. Untill recently they used to be known under the name of parenthesis that cover a considirable variety of syntactical elements.

Though various theories of modern Linguists about "insertions" - one of the interesting kinds of parenthesis (they are called "Sentence Adverbs" "Evaluating Ajuncts", "Dangling Modifiers" and so on) their functions are the same to express the speakers attitude towards what he says, a general assessment of the statement or an indication of its source, its connection with other statement or with a wider context in speech.

Observing the examples from Georgian, English and American literature helped us to determine similarities and differences of kinds of insertions in the source languages (Georgian and English).

The research has proved that:

1) English as well as Georgian offer almost similar attitude to the insertions that express logical coherence, doubt, certainty though they use different words and their forms in some cases.

2) Varied examples of insertions that serve to express assessment of the statement of the text in Georgian reveal special characteristic features of national being of Georgians.

რეცენზენტი: პ.ლოგ. მ. მიქაძე

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

სოფიკო გვარამაძე

თბილისი, საქართველო

ნათლის ესთეტიკა არჩილის შემოქმედებაში და ქართული მესიანისტური ტრადიცია

არჩილი თხზულებაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ ემყარება ბიბლიურ ესთეტიკას, მისთვის თამარ მეფე ქართული მესიანისტური ტრადიციის გამგრძელებელია, ამიტომაც ამკობს მას „ნათლის“ სიმბოლიკით, არჩილი ხაზგასმით აღნიშნავს ქართველ მეფეთა ბიბლიურ ჩამომავლობას, რაც მეტყველებს ქართველი ერის რჩეულობაზე, ამ ყოველივეს საქართველოს დეთისმშობლის წილხედობის იდეაც უწყობს ხელს, სწორედ მისი საქმის სიმბოლურ გამგრძელებლად დაუსახავს არჩილს თამარ მეფე.

თხზულებაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ არჩილი ქმნის ქრისტიანი მეფის იმ იდეალურ პარადიგმულ სახეს, რომელიც ყოველი არსებული მეფის მისაბადი მაგალითი უნდა იყოს, ასეთი მეფეა სწორედ თამარი, რომლის შესამკობადაც არჩილი ბიბლიურ-ეგანგელურ სახე-სიმბოლოებს ემყარება, „თამარ ნათელი“ [სტროფები: 815,2; 821,2; 829,1], თამარის შედარება ნათელთან, მზესთან შემთხვევითობით არ არის განპირობებული, იგი მომდინარეობს ქართული მესიანისტური ტრადიციიდან, სწორედ, ამ იდეას ეხმიანება არჩილი პოეტურად, როდესაც წერს: „ხელმწიფე მზის შარავანდო, უმჯობევე, უნათლიერო“ [930, 2].

სახელი „თამარი“ ძველ ებრაული სახელია და განიმარტება, როგორც „ფინიკის ხე“, იგივე პალმის ხე, რაც სიმბოლურად დაკავშირებულია ცხოვრების ხესთან [გამსახურდია, 1991: 123]. ცხოვრების ხე ერთმანეთში აერთიანებს დეთაებრივ ნათელსაც და მის მესიანისტურ წარმომავლობასაც, მისი სახელი ერთგვარი განმარტებაა თამარის წარმომავლობის, ასევე მის მისიასაც განსაზღვრავს საქრისტიანო სამყაროში.

პავლეს ეპისტოლეს მიხედვით, სამეფო ხელისუფლების საკრალურობის იდეა სახარებისეულ მოძღვრებაზეა დაფუძნებული, რომლითაც ყოველი მეფე დეთის მიერ რჩეულია და სწორედ მის მიერაა დადგენილი სახელმწიფო სამსახურში „...რომელნი იგი არიან ხელმწიფეებიანი, ღმრთისა მიერ განწესებულ არიან“ [რომ; 13, 1], იგივე შინაარსობრივი გამოძახილია არჩილის ნააზრევში „მეფედ ხმობილსა დედოფალს, მას ხელმწიფესა ზესთ-ზესა“ [880, 2].

ტექსტი განიხილება მხოლოდ „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველის“ მაგალითზე, აღსანიშნავია, რომ მესიანიზმი არჩილის სხვა თხზულებებშიც დასტურდება.

ქრისტიანი მეფის ბიბლიური პარადიგმა დავით წინასწარმეტყველია, არც ეს ფაქტი გამორჩენია არჩილს მხედველობიდან და თამარი დავითის სულიერ შთამომავლად, მის ხელდასმულად მიუჩნევია და უწოდებია: „დავითიანი ცხეული“ [882, 4], ტრადიციული მოსაზრებით ქართველი მეფეები იწოდებიან იესიან-დავითიან-სოლომონიანად და ქრისტეს ჩამომავლებად, რაც სიმბოლურად აისახა ქართველ ბაგრატიონთა სამეფო გერბზე დავითის ქნარისა და

შურდულის გამოსახვით, რაც ერთგვარი მინიშნებაა მათი ბიბლიური წარმომავლობის და განსაკუთრებული მისიის, ქართველ მეფეთა ბიბლიური ჩამომავლობის თემა საფუძველია ერის მესიანისტური ტრადიციისა, კერძოდ, „საზეპურო ერად“ მიხნევისა, ამით საქართველო ღვთისგან რჩეული შეიქმნა, ღვთაებრივი მადლის მოზიარე გახდა და ქრისტიანულ სამყაროს დამცველად მოეგლინა საქრისტიანო სამყაროს, სწორედ ამას მოწმობს ქართველ ბაგრატიონთა წოდება „მესიის მახვილი“, ჯერ კიდევ ნეტარი გრიგოლი ამკობდა აშოტ კურაპალატს მესიანისტური ეპითეტით „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ შვილად წოდებულ კელმწიფეო“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ბაგრატიონთა წარმომავლობის პირველწყაროდ მიუჩნევია მ. ლორთქიფანიძეს [ლორთქიფანიძე, 1966: 146], ერის რჩეულობას და მის მესიანიზმს ერთგვარად განაპირობებდა საქართველოში უფლის კვართის დავანებაც, რამაც ქართველ ერს სულიერი ნათელი შესძინა, ამით გამჟღავნდა ღვთის დამოკიდებულება საქართველოსა და ქართველი ერისადმი, მისი საქართველოში დავანება ერთგვარად განპირობებულია საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობით, ნ. სულავას გამოკვლევათა მიხედვით, უფლის კვართის დავანების წინასახედ მოიაზრება ელიას ხალენის ქართულ მიწაზე დამკვიდრება, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ქართულ მესიანიზმს უპირველესად განაპირობებს მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, ერთ-ერთი სამსჭუალი, რომლითაც განმსჭუალეს ქრისტე და აგრეთვე ქრისტეს წამების ჯვრის ნაწილი, რომლებიც ინახება საქართველოში [სულავა, 2008: 122].

ბაგრატიონთა სამეფო გარბზე უფლის კვართია გამოსახული, ამით მათ სულიერ წარმომავლობას გაესვა ერთგვარად ხაზი, ეს იყო სიმბოლო „ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის, ერთიანი ეკლესიის არსებობის, ერთიანი ერის ფლობისა“ [სულავა, 2006: 156], ეს ყოველივე კი არჩილთან თამარის სახის სრულყოფილად წარმოსახენად შემდეგნაირადაა გააზრებული:

„ითხოვეს სიტყვა, დალოცვა, გამარჯვებისა ძლევისა
პირისა მისგან ბრძენისა ტომ დავითისა ღვევისა,
წამძღვარებული ჯვარისა, ცხოველმყოფელის ძელისა
კვლავ დროშა გორგასლიანი, ბაგრატიონთა ძველისა“ [სტრ.861]

ძალზედ სიმბოლურია თამარის შემკობა „ნათლის“ ეპითეტით, მასში დავანებულია ბიბლიურ-ევანგელური სახისმეტყველება, ბიბლიიდან ცნობილია, რომ „ნათელი“ ღვთის ერთ-ერთი სახელია, ძველ აღთქმაში „ნათელი“ სამოსია, რომლითაც იმოსება ღმერთი, „შეიმოსე ნათელი, ვითარცა სამოსელი“ [უც. 103, 2], „ნათელი“ ახალ აღთქმაშიც დასტურდება ღვთის სახელად. „მე ვარ ნათელი სოფლისა, რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხორებისად“ [იოანე 8, 22], ბრძანებდა ქრისტე. ნათელი მრავლისმომცველი სიმბოლოა, თუმცა ყოველივეს ამოსავალი სახარებაა, თავად ბიბლიაშიც „ნათელი სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი, უპირველესად უნდა გავიხსენოთ შესაქმის წიგნი, სადაც ღმერთმა შექმნა ნათელი, შემდეგ უკვე წარმოგვიდგება, როგორც მამაღმერთის და იესო ქრისტეს სიმბოლო, როგორც უმთავრესი ნათელი ადამიანთა სულისა, რადგან მან ბრძანა „მე ვარ ნათელი“, ამიტომაც მთელი სასულიერო მწერლობა ნათლის სიმბოლიკით გამოთბარი, როგორც ქ. ელაშვილი აღნიშნავს სასულიერო მწერლობაში წმინდანი „ნათელი შარავანდელითა“ მოხილი, რაც მხოლოდ ღვთისგან რჩეულთა ხვედრია, [ელაშვილი, 2004: 34], სწორედ ამდაგვარ წმინდანად სახავს თამარ მეფეს არჩილი.

თამარის ამგვარად მოხსენიებას შევხვდებით მრავალ თხზულებაში, რაც განპირობებულია თამარის მეოთხე ჰიპოსტაზის იდეით, მისი განსაკუთრებული მისიით, მისი ღვთაებრივი ხელდასმით, რაც სიმბოლურად აისახა არაერთ დიად ლიტერატურულ ქმნილებაში.

თამარი მართლაც ღვთაებისგან მოვლენილი ნათელია, რასაც არა ერთი ფაქტი მოწმობს, უპირველესად კი გასააზრებელია თამარის გვირგვინის სიმბოლიკა, ვითარცა სიმბოლო მისი რჩეულობის, ამის თაობაზე ა. ლეთოდინი თამარის გვირგვინში მოთავსებულ ძვირფას ქვათა სიმბოლურ ანალიზს გვთავაზობს, თამარის გვირგვინი იყო „ოქრო ფაზისი“, იგივე ბაჯადლო ოქრო, რაც სიმბოლოა სულიერი სინათლის, სიწმინდის, მასში მოთავსებული იყო სამი უძვირფასესი თვალი, იაკინთი, რომელიც იაკობის ძის, იუდას შესაბამისი თვალია, იუდა კი

დავით წინასწარმეტყველის წინაპარია, აქ უკვე ცხადი ხდება, თუ რატომ იყო ეს პატიოსანი თვალი თამარის გვირგვინის სამკობარი, ამით სიმბოლური მინიშნებაა ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის, მეორე ძვირფასი თვალია მწვანე ფერის ზმირი, ანუ ზმური (ზურმუხტი), რომელიც ეპიფანე კვიპრელის „თვალთაძს“ მიხედვით თავის მფლობელს გადასცემს წინასწარჭვრეტის უნარს, მესამე თვალი კი ყოფილა მეწამული სმარაგდი, ვითარცა სიმბოლო მეფობისა. [ლეთოდიანი, 2004: 21]. ამ მასალაზე დაყრდნობით ცხადი ხდება თამარის მისია, მისი როლი საქრისტიანო სამყაროში.

„მნათობთა მსგავსად ნათების უნარი ადამიანსაც აქვს მინიჭებული. როგორც ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი, იგი ცდილობს მიბაძოს შემოქმედს, ისწრაფოს მისკენ. ქრისტიანული გაგებით ეს გზა ხორციელის დათრგუნვას, ამაუბისაგან განძარცვას გულისხმობს, ასეთ შემთხვევაში იძენენ ადამიანები უხილავი ნათლით ნათების უნარს, წმიდანის ნათლით შემოსვა ღვთიური მადლის გამოვლენაა, იგი ღმერთთან თანაზიარების ნიშანია [ბუბუტევი-ვილი, 2009: 40], ეს ყოველივე ცხადყოფს თამარის სულიერ-ინტელექტუალურ მხარეს. ევანგელური მოძღვრების მიხედვით იესო ქრისტე ნათლისაგან გამოსული ნათელია, ამიტომაც ასე იწოდება: „ნათელი ნათლისაგან“, ნათელი, მარიამ ღვთისმშობლის ერთ-ერთ ატრიბუტადაც არის აღიარებული, რადგან მისი წიადით მოხდა ღვთის განკაცება, ღვთისმშობლის პარადიგმული სახისმეტყველება ქართულ მწერლობაში თავისებურად გამოვლინდა თამარის სადიდებელ ნაწარმოებებში: „აბდულმესიანსა“ და „თამარიანში“, სადაც თამარს საკრალური მისია აკისრია, სწორედ ამაში მდგომარეობს თხზულებათა მესიანისტური კონცეფცია, „აბდულმესიანში“ თამარის განსაზღვრულად მოხმობილია საღვთისმეტყველო სიმბოლოები: „ნერგო სვიანო, დავითიანო“ [სულავა, 2003: 132]. ჩანს, რომ არჩილი თავის წინამორბედთა გაველენას განიცდიდა.

ნ. სულავას დაკვირვებით „ნათელი“ გამოხატავდა სამებას, ღვთისმშობელსაც, მოწამეთაც, ხოლო მოგვიანებით საერო მწერლობაში ეს ეპითეტი გამოხატავდა გარეგნულ და შინაგან ესთეტიკურ სილამაზესაც [სულავა, 2003: 216]. შესაძლოა არჩილთანაც მოიაზრებოდეს „ნათელი“, როგორც თამარის ესთეტიზმის გამომხატველი, თუმცა უფრო მეტად სავარაუდებელია მისი ალეგორიული პლანი, როგორც ჩვენთვის ცნობილია სახარებიდან, ღმერთმა ადამი და ევა შემოსა ნათლის სამოსელით, სამოთხის დაკარგვის შემდეგ ისინი განძარცვულ იქნენ ნათლის სამოსლისაგან.

ნ.სულავას გამოკვლევათა მიხედვით უფლის კვართი „ზეით მოქსოვილია“ ე.ი. ნათლით მოსილია, რაც კაცობრიობის სულიერი გაცვისკროვნების მაუწყებელია. [სულავა, 2006: 157], ყოველივე ეს მასალა გვაფიქრებინებს, რომ არჩილი თამარის „ნათლით“ შემკობისას ცდილობს წარმოაჩინოს მისი სულიერი მხარე, მისი სულიერი მადლმოსილება, აქვე გასათვალისწინებელია თამარ მეფის პიმნოგრაფიული მექვიდრეობა, მისი იამბიკები ნასაზრდოებია ერის მესიანისტური იდეით, თამარი „ცასა ცათასაში“ თავის თავს მიიჩნევს ბიბლიური დავითის ჩამომავლად

„შენგან ქალწულო, რომელსა შენთვის დავით როკვიდა, ძისა ღმრთისა ძედ შენდა ყოფად“ [სულავა, 2003: 295].

ან კიდევ:

„მე, თამარ, მჩენი ტომთაგან დავითებრთაფთა

თვსად შემამკვე, მადიდე, აღმამადლე“ [სულავა, 2003: 295].

ტრადიციული მისაზრებით, ქართველი მეფეები-ბაგრატიონები დავით წინასწარმეტყველის შთამომავლები არიან, იგი არქეტეპია ქართული სამეფო დინასტიისა, სწორედ იგივე ფესვებზე და შთამომავლობაზე საუბრობს არჩილი „მოართვა თამარს, ვინ არის დავითიანი ცხებული“ [882, 4].

არჩილის თხზულებაში აისახა ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხედლომილობის იდეაც,

„თუმცა არის საქართველო ღვთისმშობლისა წილხედლომილი,

აქ გასინჯე საფარველი მარიამის მისი ტკბილი!

ვარძიიდან წამოვიდენ, საომარად აქათ ვლილი.

არ მომკვდარა ამ ომზედა კაცი მეფეთ შესწავლილი“ [სტრ.905].

საყურადღებოა, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, სადაც თამარი ღვთისმშობლის სახითაა წარმოდგენილი. „მიუღვა თამარი გაწმენდილითა გონებითა და ტაძრისა ღმრთისა აღმსკვალულისა სანთლითა სხეულისათა მხურვალითა გულითა და განათლებულითა სულითა ტაბახმელისა ბეთლემ-მყოფელმან მუნ შუა ძე, სწორის ძისა ღმრთისა“ [ქართლის ცხოვრება, 1959: 56].

არჩილის ახსნით თამარის იდეურ-პოლიტიკური წინსვლა, მისი წარმატებული და წინდახედული ბრძოლები სწორედ ქვეყნის ღვთისმშობლის წილხვედრობის იდეით იყო განპირობებული.

ლიტერატურა:

არჩილი 1999: არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1999.

ბუბუტეიშვილი 2009: ბუბუტეიშვილი ლ., საღვთისმშობლო სიმბოლიკა V-XI საუკუნეების ქართულ მწერლობაში, წარდგენილი ფილოლოგიის

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2009.

გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ., წერილები, ესეები, თბ., 1991

გულაბერისძე 2008: გულაბერისძე ნ., თხზულებანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ნესტან სულავამ, თბ., 2008.

ელაშვილი 2004: ელაშვილი ქ., „ნათლის“ სახარებისეული სიმბოლიკა ქართულ ჰაგიოგრაფიაში, კრებ., კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, 2004, 7.

ლეთოდიანი 2009: ლეთოდიანი ა., თამარ მეფის გვირგვინის სიმბოლიკა, კრებ კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, 2004, 7.

სულავა 2003: სულავა ნ. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია. თბილისი, მერანი“, 2003.

სულავა 2006: სულავა ნ., ქართული ჰიმნოგრაფია, ტრადიცია და პოეტიკა, თბ., 2006.

ქართლის ცხოვრება 1959: ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილია ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.

Софико Гварамдзе

Согласно эстетике искусства и традиции грузинского мессианизма

Резюме

Творчество Арчил Багратиони основан на библейской эстетике его творений. Рейтинг подчеркнуть библейское происхождение Багратиони. Это означает, что грузины быть избранным народом.

Sofia Gvaramadze

According to the aesthetics of art and the tradition of Georgian mesianizm

Abstract

Archil Bagration's works is based on the biblical aesthetics of his creations. Archil emphasize the biblical origin of the Bagrationi. We can assume on the nation residing.

რეცენზენტი: პროფ. ს. სიგუა

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

ენატერინე გოგიაშვილი

თბილისი, საქართველო

„ამირანდარეჯანიანის“ იდეალური გმირი

მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანის“ იდეალი სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიული, ჰუმანური, უძლეველი, ღირსეული, სრულყოფილი რაინდია. იდეალური რაინდის სახეს მწერალი სულიერი და ფიზიკური საწყისების სინთეზით ქმნის. „ამირანდარეჯანიანის“ გმირი უპირატესობას ყოველთვის ეთიკურ დაჰუმანურ არჩევანს ანიჭებს. იგი ბოლო აკორდამდე გმირია იმ გარემოების გამო, რომ ჰუმანიტია და არსდროს დალატობს ამაღლებულ იდეალებს. „ამირანდარეჯანიანის“ რაინდს გმრობის პატივს ჰუმანიზმი, ზნეობრიობა, ღირსება და ხალხის, ქვეყნის ბედნიერებისათვის თავდადების მისია ანიჭებს.

„ამირანდარეჯანიანის“ იდეა სწორუპოვარი, უძლეველი, სრულყოფილი რაინდის მხატვრული სახისა და იდეალური რაინდობის შექმნაა. მოსე ხონელის ჩანაფიქრი რაინდისა და საზოგადოდ, რაინდობის, რაინდული ღირებულებების გაიდევლებაა. რაინდობა მოსე ხონელისათვის სულის მდგომარეობაა. ესაა გზა სრულყოფილებისაკენ. რაინდობა „ამირანდარეჯანიანის“ რჩეული რაინდის ზნეობის შინაარსია. ნაწარმოებში სოციალური და პოლიტიკური პროცესების ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა რაინდია. აქტიური საბრძოლო-რაინდული საზოგადოებრივი ცხოვრებით იგი სახელმწიფოს საყრდენია. ასე გაგებული რაინდობა, ასეთი რაინდი, ასეთი ადამიანი, მოსე ხონელისათვის არის ყველაზე მაღალი ღირებულება.

იდეალური რაინდის სახეს მწერალი სულიერი და ფიზიკური საწყისების სინთეზით ქმნის. ამ ორი საწყისის შეერთებით იქმნება ამაღლებული იდეალებისათვის მებრძოლი სულიერად და ფიზიკურად უძლეველი პიროვნება. მის ფიზიკურ ძლიერებას ყოველთვის აწონასწორებს სულიერი უძლეველობა. „ამირანდარეჯანიანის“ პერსონაჟი მამაცი, უშიშარი, თავდადებული, ძლიერია. იგი გაბედულია, შეუპოვარი, შემართული, შეუძლია ცხოვრებასთან შერკინება, ნებისმიერ დაბრკოლებასთან გამკლავება, გამარჯვებული და სვებედნიერია, მაგრამ ეს მისი სრულყოფილი სახე და ნიშან-თვისებები არ არის. მოსე ხონელი არ ქმნის ფიზიკურ გმირს. ფიზიკური გმირი არ არის მწერლის იდეალი. მოსე ხონელის ფიზიკურად ძლიერი რაინდი მორალურად და სულიერადაც უძლეველია. მისი ფიზიკური ძლიერება ყოველთვის მორალურ უძლეველობასთან არის შეხამებული და მაღალ იდეალებისათვის ბრძოლისადმი არის მიმართული. „ამირანდარეჯანიანის“ იდეალური რაინდი არის ჰარმონიული, დაუნაწევრებული, ზემდღავრი პერსონაჟი. ის მთლიანი პიროვნებაა. მისი ძლიერება პიროვნულ მთლიანობაშია. სწორედ სულიერი და ფიზიკური წონასწორობით მოიპოვებს იგი გამარჯვებას და ღირსეული რაინდის სახელს. იდეები, მრწამსი და კრედი, რომლისაც სისხლხორცეულად სწამს და თავდაუზოგავად ემსახურება, აიძულებს მას ხორცი სულს დაუმორჩილოს, ფიზიკური აქტივობა, მოქმედება გონებისა და სულის კარნახით განახორციელოს. „ამირანდარეჯანიანის“ რაინდის ჰუმანური, სულიერად და ფიზიკურად სრულყოფილი, მონუმენტური სახე ვერ შეიქმნება, ვერ შედგება სულიერი მხარის გარეშე. სხვაგვარად მივიღებთ ბუმბერაზს, რომე-

ლიც მხოლოდ ფიზიკური ძალით გამოირჩევა და არა მოსე ხონელის გმირს. იმისათვის, რომ რაინდობის წმინდა მისიის აღსრულება და დაცვა შეძლოს, იგი მუდმივად სულიერ-ფიზიკურ წონასწორობაში უნდა იყოს და ახერხებდეს თავისი ფიზიკური საწყისის ეთიკური ღირებულებების კომპლექსისადმი დაქვემდებარებას. გარემოებამ, ბრაზმა, საომარმა, საბრძოლო თუ გამოუვალმა მდგომარეობამ, არანაირმა ვითარებამ, მას ეს წონასწორობა და პიროვნული მთლიანობა არ უნდა დააკარგვინოს. მეორე მხრივ, საუკეთესო იდეების დაცვა და რაინდული მისიის აღსრულება გონების კონტროლს დაქვემდებარებული ფიზიკური ძლიერებითა და საბრძოლო ხელოვნების ჩინებული ცოდნით ხორციელდება. საინტერესოა, შედგებოდა თუ არა მოსე ხონელის ჰუმანური, იდეალური რაინდი, მაღალ სულიერებასთან ერთად ადექვატური ფიზიკური მონაცემების ქონის გარეშე, იმ რეალობაში, რომელსაც მოსე ხონელი „ამირანდარეჯანიანში“ ასახავს? შეძლებდა თუ არა იგი, თუნდაც მხოლოდ პიროვნულად, თავისი იდეალების, მრწამსის, წმინდა მისიის სამსახურსა და დაცვას, არამცთუ მათ გავრცელებასა და საზოგადოებრივ პირველობას? ფაქტია, მოსე ხონელის რჩეული, იდეალური გმირების ჰუმანიზმი, ფასეულობები, წესრიგი და მათი საზოგადოებაში დამკვიდრება ვერ განხორციელდება მხოლოდ სულით ძლიერი, ამაღლებული რაინდის მიერ, სრულყოფილებასთან რაც უნდა ახლოს იყოს იგი მიახლებული.

სულიერ და ფიზიკურ საწყისს მწერალი ერთმანეთს არ უპირისპირებს, ერთმანეთთან ახავებს და მათი ჰარმონიულობით თავის პერსონაჟს ზედღიერ არსებად გარდაქმნის. ამდენად, პიროვნული მთლიანობა, დაუნაწევრებლობა, სულიერ-ფიზიკური ჰარმონია და წონასწორობა, სავალდებულოა „ამირანდარეჯანიანის“ რაინდისათვის, რათა მან მოსე ხონელის საუკეთესო, მაღალი იდეალების განხორციელება შეძლოს.

„ამირანდარეჯანიანისა“ და მისი შექმნის დროის ემპირიული სინამდვილე ისეთი იყო, როდესაც ფიზიკური ძლიერებისა და საბრძოლო ხელოვნების გარეშე წარმოუდგენელი იყო არსებობა. რაინდობა პროფესია იყო და საბრძოლო ხელოვნება – მეფეთა აღზრდის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი. „ამირანდარეჯანიანში“ სახელი, გმირობის პატივი, მეფის ასულზე დაქორწინება, ხელმწიფის გვირგვინი – ყველაფერი სამხედრო ღვაწლით მოიპოვება. ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი, ყოველგვარი სიმდიდრე, ქონება თუ ძვირფასეულობა, რითიც კი ეს საზოგადოება ბრწყინავს, ხმლითაა მოპოვებული. „ამირანდარეჯანიანში“ სამხედრო ხელოვნება პროფესიად არის ქცეული. რომანის თითოეულ თავში მეფის კარზე სოლიდური გასამრჯელოს ფასად დაქირავებულ უამრავ საბრძოლო ხელოვნების კარგად მცოდნე მეომარს ვხვდებით. მათ შორის გამოირჩევიან ფალავნები, რომლებსაც მოსე ხონელი ბუმბერაზებს უწოდებს. მაგრამ რადგან მეფის კარზე მომსახურე ბუმბერაზი მხოლოდ ფიზიკური ძალით გამოირჩევა, მთელი თხზულების მანძილზე შიშველი ფიზიკური ძალის გარდა არავითარ სხვა თვისებას არ ავლენს, ამიტომ მოსე ხონელი მათ ერთხელაც კი არ მოიხსენიებს ჭაბუკის სახელით, რაც რომანში რაინდის ექვივალენტია. „ამირანდარეჯანიანში“ რაინდის მნიშვნელობით გამოიყენება სიტყვა „ჭაბუკი“. „რაინდის თანამედროვე გაგება ფართო შინაარსით მოცემულია ძეგლის სიტყვაში „ჭაბუკი“, „ჭაბუკობა“, რომელიც ყველა კონტექსტში ნიშნავს რაინდს“ (იმედაშვილი 1989: 34). „ამირანდარეჯანიანის“ ავტორი ფიზიკური ძლიერებით გამორჩეულ დაქირავებულ მეომრებს ყოველთვის ბუმბერაზებს უწოდებს. „თავისთავად ბუმბერაზული საწყისი ყოველ ჭაბუკშია, ეს მისი ყოფის აუცილებელი ატრიბუტია, მაგრამ ჭაბუკობა სწორედ ფიზიკური ძალის ესთეტიზირება და ამაღლებული იდეალებისადმი დამორჩილებაა“ (მაღლაფერიძე 1993: 48).

„ამირანდარეჯანიანის“ მიხედვით, დაუშვებელია, რაინდის დამოკიდებულება ადამიანებთან, იდეალებთან, მარადიულ ღირებულებებთან არასტაბილური, ცვალებადი, ან შემთხვევითი იყოს. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება მოსე ხონელის გმირი სხვა რაინდი პერსონაჟებისაგან. შინაგანი რაინდობა, ღირსება, კეთილშობილება, პიროვნული დაუნაწევრებლობა, სულიერი და ფიზიკური წონასწორობა, სავალდებულოა რაინდისათვის. რაინდს ეს თვისებები თუ არ აქვს, გამარჯვება ან მეტოქესთან „ომის გასწორება“, ფრე, სახელსა და ღირებას ვერ მოუტანს.

„ამირანდარეჯანიანის“ გამორჩეულ რაინდებს შორის მოსე ხონელს ჰყავს სამი რჩეული: ამირან დარეჯანისძე, ამბრი არაბი, მზეჭაბუკი. ინტერესს აღძრავს, „ამირანდარეჯანიანის“ იდეალურ რაინდებს რა განსაკუთრებულ თვისებებს აკუთვნებს მწერალი, რასაც მოკლებულნი არიან ნაწარმოების დანარჩენი პერსონაჟები? რაში გამოიხატება მათი გამორჩეულობა და აღმატებულობა? „ამირანდარეჯანიანის“ მხატვრულ სინამდვილეში რაინდისა თუ მებრძოლის სტატუსით მოქმედი ყველა პერსონაჟი საბრძოლო ხელოვნების ცოდნითა და ფიზიკური ძლიერებით არის გამორჩეული, მაგრამ ამგვარი პერსონაჟებისა და მოსე ხონელის რჩეული რაინდების მხატვრულ სახეებზე დაკვირვებისას, ნათლად იკვეთება განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც მხოლოდ „ამირანდარეჯანიანის“ იდეალური რაინდის კუთვნილებას: დიდსულოვნება, ჰუმანიზმი, კაცთმოყვარება, ღმობიერება, უმიზნო ბრძოლისა და სისხლისღვრის სიძულვილი, სისასტიკისა და უღმობელობის აღკვეთა, სულიერი ახოვანებისა და რთული მოვალეობის ადექვატური ფიზიკური ძლიერება, მაღალი ზნეობრიობა, კეთილშობილება. იგი მოწვევებითა და სამართლიანობით ღვთის მსგავსია, ომისა და მშვიდობის დროს მისი ქცევა და ქმედება ჰუმანურია, მისგან განიხილებული სამართალი – სანატრელი. სამაგალითო და შეუცვლელი პატრონია, ძნელად წარმოსადგენია ვასალებისათვის მასზე უკეთესი პირობების შემქმნელი და მზრუნველი მფარველი. მის ფიზიკურ ძლიერებას ყოველთვის აწონასწორებს და აღემატება სულიერი უძლეველობა, კეთილშობილება, ღირსება. „ამირანდარეჯანიანის“ იდეალური რაინდის მრწამსი და მოქმედების საფუძველი, რაინდული ვალდებულებების გარდა, ჰუმანიზმის პრინციპები და აქედან გამომდინარე ხაზგასმული ჰუმანურობაა, დანდობა, შემწენარებლობა, ჰუმანური კანონებისა და მოქმედებებისათვის ყოველთვის უპირატესობის მინიჭება, მაშინაც კი, როცა კონკრეტული ვითარება, სარაინდო კოდექსი და მებრძოლის ინტუიცია სწორედ საპირისპიროს გულისხმობს. „ამირანდარეჯანიანის“ სინამდვილეში შესაძლებელ უამრავ არჩევანს შორის მოსე ხონელის გმირი უპირატესობას ყოველთვის ეთიკურ და ჰუმანურ არჩევანს ანიჭებს. „ამირანდარეჯანიანის“ იდეალური რაინდი ბოლო აკორდამდე გმირია იმ გარემოების გამო, რომ ჰუმანისტია და არასდროს ღალატობს ამაღლებულ იდეალებს. რაინდული ღირებულებების ჰუმანიზმის პრინციპებთან შერწყმული მაღალი სულიერებით და ამ სულიერების შესაფერი, ადექვატური, ფიზიკური ძლიერებით იგი ჰუმანური პრინციპების ყოველგვარ ვითარებაში ერთგული და განუხრელი დამცველია.

„ამირანდარეჯანიანის იდეალური რაინდი ზეციური მხედრის ბადალი გმირია. თავისი თავგანწირვითა და რაინდული მისიით ნაკისრი ვალდებულებებით ის, წმინდა მხედრის დარად, ადამიანების, საზოგადოების თავდადებული მფარველია. კეთილისა და ბოროტის მარადიულ დაპირისპირებაში მისი ზეადამინური, ღვთაებრივი ძალა ბოროტების საბოლოოდ ამოსაძირკვადაა მიმართული.

ომების, ბრძოლების, ეპოპეა თანმიმდევრულად, ნათლად გამოკვეთს მოსე ხონელის კეთილშობილი რაინდის იდეალურ სახესა და რაინდობის იდეალს. ასე იძერწება „ამირანდარეჯანიანის“ გმირი, რომლის სახასიათო შტრიხებში კეთილშობილების, ღირსების, რაინდული იდეალების სიწმინდის გვერდით იკავებს ადგილს ღმობიერება, ჰუმანიზმი, დიდსულოვნება, გონიერება, სულიერი და ფიზიკური მონაცემების სისრულე, პიროვნული სრულყოფა. ის სულით ხორცამდე რაინდია. რაინდობა მისი ბუნებისა და ხასიათისაგან განუყოფელი თვისებაა. მოსე ხონელის გმირის პიროვნული აღნაგობა, საქმეები, თავგანწირვა, ღვაწლი, ღირსება, კეთილშობილება ეფუძნება ისეთ მორალურ საყრდენს როგორც ძლიერი, ამაღლებული სულია. ჭეშმარიტი მრავალმისა და არჩევანის ძალა ხდის მას დაუმარცხებელს, სულიერად და ფიზიკურად უძლეველს, ყოველთვის გამარჯვებულს, საყოველთაო უძლეველი რაინდის სახელის მქონეს. „ამირანდარეჯანიანის“ რაინდს გმირობის პატივსა და „პირველის“ ფუნქციას ჰუმანიზმი, მაღალი ღირებულებები, ზნეობრიობა და ხალხის, ერის, ქვეყნის ბედნიერებისათვის თავდადების მისია ანიჭებს.

ლიტერატურა:

მაღლაფერიძე 1993: მაღლაფერიძე ვ. რაინდთა შერკინება ვითარცა ესთეტიკური ფენომენი. თსუ შრომები, ტ. 311, 1993.

იმედაშვილი 1989: იმედაშვილი გ. „ვეფხისტყაოსანი“ და ძველი ქართული მწერლობა. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1989.

ხონელი 1967: ხონელი მ. „ამირანდარეჯანიანი“. თბ.: „ლიტერატურა და ხელოვნება“. 1967.

Екатерине Гогиашвили

Идеальный герой „Амирандареджаниани“

Резюме

Идеаль рыцарского романа Мосэ Хонели „Амирандареджаниани“ духовно и физический гармоничный, гуманный, непобедимый, достойный рыцарь. Образ идеального рыцаря писатель создаёт синтезом духовного и физического начала. Герой романа преимущественно даёт всегда этическому и гуманному выбору. Он герой до финального аккорда по тому обстоятельству, что он гуманист. Рыцаря „Амирандареджаниани“ до чести героя возвешает гуманизм, этичность и преданность к стране и людям.

Ekaterine Gogiashvili

The Ideal Hero in „Amirandarejaniani“

Abstract

The ideal hero in Mose Khoneli's „Amirandarejaniani“ is harmonious mentally as well as physically. He is humane, honorable, unconquered and perfect knight. The writer creates the features of the ideal hero by making the syntheses of the physical and spiritual initials. The hero of „Amirandarejaniani“ always takes a choice on human and ethical doings. He is the real hero in every stage, till the end, the reason of it is that he is full of humanism and is always devoted to ideals. Humanism, moral, dignity and devotion to happiness of his people and country gives the respect to the hero of „Amirandarejaniani“.

რეცენზენტი: პროფ. ნ. ხელაია

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

თამარ გუმბერიძე

ქუთაისი, საქართველო

ეროვნული ცნობიერებისა და ხასიათის თავისებურებათა სიმბოლური წარმოსახვა ეონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში

კ. გამსახურდია როგორც მხატვრულ ნაწარმოებებში, ისე პუბლიცისტიკაში უმთავრეს საკითხად სწორედ ეროვნული ცნობიერების პრობლემას მიიჩნევს და ყოველთვის, მიზეზ-შედეგობრიობიდან გამომდინარე, შესაძლებლობას გვაძლევს საქართველოს მომავალი განვითარების მიმართ. მწერლისათვის თვითმიზანი არ იყო საქართველოს წარსულის მხატვრული ასახვა, მას კარგად, ესმოდა, რომ სწორედ ამ წარსულში იყო ჩადებული საძირკველი საქართველოს ხვალისთვის დღისა.

კ. გამსახურდიას შემოქმედებაში გახმოვანებული უძველესი ქართული მითები, ლეგენდები, თქმულებები თუ ზღაპრები განმსაზღვრელია როგორც ქართველთა ეროვნული აზროვნებისა და ზოგადად მსოფლმხედველობისა. ასევე ერის ბუნების და მისი თვითმყოფადი, ინდივიდუალური ხასიათისა.

კ. გამსახურდია შემოქმედთა იმ განსაკუთრებულ კატეგორიას განეკუთვნება, რომელთაც თავიანთი დიდი ცოდნითა და სიტყვის გამომსახველობითი ძალისხმევით შეუძლიათ გააცოცხლონ ეროვნული პრობლემების უღრმესი შრეები, ჩაწვდნენ ერის კულტურისა და სულიერი სიღრმის უმორეს პლასტებს. უნდა ვთქვათ ისიც, რომ თავისთავად საქართველოს ისტორია, ქართული კულტურის შესანიშნავი ნიმუშები იძლევა იმის შესაძლებლობას, მწერალმა თავისი ფანტაზიით, მხატვრული სინამდვილით კიდევ უფრო მეტად გააფართოვოს და გააღრმავოს ისეც მდიდარი მონაცემები ეროვნული მახასიათებლებისა.

ქართული ფოლკლორი უხვ მასალას იძლევა ეროვნული ცნობიერების სიღრმეების ზიარებისთვის, თავად ეონსტანტინე გამსახურდია ზედმიწევნით კარგად მცოდნე ქართული მითოსისა და ზოგადად ქართული ზეპირსიტყვიერებისა, საინტერესოდ წარმოგვიდგენს მათ. ყოველივე ეს მხატვრულ-ლიტერატურული ასპექტით წარმოსახული, შესაძლებლობას გვაძლევს ვეზიაროთ, მხატვრულ სინამდვილედ გარდაქმნილ ისტორიას, თუ ზოგადად ქართულ კულტურას.

კ. გამსახურდიას შემოქმედებაში გახმოვანებული უძველესი ქართული მითები, ლეგენდები, თქმულებები თუ ზღაპრები განმსაზღვრელია როგორც ქართველთა ეროვნული აზროვნებისა და ზოგადად მსოფლმხედველობისა. ასევე ერის ბუნების და მისი თვითმყოფადი, ინდივიდუალური ხასიათისა.

მითებისა და ლეგენდების აუცილებლობის, მათი ფუნქციის შესახებ კ. გამსახურდია საინტერესოდ აზრს გამოთქვამს წერილში „ტრადიციის წარმოშობა მისტიკის სულიდან“ „რაღაღარიბი იქნებოდა ჩვენი ფანტაზიის პარნასი, რა ცარიელი იქნებოდა ჩვენი ადამიანური ხსოვნა,

რომ მას ამ მითის, ამ ლეგენდის დამახსოვრების უნარი არა ჰქონოდა... ცარიელი იქნებოდა ჩვენი ფანტაზია, რომ ჩვენ ნიცშესავე სიტყვებით „თაყვანისმცემელი ცხოველები“ არ ვიყოთ... რომ ჩვენ არ გვეყოს წარმოდგენისა და პიეტეტის ძალა ამ მითის, ამ ლეგენდის დასაჯერებელი. სწორედ მწერლის ამ აზრის გახმავანებაა მთელი მისი შემოქმედება.

კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილსა“ და „მოვარის მოტაცებაში“ ფართო რაკურსით იხსნება მითოსური სიმბოლოების მხატვრული სახეები. ამ მხრივ ყველაზე საინტერესო ასპექტს ქმნის წმინდა გიორგის სახე. წმ. გიორგი საუკუნეების განმავლობაში ქართველთა ეროვნული სულს კეებავდა. მისი არქეტიპული სახე-სიმბოლო განსაზღვრავდა ერის სულიერ მოდელს, მის რაინდობასა და სიმამაცეს. სავარსამიძის, ტაია შელიას, ხარბედიების მფარველია სუჯუნის წმინდა გიორგი.

მოვარის დღეს მას თაყვანს სცემენ კაც ზვამბაია, თარაში, ძიძა მისი - ხათუნა, გვანჯ აფაქიძე, ანტონ ქუთათელი, გიორგი, მახარა, ლიპარიტ ორბელიანი. სავარსამიძე ტაია შელიას გაზრდილია, მას სჯერა წმინდა გიორგის ძალმოსილებისა.

ნოველა „ტაბუ“-ს შესახებ ზ. გამსახურდია წერდა, რომ მასში აღწერილია წმ. გიორგის ტრიუმფი ბოლშევიზმზე.

„ტაბუ“ თავისი შინაარსით ტრაგედიაა, მაგრამ ქართველთა რელიგიური რწმენა იხსნის სოფელს.

წმ. გიორგი გახლავთ სახე განმანთავისუფლებელი გმირისა, ბორტების დამთრგუნველი ნათლის რაინდისა. იგი გახლდათ ქართველთათვის იდეალი და მისაბაძი მაგალითი. ამ ასპექტით წარმოგვიდგენს კ. გამსახურდია წმ. გიორგის სახეს თავის შემოქმედებაში. წმინდა გიორგი იყო საუკუნეთა განმავლობაში ქართველთა სულიერი სრულყოფის იდეალი. მის თარგზე იჭრებოდა ქართული რაინდობის მოდელი და ქართველთა ბრძოლისუნარიანობაცა და ამტანობაც წმ. გიორგის სახე-ხატით იყო შთაგონებული.

„ღანდებთან ლაციცში“ კ. გამსახურდია მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ ყმაწვილობიდანვე ქრისტეზე მეტად უყვარდა წმინდა გიორგი, თეთრ ტაიჭზე მჯდარი რაინდი, რომელიც მახვილს აძგერებს უზარმაზარ ურჩხულს. სწორედ ამ ბავშვურ ცნობიერებაში შეჭრილი სიყვარული გახდა კ. გამსახურდიას შემოქმედებაში წმინდა გიორგის მხატვრული სახის გამახმავანებელი.

„ღანდებთან ლაციცში“ მწერალი იმასაც მიუთითებს, რომ გამზრდელის, ეკაიასაგან აქვს ბავშვობაში მოსმენილი ის პაგანისტურ-წარმართული ამბები, რასაც მწერალი „მოვარის მოტაცებასა“ და „დიონისოს ღიმილში“ აღწერს.

რომანში „მოვარის მოტაცება“ დასაწყისიდანვე ცნაურდება მწერლის რუდუნება წარსული თქმულებებისა და ლეგენდებისადმი, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ ლეგენდებსა და თქმულებებში ასახული ეროვნული ცნობიერება, ეროვნული ჩვევები ათასგზის აღემატება თანამედროვეებს თავისი სიღრმითა და შინაარსით.

მწერალს ნაწარმოებში საგანგებოდ შემოჰყავს კაროლინა, რომ მკვეთრად დაგვანახოს, როგორ სულდგმულობს ერში ძველი ტრადიციები და ჩვეულებები. უცხო თვალისათვის ადვილად შესამჩნევია ის ეროვნული თავისებურებანი, რაც ქართველთა ეროვნულ ცნობიერებას წარმართავს.

თარაში ემხვარი ამაყობს, რომ ჩვენი ხალხი დღესაც მისდევს იმ ჩვეულებებს, რომელნიც მემუარებში შეტანილი აქვთ ძველ ბერძენ და რომაელ ისტორიკოსებსა და მოგზაურებს. „გახსოვდეთ: ვინც გამოცვლიდა, იგი გადაგვარებულა კიდევაც“ („მოვარის მოტაცება“).

არათუ სამშობლოში ინარჩუნებენ ქართველები თავის სახეს, უცხო ქვეყნებშიც თავისთავადი და სხვათაგან განსხვავებულნი რჩებიან. თარაშის მამის, ჯამსუდ ემხვარის პორტრეტი, მისი ჩვეულებები ანაქრონიზმია საზღვარგარეთული ყოფის მოდელისათვის. საერთოდ ჯამსუდის ტრაგედია მისი ბუნებიდან, მტკიცე ხასიათებიდან და ჩვეულებებიდან მომდინარეობს. ჯამსუდი თავისი ერის ნამდვილი შვილია, მტკიცე დამცველი თავისი ეროვნული ბუნებისა. სწორედ ამ სიმტკიცემ მიიყვანა იგი სამარის პირას, მაგრამ იგი სახეცვლილ სიცოცხლეს არც ისურვებდა, თუმცა იმდროინდელ საქართველოშიც მრავალთაგან მრავალი სიცოცხლის

შესანარჩუნებლად ყოველგვარ დათმობაზე მიდიოდა დროის წინაშე - მაგალითად მღვდელმა - სევასტი ლაკერბაიამ „ანაფორა გაიხადა“ - ოცდახუთი წელი ღვთის ქებით ირჩენდა თავს, ამიერიდან სიცოცხლე ღვთის გმობით უნდა განდიოს, ანუ სია მონაზონმა აბორტი გაიკეთა და სხვა მრავალი მაგალითის მოყვანაც შეიძლება, თუმცა შემგუებლობის განსაკუთრებულ სახეს „მოვარის მოტაცებაში“ შარდინ აღშიბაია და ჯოკია ქმნის.

საერთოდ ბევრი რამ ძველდება და ახალი თაობები ივიწყებენ ან ებრძვიან დრომოჭმულ ადათ-წესებსა და ჩვეულებებს, მაგრამ ბევრი ისევ რჩება, რომელთა აღმოფხვრა შეუძლებელია. თარაშ ემხვარი გრძნობს, რომ სხვათა ქვეყნების განათლების სისტემამ, მათმა ეროვნულმა ცნობიერებამ ბევრი რამ დააკლო მასაც და მის თაობასაც:

თარაშს მიაჩნია, რომ საზღვარგარეთ სწავლა აბრეშუმის ძაფით თვალებამოკერილი და საგემო მიმინოსავით მიმდინარეობს, როგორც მას ჩასძახიან ყურში ააა-ს, რათა თავისი წარსული გადაავიწყონ და თანდაყოლილი ენერჯის პირველადი სილადე გააცალონ და სხვის ნებაზე ფრენას მიაჩვიონ, ისე ჩასძახდნენ ყურში ააა-ს ევროპელი მეცნიერები, მწერლები, მუსიკოსები შვიდი წლის განმავლობაში მას.

თარაშ ემხვარის ბუნებაზე დაკვირვებით ვასკვნივთ, რომ სწორედ ეროვნულ ნიადაგზე მოწყვეტამ დაარღვია მისი სულიერი ჰარმონია, თუმცა ვერ წაშალა ეროვნული მსოფლმხედველობა. თარაში სულ მცირე ნიუანსებშიც კი გრძნობს ეროვნულ სულს: ევროპაში მოგზაურობისას თარაში გაფაციცებით ათვალთვრებდა ხალხის ჩაცმულობას, მისი აზრით, არაფერში ისე არ ჩანსო კაცობრიობის კულტურის მრავალსახიერი საპირე, როგორც კოსტიუმების ისტორიაში. სახისა, ჩაცმულობისა და მიხვრა-მოხვრის ნიშატი. თარაშს მიაჩნია, რომ ყველა ამ თავისებურებაში, რაც ცალკეული კუთხის ხალხთა ჩაცმულობასა და ბუნებაში იკითხება, გამოიკვეთება მათი ინდივიდუალური სახე, რაც თავისთავად მრავალფეროვან ეროვნულ ასპექტს ქმნის.

საერთოდ გამსახურდიას ყველა ნაწარმოებში იგრძნობა ქართველთა ეთიკური, ეთნიკური თუ ზოგადად საწესჩვეულებო რიტუალისადმი უდიდესი ინტერესი. თვით ტანსაცმლის ფორმასა და თუნდაც ქართული ჩოხა-ახალუხის ჩაცმა-მორგების წესშიც კი შეიძლება ამოვიკითხოთ ქართული ბუნება-ხასიათი. მაგალითად ახალუხის ღილების შეკვრა მთელ ფილოსოფიად მიაჩნია თარაშს.

რომანში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეგრელთა, აფხაზთა თუ სხვათა ინდივიდუალურ მახასიათებლებს და თითოეული მათგანი თავისთავადაც რამდენიმე კულტურული შრის მომცველია. ინგლისელი მეცნიერი მისტერ ემერი გაოცებულია იმით, რომ სვანეთში სხვადასხვა კულტურის ნაშთებია სინთეზირებული. ირანული მაზდეანიზმი, ქალდეული მოვარის კულტი და ძველბერძნული მისტერიები. ამდენი უნახავი არსად უნახავს და არც ამდენი გაუგონარი გაუგონია. კონსტანტინე გამსახურდია უცნაურზე მონადირედ არ თვლის თავს, მაგრამ სვანეთში მოგზაურობის მოტრფიალედ მუდამ რჩება, მას მიაჩნია, რომ საკვირველი რამ ყოველ კაცთაგან შეუძლია საკუთარ სულში აღმოაჩინოს.

სვანეთში გადახვეწილი თარაში კიდევ უფრო უახლოვდება იმ ძირებს, რომელიც მის ბუნებაში ერთგვარად პატრიარქატისადმი ნდობას და მოწონებას აღვიძებს. თარაშ ემხვარი გრძნობს საქართველოს წარსულს, რომელიც მთელი მისი მრავალრიცხოვანი ტომების კულტურითაა წარმოდგენილი, რაც ერთგვარ სამუხეუმო განწყობილებას ქმნის და ადამიანი რეალური ყოფიდან წარმოსახვისა და ფანტაზიის სამყაროში გადაჰყავს. ამ კულტურულ სახე-სიმბოლოთა ზიარებით თარაშ ემხვარის სული უფრო მეტად იტვირთება და მთლიანად შეუსაბამისო ხდება ოცნებაჩაკლული დროის.

საქართველოს ისტორიის იმ ეპოქამ, რომელზეც საუბარია ნაწარმოებში, გააყალბა და გააუფასურა ყოველგვარ ეროვნული და ღირებულებული საქართველოში, მითებიც განიცდიან დეფორმაციას, „ყოველი ღიდი ადამიანი ადამიანობის ხსოვნაში რჩება, როგორც მითი. იგი ეგზომ ახელებს მისი თანამედროვეობის ფანტაზიას“ წერდა კ. გამსახურდია წერილში „ტრადიციის წარმოშობა მისტიკის სულიდან“. მაგრამ მე-20 საუკუნეს წარმოსახვა არ ყოფნის ეზიაროს

და სული გაინედლოს მითით, ის ეროვნული სული და სიბრძნე, რაც ზოგადადაა ჩადებული მითოლოგიაში, დეფორმირდება და იკარგება. თავად მწერლმა კარგად იცის ქართული მითოლოგია, ის იდეები და იდეალები, რაც ქართულ მითოსშია გახმოვანებული. მაგრამ დარღვეულ, დეფორმირებულ დროსა და საზოგადოებაში, მითის დეფორმირებაც ხდება. ის სახე-სიმბოლოები, რომელიც მითოსში დევს, ისევე ხუნდება, როგორც თარაშ ემხვარის ნაოცნებარი ფერები და სიმღერები. ყველაფერი ისე იშლება და უფერულდება, როგორც ერთდროს მკვეთრ ეროვნულ იდეოლოგიაზე ფორმირებული სახელმწიფო და არა მარტო მთავრის მოტაცებაში, „დიონისოს ღიმელშიც“ მუდმივი ძიებისა და ეროვნული ცნობიერების ფორმირების პროცესზეა ყურადღება გადატანილი.

კონსტანტინე სავარსამიძის ეროვნული ასპარეზი დროითა და გარემოებითაა შევიწროებული, მაგრამ რატომაა ასე დიდი ტრაგედია ეროვნულ ფესვებს მოწყვეტა? საერთოდ ადამიანი, მითუმეტეს საქართველოში, ბავშვობიდანვე ეროვნული ღერძის გარშემო ტრიალებს, ეროვნული ზნე-ჩვეულებანი განსაზღვრავს მის ბუნებას, მის პიროვნებას.

რომანში თითქმის მითიურ ასპექტში წარმოსახება ტაია შელიას სახე, რომელსაც ავტორი „ნახევარსულიანს“ უწოდებს. იგი სავარსამიძის „მიწიერი“ აღმზრდელი, მიწის ძალითა და წარსულის მადლით ნაკურთხი ეროვნული გენიაა, რომელიც „უსამშობლო ღრუბლების“ სიმაღლეებსაც შეაგრძნობინებს ერის რჩეულებს. იგი თავის აღსაზრდელს მზის სიმაღლეს სულიერ სიმაღლედ უსახავს.

წერილში „1921-22 7 მაისი“ მწერალი მიუთითებს: „ვიდრემდის ქართულ რასის მაჯებში მწვანე სისხლი სჩქევს, ქართველობას ვერავინ წაართმევს საუკუნეების ბრძოლებში მოპოვებულ ეპიტეტს: „ერი ღმერთებთან მებრძოლი“ და კ. გამსახურდიას სულს სწორედ ამ ეპიტეტის პრიზმიდან განჭკვრიტოს საქართველოს მთელი ისტორია და თავის ისტორიულ რომანებში ამ ასპექტში წარმოგვიდგინოს თანამედროვეობაში გაცოცხლებული მხატვრული სახეები ისტორიული პერსონაჟებისა.

გიორგი პირველისა და დავით აღმაშენებლის სახეები კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების მსოფლმხედველობრივ პრიზმაში, მეტად საინტერესოდ და ღრმააზროვნად გვიხსნის ქართველ მეფეთა ეროვნულობისა და ზოგადად მეფობის ინსტიტუტების იმ მნიშვნელოვან პრობლემებს, რამაც ასე შთამბეჭდავი სახე მიიღო მხატვრულ ლიტერატურაში, რა თქმა უნდა, გვესმის, რომ მხატვრული სინამდვილე და რეალობა ერთმანეთს მთლიანად არასოდეს ემთხვევა, მაგრამ თუნდაც ნაწილობრივ მაინც აისახება მხატვრულ სინამდვილეში რეალობის ძირეული მონაცემები. მითუმეტეს დავით აღმაშენებლის შემთხვევაში, ვფიქრობთ მწერალი რეალობიდან თითქმის არასოდეს უხვევს, მხოლოდ მხატვრული ფერებით ამკობს სინამდვილეს.

წერილში „მაგიური შანდლები“ კ. გამსახურდია წერს „ჩვენმა საუკუნემ უარყო ყოველივე რელიგია, ვითარცა ფაქტორი და სათავე კულტურისა“, მაგრამ ისტორიულ რომანებში რელიგიას უარყოფის საფრთხე არ ემუქრება, რადგანაც მაშინ არა მარტოდენ მეფობის ინსტიტუტი იყო ეროვნულობის მესაჭე და ალაშქარი, ქრისტიანული სარწმუნოება და მისი მესვეურებიც ამ ეროვნული ცნობიერების გამადრმავებელნი იყვნენ.

„ლანდებთან ლაციცში“ კ. გამსახურდია აღნიშნავს, რომ „ქართლის ცხოვრების“ კითხვის დროს არაერთხელ უტირნია ვახტანგ გორგასლის, გიორგი პირველის, ბაგრატ IV-ის, დავით აღმაშენებლის, თამარის, გიორგი ბრწყინვალეს, სვიმონ მეფისა და ერეკლე მეორის გარდაცვალების გამო სწორედ ამ ბავშვობიდან გადმოყოლილი სახე-ხატები დომინირებენ „დავით აღმაშენებელში“. დავითის სახე ზოგად-ისტორიულ ფონზე არა მხოლოდ წარსულის, არამედ ყოველი დროის საქართველოს ეროვნულ-განმანათავისუფლებელი ბრძოლის სიმბოლოა. კონსტანტინე გამსახურდიასაგან ამ დიდი მეფისა და მისი დროის საქართველოს მხატვრული ასახვა განსაკუთრებული დანიშნულებისაა, გმირის სახის დახატვით, მწერალს სურს გააღვივოს ეროვნულ-განმანათავისუფლებელი ბრძოლის იდეა ქართულ საზოგადოებაში. მთავარი ის კი არ არის, რომ თავისუფლება ლანგრით მოგართვან, მთავარია სურვილი თავისუფლები-სა, მთავარია ერის სული არ ჩაქრეს. დავითის დროინდელ საქართველოში, გარეშე მტერთა

თავდასხმებისა და ბუნების სტიქიისაგან გამეტებული ხალხში, მაინც რჩებოდა სამომავლო იმედი.

ნაწარმოების ძირითადი იდეის შესამეცნებლად მწერალი იყენებს სხვათა მოსაზრებებს, სიზმრებს, თქმულებებს, ლეგენდებს, რომლებიც ნაწარმოებში სიმბოლოებად დევს და მათგან ვგრძნობთ და ვგულისხმობთ საქართველოს თავისუფლების იდეას. დამოუკიდებლობის დამაგვირგვინებელი კი თავისთავად დავით მეფეა, რომლის მოქმედებისა და მომავლის სახეს უკავშირდება ყველა სიზმარი თუ თქმულება. „დავით აღმაშენებელს“ თუ სიმბოლურ პლანში წავიკითხავთ, შევიცნობთ როგორც დავით მეფის, ისე მთელი საქართველოს ბედისწერას. განსაკუთრებით საინტერესოდ იკითხება უკანასკნელი თავი „დიდი ომი“. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეფის ჭიდილი სიკვდილთან, უკანასკნელი დიდი ომია, არა მარტო პიროვნულად მეფისა, არამედ მთელი საქართველოსი. ყველა ადამიანს ბედისწერა ამ უკანასკნელი დიდი ომისათვის ამზადებს და ამ შემთხვევაში ამ დიდი ომის სიმბოლო მთელ საქართველოსა და განფენილი და გვარწმუნებს, რომ ისინი, ვისაც ძალუძდათ თავისი ბედისწერა მთელი ქვეყნის სიმბოლოდ და მინიშნებად ექციათ, სწორედ მათ შეძლეს ცხოვრებაზე კვალის დამჩნევა, მათ შეძლეს, რომ თავისი წასვლის შემდეგ შეცვლილი იერსახე მიეცათ ქვეყნისათვის.

გიორგი I-ისა და დავით აღმაშენებლის სახეები რაინდული საქართველოს სახე-სიმბოლოებია. მათი ინდივიდუალური თუ ეროვნული მახასიათებლები საქართველოს მომავლის საყრდენია.

ღირსეული და რაინდული ეპოქის სულისკვეთება ამდიდრებდა კ. გამსახურდიას მხატვრულ წარმოსახვას, რადგანაც თავად იმ დროის მკვიდრი შეიქნა, რომელიც ეროვნული სულის დეფორმირებას მიეღობოდა და როგორც ა. ბაქრაძე მიუთითებს „უღირსებო კაცი“ ხდება ქვეყნის წარმმართველი და მესაჭე, თარაშ ემხვარი თუ კონსტანტინე სავარსამიძე „ხედმეტ ადამიანებად“ იქცევიან.

სწორედ რაინდული საქართველოს, მითოსური თუ ზოგადად გარდასული გმირების სახე-სიმბოლოებით ქმნის კ. გამსახურდია კონტრასტს თანამედროვეობის „უღირსებო კაცთან“, როგორც ა. ბაქრაძე აღნიშნავდა: „განჯგონებულებთან. იმდროინდელი საზოგადოების ცხოვრების წესს „განჯგონებულები“ ქმნიან და არა ეროვნული სულით, ეროვნული ცნობიერებით გაჯერებული გიორგი პირველი, დავით აღმაშენებელი, კონსტანტინე არსაკიძე, თუნდაც თარაშ ემხვარი და კონსტანტინე სავარსამიძე.

ლიტერატურა:

1. ა. ბაქრაძე, მწერლობის მოთვინიერება 1990 წ.
2. ს. სიგუა, კ. გამსახურდიას პროზის სტრუქტურა, 1989 წ.
3. ქურდოვანიძე თ. ქართული ფოლკლორი 2001 წ.
4. გ. კანკავა „დიონისოს ღიმილის“ მითოსური სტრუქტურა „კრიტიკა“ №2, 1983 წ.
5. კ. გამსახურდია ტ. VI, 1963 წ.

Тамар Гумберидзе

**Символическое воспроизведение национального мышления и характера
в творчестве К. Гамсахурдиа**

Резюме

Как уже было отмечено, все творчество К. Гамсахурдиа представляет собой целую национальную программу, которая разъясняет нам как прошлое Грузии, так и ее национальные проблемы в будущем, и поясняет нам - как мы были, кто мы сейчас, и кем станем в будущем. Нами было указано, что как и в художественных произведениях, так и в публицистике писатель и мыслитель главнейшим вопросом считает проблему национального сознания и исходя из причинно-следственных отношений, позволяет заглянуть в будущее Грузии. Для писателя не было самоцелью художественное изображение прошлого Грузии, он прекрасно понимал, что именно в прошлом заложена основа завтрашнего дня страны.

Древнейшие грузинские мифы, легенды, сказания и сказки, озвученные в творчестве К. Гамсахурдиа, определяют как мышление и мировоззрение грузинского народа, так и его природу, самобытность, индивидуальный характер.

Tamar Gumberidze

**The Symbolic Expression of National Consciousness and Peculiarities
of Character in Konstantine Gamsakhurdia Creation**

Abstract

K. Gamsakhurdia as a main problem considers a national consciousness as in fiction so in publicism and always based on the causes and effects gives us opportunity to foresee the future of Georgia. The end in itself of the writer was not the artistic reflection of the past. He quite well understood that the foundation of the future of Georgia had been put in the past.

The oldest Georgian myths, legends, sayings or fairy tales outlined in K. Gamsakhurdia writings are determining as Georgians national way of thinking and generally world viewing as nation's nature and its original, individual character.

რეცენზენტი: პროფ. ს. სიგუა

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

თინათინ თუმბრაშიშვილი

თელავი, საქართველო

ნიკოლოზ ბარათაშვილის მოთხოვნილებათა იერარქია ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით

ადამიანი ერთადერთი გონიერი არსებაა უსასრულო სამყაროში. მასში ერთდროულად თანარსებობს ვიტალური და სულიერი მოთხოვნილებები. როდესაც ის ისრულებს ვიტალურ მოთხოვნილებებს, მერე უკვე საკუთარ თავში უფრო მაღალი გრძნობებისა და სურვილების აღმოჩენას იწყებს. ეს ე. წ. მაღალი მოთხოვნილებები ყველა ადამიანს აქვს, მაგრამ თითოეული მათგანი სხვადასხვა სიძლიერით მიიწევს დასახული მიზნისაკენ. რუბენშტეინი მიუთითებს: „ადამიანისათვის მოთხოვნილების ქონა მეტყველებს იმაზე, რომ იგი განიცდის საჭიროებას იმისას, რაც მასში არ არის და არსებობს გარე საგნებში ან სხვა ადამიანებში“ (რუბენშტეინი 2002: 522).

ადამიანის მოქმედებები მოტივირებულია სხვადასხვა მოთხოვნილებით. ამერიკელმა ფსიქოლოგმა აბრაჰამ მასლოუმ (Abraham Maslow, 1970) შექმნა მოთხოვნილებათა იერარქია, რომელსაც აქვს პირამიდის სახე და ისინი დალაგებულია მარტივიდან უმაღლესისკენ. მასლოუს აზრით, იერარქიაში მოთხოვნილებათა თანმიმდევრობა შეუცვლელი არ არის, ანუ შეიძლება დაირღვეს.

შევეცდებით, ნიკოლოზ ბარათაშვილის მოთხოვნილებები განვიხილოთ მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის მიხედვით.

ჩვენ არ შევეხებით პოეტის ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს, რომლებიც იერარქიის საფუძველში მდებარეობს, რადგანაც ასეთი მოთხოვნილებები ასე თუ ისე, მეტ-ნაკლებად, ყველას მიერაა გადალახული.

იერარქიაში, ამის შემდეგ ადამიანის მოტივაციას ქმნის უსაფრთხოების მოთხოვნილება, რომელიც ითვალისწინებს უშფოთველ, კომფორტულ ცხოვრებას.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ამ მოთხოვნილების გამომხატველია 1844 წლის 15 აპრილს ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილი პირადი ბარათი. იგი სწერს ადრესატს: „მე რომ პატარა დამოუკიდებელი მდგომარეობა მქონდეს, ახლავე მივატოვებდი ქვეყანასაც და ადამიანებსაც მათი გაუმაძღრობით, და დამშვიდებული და მოსვენებული გავატარებდი პატრიარქალურ ცხოვრებას მარტივი ბუნების წიაღში“ (ბარათაშვილი 1968: 186-187).

აბრაჰამ მასლოუს თეორიაში იერარქიულად მომდევნოა მიჯაჭვულობის ანუ თანაზიარობისა და სიყვარულის მოთხოვნილება. პოეტის პირად ბარათებში ნათლად ჩანს სიყვარულის მოთხოვნილების გამომხატველი ნიმუშები. 1842 წლის 31 ოქტომბერს იგი სწერს მაიკო ორბელიანს: „ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ. – არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულეობა ამდენის მარტოობით“ (იქვე, 179).

თანაზირობის სურვილის გამომხატველია ნახევანიდან მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილიდან პოეტის სიტყვები: „სამი თვეა აქა ვარ და ძაღლად არავინ მახსენა“.

ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის უსიყვარულოა იგივეა, რაც „ობლობა“. ამიტომ იგი ეძებდა სულიერ და ინტელექტუალურ მეგობრებს, რომლებსაც გაუზიარებდა თავის ტკივილსა თუ სიხარულს. ნიკოლოზ ბარათაშვილის თანამედროვეთა მოგონებებიდან, მისი ბიოგრაფიკიდან და პოეტის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან ჩანს, რომ მას ჰყოლია ბევრი მეგობარი. ვინ იმოქმედა პოეტის სულიერ მოთხოვნილებებზე ყველაზე მეტად, ვინ აირჩია მწერალმა თავისი ტკივილების არა მარტო გამზიარებლად, არამედ თანამგრძობლადაც?

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილებიდან და ბიოგრაფიკიდან ჩანს, რომ პოეტის გარემოს წარმოადგენდა იმდროინდელი ქართული გონებრივი ელიტა. ნათესავ-მეგობრები და მისი პოეტური შთაგონების ობიექტები იყვნენ ძირითადად მგოსნის თანამოაზრენი, მაგრამ ბარათაშვილისთვის მარტო ეს არ იყო საკმარისი: მისთვის აუცილებელი იყო ადამიანი, ვისთანაც მოახდენდა თავისი განწყობის სრულ რეალიზაციას. მაშინდელი რჩეული წრე განათლებული მამაკაცებისა და ქალებისა, რომლებთანაც ჰქონდა ახლო ურთიერთობა ნიკოლოზ ბარათაშვილს, ამის შესაძლებლობას იძლეოდა.

როგორც ვთქვით, პოეტს სჭირდებოდა ადამიანი, რომელსაც თავის სულიერ განცდებს გაუზიარებდა. სწორედ ასეთი გულითადი მეგობარი და მესაიდუმლე იყო მისთვის მაიკო ორბელიანი. ნ. ბარათაშვილს გულწრფელი, მეგობრული გრძნობით უყვარს იგი. პოეტისთვის ეს მშვენიერი ქალბატონი აზრისა და გრძნობის თანაზიარია.

ნახევანიდან 1845 წლის 9 თებერვალს ნიკოლოზ ბარათაშვილი სწერს მაიკოს: „საყვარელო დაო, მაიკო! შენი წიგნი მამივიდა; დიდად მადლობელი ვარ; ვიცი, რომ გიყვარვარ, მაგრამ შენმა გაზდამ, არც შენ ჩემსავით უყვარხარ ვისმე (ერთის მეტს)“ (ბარათაშვილი 1968: 193). ნ. ბარათაშვილი და მაიკო ერთმანეთის სულიერი მეგობრები იყვნენ. ერთ წერილში პოეტი სწერს მას: „მაიკო, რაც გაქვს სათქმელი, რატომ არ მწერ? სულ ერთია, თუ პირადად გითქვამს და თუნდ წიგნიში მოგიწერია; თუ შენი ამბავია, ხომ იცი, შევინახავ საიდუმლოდ და თუ ჩემი კარგი ამბავია და რატომ არ მანუგეშებ ამ დაობლებულს გულზედ?“ (იქვე, 195). პოეტმა მეგობრობისა და ერთგულების ნიშნად აჩუქა მას ლექსთა კრებული. მიძღვნა ასეთი: „დაო მაიკო, ეს ლექსები იქონიე ჩემეულად. ვიცი, რომ წამკითხველი მათი მოიგონებ ბევრთა საამოთა დღეთა ყრმაწვილობისათა და შემობრალე შენსა ყარობსა ძმასა“ (იქვე, 173). ამრიგად, მაიკო ორბელიანი ნიკოლოზ ბარათაშვილის არა მხოლოდ ინტელექტუალური, არამედ სულიერი მეგობარიც იყო, რომელსაც პოეტი ყველაზე მეტად უხსნიდა გულს, მაგრამ ვერც მასთან ახდენდა თავისი განწყობის სრულ რეალიზაციას. ერთგან ხუმრობის კილოთი, მაგრამ, მაინც უჩივის კიდევ მაიკოსგან მივიწყებას. 1845 წლის 9 თებერვალს მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც თავისთავად მეგობრობის მოთხოვნილებაცაა, პოეტი სწერს ადრესატს: „აი სამი თვეა, აქა ვარ და ძაღლად არავინ მახსენა...ახლა ჩვენ ვიღას მოვაგონდებით, ვიდაც ორი ტლუ ბიჭი გდია ნახევანში“ (იქვე, 193). ამასვე ჩივის 1845 წლის 25 აგვისტოს ბაბაღე საგინაშვილისადმი მიწერილ ბარათში „თქვენმა მზემ, თქვენ რომ ნათესავები მყევხრო, განა არა, მოვაგონდებით“ (იქვე, 197).

ადამიანი, რომელიც ვერა კაცთან ვერ ჰპოვებს ნუგეშს, სულიერ სიმშვიდეს ბუნების წიაღში ეძებს.

ბუნების სახით მწერალს თავისი განწყობის შესაფერისი გარემო ხვდებოდა. „იმისათვის რომ განწობა გაჩნდეს, მოთხოვნილება თავისი დაკმაყოფილების პირობების შემცველს ობიექტურ სიტუაციას უნდა შეხვდეს“ (უხნაძე 1940: 75).

ნიკოლოზ ბარათაშვილს, როგორც ყველა რომანტიკოსს, ბუნება წარმოდგენილი ჰქონდა ცოცხალ არსებად, რომელსაც აქვს ადამიანური გრძნობები, მაგრამ მწერალი ვერც ბუნებაში პოულობს საბოლოო თავშესაფარს. პოეტი, როგორც ცნობიერი არსება, ბუნებისაგან ვერ იღებს გონებრივ საზრდოს. ამიტომაც, რომ იგი მას უწინდელივით ვეღარ აკმაყოფილებს.

იერარქიაში შემდეგი დონეა პატივისცემის მოთხოვნილება – მოთხოვნილება საკუთარ თავში ისეთი ადამიანის დანახვისა, რომელიც სხვათა მხრიდან იმსახურებს პატივისცემას.

პოეტის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ვხვდებით ამ მოთხოვნების გამოხატველ ნიმუშებს: იგი ხაზს უსვამს თავის ბეჯით ბუნებას, თავის უპირატესობას... ხოლო ერთ წერილში ორიგინალურადაა გამოხატული საკუთარი თავისა და მეგობრების ფასეულობაში დარწმუნება. იგი კატოს ქორწილის შემდეგ სწერს ზაქარია ორბელიანს: „თუ ღმერთი გვაღირსებს ერთად შეყრას, შენ, გრიგოლ, ილია, გიორგი, მამუკა, უნდა ვეწვივნეთ ამ შემოდგომაზე, რომ ღაზათი გავწიოთ“ (ბარათაშვილი 1968: 192).

მასლოუს თეორიის შემდეგ საფეხურზეა მოთავსებული შემეცნებითი – ცოდნის მოთხოვნილება. პოეტის ინტელექტუალური მოთხოვნების შესანიშნავი ნიმუშია მის მიერ გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილი ბარათები. ერთში პოეტი საყვედურს გამოთქვამს მშობლებისადმი: „...რადგან შევიტყე უარი მათი და მით უამოვნობა, ვსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა...“ (იქვე, 169). მეორე წერილში კი ჩივის თბილისის უნიტერესო ცხოვრებაზე: „ტფილისის ისევ ის ქალაქია, უსარგებლო გონებისა და გულისათვის“ (იქვე, 175).

შემდეგ დონეზე თავსდება ესთეტიკური მოთხოვნილება. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ნათლად ჩანს პოეტის ესთეტიკური სამყარო. მისთვის მომხიბვლელია „კოჯრის ნიავის ქროლა“, „მშვენიერი მთვარიანი ღამეები“. პოეტი სწერს მიხეილ თუშანიშვილს: „...მხოლოდ თბილისის მშვენიერი მთვარიანი საღამოები გამომაცოცხლებს ხოლმე“. მგოსნისთვის ესთეტიკური აღტაცების გამომწვევია ქალის „შვენება“, რომელიც „განატკბობს სახედველს“, და „ლექსს ამშვენებს“. ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის მშვენიერება გამოხატავს სულის მომხიბვლელობას და ნამდვილ ბედნიერებას. პოეტი სწერს მაიკო ორბელიანს: „შენი ავადმყოფობა შევიტყე, რა დაგემართა? თუ ფიქრობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო? მიხვეწე კაცი, რომ მადრიელი იყოს ამ წუთის სოფლისა. – დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი ჭეშმარიტი ბედნიერება, უმადლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან“ (იქვე, 180). მაიკო ორბელიანისადმი მიძღვნილი წერილიდან ეს ამონარიდი მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ამ სიტყვებით ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის სურვილსაც გამოხატავს, რომელშიაც კარგად ჩანს მისი ბუნება – მისწრაფება არა იმდენად სახელის მოხვეჭისა და ნივთიერი კეთილდღეობისადმი, არამედ უფრო ადამიანური ბედნიერებისადმი.

ზემოდასახელებულ ელემენტარულ ადამიანურ მოთხოვნებებს მოჰყვება საკუთარი პოეტენციის სრული განვითარებისა და გამოყენების სწრაფვის, ანუ თვითაქტუალიზაციის მოთხოვნა. ნიკოლოზ ბარათაშვილის სრული შესაძლებლობისა და უნარის გამოვლენის მოთხოვნების ნიმუშია მისი პირადი ბარათები. პოეტი სწერს გრიგოლ ორბელიანს: „მე შინაგანი ხმა მიწევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო!“ (იქვე, 182). ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი სურვილების აღსასრულებლად ბედთან შებრძოლებასაც კი აპირებს, იგი სწერს ბიძას: „...დაუმორჩილდი ჩემს მკაცრ ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხვალმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება“ (იქვე, 169). პოეტი დარწმუნებულია თავის გონებრივ შესაძლებლობებში, იბრძვის მისი განხორციელებისათვის, რათა „ხელმწიფურად გადახედოს თავის ასპარეზს“ (იქვე, 182).

მიუხედავად ზემოთქმულისა, მართალია, ნ. ბარათაშვილს არ ჰქონდა მისთვის შესაფერისი ზნეობრივი სამსახურებრივი გარემო, მის წერილებში ზოგჯერ მაინც გამოკრთის პოეტის კმაყოფილება მცირე წარმატების გამო. ერთ წერილში იგი სწერს გრიგოლ ორბელიანს: „...ვიმყოფები სუდაირასპრავაში. წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოველი“ (იქვე, 169). მაიკო ორბელიანს კი სწერს: „...ადარც მე მცალიან ვისთვისმე; ახლა მე ჩემი თავი ხელმწიფობას და საზოგადოებას შევსძღვენ; სულ ხომ ემაწვილობა არ იქნება, დრო არის რიგიანის სამსახურისა“ (იქვე, 193).

აბრაჰამ მასლოუს სქემაში იერარქიის მწვერვალზე იმყოფება ტრანსცედენტური მოთხოვნილება, რომელმაც ადამიანი შეიძლება ცნობიერების უმადლეს მდგომარეობამდე და სამყაროში საკუთარი დანიშნულების კოსმიურ ხედვამდე მიიყვანოს (გერიგი... 2009: 499).

ადამიანისათვის მნიშვნელოვანია იცოდეს, თუ რა განსაზღვრული ადგილი აქვს მას სამყაროში და მის არსებობას რა მიზანი გააჩნია. ამიტომ მას უნდა ჰქონდეს მოთხოვნილება გაიგოს, თუ ვინ არის და რატომ გაჩნდა იგი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი არ იყო იმგვარი ადამიანი, რომ იგი საკუთარ მე-ს საზღვარს არ გასცდებოდა. პოეტმა, როგორც მაღალი ხედვის ადამიანმა, იცოდა თავისი არსებობის დანიშნულება. მისი ფართო გონება სივრცეს ეძებდა „ცის იქით“. იგი ეუბნებოდა ცას: „გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს“ („შემოღამება მთაწმიდაზე“).

პოეტი მუდამ აკვირდებოდა ცხოვრების მიზანს, ადამიანის ბუნებასა და მის დანიშნულებას, მაგრამ ყველაფერში ამოებდას ხედავდა. იგი მიხვდა, რომ ცხოვრება რაც არ უნდა ამოებდად მიგვაჩნდეს, ადამიანი მაინც უნდა ემსახუროს ხალხს, საზოგადოებას და ქვეყანას.

საზოგადოებისა და ქვეყნისთვის მოღვაწეობის სურვილს გამოხატავს ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში. 1842 წლის 2 მაისს გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილ ეპისტოლეში პოეტი აღფრთოვანებას გამოხატავს ტყვეობაში მყოფ ილიკო ორბელიანის პატრიოტული და გმირული ქცევის გამო. ვფიქრობთ, ნ. ბარათაშვილი ნატრობდა კიდევ ილიკოს მდგომარეობაში ყოფნას, როცა წერდა: „ხოგჯერ ამისთანა შემთხვევაც კარგია კაცის სიცოცხლეში“ . ამასვე გამოხატავს პოეტი ამავე წერილის შემდეგ სიტყვებში, როცა წერს: „ილიას დაჭერა რომ შევიტყე, სწორე გითხრა, ძალიან შევწუხდი, ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით...“ [ბარათაშვილი 1968: 176-177]

ნიკოლოზ ბარათაშვილს, როგორც იმდროინდელ ახალგაზრდებს, სამხედრო საქმის სიყვარულისა და პირადი დაწინაურების გარდა, ჰქონდა სწრაფვა ბრძოლის ველისკენ. მისი საოცნებო მიზანი სამხედრო კარიერა იყო. მითუმეტეს, რომ 1843 წლისათვის ახალგაზრდობის უმრავლესობა დადესტინის ომში იბრძოდა. აკი სწერდა კიდევ თავის უკვე ავარიის მმართველ ბიძას: „ჩემი ფიქრი მანდელ მოჰქრის, ეცადე, რომა რენემკაფთან დამანიშნინო“.

პოეტისთვის სანატრელი იყო ასევე ადამიანებზე მზრუნველობა, რაც გამოხატა ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილ ბარათში. იგი სწერს ადრესატს: „ღრმად ჩაიხედე შენს გულში და მაშინ, როცა დარწმუნდები, რომ დიდების ქუხილსა და იარაღის ჟღარუნს შენი სმენისთვის აღარა აქვს მაგიური მნიშვნელობა, – დაანებე სამსახურს თავი, ხელი მოჰკიდე მეურნეობას. ეს იქნება მეორე სასახელო საქმე – გააბედნიერო შენი გლეხები, რომლებიც ამდენი ხანია მიტოვებულნი არიან უპატრონოდ – უმზრუნველოდ“ [იქვე, 187]. ნაცვლად ამისა, ცხოვრებამ არ გაუმართლა პოეტს ზრახვანი და იგი მოიცვა სევდამ და მწუხარებამ.

ჩვენ განვიხილეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის მოთხოვნილებები აბრაჰამ მასლოუს იერარქიის მიხედვით. აუსრულდა თუ არა პოეტს თითოეული მათგანი? ვფიქრობთ, რომ არა! პოეტმა ვერ გადალახა იერარქიის ვერც ერთი დონე, ელემენტარულიც კი.

როცა ადამიანი რაიმე სიკეთეზე ფიქრობს და მას დაკარგავს ან ვერ მიიღებს, მის სულში წარმოიშობა მწუხარების გრძნობა. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან ირკვევა, რომ პოეტსაც ჰქონდა სხვადასხვა დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება და შესაბამისად, თავისი სულის ტრაგედიის არაერთი წყარო. პოეტი 1844 წლის 15 აპრილს ზაქარია ორბელიანისადმი მიძღვნილ ბარათში ასახელებს იმ მიზეზებს, რომლებმაც „საშინელი სიცარიელით ადავსეს“ პოეტის სული. ესენია: „ჩვენი არსებობის მიზნის მიუწვდომელობა“, „ადამიანთა სურვილთა უსაზღვროება“, „და ყოველივე ამქვეყნიურის ამოება“.

ამგვარად, ნიკოლოზ ბარათაშვილს უამრავი მოთხოვნილება ჰქონდა თავისი მოქმედებისა და უნარის გამოსავლენად. ამის საშუალება არ მისცა იმდროინდელმა ცხოვრებამ. „აღუესებელმა საწყაულმა“ – დაუკმაყოფილებელმა მოთხოვნილებებმა, აუხდენელმა სურვილებმა – გამოიწვია მეოსნის სულიერი დისკომფორტი, რამაც შესაძლოა, ადამიანი თვითმკვლელობამდე მიიყვანოს. ნიკოლოზ ბარათაშვილზე გურამ ასათიანი წერს: „ვინ დაამტკიცა, რომ განჯის დამეებთან მარტოდ დარჩენილ პოეტს თვითმკვლელობით არ დაუსრულებია თავისი ხანმოკლე სიცოცხლე?!“ (ასათიანი 1983: 6). თუ გავითვალისწინებთ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს „სიცოცხლე მოსძულებია“, სიკვდილი მისთვის „ნუგეშისცემაა“, ამ ვერსიასაც ვერ

უარვეყოფთ. პოეტი მიხეილ თუმანიშვილს სწერს: „...მშვენიერი გამოგონებაა სასაფლაო. იგი აუცილებელიცაა, რათა მოკვდავმა მასში ხანდისხან თავისი ცხოვრება ამოიკითხოს: ნუგეშისცემა უბედურისა, ბედნიერების დასასრული!“

ლიტერატურა:

1. ასათიანი 1983: გ. ასათიანი, თანამდევნი სულები. თბ.: „მერანი“.
2. ბარათაშვილი 1968: ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი. პ. ინგოროყვას რედაქციით, კომენტარებით, შენიშვნებით, შესავალი წერილით. თბ.: „საბჭოთა საქართველო“.
3. გერიგი 2009: რ. გერიგი, ფ. ზიმბარდო, ფსიქოლოგია და ცხოვრება. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. Рубинштейн 2002: Рубинштейн, Основы общей психологии, Серия „мастера психологии“, Санкт-Петербург.
5. უზნაძე 1940: დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ტინატინ ტუშაბრაშიშვილი

Иерархия Требования Николоза Бараташвили в соответствии с эпистолярного наследия

Резюме

В статье рассматриваются требования Николоза Бараташвили в соответствии с иерархией требований американского психолога Абрахама Маслоу. Мы отнесли к требованиям поэта соответствии с требованиями безопасности, общительностью и любовью, уважением вместе с эстетической, самореализации и transcendent требования. Исследование показало, что Николоза Бараташвили не смог выполнить его пожелания, он не обогнал любых уровнях иерархии. Таким образом, его незаметно требования вызвали душевный дискомфорт поэта.

Tinatini Tushabramishvili

Hierarchy of Nikoloz Baratashvili's Requirements according to the Epistolary Legacy

Abstract

The article deals with Nikoloz Baratashvili's requirements according to the hierarchy of the requirements of American Psychologist Abraham Maslow.

We have concerned the poet's requirements considering the safety, sociability and love, respect together with the esthetical, self-actualization and transcendent demands.

The research has revealed that Nikoloz Baratashvili couldn't fulfill his wishes; he hasn't overtaken any levels of the hierarchy. Thus, his unperceived demands caused the spiritual discomfort of the poet.

რეცენზენტი: პროფ. ზ. ვალიევა

ლიტერატურათმცოდნეობა

Литературоведение

Literature

Наталья Кузьмич

Минск, Беларусь

Особенности поэтики рассказа Галины Богдановой «Прыгожая прыйшла (Тры каханні Неферціці)»

В произведениях современной белорусской писательницы Галины Богдановой главные героини – женщины, разные по возрасту и социальному статусу. Герои ее рассказов натуры сентиментальные, чувствительные к различным проявлениям действительности, склонные к самоанализу, люди с тонким внутренним миром, долго и мучительно рассуждающие над своими поступками и отношениями с другими, ищущие единственно правильный выбор в сложной ситуации живут в созданном собой своем внутреннем мире, в окружающей жизни видят отражение своего, «идеального», мира, поэтому не находят понимания с теми, кто рядом, чаще остаются одинокими, с душевными ранами, причем они не пытаются что-либо изменить в своей жизни, а считают нормальным отдавать себя на волю судьбы. В произведениях значительное внимание уделяется внутренней жизни героини, ее рассуждениям и мыслям.

В данном материале сделана попытка рассмотреть некоторые особенности поэтики рассказа Г. Богдановой «Прыгожая прыйшла (Тры каханні Неферціці)».

Автор в рассказе использует разные средства для создания максимально правдивой истории. Можно сказать, это достигается и за счет максимального приближения в тексте к собственным близким контекстам – показ своего внутреннего мира, элементов биографии (например, в разговоре с работодателем в начале рассказа затрагиваются реалии конца 90-х годов XX века, журналистское образование автора, т.д.). В рассказе используются исторические реалии разных временных пластов: корабль «Титаник» (на нем плывет автор дневниковых записей мать пани Магды), египетская царица Нефертити (ее открывает миру муж автора дневниковых записей, ее скульптурные изображения присутствуют на «Титанике», с одним из них происходит своеобразная трансформация-оживление, в результате чего героиня рассказа попадает в прошлое, во времена Нефертити, где происходит разговор между египетской царицей и героиней рассказа), египетские фараоны Аменхотеп III, Аменхотеп IV, др. Также можно найти элементы интермедийной поэтики, обращение к предметам разных видов искусств и обыгрывания их в тексте: «Гэтай зімою ў Аль-Амарне іхняя экспедыцыя адшукала цэную скульптурную майстэрню, калі не памыляюся, майстра, які працаваў там, звалі Тутмас. Муж кажа, што гэта першае з вядомых у гісторыі сусветнага мастацтва імя скульптара. Там, у майстэрні, было шмат розных работ. У тым ліку некалькі выяў жанчына – царыца, якая, як кажуць вучоныя, у новым XX стагоддзі можа набыць сусветную вядомасць. Адзін з яе бюстаў стаіць зараз на маім стале, мы ўзялі яго з сабою, яна, як і мы, плыве ў Амерыку. Даўгая выцягнутая шыя, крыху скуласты, вельмі выразны твар, бровы-крылы, задумлівыя вочы... Дакладней, вока. Другое скульптар не дамаляваў. Толькі пазначыў...» [1: 15], «Я столькі бачыла замалёвак з раскопак. І паўсюль старажытныя егіпцяне ў, як мне тлумачылі археолагі, адзінай дазволенай паставе: галава і ногі ў профіль, тулава ў дзве трэці, а плечы

ў фас. А фараон абавязкова ў некалькі разоў большы за сваіх падданных» [1: 19], описание вербальными средствами скульптурного портрета царицы: «...Якая мяккая, шурпатая, але ўсё адно мяккая ў цябе скура, мілая Неферціці, а вока, тваё вока вось зараз так заблішчэла, што мне падалося, з яго пабяжыць сляза, жывая сляза. Не трэба, не плач, Неферціці. Давай лепш пагаворым. Як жанчына з жанчынай. Зараз я паспрабую ўсміхнуцца. Як ты. Мякка і іранічна. Вось так. У мяне за плячыма ўсяго некалькі дзесяцігоддзяў. У цябе – вечнасць, але, я ўпэўнена, ты зразумееш мяне...» [1: 16]. Автор дневниковых записей смотрит на изображение египетской царицы и рассказывает ему про свои чувства, про свою любовь, трех мужей. И происходит невероятное – египетская царица оживает и приглашает автора дневниковых записей с собой, в далекое прошлое, в свои покои, где также как женщина рассказывает ей о своей любви.

Пространство и время в рассказе организуют сюжетное действие. Пространство в тексте, как правило, закрытое: каюта на корабле, комната; время представлено несколькими временными пластами: настоящее – прошлое – давнее. Временные пласты достаточно четко размежеваны в тексте, что достигается с помощью введения в текст дневниковых записей, где воспоминания перемежаются с элементами мифологизации, возникает ощущение «прошлого в прошлом»: героиня разговаривает со своим работодателем пани Магдой, которая доверяет ей дневниковые записи своей матери (настоящее), мать пани Магды в корабельной каюте перед скульптурным изображением египетской царицы пишет дневник и рассказывает о своей жизни и своей любви (прошлое), египетская царица Нефертити приглашает с собой автора записей и в своей комнате рассказывает о своей жизни и любви (давнее). На основе чего возможно провести аналогию: дочь – мать – женщина древности, и сделать выводы о схожести внутреннего мира женщины, независимо от времени жизни. Таким образом, тема рассказа крутится вокруг темы женского счастья. Женщина теперь и женщина сколько столетий тому назад – у них похожи судьбы. Три мужа и три любви у пани Магды и три любви царицы Нефертити. Женщина оаскрывает свои чувства дневнику и скульптурному изображению великой египетской царицы, а потом происходит своеобразная трансформация: царица Египта возникает из прошлого и рассказывает про свою любовь и свое несчастье. Причем женщины, а именно их внутреннее состояние, ощущения, похожи, хотя их отделяет несколько тысячелетий.

Значимое место в рассказе, как и в других произведениях писательницы, занимают подробности. Их бывает много, что создает впечатление описательности; они используются практически для всего: описания внешности, одежды, мыслей, местонахождения, и в своей совокупности дополняют пластическую фактуру произведения, помогают дорисовать впечатление об образе, явлении или более ярко высветить некоторые их стороны в определенной ситуации. Это своеобразная психологическая зацепка, на первый взгляд, неприметная, которая может стать толчком для понимания психологической стороны созданного образа. Своеобразной мини-деталью во многих произведениях писательницы выступают глаза героев (в народе считается, что глаза человека могут сказать про многое, это как способ понимания его внутреннего мира). Часто такая деталь употребляется с детализирующим определением: глаза первого мужа матери пани Магды Казимежа «ясныя, шэра-блакітныя, з хітрынкай і халаднаватым сталёвым водбліскам» [1: 16], «Аменхатэп III быў такі моцны, і гэтая моц іграла ў кожныя ягоныя жэсце, руху, кожным ягоным кроку і нават у позірку ягоных цёмных агатавых вачэй» [1: 20], «У ягоных цёмных вачах было столькі шчасця і столькі распачы» [1: 23] о глазах скульптора Тутмеса. Также автор обращает внимание на руки героев: «Але ж рукі... мае рукі, далоні, ты адчуваеш, Неферціці, я зараз адкладу ручку, адчуваеш, якія мяккія ў мяне далоні?... Рукі нямеюць, камянеюць, і я думаю, я ўпэўнена, гэта таму, што ім не дазволена, яны не маюць магчымасці аддаваць цяпло і ласку» [1: 18] (руки автора дневниковых записей), «моцныя цёплыя рукі» [1: 20] Аменхотепа III, др.

Таким образом, рассказ «Прыгожая прыйшла (Тры каханні Неферціці)» имеет свои особенности в поэтике, но, в целом, написан в стилистической манере писательницы.

Литература

1. Багданава Г. Сакрамэнта: апавяданні, аповесці / Галіна Багданава. – Мінск: Медысонт, 2010. – 308 с. – (Бібліятэка Саюза беларускіх пісьменнікаў «Кнігарня пісьменніка»; вып. 9).

Наталья Кузьмич

**Особенности поэтики рассказа Галины Богдановой «Прыгожая прыйшла
(Тры каханні Неферціці)»**

Резюме

В данной статье предпринята попытка исследования особенностей поэтики рассказа «Прыгожая прыйшла (Тры каханні Неферціці)» современной белорусской писательницы Галины Богдановой.

Natalija Kuzmich

**The poetics' peculiarities of the story «The beautiful went (The three loves of Nephertiti)»
of Galina Bogdanova**

Abstract

The poetics' peculiarities of modern Belarusian novels are revealed in the thesis. This item is analyzed for example of the work ««The beautiful went (The three loves of Nephertiti)» of modern Belarusian writer Galina Bogdanova.

Рецензент: Э. Карабекова

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

ნინო გოგიაშვილი

თელავი, საქართველო

მუხრან მაჭავარიანის ლექსის ზოგიერთი თავისებურების შესახებ

მუხრან მაჭავარიანი ქართული ლექსის სტრუქტურის ნოვატორია. იგი წერს როგორც კონვენციურ ლექსს, ასევე ვერლიბრსა და შერეულ – პოლიმეტრულ ლექსებს. მან წარმატებით ჩამოაყალიბა ქართული ლექსისათვის არაორგანული – აქცენტური ლექსის მოდელი და მშობლიურ ენას მიუსადაგა. გამომდინარე იქიდან, რომ აქცენტური ლექსი დამახასიათებელია იმ ენებისათვის, სადაც მახვილია, რთული იყო ქართული ლექსის ლოგიკური მახვილებით დატვირთვა, რადგან ქართულში მახვილი ბუნებრივად ყოველთვის სიტყვის პირველ მარცვალზე მოდის და მას განსაკუთრებული აღნიშვნა არ ესაჭიროება. თავში განხილულია მაჭავარიანის ტროპული მეტყველება, როდესაც იგი მიმართავს გამეორებას, იდიომებს, ფრაზეოლოგიზმებს, დიალექტს. აღნიშნულია სტროფისა და კლაუზულის თავისებურება, რომელიც პარმონიულად ერწყმის ლექსის საერთო ხასიათს. მუხრან მაჭავარიანი ოსტატობის პიკს ავლენს მცირე ტანის ლექსებში ე.წ. მინიმებში. იგი მინიმალური დანახარჯით აღწევს მაქსიმალურს და ლექსის მცირე მოცულობაში დიდ აზრსა და ემოციას დებს.

ქართული ლექსი თავისი ბუნებით სილაბურ-ტონურია, სალექსო სტრიქონი კი უპირატესად მარცვალთა რაოდენობას ემყარება. მისი ვერსიფიკაციული მოდელი განისაზღვრება, როგორც სალექსო სტრიქონში მარცვლების თანაბარი რაოდენობით, ასევე თანაბრად გადანაწილებული აქცენტური მახვილებით. თუმცა, გვხვდება სილაბური ან ტონური ანუ აქცენტური ლექსების შესანიშნავი ნიმუშებიც. ტონური ანუ აქცენტური ლექსი დამახასიათებელია ისეთი ენისათვის, რომელსაც გამოკვეთილი მახვილი ახასიათებს. ასეთია, მაგალითად, რუსული. „აქცენტური ლექსისათვის რითმა სავალდებულო არაა. აქცენტურ ერთეულებში – მახვილიდან მახვილამდე მარცვალთა რაოდენობა ნებისმიერია“. (ჭილაია, 1971 - 68) რუსულ პოეზიაში ხშირად გვხვდება ტონური ლექსის მაგალითი. ვლადიმერ მაიაკოვსკის ლექსები კი ამის საუკეთესო მაგალითია:

«Поэзия та же добыча радия,
В грамм добыча, в год труды.
Изводишь, единого слова ради
Тысячи тонн словесной руды».

მუხრან მაჭავარიანის უდიდესი მიღწევაა ქართული ლექსისათვის არაორგანული ტონური მოდელის გემოვნებიანად შეხამება ქართულ პოეზიასთან. 1949 წელს დაწერილი ლექსი „პუშკინი თბილისში“ აქცენტური ლექსის მშვენიერი მაგალითია:

„პუშკინი ტფილისის ქუჩებმა გაიტაცეს.

თავადი თამადობს.
ბაღში ქეიფია.

მპკინვარებს ქეიფი აზიურ ყაიდაზე.
– ალექსანდ პუშკინი!
იცნობდეთ, თავადო“!

ლექსის პირველ და მეორე სტროფებში მახვილების მონაცვლეობა 4/4 – ზეა, მესამე სტროფში მახვილები 3/3-ზეა, ლექსში ყველაზე საინტერესოა მეოთხე სტროფი:

„ ... პუშკინმა დანახარჯი
ღიმილით მიუთვალა, -
საქომაც გაუღიმა
პუშკინს ნაცვლად ხურდის.
– რამ გაგათახსირა, საქო ავლაბრელო! –
რა ჰქონდა პუშკინს შენი გასაქურდი“!

ზემოთმოყვანილი სტროფის ყველა სტრიქონში 4-4 აქცენტური მახვილია, მარცვლების რაოდენობა კი, სტრიქონების შესაბამისად, შემდეგნაირად იცვლება: 14,13,12,11, ანუ ყოველ მომდევნო სტრიქონში ერთი მარცვლით იკლებს. მსგავსი ვერსიფიკაცია გამორიცხავს ლექსის სილაბურ ან სილაბურ-ტონურ მოდელს, ეს არის აქცენტური ტიპის ლექსი, რომლის კითხვისას სულაც არ იგრძნობა დისკომფორტი, არც მეტყველებისას და არც მოსმენის თვალსაზრისით. მუხრან მაჭავარიანმა შეძლო, ქართული პოეზიისათვის ატიპური მოვლენა, ასე ორგანული და მისაღები გაეხდა მკითხველისათვის.

ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია უსათაურო ლექსი, რომელიც გრიგოლ ორბელიანისად-მია მიძღვნილი.

„ცივი ქუჩები პეტერბურგის შემოიარა რა,
ყაბახს უხსენებდა და უქებდა დისწული კოჭლი.
ბოღმა და ღიმილი გადმობერტყა „ჩემო იარაღად“, -
პეტერბურდში ინატრა ნიაგი კოჯრის“.

ზემოთხსენებული ლექსიც 1949 წლით თარიღდება. ამ სტროფის ყოველ სტრიქონში სამი აქცენტური მახვილია, მარცვალთა რაოდენობა კი იცვლება შემდეგი თანაფარდობით: 15,15,17,12. ლექსი „საბაც“ სილაბურ-ტონური და ტონური სტროფების აშკარა მონაცვლეობით გამოირჩევა:

„ცამეტი ლუდოვიკო კედლიდან იყურება.
ციცას ეფერება ლუი მეთოთხმეტე.
ხალხს ხმა დაუკარგა მეფის სიყრუემა, -
მეფეს ხალხზე უფრო კატა ეცოდება“.

„საბაც“ 1949 წელსაა დაწერილი. როგორც ჩანს, ჭაბუკი პოეტი ამ წლებში ინტენსიურად ამუშავებდა ქართული აქცენტური ლექსის ვერსიფიკაციულ ვარიანტებს, და შედეგიც სახე-ზეა, - ხსენებული სამივე ლექსი ქართული პოეზიის საგანძურია!

ვერსიფიკაციული თვალსაზრისით ცალკე განსახილველია ლექსი „ჭოლა“, რომელშიც პოეტი ყვება დიდი ქართველი ნოველისტის – ჭოლა ლომთათიძის ტრაგიკულ ისტორიას. ლექსი საოცრად მდიდარია სილაბური და აქცენტური ვერსიების მონაცვლეობით და მათი სიმბიოზით.

„მატარებელი კი, თითქოს არაფერი! –
მიქრის და ...
ადარ ჩანს ქოხები, ღობე ...
– დედაო, მიშველე! –
კინალამ დაიძახა
ჭოლამ,
ვით სიყრმეში იცოდა ხოლმე“.

ლექსის უმძიმეს ემოციურ ფონს ამძაფრებს ვირტუალური ოსტატობით შესრულებული მასალა. მე ვფიქრობ „ჭოლა“ ერთ-ერთი ყველაზე უკეთესია მუხრან მაჭავარიანის საუკეთესო ლექსთაგან. ამ ლექსში კულმინაციას აღწევს პოეტის ტექნიკის, სიუჟეტის, ემოციის, რიტმიკის ფლობა.

ტონური ლექსების რიცხვს მიეკუთვნება „მეზავრული“, „ფოთოლი“ და სხვები...

„ფოთოლმა კვირტიდან თავი დაიძვრინა,-

მიატარ-მოატარა თვალი ბაღიდანა;

ყვავილი ტყემლისა,- ფიფქივით წვრილი,-

თოვლი ეგონა და თრთოლამ აიტანა“.

ლექსი „ფოთოლი“ ერთი სტროფისაგან შედგება. არ შეგვიძლია, არ გავავლოთ პარალელი მირზა გელოვანის ამავე დასახელების, ამავე მოცულობის ლექსთან:

„მსუბუქი ტანი გაქვს, სურვილს აყოლილი“...

ამ ფრაზით დაწყებული ლექსი მარცვლების იგივე რაოდენობით და ანალოგიური აქცენტური მახვილებით გრძელდება და სილაბურ-ტონური ლექსის მაგალითია. მუხრან მაჭავარიანის „ფოთოლი“ კი მეორე სტრიქონიდანვე არღვევს მარცვალთა რაოდენობას, აქცენტური მახვილები კი უცვლელი რჩება. ტონური ლექსების მაგალითების მოყვანა მისი პოეზიიდან მრავლად შეიძლება, თუმცა, ამჯერად, აქ შევჩერდებით.

გარდა ზემოთხსენებულისა, კლასიკური ქართული ლექსის სილაბურ-ტონური ვერსიფიკაციითაა შექმნილი მისი ლექსების უმეტესობა. ლექსი „სოფელი“ მისი პასტორალური ციკლიდანაა:

„ქარი,- ჩვეული ღაღობით,-

გადი-გამოდის ხერხივით;

ქარის ჩამოყრილ ნაყოფის

ადებას ცდილობს ხეხილი“.

ლექსის თითოეულ სტროფში სამი აქცენტური მახვილი და 8-8 მარცვალია. ამდენად, ის კლასიკური მაგალითია სილაბურ-ტონური ლექსისა. ასეთების მოყვანა მაგალითებად მრავლად შეგვიძლია.

„მე არაერთხელ გამიგონია

ნატვრა მიწაზე,-

სულ ერთ მტკაველზე; -

ახლა თბილისში გამარონია

და მერე მომკლა -

ადარ დავეძებ“!

ვერსიფიკაციულად საინტერესოა მუხრან მაჭავარიანის 1959 წელს შექმნილი უსათაურო ლექსი, რომელიც სამტაეპიანი ერთი სტროფისაგან შედგება და ფრანგული და იტალიური ლექსის - ვილანელის სახომს ესადაგება:

„ნადირო, ტყე-ტყე წანწალი,-ოი, რა მძიმე ყოფილა...

მე კიდევ არა მიშავ რა,- ასე თუ ისე, თოფი მაქ,-

შენ... შენ კი, რა გეშველება, დადიხარ დედიშობილა.“

თუ ლექსს ზემოთწარმოდგენილი გრაფიკული გამოსახულებიდან გადავიყვანო 8 მარცვლიან სტრიქონებად, და, უბრალოდ, შევუცვლით გრაფიკულ გამოსახულებას, ქართული ფოლკლორის ტრადიციულ სახომს იოლად შევნიშნავთ.

ძალიან რთულია, მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში იპოვო წმინდა სილაბური ვერსიფიკაციული სახომის ლექსი, რადგან, გარდა რიტმისა, უდიდეს როლს თამაშობს მის პოეზიაში რითმა. მუხრან მაჭავარიანის საინტერესო რითმები, თანდათან, დროთა განმავლობაში, იხვეწება და ოსტატობის პიკს აღწევს. მაგალითად, თუ 1946 წელს, ლექსში „მარნის წიფლებში“ წერს შემდეგ რითმებს:

ხედავს - ხეთა, ანდა, მოსავალს - მომავალს; 1994 წელს წერს ლექსს „ნეტა“:

„ჩამოვიდა ფეხად ზეცა,

გაიღუმბა შრიალითი...
 ახლა,
 ნეტა,
 დამსვა მე და
 მომცა
 კარგი
 წიგნი
 ერთი“!

ასე მცირე მოცულობის ლექსში უნდა იკვეთებოდეს საუკეთესო რითმა, რიტმი, მახვილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი პოეზიად არ ჩაითვლება. მუხრან მაჭავარიანისთვის დამახასიათებელია მცირე ზომის ლექსებში მაქსიმალური ოსტატობის გამომჟღავნება. ის საოცარი სერუპულოზურობით გრძნობს სიტყვას, გამოხატავს აზრს, თვალწინ გვიშლის თვითმყოფად და ნათელ პოეტურ ხედვას.

“ვით არ იკითხავს,-
 კაცი სრულზე თუა ჭკუაზე:
 – წუთით მოსვლის და სამუდამოდ წასვლის შუაში,-
 ვარ ახლა როგორც,-
 ვიყო
 უნდა,
 ნუთუ,
 სულ
 ასე“?!

მის პოეზიაში ძალიან ხშირია კონსონანსური რითმა, სადაც მხოლოდ თანხმოვნები ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად: ცარგვალი – ამგვარი; გახალხდა – აღარ ხარ; და ა.შ.

მაჭავარიანისეული კლაუზულა ინდივიდუალურია, საინტერესო და მრავალგვარი. ის არის როგორც ვაჟური, რიგ შემთხვევაში, ქალური, ასევე დაქტილური. რითმები ყალიბდება, ძირითადად, გარე რითმების სახით.

მისი ლექსის არქიტექტონიკა თვითმყოფადია და თითქმის არ ჯდება სრულყოფილად ლექსის არც ერთ ვერსიფიკაციულ საზომში. ამგვარი მეცნიერული ფორმულირებები, გარკვეულწილად, პირობითია და ხშირად არ არის კლასიკური სახით წარმოდგენილი. „ლექსის სილაბური ტიპი (ან პრინციპულად მისი მსგავსი) არის ერთადერთი ტიპი, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ ყველანაირი შემთხვევისათვის როგორც ამოსავალი ჰიპოთეზური სისტემა, რომლიდანაც, როგორც დერივატი, მიიღება დღეს ცნობილი ნებისმიერი სისტემა“. – წერს აპოლონ სილაგაძე (სილაგაძე, 2009 - 212)

მუხრან მაჭავარიანის ლექსში გამორჩეული ადგილი უკავია ალიტერაციას.

„დილის ცვარი ქალაკოდას შერჩენია ქარვასავით,
 სიმინდების გასაპარსად მიშრიაღებს ქარ-ვარსამი“.

ასევე ხშირია ასონანსი, მაგალითად:

„ოდნავ ხარმაცი წამოდგა ფეხზე“;

პოეტური გამეორება, როდესაც მეტი ემოციის მისაღწევად მეორდება სიტყვები და რიგი ფრაზები, მუხრან მაჭავარიანის პოეზიისათვის ასევე დამახასიათებელია. ლექსში „კარი გამიღე, გევედრები, გამიღე კარი“. ვკითხულობთ:

„მე ვიცრემლები. ვიცრემლები. ცრემლები მაწვიმს.

ცრემლი მასველებს. მცივა. მცივა. ვკანკალებ. მცივა“.

კატრენული, ოთხტაქიანი სტროფი ხშირია მის ლექსებში, თუმცა მუხრან მაჭავარიანის ნოვატორული წიადსვლები ამ მხრივაც იჩენს თავს და სტროფის მრავალგვარ მოდელს გვთავაზობს.

“გიგონებ.

სიშორე გაწარსულებს.

ხეებს ვაკვირდები გაძარცვულებს.

უფოთლოდ

ვიცანი

ჭადარი

და აქ რა იციან:

ფოთლები ამისი

მანდ არი“.

ვკითხულობთ ლექსში „ცხრამთასიქითური“.

მუხრან მაჭავარიანის ლექსში ხშირია ანუამბემანი. მაგ:

„საქართველოში მრავალჯერ თუმცა

სიკვდილის მოდგა ელჩი;

გუგულის კვერცხი

ესოდენ უხვად

ჯერ არ ყოფილა ჩვენში“!

მისთვის დამახასიათებელია ნაცვალსახელების მრავალგვარი კომბინაცია და საოცარი ოსტატობით ლექსის „აწყობა“: “ვინც იყო, იგი რომ არა, არ იქნებოდა, რა არი”.

მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში არ გვხვდება „კომბინატორული ლიტერატურა“ ე.წ. „ტექ-ნე“; თავისი მრავალფეროვანი სახესხვაობით: პალინდრომი, ანბანოქება, ანაგრამა, აკროსტიქი, ფრაქტალი და სხვა. მართალია, პოეტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ლექსის გრაფიკულ გამოსახულებას, და ამ მხრივ მის წინამორბედად და ორიენტირად ვ. მაიაკოვსკის მივიჩნევთ, მაგრამ გარდა დახვეწილი „გრაფიკისა“, მის ლექსებს „აუდიო“ ფუნქციაც მოჭარბებული აქვს, ანუ, ეს არის პოეზია სმენისა და თვალისათვისაც. ამრიგად, მხოლოდ სრულყოფილი და ინოვაციური გრაფიკული გამოსახულების გამო მაჭავარიანის პოეზია არ შეიძლება მივაკუთვნოთ „კომბინატორულ ლიტერატურას“, თუმცა, არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო ამგვარი ლიტერატურის მიმართ. „მიხ. გასპაროვი თავის გამოკვლევაში ასახელებს, აგრეთვე, სტეფან მაღარმეს, ა. ბელის, ვლ. მაიაკოვსკის გრაფიკულ ლექსებს და მიაჩნია, რომ “მხედველობითი პოეზიის“ განვითარების მომდევნო და უკანასკნელი ეტაპი მოიცავს 1950-1970-იან წლებს“ (ბარბაქაძე, 2009 - 65), – წერს თამარ ბარბაქაძე. არც ვ. მაიაკოვსკის და არც მუხრან მაჭავარიანის ლექსები არ ჯდება ზუსტად ამდგვარი პოეზიის რომელიმე კონკრეტულ მოდელში, არც საკუთარი სალექსო მოდელები და « პოეტური სკოლა » შეუქმნიათ ამ პოეტებს; მათ შექმნეს საოცარი ლექსები, რომელთა განმეორებაც შეუძლებელია.

უკიდურესად თვითმყოფადი პოეტი მუხრან მაჭავარიანი არ ერიდება კუთხურ ნარატივს. პირიქით, მის ლექსებში ჭარბადაა იმერული, კერძოდ, საჩხერული თხრობა. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მისმა ამგვარი ხასიათის ლექსებმა პირველად კრიტიკოსების გულისწყრომა დაიმსახურა. „დიალოგები წვიმაში“ ამის საუკეთესო მაგალითია:

„- ახლა,

ბუხართან,

კაი ღვინო, -

წითელი ღვინო, -

ჰა!...

რავარია?...

- იფ, იფ, იფ, იფ, იფ“!

მუხრან მაჭავარიანის კუთხური ნარატივი მისი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველ ხანებში გაუკრიტიკებელი არ დარჩენილა. ფაშა ციციანიშვილი წერს: „მ. მაჭავარიანი მიმართავს ენობრივ ნატურალიზმს, რომელსაც ვულგარიზმამდე დაყავს ხსენებული ნაწარმოებები. მაინც საოცარია, რისთვის იხმარა პოეტმა ასე ჭარბად და რატომ წამოსწია წინა პლანზე ასეთი სიტყვები და შორისდებულები: ყველაყა, რავარია, თვარა, იფ, იმე, აპა და სხვა, რაც თავისთავად გააუგებებდა თვით საუკეთესო ლექსების ემოციურ აღქმასაც კი“...

(“მნათობი”, 1963 - 172). კერძოდ, ამ წერილში საუბარია მუხრან მაჭავარიანის ორი, იმ დროისთვის ახალი, ციკლის შესახებ: „ჩვენებურები“ და „დიალოგები წვიმაში“. მაგალითად ციკლაში მოყვანილი აქვს შემდეგი ლექსი:

„გარეთ ანათებს წვიმა...
 ოთახს ანათებს ღამე...-
 პეტუშა გახსოვს
 -იმე!
 - რა ბიჭი იყო!...
 - აპა!“

კრიტიკოსი იწუნებს ენობრივ ქსოვილს და სვამს კითხვას „ან საერთოდ, რა დანიშნულება აქვს ამგვარ ლექსს“ -ო, ჩვენი აზრით, კრიტიკოსი არასწორად აფასებს კუთხურ ნარატივზე დაწერილ ლექსებს, სწორედ აქ არის ის ხიბლი, ნატურალიზმი, ნამდვილობა, ფამილარობა – კარგი გაგებით, რომელსაც ასე კარგად შეუძლია აღწეროს სოფლის პასტორალური გარემო, ღამის ირგვლივ, საღამოს, შრომით დაღლილი იმერელი გლეხების გულწრფელი ბაასი, სადაც არის სევდა, მონატრება და საოცარი სითბო. მუხრან მაჭავარიანი თხემით ტერფამდე გულწრფელია, ისე, როგორც არც თუ ისე ბევრი პოეტი, და ეს გულწრფელობა სწორედ ასეთ ლექსებში იჩენს თავს მომეტებულად. თავის დროზე ვაჟა ფშაველას დაუწუნა „ენა“ აკაკი წერეთელმა, ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსანშიც“ გამოყენებულია კუთხური ლექსიკონი. და, ვფიქრობთ, რომ ეს სულაც არ არის ცუდი და მიუღებელი პასაჟი. პირიქით, როდესაც პოეტს სწევდა ნიჭი იქამდე, რომ მკითხველისათვის მისაღები და საამო გახადოს ასეთი თხრობა, ეს მხოლოდ მოსაწონი და დასაფასებელია.

მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაზე არანაირი ზემოქმედება არ მოუხდენია ამგვარ კრიტიკას, და შემდეგაც, 90-იანი წლების ლექსებშიც ასე წერს:

„ახლა რომ ბნელა! –
 ასე
 ოდესმე
 ბნელებულა-ყე?!“
 ანდა:
 „ქე ვნახეთ მერე!“...
 ანდა:
 „რაღა დროსია! –
 ვის რას არგებს,
 დღეს კაცმა რომ თქვას,
 თათართ ვინც რუსნი ამჯობინა,
 იმ კაცის მოთქმა?! –
 თავისი უკვე
 დამართა-ყე
 როს ქართველთ მოდგმას,“

დიალექტიზმებთან ერთად მუხრან მაჭავარიანი წარმატებით იყენებს თავის ლექსებში იდიომებს და ფრაზეოლოგიზმებს. მაგალითად: კოჭებში ვატყობ, ცოცხლად შეჭამა, ერთი კაცის სკამი, ერთი კაცის კისერზე, წირვა გამოუყვანა, ჩარხის წაღმა ბრუნვა, ფარ-ხმლის დაყრა და ა. შ. ხშირია, აგრეთვე, იდიომების მზა კონსტრუქციების დაშლა და ახალი, ინდივიდუალური კონსტრუქციების ქმნალობა. პოეტი ისე „შედის“ ენის სიდრმეებში და ამოაქვს იქიდან ყველაფერი ძალიან ეროვნული, რომ მკითხველი გაოცებული რჩება! თითქოსდა, ერთი შეხედვით, პრიმიტიულ ფრაზებში ხშირად დიდი აზრი დევს, ზღვა ემოცია და გულწრფელობა.

მაგალითად, ლექსი „ქარში“ საუკეთესო მაგალითია ქართული ანდაზის - „მწიფეს ესროდნენ, მკვახე ცვიოდაო“ - მზა კონსტრუქციის გადასხვაფერების:

„ფრიალებს ქარი;
 მწიფეც,

მკვახეც
პირს

ცვივა
მსხალი ...“

ლექსის კითხვისას აუცილებლად ამოტივტივდება ხსენებული ანდაზა თავდაპირველი სახით და ხდება ამ ახალი თქმის მიმსგავსება. ასეთი თქმები, იდიომები, ანდაზები ყველაზე უკეთ გამოხატავენ ერის სულს, ხალხის მსოფლმხედვას და ორგანულად არიან შერწყმულნი მენტალიტეტსა და აზროვნებაში.

„ფეხზე არ ჰკიდიათ,

იცოცხლებ თუ მოკვდები?!“

ფრაზეოლოგიზმი „ფეხზე ჰკიდიათ“ იმდენად კარგად გამოხატავს ადამიანის ნიჰილიზმს, ურეაქციობას, „სხვისი ჭირი-ღობეს ჩხირს“, რომ პოეტი არჩევს აზრის უკეთ გამოხატავად ამ მზა კონსტრუქციების მოშველიებას. ეს ის თქმებია, რომლებიც საყოველთაოა, ხალხურია, ამიტომაც ასე იოლი გასაგები მუხრანის პოეზია, და ამიტომაც ის ასე განსაკუთრებულად საყვარელი მასებისთვის. „სხვათა შორის, ვინც მილიონი მკითხველისათვის არ წერს, იმას უჯობს სულაც არ წეროს“ - წერს გოეთე. (გოეთე, 1988 - 88).

საყოველთაოობა, ხალხურობა, უბრალოება – ეს თვისებები მაჭავარიანის პოეზიის საუკეთესო მახასიათებლებია. საქმეც ხომ იმაშია, რომ პოეტი ესაუბროს არა მარტო სალონურ წრეებს, სათვალთან ლიტერატორებს, თავგამოდებულ ესთეტებს, არამედ მასებს, ხალხს, სამყაროს. თვით მუხრან მაჭავარიანი ამგვარად აფასებს ვ. მაიაკოვსკის: “მაიაკოვსკის სიდიადე იმაშია, რომ იგი ელაპარაკება არა ვიწრო აუდიტორიას, არამედ მთელი ხმით მიმართავს მთელ სამყაროს, კაცობრიობას. მას, როგორც პოეტს საქმე აქვს...მთელ დასახლებულ დედამიწასთან, მთელ კაცობრიობასთან“. (მაჭავარიანი, 2007 - 42). გამოკვეთილად ხელშესახებია მუხრან მაჭავარიანის საყოველთაოობა, მისი პოეზია მთლიანად დაცლილია სნობური იდეოლოგიისაგან და ერთი გულიანი მიმართვაა ქართველი ხალხისადმი!

ამასთან, მუხრან მაჭავარიანი მიიჩნევს, და ჩვენც არ შეგვიძლია, არ დავეთანხმოთ, რომ „არ შეიძლება არქაიზმად ჩაითვალოს სიტყვა, რომელიც ცოცხლობს თუნდ ერთადერთ დიალექტში“, და თეორიულადაც აცამტვერებს იმ აზრს, რომ მისი პოეზია არამართებულადაა დატვირთული არქაიზმებით. დიალექტიზმი – ცოცხალი ენაა, რომლის უგულვებელყოფა არ შეიძლება.

აღსანიშნავია მუხრან მაჭავარიანის მცირეტანიანი ლექსები ე.წ. მინიმები. Pპოეტი აქ დიდ ოსტატობას ავლენს და “გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის” პრინციპით მინიმალური დანახარჯით მაქსიმალურს იძიებს:

“შენ წაიკითხე მშვენიერი წიგნი.

წერილიც:

– ჩამოვალ ჩქარა! –

გწერდა ქალაქიდან იგი...

და...

რა ღამაზია ყველაფერი, –

არა”?!

ან კიდევ:

– “ხო ხარ მეხივით ალიბეგ?

– ვედარ ვარ, ჩემო ყარამან...

– გვეშველება რაიმე?!

– ეჰ, შენი მტერი არაა”!

ან კიდევ:

“დამუწა პირი, –

გადაღლილი ვაშას ძახილით.

გულზე ხელები დაუკრიფეს, –

ტაშით დადღილი.

“დარჩება მარად ჩვენს გულებში მისი სახელი”.

ლიტერატურა:

1. ანდრო ჭილაია, ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1971.
2. II საერთაშორისო სიმპოზიუმი, ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, მასალები, ნაწილი II, თბილისი, 2009.
3. “მნათობი”, №3, 1963, მარტი, საქართველოს საბჭოთა მწერლობის კავშირის ორგანო, ფაშა ციციაშვილი, მუხრან მაჭავარიანის ახალი ლექსები.
4. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, გამომცემლობა “საბჭოთა აჭარა”, ბათუმი, 1988.
5. მუხრან მაჭავარიანი, თხზულებათა ოთხ ტომად, ტომი IV, გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2007.
6. მუხრან მაჭავარიანი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტომი I, გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2007.
7. მუხრან მაჭავარიანი, თხზულებათა ოთხ ტომად, ტომი II, გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2007.

Нино Гогиашвили

Мухран Мачавариани новатор грузинского поэзии

Резюме

Мухран Мачавариани успешно писал грузинского стиха поэма для неорганических модель и применить его на своем родном языке.

В поэзии Мачавариани рассматриваются повторений, идиомы, фразеологизмы, диалектические формы. . Надо выделить функции, которые находятся в гармонии с общим характером стихотворения. Мухран Мачавариани показывает небольшой пик мастерства в поэзии.

Nino Gogiashvili

M. Machavariani – novator of Georgian poetry

Abstract

M. Machavariani writes poetry as well as poems velribsa and polimetrul. He successfully did Georgian verse poem for inorganic new model and apply it to their native language.

It addresses the repetitions, Idioms, phrases, dialects. It is nessecary to distinguish the features that are in harmony with the general character of the poem.

M. Machavariani reveals a small peak of mastery in poetry.

რეცენზენტი: პროფ. ნ. ჩიხლაძე

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

ნანა რჩეულიშვილი

თელავი, საქართველო

„მე ხაცი ვარ და ვარ შემოქმედი“

(გურამ რჩეულიშვილის ლიტერატურული შეხედულებანი
პირად წერილებსა და ჩანაწერებში)

გურამ რჩეულიშვილის მხატვრული მემკვიდრეობის გვერდით არანაკლებ საინტერესო და ფასეულია მისი ჩანაწერები და პირადი წერილები. გადაჭარბებული გულახდილობით სავსე წერილებში იკვეთება მწერლის შემოქმედებითი ნატურა, სამწერლო კრედიო, ლიტერატურული ხედვა და შეუმცდარი აღღო. მისთვის, როგორც მწერლისა და შემოქმედისათვის, ერთ-ერთი მთავარი და აუცილებელი პირობა წერისა და ამ ნაწერის სხვისთვის გაზიარების სურვილი იყო. “ ვისაც შეუძლია ჭერეტა გონებით და მაღლა დადგომა უბრალო ამბებზე წამით მაინც, ის არის ბედნიერი-“ო, შენიშნავს გურამ რჩეულიშვილი ერთ ჩანაწერში. თუ მასში არის ჭეშმარიტების მარცვალი, მაშინ ის მართლაც ბედნიერი მწერალი ყოფილა. ამ აზრს გვიმტკიცებს მისი ლიტერატურული ნააზრევი, გაბნეული ჩანაწერებსა და პირად წერილებში ახლობლებისა და მეგობრებისადმი.

გურამ რჩეულიშვილმა წერა ოცდაორი წლის ასაკში დაიწყო და ოთხი წლის განმავლობაში “სწრაფად, ერთი ამოსუნთქვით” (მარინე რჩეულიშვილი) შექმნა მნიშვნელოვანი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, მთხრობებით, ნოველებით, პიესებით, ლექსებით, დღიურებით, ჩანაწერებითა და პირადი წერილებით. საგანგებო ყურადღების ღირსია მისი შემოქმედებითი პროცესის ხასიათი, ზოგადად, ლიტერატურული შეხედულებანი, რომელიც ისევე უჩვეულო და არაორდინალურია, როგორც მხატვრული შემოქმედება, უჩვეულო იმდენად, რომ თავის დროზე, მისი შეფასება გაუჭირდათ საკმაოდ კომპეტენტურ პირებსაც-კი. ეს ლიტერატურული შეხედულებანი გადმოცემულია მწერლის პირად წერილებსა და ყოველდღიურ ჩანაწერებში, რომელთაც განუზომელი მნიშვნელობა აქვთ მისი სამწერლო იდეალის სწორი ანალიზისა და აღქმისათვის. წერილები გაგზავნილია თბილისიდან, თელავიდან, ბაკურიანიდან, მოსკოვიდან, ახალი ათონიდან, ოდესიდან, სვანეთიდან, წყალტუბოდან. ადრესატები უმთავრესად ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები არიან, რომლებთანაც გურამს ყოველდღიური ურთიერთობა, ან შემოქმედებითი ინტერესები აკავშირებდა. წერილებთან ერთად მრავალ საყურადღებო ცნობას შეიცავს ჩანაწერები, რომლებიც იქმნებოდა მთასა თუ ბარში, ოჯახურ გარემოსა თუ მატარებლის ხმაურიან ვაგონებში, ყველგან, სადაც მას შეეძლო საკუთარ თავთან მარტო დარჩენა და განცდებში ჩადრმავება. საყურადღებოა ჩანაწერი, რომელიც 1957 წელს გაუკეთებია მწერალს ცალკე ფურცელზე:” მუხებო, ჩამოდით ჩემთან და მე შეეკმნი თქვენგან თქვენივე თავს!” როგორც ჩანს, მისი აზრით, არ არსებობს ხელფენება შემოქმედებითი მუხტის, პოეტური მუხის გარეშე. შემოქმედება, ამ მუხტით შექმნილი, წარმოადგენს მუხის

ნაირსახეობას, ხელოვანის ოსტატობით შექმნილს. ამ პროცესს საფუძვლად გარკვეული შემოქმედებითი პრინციპი უდევს, ხშირად ბუნდოვანი და ბოლომდე შეუცნობელი. ასეთი აზრია გამოსატყუელი მეგობრის, ერლომ ახვლედიანისადმი მიწერილ წერილში: “მე ვიცი, რომ მაქვს პრინციპი, შინაგანი, ოღონდ რა არის, კარგად არ მესმის”.

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებითი პროცესის უჩვეულო ხასიათზე საუბრობს მარინე რჩეულიშვილი მწერლის თხზულებათა ექვსტომეულის წინასიტყვაობაში: “მწერლის შემოქმედებითი პროცესი არ იწყებოდა მაშინ, როდესაც ის, აუცილებლად საგანგებოდ ჩაცმული... მიუჯდებოდა ხოლმე საწერ მაგიდას და იწყებდა წერას. ეს არ იყო შემთხვევითი, მოულოდნელი პროცესი. შინაგანად თუ გარეგნულად ის ყოველთვის ემზადებოდა დასაწერად, თითქოს რაღაცა მნიშვნელოვანი რიტუალის შესასრულებლად, თუნდაც ეს ყოფილიყო სულ პატარა ჩანახატი... შემოქმედებითი პროცესი არ მთავრდებოდა არც მაგიდიდან ადგომისას, როდესაც ის ასევე თითქოს რიტუალურად ჩაცმულ-დახურული გადიოდა გარეთ, დაუქვებოდა ქუჩას, ისწრაფოდა, რომ ეცხოვრა თავისი გმირების ცხოვრებით (მწერლის სიტყვების პარაფრაზი).”

გურამ რჩეულიშვილისათვის, როგორც მწერლისა და შემოქმედისათვის, ერთ-ერთი მთავარი და აუცილებელი პირობა წერისა და ამ ნაწერის სხვისთვის გაზიარების სურვილი იყო. შინაგანი შემოქმედებითი წვით ანთებული წერდა ის დას – მარინეს, ოდესიდან: “მინდა (წერა. ნ.რჩეულიშვილი) იმიტომ, რომ მინდა და კიდევ იმიტომ, რომჩემს გარდა სხვამაც იცოდეს, რა საესე ვარ შემოქმედებით და სიცოცხლით.” ეს შემოქმედებითი სისავსე აძლევდა მუხტს მას, როგორც მწერალს, რომლისათვისაც მხოლოდ წერის პროცესი კი არ იყო მთავარი, არამედ მკითხველის ობიექტური შეფასებაც. წერილები მამის – მიხეილ რჩეულიშვილისადმი, დის-მარინესადმი, ერლომ ახვლედიანის, გურამ გეგეშიძისა და ვახტანგ ჭელიძისადმი სწორედ ამ შეფასების მოლოდინითაა შექმნილი. ამ შეფასებას მოელოდა ის, როდესაც მამას სწერდა მოსკოვიდან: “სულ ორ-სამ კვირაში ახალ პიესას, ან სცენარს გამოვგზავნი, რომელიც პირველზე ნაკლებად არ მოგეწონება. დიდი მადლობელი ვარ შენი გულისხმიერი რჩევებისა, პიესის ახლიდან გადაწერ-გადამუშავების დროს აუცილებელივ მივიღებ მხედველობაში...” მსგავს დამოკიდებულებას ვხედავთ მწერლის დის, მარინე რჩეულიშვილის მიმართ გაგზავნილ წერილებში. გურამის თხზულებათა ექვსტომეულის წინასიტყვაობაში მარინე შენიშნავს: “ძალიან ხშირად ვიყავი მისი ნაწარმოებების პირველი მკითხველი”-ო. ფაქტია, რომ მარინე იყო ძმის შემოქმედებითი ცხოვრების ის თანამგზავრი, რომლის ლიტერატურულ აზროვნებასა და გემოვნებას ხშირ შემთხვევაში ენდობოდა და ეყრდნობოდა ახალგაზრდა მწერალი. დის სახელზე გაგზავნილ წერილებში გურამი ხშირად განიხილავს კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებებს, ახასიათებს მათ პერსონაჟებს და გულახდილად გადმოსცემს მისგან მოგვრილ შთაბეჭდილებებს. ამ მხრივ, ყველაზე შთაბეჭდავი რუსი კლასიკოსი მწერლის ლევ ტოლსტოის შემოქმედება, კერძოდ კი, ორი რომანი – “ანა კარენინა” და “ომი და მშვიდობა” აღმოჩნდა. წაკითხვის შემდეგ, ძლიერი ზეგავლენის ქვეშ მყოფი გურამი, ხშირად საოცარ მსგავსებას პოულობს რომანის პერსონაჟებთან. ამ განცდით მიმართავს დას მოსკოვიდან გამოგზავნილ წერილში: “ანა კარენინაში, – ჯერ მარტო პირველი ტომის ნახევარი წავიკითხე, – არ შემოსულა კაცი, რომ დასაწყისში არ მგონებოდა ჩემი თავი”. ოდესიდან მოწერილ წერილში კი აცხადებს: “მე ნატაშა როსტოვა ვარ. ამ გოგამ თავისთან ერთად სამჯერ მატირა”-ო. თუმცა, პარადოქსია, რომ იქვე აკონკრეტებს აზრს დიდი განსხვავების შესახებაც: “არა, მე არა ვგავარ ნატაშას. ე.ი. ჰო და არა. ის ისეთი უშუალოა, ეს მეც მაქვს, ოღონდ მე კაცი ვარ და ვარ შემოქმედი. ეს მეორე... შემოქმედება, უხემს მხდის ხშირად პირველისთვის და ალბათ, ანდრეისავით ვიქნებოდი, რომ არა ვწერდე”.

შეგნიშნავთ, რომ გადაჭარბებული გულახდილობით სავსე წერილებში იკვეთება მწერლის შემოქმედებითი ნატურა, სამწერლო კრედი, ლიტერატურული ხედვა და შეუმცდარი აღლო. ყველა აქ ჩამოთვლილი მახასიათებელი განსაკუთრებული ძალმოსილებითაა გამოსატყუელი მწერლისა და ლიტერატურისმცოდნის ვახტანგ ჭელიძისადმი მიწერილ ერთადერთ ბარათში. ბარათი 1960 წლის 23 იანვარსაა დაწერილი. ადრესატი ვახტანგ ჭელიძე იმ პერიოდში

ჟურნალ „ცისკარს“ რედაქტორობდა, სადაც ახალგაზრდა მწერალს დასაბეჭდად მიუტანია თავისი რამდენიმე მოთხრობა. ცნობილია, რომ ჟურნალ „ცისკარის“ მაშინდელი რედაქციის თანამშრომელთა აზრები არ იყო ერთგვაროვანი ამ მოთხრობების მიმართ. ამის გამო გაჭიანურდა მათი დაბეჭდვის საკითხის გადაწყვეტაც. საქმე ეხებოდა სამ მოთხრობასა და მათ საერთო შესავალს („ჩემი პირველი ლიტერატურული შეხედულებები“). ეს მოთხრობებია „ირინა და მე“, „ალავერდობა“ და „დღიური“. მწერლის დის, მარინე რჩეულიშვილის მითითებით, გურამი „განსაკუთრებით არასოდეს ცდილობდა თავისი ნაწარმოებების გამოქვეყნებას და, თუმცა ახლად დაწერილი მოთხრობების უმეტესობა მიჰქონდა-ხოლმე რედაქციაში, ყოველთვის უსიტყვოდ ხვდებოდა უარს მათ დაბეჭდვაზე...“ მაგრამ, ასე არ იყო ბოლომდე. „1959 წლის გვიან შემოდგომაზე, გურამმა, ყველას გასაკვირად, წამოიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა „ჩემი ლიტერატურული შეხედულებების“ გამოსაქვეყნებლად ... მახსოვს, როგორ დაჰქონდა მას რედაქციის თითოეულ წევრთან თავისი ლამაზი, გამოყვანილი ხელით გადაწერილი, შემდეგ კი უკვე გადაბეჭდილი, სამი მოთხრობა და ყოველდღე სულ უფრო და უფრო მოწვენილი, როგორ ბრუნდებოდა შინ“. საუბარში უთქვამს, რომ რედაქციის თანამშრომლები სათითაოდ თანახმანი იყვნენ მათ დაბეჭდვაზე, ხოლო ერთად - თავს იკავებდნენ, ერთმანეთს აბრალებდნენ და საერთოდ უარს ეუბნებოდნენ. ამას მწერალი საშინლად განიცდიდა. და აი, 1960 წლის 23 იანვარს, ის აფორიაქებული, საოცარი განცდებით წერს წერილს „ცისკარის“ რედაქტორს. დედის შეკითხვაზე, საჭირო იყო კი ასეთი მკაცრი ტონით სავსე წერილის მიწერა, გურამმა თურმე უპასუხა: „ძალიან საჭირო. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავაგებინო, ვინა ვარ. სულ თავდახრილი და ვეღვარ მაგათთან. ალბათ, ეს ყოველთვის არ არის სწორი“.

არქივში ინახება წერილის ორი გადაბეჭდილი ვარიანტი. ხელნაწერი კი დაკარგულია. გურამის მამის, მიხ. რჩეულიშვილის მოგონებების მიხედვით, წერილი საავადმყოფოში ყოფნისას დაიწერა. ამ ვერსიას ადასტურებს პირველ აბზაცში დაცული აზრი: „სამწუხაროდ, ჯერ მოსვლა არ შემიძლია, ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფები, ხოლო დრო და ჩემი ტემპერამენტი არ ითმენს, რომ არ გავაგებინოთ ჩემი აზრი ზოგიერთი საკითხის შესახებ და არ მოვისმინოთ თქვენი შეხედულებები“.

წერილში დაცულია გრამატიკული ნორმები, ლიტერატურულად გამართული და სტილისტურად დახვეწილი, აღსავსეა ტონით, როგორც მართებდა ახალბედა შემოქმედს უფროსი თაობის მწერლის მიმართ. სათქმელი-განზოგადებული, ხშირ შემთხვევაში ლოგიკური მსჯელობითა და მტკიცე არგუმენტებითაა შემაგრებული. ამ წერილს თამამად შეიძლება ვუწოდოთ „გურამ რჩეულიშვილის ლიტერატურული შეხედულებანი“, რომელიც კონკრეტულად ასე განზოგადდება: „არ არსებობს სიბრძნე კაცის ვნებებისთვის, ხელოვნებას მხოლოდ გულწრფელობა სწამს“. ამის დასტურად ავტორი იშველიებს შექსპირის, ბაირონის, ტოლსტოის გენიალურ შემოქმედებას, რომელთა კალამიც ქვეშეცნეულად ემორჩილება დიდ მხატვრულ ინტუიციას. სახელმწიფოს მიერ ლაგამამოდებული მწერლობა ვერასოდეს ვერ იქნება გულწრფელი, ჭეშმარიტი და იმავდროულად ემოციური. და რომ „შექსპირი, მიუხედავად სიუჟეტის და ფილოსოფიური საფარველის წინასწარგანჭვრეტისა, დღემდე გაოცებულია, გულმოკლული და სიგიჟემდე აღშფოთებული იმ მუდმივი საბედისწერო შეცდომით, რამაც მავრს თავისი სიყვარული დაახრჩობინა“. სწორედ ეს ფაქტი მიანნია მწერალს შემოქმედის გამარჯვებად.

„უპოეზიოდ ჩიტი და ყვავილიც კი არ გაუჩენია მაღალ შემოქმედს ...“ მაგრამ, იმავდროულად, გურამის აზრით, მწერლისათვის ძალზე ძნელია წერა ბუნების იმ რომანტიკულ საგნებზე, რომლებიც მეცნიერებამ შეისწავლა. ასევე ძნელია სასარგებლო ტექნიკის მხატვრულ ფაქტად აღიარება („ვიდას აინტერესებს, ნეტავ, რას დუდუნებს მტკვარი, რომელიც ახლა ყველაზე საჭიროა ჰიდროელექტროსადგურისათვის“). ეპოქამ შემოქმედსა და ბუნების ეგზოტიკას შორის დიდი კედელიც აღმართა და ამ კედლის დაძლევა არც თუ იოლია მწერლისათვის.

„მე მწამს ტალანტი და მისია. და თუ იბადება ადამიანი შემოქმედების სურვილით, ე.ი. მას აქვს საქმე!“ ადამიანი შეიძლება მხოლოდ მოწოდებით იყოს პოლიტიკოსი, ან სხვა რაიმე

ნიშნით გამორჩეული ფიგურა მსოფლიო არენაზე. თვით ავტორი მთელი შეგნებით აღიარებს, რომ მისი მოწოდება პოლიტიკა არაა, თუმცა, სჯერა, რომ ამის დაბალანსებას შეძლებდა მისივე ტემპერამენტი.

„დიდი პოლიტიკის პირველივე ამოსუნთქვისთანავე ჩნდება დიდი ლიტერატურა ... ისევე მოვედი მე ფართო გზასთან, რომლის გასაველედაც აუცილებელია რაიმე კონკრეტული მიზანი ... საჭიროა მხოლოდ პოტენცია, ენერჯია და მათი შენს სასარგებლოდ გადამუშავება“, - წერს ახალგაზრდა შემოქმედი და იქვე ყალიბდება მისი მთავარი დევიზიც:

„შევექმნა თანამედროვე ქართული ადამიანი თავისი მკვეთრად გამოსატყული და განსხვავებული ვნებებით.“

გურამ რჩეულიშვილი გულახდილად წერს თავისი ერთ-ერთი გამორჩეული მოთხრობის იდეური მიზანდასახულობის შესახებაც: „რა მიზნით დავწერე „ნელი ტანგო“ ... ხომ სწორია ის, რომ სიკვდილი არაფერია და ცხოვრება თავისი გზით გრძელდება ... მაგრამ ნაწარმოებში ეს ამბავი იმიტომ კი არ არის მოცემული, რომ სიკვდილი არაფერია, არამედ იმიტომ, რომ ავტორისათვის უზარმაზარი ტრაგედიაა თავისთავად სიკვდილი და ის გარდაუვალი ფაქტი, რომ მაშინვე, ახლო წამშიც კი ცხოვრება თავისი გზით გრძელდება“. საერთოდ, ადამიანი და მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი – მუდმივი ინტერესის საგანი იყო მწერლისათვის. მისივე აზრით, დიდი ბედნიერებაა, რომ მწერალს საშუალება ეძლევა პირდაპირ სიტყვით, ნაწერით ესაუბროს ხალხს, რითაც უფრო ადვილად მიიღწევა ადამიანთა ყოფის უამრავი პრობლემის მოგვარება.

წერილის ბოლოს ავტორი დიდი გულისტკივილით შენიშნავს:

„... საზოგადოების დიდი ნაწილი მე მხვდება, როგორც გადმომდერებელს ევროპული თუ ამერიკული „დაკარგული თაობის“ მოტივებისა. სასურველი იქნებოდა, რომ ჩემმა თეორიულმა ნაწილმა მხატვრულთან კავშირში გააქარწყლოს ეს შეხედულება და ჩვენ ერთმანეთს პირდაპირ, გულწრფელად დაგუწყოთ თვალეში ყურება. ჩანს, გურამი განიცდიდა მისი სამწერლო ხელოვნებისადმი თუნდაც სულ მცირე დაეჭვებას. ჩვენ მიერ განხილული წერილიც ერთგვარად, ამ ეჭვების გაფანტვასა და მეტი სიცხადის დამკვიდრებას ემსახურება.

საგულისხმოა, რომ ეს წერილი, როგორც გურამ რჩეულიშვილის გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ გაირკვა, ვახტანგ ჭელიძეს არ მიუღია. ჩანს, მწერლის მამამ სწორად არ ჩათვალა ამ მეტ-ნაკლებად ტენდენციური წერილის მისთვის პატივსაცემი ადამიანისათვის გადაცემა.

დაგუბრუნდეთ წყალტუბოდან თბილისში, ერლომ ახვლედიანისადმი გაგზავნილ წერილს. ქართველ მწერალთა ეპისტოლურ მემკვიდრეობაში, ალბათ იშვიათად მოიძებნება მსგავსი ლიტერატურული აზროვნებით დატვირთული წერილი. ახალგაზრდა მწერალი თამამად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე, ჩვეული ემოციებით განიხილავს პომეროსის, ტოლსტოისა და ქართული ხალხური შემოქმედების უნიკალური ნიმუშების იდეოლოგიურ არსს და პერსონაჟთა სახიმეტყველების საკითხებს. მას მიაჩნია, რომ გენიოსი მწერლების გვერდით უსუსური ჩანს თვით ნაპოლეონიც, რომ “ ტოლსტოი სიკეთეში, დიდბუნებოვნებაში გაეჯიბრა ღმერთს (აქამდე არასოდეს არ მისულა ნაპოლეონი – რადგან ტოლსტოის ჰქონდა ენა, რომელიც უფრო ადვილად იპყრობს მსოფლიოს, ვიდრე იარაღი) და გამოიწვია მხოლოდ მისი დაცინვა...ორივე ეს კაცი იყო ადამიანი-მებრძოლი ერთდროულად მთელ მსოფლიოსთან, ღმერთთან და საკუთარ თავთან. მსოფლიოს ყველაზე მეტად აგრძობინა თავისი თავი ნაპოლეონმა, ღმერთსა და თავის თავს ტოლსტოიმ, - ვისი უფრო მაღლიერი იქნება ღმერთი, არ ვიცი...“

ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ დიდი ხანია მაღალი შეფასება მისცა გურამ რჩეულიშვილის მწერლურ პროფესიონალიზმს. ყოველგვარი “იზმებისაგან” თავისუფალმა, ამავდროულად, გულახდილმა და ღრმად ინტიმურმა კრიტიკულმა ნააზრევმა, რომელიც პირად წერილებსა და ჩანაწერებში გვხვდება, ერთგვარი სიახლე შემოიტანა მე-20 საუკუნის ქართულ სალიტერატურო აზროვნებაში და სათავე დაუდო სრულიად ახლებურ გააზრებას მხატვრული ნაწარმოების გმირისა და მისი გარემომცველი სამყაროს ურთიერთობის შესახებ.

ლიტერატურა:

1. ჩეულიშვილი 2002; რჩეულიშვილი გურამ. თხზულებათა სრული კრებული ექვს ტომად, ტ.1, გამომცემლობა "საარი".
2. რჩეულიშვილი 2007; რჩეულიშვილი გურამ. თხზულებათა სრული კრებული ექვს ტომად, ტ. 5, გამომცემლობა "საარი".
3. ჩეულიშვილი 2007; რჩეულიშვილი გურამ. თხზულებათა სრული კრებული ექვს ტომად, ტ.6, გამომცემლობა "საარი".

ნანა რჩეულიშვილი**"Я мужчина и Творца"****Резюме**

Литературный Мысли Гурама Рчеულიшвили в личной Письма и записки. Наряду с художественным наследием Гурам Рчеულიшвили, его личные письма и заметки также являются предметом интереса. В своей чрезмерно честное письмо творческого характера писателя, его литературное кредо, видение и талант можно легко увидеть. Для него как писателя и создателя, одной из главных и важных воля писать и делиться своими творениями с другими. "Тот, кто может предсказать вещи с его умом и стоят выше других историй хотя бы на мгновение, является счастливым человеком», - говорит Гурам Рчеულიшвили в одной из своих заметок. Если это так, мы считаем, что он был действительно счастливым писателя и его мысли от своих записей и личных писем, адресованных членам семьи и друзьям также заставить нас думать так.

Nana Rcheulishvili**"I am a man and a Creator"****Literary Thoughts by Guram Rcheulishvili in his Personal Letters and Notes****Abstract**

Along with artistic heritage by Guram Rcheulishvili, his personal letters and notes are also subject of interest. In his excessively honest letters a creative nature of the writer, his literary credo, vision and flair can be easily seen. For him as a writer and creator, one of the main and important will was to write and share his creations to others. "One who can predict things with his mind and stand higher than other stories even just for a moment, is a happy person" – says Guram Rcheulishvili in one of his notes. If it is like that, we think that he was really a happy writer and his thoughts from his notes and personal letters addressed to family members and to friends also make us think so.

რეცენზენტი: პროფ. ნ. ხელაია

„სად გაგონილა მძვინვარე ნადირის ნებაზე მიშვება“ ?!

ადამიანური პიროვნების უნივერსალიზმის განცდა მის შემოქმედებით ბუნებაში ვლინდება, რომლის ნაყოფიც დასტურია პიროვნების სიცოცხლისუნარიანობის, მისი პოტენციური და შეუცვლელი მიდრეკილების – გაზარდოს თვითშემეცნება ათვლის იმ წერტილამდე, რომ ხრწნადი ნაპირიდან მარადიულ ნაპირზე გასვლა შეძლოს. ჟამიერიდან მარადიულობისაკენ სწრაფვა ინდივიდუალიზმის არსებობის უმთავრესი მოთხოვნილებაა, ხოლო მისი წინაპირობაა პიროვნების თავისუფლება, რომელიც სიკვდილის შიშის კანონზომიერებას ანგრევს და ინდივიდუალური შემეცნების შეუზღუდავ გარანტიას იძლევა. თავისუფალი ნება ადამიანური აზროვნების იმ ფილოსოფიას წარმოშობს, რომელიც ბუნების კანონზომიერების წინააღმდეგ აქტიურ მეამბოხედ აყალიბებს გონიერ არსებას. ხდება ფიქრის შეჩერება ყოფნა-არყოფნის პრობლემაზე და თავისთავად ჩნდება სურვილიც სიკვდილის საიდუმლოს შეცნობის, საკუთარი უკვდავებისათვის მტკიცებულებათა წარმოდგენის. ადამიანი ვერასოდეს შეეგუება პიროვნების გაქრობას, ცნობიერების მოსპობას. ამიტომაცაა, რომ ინდივიდუალური ძიებების ფონზე კაცობრიობის კულტურული აზროვნების ისტორიას მუდმივად თან დაყვება ვნება, აღძრული და მიმართული საკუთარი თავის უკვდავსაყოფად. როგორი ცვალებადი სახეებითაც არ უნდა წარმოგვიდგენ ასეთი სულისკვეთებით შექმნილი ლიტერატურული ფენომენები, ესთეტიკური ფორმების მრავალფეროვნება ეთიკური ნორმების მარადიულ ღირებულებებთან დააბრუნებს ყოველთვის ადამიანს. ეთიკური ნორმის პრინციპული და უპირობო დაცვაა სავალდებულო, რათა ადამიანის სული უშუალოდ ეზიაროს საკუთარი ბუნების თავდაპირველ წყაროს.

ეს უცვლელი მოძღვრება საუკეთესოდ ესმოდა შუა საუკუნეების მსოფლიო მნიშვნელობის ქართველ პოეტს, შოთა რუსთაველს, რომელმაც ასე ლაკონურად ჩამოაყალიბა პრინციპი: – „რაც არა გწადდეს, იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“. და არა მარტო შოთა რუსთაველმა იცოდა ამ საკრალური სიბრძნის უცვლელობა: ვისაც კი ოდესმე რაიმე შეუქმნია სულიერი ფასეულობათა საგანძურთა გაღერებაში, უპირველესად თავად იყვნენ მოზიარენი და გზამკვლევენი ამ მისტერიისა. ამიტომაც ოდიოგანვე მუსირებდა აზრი ლიტერატურისმცოდნეობაში, რომ ჭეშმარიტი მხატვრული ლიტერატურა თავისი ნამდვილი არსით რელიგიურ ფუნქციას შეითავსებდა და მას ადამიანის სულისათვის ამ თვალსაზრისით მეტად სარგო დანიშნულება გააჩნდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამგვარი საკრალური მნიშვნელობის ტენდენცია ანტიური მისტერიებიდან იღებდა სათავეს მითის მხატვრული სახისმეტყველების წარმოქმნით, ხოლო მისი სიმბოლოს შეცნობა პიროვნებას, სულიერ ლაბირინთებში გავლით და მიწიერ სამოთხეზე გვერდის ავლით, უპირობოდ აზიარებდა მიღმა სამყაროსთან და ქმნიდა გარკვეულ ადაპტაციას ადამიანურის ღვთაებრივთან მიმართებისას. მიწიერმა ამქვეყნიური ცხოვრებიდანვე უნდა შეძლოს სულიერ სიცოცხლეში გაღწევა, მე-ს მარადისობაში დამკვიდრება. ეს გახლდათ მისტერიების საბოლოო მიზანი. სწორედ ამ ხასიათიდან გამომდინარეა დღემდე მითოსი სიცოცხლისუნარიანი და მუდ-

მივ შევამოწმოთ ფორმირებადი მხატვრულ სამყაროში. მეოცე საუკუნის ლიტერატურისმცოდნეობაში მეცნიერთა მხრიდან კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი მის უცვლელ კატეგორიას ამ მიმართულებით. ამდენად, მრავალჯერ აღიარებული და დადასტურებულია, რომ ნებისმიერი დროის ლიტერატურული აზროვნების გასაღები სწორედ ანტიური ხანიდან წარმომავალი მითები და ლეგენდებია, ეპოქალურად შესაბამისად სახეცვლილი და ხელახლა შობილი ინდივიდუალურ ჭრილში, სხვადასხვა სოციალ-პოლიტიკური თუ ეროვნული გარემოებებით დატვირთული, რომელთა ხასიათთა შეგრძნებებით გადაამუშავებაც ორიგინალური და ინდივიდუალური მრავალსახეობებით კვებავს და აყალიბებს მის ესთეტიურ იდეალებს. ამრიგად, ადამიანის შინაგან მიზანსწრაფვას საკუთარი არსებობის საიდუმლოს უშუალოდ შეცნობისაკენ მისი სულის შემოქმედებითი ხასიათი განაპირობებს. ამ გზით ლიტერატურა ხელოვნების სფეროში ყველაზე უფრო აქტიური და საჩინო ხდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრი სრულიად ეთანხმება იმ ტრადიციულად განსაზღვრულ თვალთახედვას, რითაც ხასიათდება ზოგადად შემოქმედებითი პროცესი. ამრიგად, სერიოზული და ფასეული ლიტერატურული აზროვნების ესთეტიკის ქვაკუთხედია მისტიურ სიმბოლოთა წარმოქმნა მხატვრულ სამყაროში, ანუ მხატვრული სახეების მისტიური შეგრძნებებით დატვირთვა, რაც თავისთავად შემოქმედის შინაგანი არსიდან ინსპირირდება. სულის მიერ ნაგზნების ესთეტიურ ფორმებში ჩამოსხმული პოეტური ნიმუშები სულიერ მოთხოვნილებათა საზრდოთი დაპურების ერთგვარ საშუალებადაც აღიქმება ზესფეროებისაკენ აღმაფრენას მოწყურებული ადამიანისათვის. მიწიერი ყოფიერების ჯოჯოხეთური ტყვეობიდან თავის დახსნისას დადლილი ადამიანის პიროვნების შინაგანი ფსიქოლოგიური წყობა მომართულია ეძიოს ის, რაც დააკებს მის აღტყინებულ ვნებას და პოეტური ფანტაზიებით ჩამოსხმული ლექსადქვეული მშვენიერი ესთეტიური დითირამები შესაძლოა გამაბრუებელ წამლადაც კი მიესაღებუნოს ცხოვრებისეულ ქარტეხილებში მებრძოლთ. თუმცა ეს პრინციპი როდი სახელდება უწყვეტ ტენდენციად მხატვრული აზროვნების არსებობის ისტორიაში ლიტერატურული ფენომენის წარმოშობისას. მისტიური ესთეტიკის და ეთიკური კოდექსის ქადაგებების გარდა, რომელიც ადეპტის სულის უღრმეს შრეებთან უშუალო და ორგანულ კავშირს გულისხმობს თავისთავად, პოეტურ სახეებში ხშირად შეინიშნება ადამიანური აზროვნების ისეთი კრიტიკული რაციონალური დომინანტი, რომელიც მსჯელობისა და კითხვის ნიშნის საგნად აქცევს მიღმა სამყაროდან მომდინარე პოეტურ ექსტაზებს, საკითხებს იმის თაობაზე, რომ პოეზია საკუთარი წარმომავლობით ზემოთაგონებითა. ამ ტენდენციის საწინააღმდეგოდ მიმართული მხატვრული შემოქმედების ნიმუშებს ფილოსოფიური ხასიათის ელფერი დაჰკრავს, გონებისმიერი მსჯელობის ქარცეცხლშია ჩაუგდიათ და პროკრუსტეს სარეცელსაც ვერ აცდენილა ბევრჯერ. ესთეტიურის იქით ადამიანს სწყურია ლოგიკურად იმსჯელოს და გონებას დაუქვემდებაროს ადამიანური და კოსმიური ყოფიერების საიდუმლოებით მოცული საკითხები, უშუალოდ გაარკვიოს დროებითისა და მარადიულობის პრობლემები. მხატვრული აზროვნების სფეროში ბევრჯერ თავი იჩინა იდეოლოგიური დაკვეთების საფუძველზე წარმოქმნილმა ლიტერატურულმა ცხოვრებამაც ასევე, კრიტიკული სულის კვალდაკვალ ურწმუნო ათეისტებისაგან ნაკარნახევმა სულისკვეთებამ, ან მრავალმა სხვადასხვა გაბატონებულმა მიმდინარეობებმა, საიდანაც ერთიანობაში თავს იყრიდა და იკითხებოდა საერთო სულისკვეთება ადამიანური ძიებისა უმთავრესი საგნისადმი – მიმართული გარე სამყაროსადმი და მიმართული საკუთარი არსისადმი, კვლავ მარადიული ღირებულებების შესაცნობად. და მაინც, განსხვავებულ დროებში მოცემული ლიტერატურული ცხოვრებანი უპირველესად ეპოქალური თანაცხოვრების ხასიათით იტვირთება, რადგან ხელოვნება უმეტესად მაინც ცხოვრებისეული იმპულსით ყალიბდება, ამიტომაც იგი აუცილებლად თავისივე ეპოქისათვის დამახასიათებელ მსოფლმხედველობრივ ჭრილში განიხილება.

ამ თვალსაზრისით უნდა ითქვას, რომ არც ჩვენი ეპოქაა გამონაკლისი. ჩვენი თაობის ადამიანთა აზროვნებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა მეოცე საუკუნის დასასრულმა და ახლის დასაწყისმა, ეს იყო ორი, ჩვენ ასე ვიტყვით, მკვეთრად განსხვავებული და რადიკალურადაც დაპირისპირებული სამყაროს მიჯნა თავისი არსით, რომელთა ერთიანობამაც განსაზღვრა თანამედროვე ადამიანის აზროვნების განსხვავებული ტიპური სპეციფიკა და ცხოვრებისეული საგ-

ნის ძირეული ცვლა დაამკვიდრა. თუმცა დავსძენთ, რომ ზოგი პირიქით ფიქრობს და აცხადებს, რომ ეპოქათა მონაცვლეობამ ბევრი არაფერი შეცვალა ადამიანის შინაგან სამყაროში, ყოველ შემთხვევაში, პრინციპულად განსხვავებული წინა საუკუნეებისაგან. ერთი მომენტი კი ჩვენის მხრივ უნდა დავსძინოთ, რომ ლიტერატურულ ფენომენებზე ზერედე თვალის გადავლება კი ნათელს ხდის იმ ძირითად ნიუანსს, რითაც ნიშანდობლივია და სპეციფიურ კვალს ტოვებს ახალი საუკუნე წინა საუკუნესთან მიმართებაში სწორედ ახალი ტიპის ადამიანის ჩამოყალიბების საკითხში, მისი განსხვავებული მიდრეკილებების ფორმულირებაში, ძველის, კლიშეებად არსებული სტერეოტიპების ნგრევაში. თუმცა ვიდრე დაპირისპირება, უფრო ლოგიკური გაგრძელება იგრძნობა ამ ტენდენციების და ეს ყოველივე საუკეთესოდ აისახა ულტრათანამედროვე მწერლობაში. ოცდამეერთე საუკუნის მწერლობამ აბსოლუტურად განსხვავებული ხასიათი და მისია შეიძინა ვიდრე ეს იყო ტრადიციულად განსაზღვრული და ჩვენს მიერ ზემოთ დახასიათებული. ამაში თავადვე დავრწმუნდებით თუნდაც ქვემოთ განხილული რომანის კვალდაკვალ.

ამრიგად, თუ გასული საუკუნის ეპოქაში მხატვრული აზროვნება ადამიანისათვის მორალისა და ზნეობის საზღვრებს ზღვარს ავლებდა და მიჯნავდა უზნეობასა და ამორალიზმს, ერთგვარად არ კარგავდა საგანმანათლებლო, აღმზრდელობით მნიშვნელობას. ოცდამეერთე საუკუნის მწერლობამ კატეგორიულად მოითხოვა ობიექტური სინამდვილის ისეთი მხილება, რომ ეს ზღვარი წაიშალა და დარჩა მხოლოდ შიშველი სინამდვილე ხშირად მწერლისაგან განუსჯელი. ადამიანის მორალური თვალთვლით კრიტიკულად შეუხედაობამ მხატვრულ შემოქმედებათა ნიმუშებზე შესაძლოა იდეოლოგიური ქადაგების ისეთი ძალმოსილება შესძინოს მათ, რომ ამორალიზმის ჭაობში ერთიანად გადაჩეხოს ადამიანი, მითუმეტეს ეს განსაკუთრებით მოზარდებს ეხებათ. აღსანიშნავია, რომ ჩვენი დროის ასეთმა ულტრათანამედროვე სულისკვეთებამ ხელშეუხებელი არ დატოვა ხელოვნების თითქმის არცერთი სფერო მთელ დედამიწაზე, მიუხედავად წინააღმდეგობებისა სხვადასხვა ქვეყნების რელიგიური თუ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. ხაზგასმით და ხმამაღლა უნდა აღინიშნოს, რომ ვერც დღევანდელმა რელიგიამ და ვერც ტრადიციულმა ხელოვნებამ ვერანაირი სერიოზული ბარიერი ვერ შეუქმნა ამ ყოველისწამდეკავ „მძვინვარე ნადირს“. მორალისა და ეთიური ნორმების ზნეობრიობის მქადაგებელი ლიტერატურა თითქოსდა ერთ შორეულ ნაპირზე ჩარჩა და გაიყინაო. სპეციალური ვალდებულებების გარდა ზერედე თვალს თუ გადაავლებს თანამედროვე სულიერ ავანტიურაში ჩაძირული ადამიანი ან სულაც არ წაიკითხავს მას.

აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის ქართველი მწერლები ეპოქის დასაწყისშივე ჭვრეტდნენ დღევანდელი მსოფლიოს სულიერი დეგრადაციის მოსალოდნელ საფრთხეს. ეს ხილულადაც იგრძნობოდა, რადგანაც უფლის წინააღმდეგ მებრძოლთაგან პრაქტიკულად უკვე დაწყებული იყო ეკლესია-მონასტრების განადგურება, ადამიანებისათვის რელიგიური ცხოვრების აკრძალვა. ამ დროს ქართველი ხელოვანნი მიზნად უსახავდნენ საკუთარი ხელით შექმნილ ხელოვნებას თავისთავზე ავლო ქურუმის მისია, ხელოვნება დაეჭვითა ლოცვის ექსტატიური ძალით და ასე მოეხერხებინათ სულიერების შენარჩუნება. ამ სულისკვეთებით შესრულებული ხელოვნების ნიმუში თავადვე გახდებოდა „დექის პური“ ადამიანისათვის, რომელიც იქნებოდა ამავდროულად „პური არსობისა“, პიროვნების გადამრჩენი. ასევე ხმამაღლა უნდა შევნიშნოთ და მკვეთრად ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ დღევანდელობაში სრულიად დაკარგულია მორალისა და ზნეობის ცოცხალი, ცხოველმყოფელი განცდა, რომელიც ადამიანს სულიერების მაძიებელ ადეპტად ზრდის და, რომელსაც უპირობოდ მიჰყავს ის უფლის წიაღში. ანალოგიური მოთხოვნებით ტენდენციურდება მწერლობა არა მარტო საქართველოში, ზოგადად მთელს მსოფლიოში. გასული საუკუნის კლასიკოსთა ნაწერები პროფეტულია ამ თვალსაზრისით. ისინი პირდაპირ მიუთითებენ მომავლის ადამიანებს სულიერი კატასტროფის შედეგებზე, რაც შეიძლება მოუტანოს მათ გლობალიზაციამ. მაშინდელი დაწყებული პოლიტიკის მზარდი, მიზანმიმართული შედეგია კოსმოპოლიტური იდეების დღევანდელი ხორცშესხმა და განხორციელება. ახალი დრო უარყოფს ერებს და ეროვნებებს, რაც საფრთხეს უქმნის არა მარტო დიდი და ფასეული კულტურის წარმოშობას, უმთავრესად თავად ადამიანის პიროვნებას, რადგანაც ადამიანი პიროვნებად მხოლოდ საკუთარი ეროვნული კულტურის წიაღში ყალიბდება და არსებობს, სხვა შემთხვევაში

იგი მხოლოდ უპიროვნოა. ეს აზრი დომინირებულია ყოველი დიდი მოაზროვნის ნააზრევებში და უდავოა მისი ჭეშმარიტება. გასული საუკუნის დასასრულს პოლიტიკურ სარბიელზე ასეთი მოწოდება გაისმა საქართველოდან ყოველივე ამის საწინააღმდეგოდ: „ეროვნება არ აქვს ცხოველს“. (ზ.გამსახურდია)

ამრიგად, დღევანდელმა კოსმოპოლიტიზმმა მიზანსწრაფულობამ ადამიანთა შორის გამოიწვია ისეთი სოციალურად დაახლოებული კომუნიკაცია და ერთობა, რომ პრაქტიკულად წაიშალა მიჯნები და სხვაობები მათი ეროვნული წარმომავლობისა. გეოგრაფიული რელიეფის ერთიანობის ფორმით წარმოსდგა ახალი ტიპის ადამიანი სრულიად თავისუფალი ბუნებრივ მოთხოვნილებათა განხორციელებაში. მხოლოდ სისხლისმიერი კოდექსითდა სახელდება და მქდავნდება ტემპერამენტის რავგარობით მიღწეული ინსპირანცია სენსუალიზმის სფეროში და რადგანაც მწერალი ვერასოდეს ვერ ასცდება თანამედროვეობის სულისკვეთებას იგი ერთგვარ ვალდებულებასაც კი კისრულობს აღწეროს თანამედროვე მსოფლიო და თანამედროვე ადამიანი ისეთი როგორიცაა ის სინამდვილეში.

ამ საკითხების ნათელსაყოფად შევარჩიეთ თანამედროვე მწერლის, წარმომავლობით ფრანგი, მიშელ უელბეკის მიერ შექმნილი მხატვრული სამყარო. ამჯერად, მხოლოდ მის ერთ კონკრეტულ მეტად სკანდალურ რომანზე ვაჩერებთ ყურადღებას, სახელწოდებით— „ლანსაროტე“. ჩვენი აზრით, იგი გახლავთ დღევანდელი დღის თავისუფალი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო თავისუფალი მოაზროვნე მწერალი და როგორც მას ოცდამეერთე საუკუნის ადამიანები უწოდებენ, მაინც ყველაზე სკანდალური და ყველაზე პოპულარული თავისი შემოქმედებით. უნდა ითქვას, რომ მისი მრავალი წიგნი მსოფლიოს თითქმის მრავალ ენაზე ითარგმნა და მზარდი მოთხოვნებით იყიდება ბაზარზე.

უელბეკის მსოფლმხედველობრივი აზროვნების ცენტრალური ფიგურაა ადამიანი თანამედროვე მსოფლიოს ჭრილში წარმოსახული და განხილული, რომლის ზნე და ბუნება დროთა განმავლობაში არაფერს შეუცვლია. „ჩემთვის ვიფიქრე, რომ საუკუნეთა მონაცვლეობაში დიდი ხიერი ნამდვილად არ ეყარა. ახალი გადაჭრილი ვაშლივით ჰგავდა გარდასულს“. (1,14) წერს მიშელ უელბეკი, რომლის წარმოდგენაც ადამიანის თავისუფლებაზე შემდეგნაირია და პრინციპულად საპირისპირო მოთხოვნით იტვირთება ვიდრე ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები შოთა რუსთაველის ციტატა. ფრანგი ავტორის პრინციპი ადამიანთან მიმართებაში მისივე სიტყვებით ასეთია: „ადამიანმა არც არაფერზე უნდა თქვას უარი და არც არაფრისგან შეიკავოს თავი...“ (1, 33) საინტერესოა, ასეთი ცხოვრებით ადამიანი თავისუფლების ჭეშმარიტებას მართლა ეზიარება კი? არის კი ოცდამეერთე საუკუნის ადამიანი თავისუფალი და რისგან? აი, კითხვები, რომელიც, ჩვენი აზრით, მეტად აქტუალურია და რომელზედაც თავად ამავე რომანის ავტორის მიერ ობიექტურად ასახულმა სინამდვილემ უნდა გაგვცეს პასუხი მხატვრული სამყაროდან.

რომანი იწყება ასე: თავად ავტორი, რომელიც მთავარი გმირია, გადაწყვეტს თავისუფალი დრო გაატაროს სიამოვნებასა და მოგზაურობაში, რისთვისაც მიაკითხავს ერთ-ერთ ტურისტულ სააგენტოს. იგი არჩევანს აკეთებს უულკანური ამოფრქვევის შედეგად წარმოქმნილ კუნძულზე, რომლის სახელწოდებაც „ლანსაროტე“, ადგილი, სადაც არასდროს წვიმს. გლობალიზმის ეპოქისათვის ნიშანდობლივად მახასიათებელია სექსუალური ტურიზმის განვითარება, რომელსაც პეიზაჟების აღმოჩენით განცდილი სიამოვნება უნდა ჩაენაცვლებინა და ნორვეგიელებმაც სწორედ ამ თვალსაზრისით ჩაუყარეს „ლანსაროტეზე“ ტურიზმს საფუძველი, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში საბოლოოდ ჩაენაცვლა ეკო-ტურიზმისა და კულტურული ტურიზმის მოყვარულთა მიზნებს. სწორედ, რომ დღევანდელმა ადამიანმა მისცა საფუძველი სექსუალური ტურიზმის განვითარების უკიდევანო პერსპექტივას. იქ განთავსებული ვიზუალურად ეფექტური კომპოზიციები გამოყენებადი უნდა ყოფილიყო ადამიანისათვის სექსუალური ცხოვრების ეფექტური კომფორტის მისაღწევად. სწორედ, ამ თვალსაზრისითვე შეირჩა სპეციალურ სააგენტოში აგენტი გოგონასაგან მწერლისათვის კუნძული „ლანსაროტე“— ადგილი ხორციელი სიამოვნებისათვის, რომლის პროპაგანდას ასე ეწევა მწერალი: „ძლიერი ძალაა სექსი და საერთოდ, სექსუალურობას მოკლებული ნებისმიერი ურთიერთობა ადამიანებს შორის არასრულყოფილად და დაკნინებულად მესახება. ჩვენ ვიცით, რომ არსებობს ენობრივი ბარიერი, თამამად შეგვიძლია

განვაცხადოთ, რომ ასევე არსებობს ხორციელი ბარიერიც:“(1,86) სწორედაც, რომ ლანსაროტე ის ადგილია სექსის მოყვარულთათვის, სადაც ყველანაირი ბარიერი დაიძლევა, მთავარია, ვინმემ ჩაიფიქროს იქ გამგზავრება. საინტერესოა და თვალშისაცემია უელბეკის ორიგინალური მხატვრული ფანტაზია, თუ ამას ფანტაზია უნდა ეწოდოს და არა ფანტასტიკა მორალური მკითხველისათვის. იქ განვითარებულ მოვლენათა თხრობისას ყურადღებას იქცევს მის მიერ საკუთრივ აღწერილი სექსოდრომების რეალური გარემოებანი: მკვეთრი, საშინლად მკვეთრი ფერები, რათა თამამად და შთამბეჭდავად გადმოსცეს ობიექტური სინამდვილე, აღრეული თუ დარღვეული გენიტალიების მქონე ადამიანების ფიზიოლოგიური აღწერილობანი... მან ბოლომდე გააშიშვლა თანამედროვე მსოფლიოს ცხოვრება და მართლაც, ამით მიანიჭა ამ ადამიანებს სრული „თავისუფლება“ სექსუალური ვნებათაღელვის აპოთეოზში. უტიფარი ვნებებით შეპყრობილი ადამის მოდგმა, რომელსაც სრულიად ბუნებრივ მოთხოვნილებად აქვს გადაქცეული უკიდურესი გარყვნილება, ადამიანებს შორის ჯგუფური სექსი, დაუოკებელი თავაწყვეტილი ორგიები, რაც თანამდევნი იყო ყოველთვის კაცობრიობისათვის. გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირები და ადამიანის უკიდურესი დაცემა, რომელიც გამოვლენილია პედოფილიით. სრულყოფილი, გაურყენელი ქალის არსებობის დეფიციტი და გაიმპოტენტიებული მამაკაცები სექტანტურ მიმდინარეობებში თავშეფარებულნი. მიძივა ამ თხრობის მოსმენა ზნეობრივი ადამიანისათვის, მაგრამ რეალურია არსებული გარემოებები და პრობლემები. ასეთია ულტრათანამედროვე „გავეროპელეზული“ ადამიანის შიდა კულტურული ცხოვრების შეუნიღბავი განაწესი, რომელსაც ვერ ასცდა განახლებული მსოფლიოს ცენტრისაკენ მიმავალი საქართველოც. რას ვიზამთ, ასეთია შემოთავაზება თანამედროვე ადამიანისათვის თანამედროვე მსოფლიოსაგან.

მწერალი კი განაგრძობს თხრობას: „მზე ატლანტის ოკეანის უკიდვანო სივრცეებში იძირებოდა. გონებაში ისევ გუშინდელი გადაცემა ამომტივტივდა: სტუდიაში მოწვეული პორნოვარსკვლავი ახალი ათასწლეულის შემობიჯებას იმედით შესცქეროდა. მამაკაცები მამაკაცობას თუ შეინარჩუნებენ, საგანგაშოც არაფერიაო, აცხადებდა შესაშურად გაწონასწორებული და აუღელვებელი ხმით. აი, მეცნიერი ისტორიკოსი კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თავად საუკუნის ცნებას და მას მეტაფორულად, განზოგადებულად მიმოიხილაგდა... წარმოდგენილია, დაუშვებელია, რომ 2000 წლის მიჯნაზე დედამიწის ზურგზე ამდენი ადამიანი მიმშოდისაგან იხოცებაო, იძახდა.“(1,15) და ყოველივე ეს იმ დროს, როცა სექსუალური ტურიზმის განვითარებისათვის მზარდი მოთხოვნა ასე იოლად გადაწყვეტადია ერთიან ევროპულ სივრცეში მცხოვრები კაცობრიობისათვის. როგორ? „– რა დიდი ფიქრი და ტვინის ჭყლეტა უნდა ახლა ამას? აიღებ სადმე დვთისგან მიტოვებულ მიწას, შემოღობავ, მისასვლელ გზას პირვანდელ იურსახეს შეუნარჩუნებ, გადაკეტავ, დაკიდებ აბრას და ზედ მიატყაპებ: „ბუნებრივი ნაკრძალი“. შენ გგონია, ადამიანები არ მოვლენ? მოვლენ, როგორც დაგიბარებია. შენ კი ისღა დაგრჩენია, ხვეტო და ხვეტო ფულები“.(1,67)

მწერალი ევროპის ქვეყნებს, საერთო სულისკვეთებით განმსჭვალულთ, ერთიან საერთო სივრცეში განიხილავს ერთნაირი მდგომარეობით. ასეთია მისი თვალით დანახული ბელგია: „ჩვენ, ბელგიელები, უკვე აღარ ვქმნით იმას, რასაც შეიძლება საზოგადოება ეწოდოს. გარდა შიშისა და დამცირების გრძნობისა, ჩვენ არაფერი გვაერთიანებს. მესმის, რომ ეს ტენდენციაა და ყველა ევროპულ ერს ახასიათებს. მთელი რიგი მიზეზების გამო (რომელთა ფორმულირებას ნებისმიერი ისტორიკოსი ჩემზე ბევრად უკეთ მოახერხებდა), ბელგიაში დეგრადაციის ეს პროცესი უფრო შორს წავიდა.“ (1,84). ამავე ჭრილში განიხილებიან ანალოგიურად გერმანია, რომელიც ისეა ათქვეფილი მრავალი ჯურისაგან, იქ დარჩენის სურვილი გერმანელებსაც კი აღარ გააჩნიათ. ასევეა თურქეთი, რომელიც ევროკავშირის სრულყოფილებიანი წევრობისათვის ემზადება. მთელი მსოფლიო ერთიან ევროპულ სივრცეში წარმოდგენილი ქვეყნებით კი საბოლოოდ ამერიკისაგანაა მართული. „ასეა თუ ისე, აშკარაა, რომ ჩვენ თავბრუდამხვევი სიჩქარით მივიწვევთ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მართული მსოფლიო ფედერაციისაკენ, სადაც სახელმწიფო ენად ინგლისურია აღიარებული, ცხადია, იმის გაფიქრება, რომ მთავალში ცხოვრება შესაძლოა იდიოტებით დაკომპლექტიებული მთავრობის ხუმტურებზე მოგვიწიოს, ჩემთვის ცოტა არ იყოს, უხერხულია, რომ არაფერი ვთქვათ უსიამოვნოზე. თუმცა, ბარემ ვადიაროთ ისიც, რომ მსგავს გარემო-

ებებს უკვე შეჩვეულები ვართ. ყველა იმ წყაროდან, ძველმა რომაელებმა საკუთარ თავზე რომ დაგვიტოვეს, აშკარად ცხადი ხდება, რომ ეს ერი კი არა, არც მეტი არც ნაკლები, სულელების ხროვა იყო. თუმცა ამ გარემოებას მათთვის იუდეისა და საბერძნეთის დაპყრობაში სულაც არ შეუშლია ხელი. მერე გამოჩნდნენ ბარბაროსები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ესეც შენი უსასრულო განმეორადობა!“ (1, 42–43). აი ასეთი პირდაპირობით ამხელს მიშელ უელბეკი თანამედროვე დანაშაულებრივ მსოფლიოს, ხოლო დანაშაულის სათავეს პირდაპირ დღევანდელი ამერიკის პოლიტიკაში ხედავს, რომელიც არ ახალია, ძველია. ეს დამპყრობლური ძალაუფლება ჯერჯერით მონაცვლეობს არამარტო ამერიკის, არამედ სხვადასხვა სახელმწიფოთა ხელში. მათ მიერ დასმული მთავრობის მეთაურები კი შეშლილი ფსიქიკით მწვერლისეული სიმართლის მხილების წისკვილზე უდავოდ ასხამენ წყალს. თუმცა, ჩვენ არასდროს არ უნდა დაგვავიწყდეს ისტორიული ფაქტები იმპერიების ნგრევის, ის რეალური მიზეზები, რამაც საბოლოოდ ბოლო მოუღო და წააქცია კიდევ რომის იმპერია. ბოლოს ასეთი თავბრუდამხვევი სულისჩამძირავი პოლიტიკისაგან მართული საზოგადოების წინაშე მწერალი სვამს კითხვას: „რას უნდა მოველოდეთ ცხოვრებისაგან? აი, კითხვა, რომელსაც ამა თუ იმ მომენტში ნებისმიერი ადამიანი უსვამს საკუთარ თავს“ (1, 88) მორალურად გაცვეთილი ადამიანისათვის კი უძველესი, ტრადიციულად განსახლვრული, რელიგიებიც კი მიუღებელია და თანამედროვე დემორალიზებული კაცი ქმნის ახალ რელიგიურ უწყებას (რომანში ეს სახელდება რაელისტური რელიგიის სექტის სახელწოდებით). ეს რაელისტური რელიგიაა ე.წ. ახალ ცოდნასთან ზიარება, რომელსაც თან მოყვება „ახალი მიღწევები“ და „ახალი ფილოსოფიები“. ამ „ცოდნით“ ადამიანმა ფიზიკური უკვდავება უნდა მოიპოვოს დედამიწაზე. მისი მეცნიერული თეორიით ყოველი ახლადმოქცეული კანის უმნიშვნელო ნაწილი უკიდურესად დაბალ ტემპერატურაზე საგულდაგულოდ ინახება, რომელიც მუდმივი მოძრაობით მუდმივ კავშირს ინარჩუნებს თანამედროვე ბიოტექნოლოგიურ ცენტრებთან და საბოლოოდ ეს მონაპოვარია წარმატებები ადამიანის კლონირების სფეროში, რომელიც არამარტო ფიზიკურ უკვდავებას ჰპირდება კაცობრიობას, არამედ ადამიანის პიროვნება უზრუნველყოფილია აზრებისა და მოგონებების მარადისობით, კლონის ტვინში მახსოვრობის შენარჩუნებით და საბოლოოდ სამყაროს სულისჩამდგმელ ელოპიმებთან შერწყმით. პიროვნების შინაგანი სამყაროს ასეთი ვეგეტაციური პროცესი შესაძლოა ბევრმა მეცნიერული ფანტასტიკის სფეროდ მონათლოს, კერძოდ მისი ტექნიკურად ხორცშესხმის განხრახვა, მაგრამ იგი ნოვატორულია და პრაგმატულია უკვდავების მაძიებელთათვის. ასეთი სექტები და მიმდინარეობები ყოველგვარი რელიგიური დამოკიდებულებებისაგან ათავისუფლებენ რა, ადამიანს, საკუთარ იდეოლოგიაზე დაფუძნებით ერთიანი სტრუქტურის დაარსებას აუწყებენ მსოფლიოს. ასეთი ტიპის ცხოველთან იდენტიფიცირებული ანდა მასზედ უფრო ქვემდგომთათვის რაღა საჭიროა სული და მისი უკვდავების პერსპექტივა დღითიური ელემენტების შერწყმით, არც რელიგიურ წარმოსახვაში და აღარც ხელოვნების ნებისმიერ სფეროში. ყოველივე ასეთი სიამოვნებანი მისტიური მწვერლობის გარეშეც მშვენივრად მიღწევადია. აბა ახლა ასეთ საზოგადოებას სულიერი არსობისათვის მონატრება „ლექსის პური?“ ამ შემთხვევაში უფრო სწორი იქნებოდა დაგვეზუსტებინა გამთქმა: „სექსის პური“, ხოლო მასზედ აქცენტირებულნი და მისით ნაკვებნი მიიწევენ სწორედ დღეს სახელისუფლებო მმართველობის სადავეებისაკენ. ასეთი აზრებით ფრთაშესხმული „თავისუფალი“ ადამიანები, რა თქმა უნდა მრავლად არიან ჩვენს გვერდით და გულის სიდრმეში კიდევ შესაძლოა ნატრულობენ „ლანსაროტეზე“ ხშირად სეირნობას. ამგვარი რელიგიების რეალობის იდეური სულისჩამდგმელია რომანში, გაიმპოტენტებული, სულიერად დეგრადირებული პოლიციელი რუდი, რომელმაც თავაშეებულ გარყვნილებაში ჩაძირა თავისი სექსუალურად დაუკმაყოფილებელი ცოლი და ზედ მიაყოლა შვილებიც. იგი პედოფილია და როდესაც მთელი მსოფლიოს თვალში იმხილება მისი დანაშაული, ის სინდისის ქეჯნასაც კი არ შეუწუხებია, მეტიც, უზომოდ ბედნიერად წარმოაჩინა თავი საზოგადოების წინაშე. ამ საქმით მოქმედნი აქეთ ამტიცებენ, რომ ბავშობიდანვე გაუკუდმართებული სქესობრივი ცხოვრება მიღწევაა და საზოგადოების გაჯანსაღებაა. რუდიმ, მართალია, სექტის ამ უმძიმესი დანაშაულის გახმაურება მთელი მსოფლიოს გასაგონად პირდაპირი ეთერით მოახერხა, მაგრამ მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თავად სახელმწიფო, იუსტიციის სამინისტრო საზოგადოების მხრიდან სექტის საქმიანობის აკრძალვის

კატეგორიული მოთხოვნის წინაშე სრულიად უძლური და ხელფესზეკრული აღმოჩნდა. ასეთი დღევანდელი კანონმდებლობა და სამართალი მთელს მსოფლიოში. ამიტომ ამბობს მწერალი ამ სიტყვებს და საკუთარ თავსაც გულისხმობს უპირველესად – „ასე განსჯის მოსახლეობის უმრავლესობა. არც მე ვარ გამონაკლისი“. (1,95) უძლურია საზოგადოების ძალა და დამნაშავეა ამავე დროს, რადგან არ შეუძლია ზეგაყვანილობის მოხდენა სახელისუფლებო მმართველობაზე. შემდგომ მწერალი განაგრძობს: „მეტ-ნაკლებად ყველამ იცის, რას წარმოადგენს ცხოვრება და საით მიგვაქანებს ის“. (1,94) ამ რეალობამ მომავლას გუსტავ ფლობერის სიტყვები და რიტორიკულ კითხვად გვინდა დავსვათ დღევანდელი განათლებული საზოგადოების წინაშე, მომავალი თაობის წინაშე: „სად გაგონილა მძვინვარე ნადირის ნებაზე მიშვება“?! (2,24) ჩვენ კი კვლავ ნიჭიერი მწერლის, საკუთარი სამშობლოდან პოლიტიკურად დევნილი მიშელ უელბეკის სიტყვებით დავასრულებთ ჩვენს სტატიას – „აი, რა დაგვრჩება 21-ე საუკუნისაგან: წარმატებები ტექნიკასა და მეცნიერებაში. „ტოიოტას“ მარკის მიკროავტობუსი ცოტათი მაინც განსხვავდება დილიჟანსისაგან. ხომ მართალია?“ (1,17) ასეთი სულისკვეთება მოგვიტანა ახალმა დრომ და, რაც არ უნდა სკანდალური მოეჩვენოს მკითხველს მწერლის ეს რომანი, გონიერად დაკვირვებული თვალი დღევანდელ მსოფლიოს ცხოვრებაზე უდავოდ შეამჩნევს, რომ ესაა რეალობა, რომელიც კაცობრიობას მარადიულად თანმდევი დილემის წინაშე აყენებს. მისი დადებითი მხარის არჩევანმა კი ჩვენი აზრით, ახლებური ძალმოსილებით უნდა აღჭურვოს მომავლის თაობები სულიერი ადაპტაციის გზაზე. მწერალიც ამ იმედით ემშვიდობება ლანსაროტეს და ასე საინტერესოდ აყალიბებს საკუთარ მოსაზრებას მომავლის შესახებ: „აფრენისას ბოლო მხერა შევაველე ვულკანების უსასრულო წყებას. აისის ფონზე მათ მუქი მეწამული ფერი გადაჰკვროდა. ეს სანახაობა მამშვიდებდა თუ შიშის გრძნობას მინერგავდა? ამ კითხვაზე მაშინ დანამდვილებით ვერ ვუპასუხებდი. ყოველ შემთხვევაში, რასაც ვუმხერდი, ჩემთვის განახლებისა და აღორძინების უნარს, ათვლის ახალ წერტილს ნიშნავდა.“ (1, 94)

შევეცადეთ, ჩვენეული ინტერპრეტირება წარმოგვედგინა ფრანგი მწერლის, მიშელ უელბეკის, თვალთ გადამოცემული სინამდვილისა, რომელიც გვეხება თანამედროვე ადამიანს და თანამედროვე მსოფლიოს. რომანი „ლანსაროტე“, მართალია, მოცულობით პატარაა, მაგრამ ამ კუთხით ფართო საინფორმაციო ველის დამტვევია, ამიტომაც მნიშვნელობა მივანიჭეთ და ჩვენთვის პირველყოვლისა საინტერესოდ გამომხეურდა ეს რომანი, როგორც ისტორიული ქრონიკა ულტრა-თანამედროვე ჭრილში წარმოდგენილი ადამიანის სულისკვეთებისა, ეროვნულ ჩარჩოებს გაცდენილთა შიდა კულტურული ცხოვრების განაწესის საუკეთესო მხილები. იგი მეტად საინტერესოა თანამედროვე მწერლის ფრანგული სამწერლო სტილი როგორ შეესაბამება ქართულ სინამდვილეს ოცდამეერთე საუკუნეში როცა პოლიტიკური იდეების ხორცშესხმას ერთიანობის მიღწევის ატმოსფერული სულისკვეთება დაჰყვებოდა თან.

ლიტერატურა:

1. მიშელ უელბეკი „ლანსაროტე“. ფრანგულიდან თარგმნა მერაბ ფიფიაძე. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა 2013;
2. გუსტავ ფლობერი „ჰეროდია“. ფრანგულიდან თარგმნა მანანა გიგინეიშვილი. „ნაკადული“ თბილისი 1968;
3. ზვიად გამსახურდია „დილემა კაცობრიობის წინაშე“. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, # 26 (2805).

Мариам Сулханишвили

Французский писатель Мишель Уэльбек

Резюме

Мы постарались по нашему интерпретировать реальность, переданную Французским писателем Мишелем Уэльбеком, которая касается современного человека и современного мира. Роман Лансароте объемом небольшой, но с вышеупомянутой точки зрения охватывает широкое информационное поле. По этой причине мы придаём большое значение роману, который в первую очередь интересен нам, как историческая хроника духа человека, представленного в ультра-современном свете, хроника наилучшего разоблачения внутреннего мира живущих вне рамок национальности. Чрезвычайно интересно и то, как стиль современного Французского писателя совпадает с Грузинской действительностью XXI века, когда осуществление политических идеи сопровождается атмосферным духом достижения целостности.

Mariam Sulkhaniashvili

French writer Michel Houellebecq

Abstract

We tried to interpret the reality expressed by the French writer Michel Houellebecq in our way, reality which is about the contemporary person and the contemporary world. While the novel "Lanzarote" is not long, from this point of view it encloses wide informational area. This is why we gave importance to this novel and consider it interesting, as a historical chronicle of person's spirit in ultra contemporary perspective, chronicle of unmasking the inner cultural life of those who are beyond national bounds. It is extremely interesting how the writing style of the French novelist matches the Georgian reality in the twentieth century, when the implementation of political ideas is being accompanied by atmospheric spirit of reaching the unity.

რეცენზენტი: პროფ. ვ. ასათიანი

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

ნათია ქვაჩაიძე

ქუთაისი, საქართველო

ნოველის ჟანრის მნიშვნელობა ჯონ აპდაიკის შემოქმედებაში

სტატიაში განხილულია თანამედროვე ამერიკელი მწერლის ჯონ აპდაიკის ნოველებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, მათი მნიშვნელობა და როლი მწერლის შემოქმედებაში. საუბრობს რა მთელი რიგი კრიტიკოსების მიერ ზემოხსენებულ ნაწარმოებთა არასათანადო შეფასებაზე, ავტორი ცდილობს გააბათილოს ამ უკანასკნელთა ზოგიერთი შენიშვნა აპდაიკის მოთხრობების მიმართ და აჩვენოს, რომ დაუშვებელია ამ მრავალპლანიანი შემოქმედის აღქმა მხოლოდ მისი რომანების ჭრილში. სტატიაში ნათქვამია, რომ აპდაიკისეული ნოველის ლიტერატურული ღირებულება ენობრივ-სტილური ფაქტორით არ ამოიწურება და ისინი სულაც არ წარმოადგენენ მწერლის რომანების ერთგვარ შემზადება-შევსებას მხოლოდ.

ნოველა, როგორც ამერიკელი მწერალი ბრეტ ჰარტი აღნიშნავს, “ამერიკული ლიტერატურის ნაციონალური ჟანრია” [თოფურიძე, 1967:5] აშშ-ში ამ ჟანრმა თავიდანვე მეტად სპეციფიკური ხასიათი მიიღო. მასში ყველაზე ნათლად გამოიკვეთა ეროვნული სულისკვეთება და ყველაზე ნაკლებ იჩინა თავი უცხოური ლიტერატურის ზეგავლენამ. ამიტომ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ არაერთი გამორჩენილი ამერიკელი მწერლის შემოქმედებაში აღნიშნულ ჟანრს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამ მხრივ, არც ჯონ აპდაიკია გამონაკლისი, რომლის ნოველისტიკაც ფრიად საყურადღებო როლს თამაშობს ამერიკული ნოველის განვითარებაში.

ჯონ აპდაიკი (John Updike, 1932-2009) ომისშემდგომ ამერიკელ მწერალთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელთა შემოქმედებამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის ფილოსოფიური მიმართულება და ესთეტიკური დონე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იგი ძირითადად რომანებითაა ცნობილი და ნაკლები ყურადღება ეთმობა მისი ჟანრობრივად მრავალფეროვანი შემოქმედების სხვა ასპექტებს. ჯონ აპდაიკი, როგორც ნოველისტი, ესეისტი, პოეტი და დრამატურგი, ხშირ შემთხვევაში უგულვებელყოფილია. როგორც ერთ-ერთი მკვლევარი დონალდ გრაინერი აღნიშნავს, “ეს სიტუაცია საყურადღებო არ იქნებოდა მოთხრობები, ლექსები, კრიტიკული წერილები და პიესა მისი [აპდაიკის] კარიერის უმნიშვნელო ნაწილს რომ შეადგენდნენ და ბოლო რომანის გამოქვეყნებიდან მომდევნოსათვის მზადების დაწყებამდე შუალედის შესავსებად გამიზნულ ერთგვარ ბეჯით ნამუშევარს რომ წარმოადგენდნენ” [გრეინერი, 1981, XI], მაგრამ ეს ასე არ არის და, სხვა ჟანრებთან ერთად, ეს მწერლის მოთხრობებსაც ეხება.

მკვლევართა დამოკიდებულება აპდაიკის ნოველებისადმი (იხევე, როგორც მთელი მისი შემოქმედებისადმი) არაერთგვაროვანია. ბევრი მათგანი მიიჩნევს, რომ მოთხრობები მწერლის

რომანების ერთგვარ შემზადება-შევსებას ემსახურებიან მხოლოდ ცალკე აღებულნი კი ნაკლები ლიტერატურული ღირებულების მქონენი არიან. ვფიქრობ, ეს მოსაზრება საკამათოა.

ის მკვლევრები, რომლებიც აპდაიკის რომანებს გაცილებით მაღალ შეფასებას აძლევენ ვიდრე მოთხრობებს, აცხადებენ, რომ მისი ნოველები ძირითადად მეტად ბუნდოვანი სიუჟეტური ხაზით, ან სიუჟეტის სულაც არარსებობით ხასიათდებიან და ამ ფაქტს აღნიშნულ ნაწარმოებთა ერთ-ერთ ნაკლად მიიჩნევენ. რიჩარდ ლოკი თვლის, რომ ჯონ აპდაიკის მოთხრობათა უმეტესობაში “ყურადღება პერსონაჟებიდან და მოვლენებიდან საკუთრივ ავტორზე და მის მრავალფეროვან მხატვრულ სტილზე გადადის” და, ერთი მხრივ, ამით ხსნის თავის უკმაყოფილებას ამ ნაწარმოებებით. იგი ასეთ შეფასებასაც კი იძლევა: “როცა მათ [აპდაიკის მოთხრობებს] კითხულობ, ხალხისთ მიიწვევ წინ; მაგრამ უკან რომ მოიხედავ, დახვეწილი ლირიკული ლინგვისტური ხლართების ერთგვარი გროვა შეგრჩება ხელთ” [გრეინერი, XVI].

ვფიქრობ, ასეთი მიდგომა მეტად ზედაპირული და არაადეკვატურია. ენობრივ-სტილური დახვეწილობისაკენ სწრაფვა (ისევე, როგორც ავტობიოგრაფიული საწყისის არსებობა) ჯონ აპდაიკის მთელ მხატვრულ პროზას გასდევს თან. რომანებში ყოველივე ამას თემატურ-სიუჟეტური სისავსეც ემატება. ნოველები კი, როგორც ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, დაუსრულებელ და ქაოტურ ფრაგმენტებს წარმოადგენენ და ავტორის ცალკეული ემოციების, განცდებისა და შთაბეჭდილებების ასახვას ემსახურებიან. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს ასე. აპდაიკის ნოველისტიკა მარტო ენობრივი თვალსაზრისით როდია საინტერესო. იგი ასახავს ავტორის მსოფლმხედველობით და მხატვრულ პოზიციებს, ამერიკული რეალობის მისეულ ხედვას. მათში დამუშავებული თემები და მოტივები მართალია გაცილებით მეტ სიღრმეს იძენს მწერლის რომანებში, მაგრამ საკუთრივ ნოველებში, ჩემი აზრით, ავტორი უფრო დიდ ემოციურ დატვირთვას აძლევს თავის სათქმელს.

ჯონ აპდაიკის ნოველისტიკა თემატურად მრავალპლანიანია. ამ ჟანრში (ისევე, როგორც მწერლის მთელ შემოქმედებაში) დომინირებენ ისეთი თემები, როგორცაა მოზარდის პიროვნული ფორმირება, ადამიანის თვითგამორკვევა და საზოგადოებაში საკუთარი ადგილის ძიება, რეალურ ცხოვრებაში იდეალის განუხორციელებლობა, ოჯახური ყოფა და ურთიერთობა ქალსა და მამაკაცს შორის. თავად ავტორი აცხადებს, რომ მისი, როგორც მწერლის, სათქმელი არ ყოფილა ის, რაც მისაღები და, ერთი შეხედვით, აქტუალურია მისი დროისათვის. ურბანული და პოლიტიკური საკითხებით დაინტერესებულ ეპოქაში მწერალი ეხება პროვინციულ ყოფას და აპოლიტიკურ ადამიანს. ეკონომიკური და პოლიტიკური თემები აპდაიკისათვის მეორეხარისხოვანია ოჯახის, სკოლისა და პატარა ქალაქის კრიზისის ფონზე, რასაც იგი “ყოველდღიურობის სასოწარკვეთილებას” [Conversation with John Updike, 1944:11] უწოდებს. მსგავსი თემებისადმი ინტერესი საზოგადოდ დამახასიათებელია XX საუკუნის ამერიკული ნოველისათვის. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ჯონ აპდაიკი უფროსი თაობის ისეთ მწერალთა ტრადიციების გამგრძელებელია, როგორებიც არიან, მაგალითად, შერვუდ ანდერსონი, ერნესტ ჰემინგუეი, ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი და სხვ. უამრავი პარალელის გავლება შეიძლება მათ შორის პერსონაჟთა შერჩევის, კომპოზიციური თავისებურებებისა თუ სტილის საკითხებთან დაკავშირებით. თუნდაც უსიუჟეტობა, რის გამოც ხშირად აკრიტიკებენ აპდაიკის მოთხრობებს, მთელი რიგი ამერიკელი მწერლების ნოველათა ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. ამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ მ. კორენევის სიტყვები: “პოთორნის შემოქმედებასთანაა დაკავშირებული ამერიკული ლიტერატურაში მოგვიანებით დამკვიდრებული ტიპი ნახევრადლოკუმენტური მოთხრობისა, რომლის სიუჟეტური ხაზი საგრძნობლად შესუსტებულია; თუ უფრო ჩაუვლრმავდებით, ნოველის ამ ტიპს უოშინგტონ ირვინგთან აღმოვაჩინოთ, ან კიდევ უფრო ადრე – პირველი ამერიკელი ახალმოსახლეების ნაწარმოებებში” [Koreneva, 1981: 20]. მოგვიანებით უსიუჟეტო ნოველის ჟანრი დახვეწეს და განავითარეს შ. ანდერსონმა და ე. ჰემინგუეიმ. ასეთ მოთხრობებში მთავარი აქცენტი გადატანილია არა მოვლენების თანამიმდევრობაზე (ედგარ პოს მიერ დამკვიდრებული ტრადიციისაგან განსხვავებით), არამედ ავტორის ცნობიერებაზე. გარკვეულწილად, ამითაც შეიძლება აიხსნას ამერიკული ლიტერატურის ლტოლვა ავტობიოგრაფიულობისაკენ.

ავტობიოგრაფიულობა – აი, კიდევ ერთი ფაქტორი, რომლის სიჭარბეზეც მიუთითებენ კრიტიკოსები აპლაიკს და ავიწყდებათ, რომ ეს ტენდენცია ხშირად შეიმჩნევა ამერიკულ ლიტერატურაში. რაც შეეხება ზედმეტად ჭარბ ავტობიოგრაფიულ ელემენტებს, ვფიქრობ მკვლევარები ამ მხრივაც უსამართლონი არიან მწერლის მიმართ. მიმაჩნია, რომ ასახავს რა რეალობას, ჯონ აპლაიკი უბრალოდ ხშირად ეხება მისთვის კარგად ნაცნობ მომენტებს, სიტუაციებსა თუ საკითხებს, რაც სრულებით ბუნებრივია თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც ერნესტ ჰემინგუეი აღნიშნავს, ავტორი იმაზე უნდა წერდეს, რაც კარგად იცის თავად.

ჯონ აპლაიკი თავის ნოველებში საშური მხატვრული ოსტატობით გვიხატავს პატარა ამერიკული ქალაქისა და მისი ბინადრების ყოველდღიურ ერთფეროვან ცხოვრებას. იგი ეხება ისეთ წვრილმანებს და, ერთი შეხედვით, ყოველად უმნიშვნელო მომენტებს თავისი პერსონაჟების ცხოვრებაში, რომ შესაძლოა ესა თუ ის ნოველა უმიზნოდ და არაფრისმთქმელადაც კი მოგვეჩვენოს. თუმცა, ამავდროულად, ავტორი ამ დეტალების მეშვეობით მთელი სისხავისით წარმოადგენს ადამიანის შინაგან მხარეს, მის განცდებსა თუ ემოციებს, გაუცხოებას, უსასოებას, ცხოვრების საზრისის გარეშე დარჩენას. ნოველებში გაბნეული “უმნიშვნელო” ყოფითი სცენებით გაცილებით მეტია ნათქვამი, ვიდრე ყველაზე დიდგანიანი რომანის კონტექსტში გახდებოდა შესაძლებელი. ერთ-ერთი მიმომხილველი მართებულად აღნიშნავს, რომ “აპლაიკის მაგია ამბის ერთ წინადადებაში გადმოცემის მისეულ უნარშია” [Updike, 1995] თავისი სათქმელის კიდევ უფრო მკვეთრად ჩვენებას კი მწერალი მოთხრობების ციკლებად გაერთიანების მეშვეობით ახერხებს. აპლაიკის ნოველების თითოეულ კრებულს მხატვრულ სახეთა მსგავსების ან საერთო გმირის გარდა საერთო მოტივები და პრობლემებიც აერთიანებს.

ასეთი მეთოდით რეალობის ასახვა XX საუკუნის I ნახევრის ამერიკულ ნოველისტთა შემოქმედებისთვისაც არაა უცხო. საკმარისი იქნება გავიხსენოთ თუნდაც შერვუდ ანდერსონის კრებული “უაინსბერგი, ოჰაიო” (Winesburg, Ohio; 1919). ანდერსონმა თავისი ნოველებით დაამსხვრია მითი ამერიკის შესახებ. წარმოაჩინა გროტესკული სურათი ქვეყნისა, სადაც განადგურდა ყოველივე ადამიანური და გაუცხოებამ დაისადგურა. 1936 წელს ანდერსონი დრაიზერისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავს: “ამერიკაში საშინლად მარტო გრძნობ თავს ადამიანი... მე ძირითადად პატარა ქალაქში ვცხოვრობ. პატარა ქალაქი გარკვეულწილად აკვარიუმს გავს: შეგიძლია უცქირო და ყველაფერი დაინახო. დამე ხშირად ვხედავ როგორ ყრიან ფარ-ხმაღს ყველაზე მგრძობიარენი და ცხოვრებას ინგრევენ დამთრგუნველი მოწყენილობისა და ერთფეროვნების გამა” [Kandel, 1959:9] სწორედ ასეთი პატარა ქალაქის, ამერიკული პროვინციის ასახვას აქცევს თავისი შემოქმედების ობიექტად შერვუდ ანდერსონი და პროვინციულ ცხოვრებას ზოგიერთი მწერალივით იდილიურ ფერებში კი არ წარმოაჩენს, არამედ მთელი სიმძაფრით წარმოგვიდგენს მწარე რეალობას.

ასევე რეალისტურად აღწერს და გადმოსცემს საკუთარი დაკვირვებების შედეგებს ჯონ აპლაიკი. ნოველათა მოქმედების ადგილად ისიც პატარა ამერიკულ ქალაქს ირჩევს, სადაც XX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული უკეთესობისაკენ არაფერი შეცვლილა. თვითონ მწერალი ასე ხსნის პროვინციული ქალაქის რეალობისადმი თავის ინტერესს: “ჩემი საკვლევი თემა ამერიკულ პროტესტანტულ პროვინციული ქალაქში მცხოვრები საშუალო ფენაა. მე მიყვარს საშუალონი. სწორედ აქ ხდება უკიდურესობათა შეჯახება, აქ დაუსადგურებია გაურკვევლობასა და მერყეობას. საოცრად ჩახლართული და უღმობელი ამბები ტრიალებს ოჯახების ყოველდღიურობაში და, ჩემი აზრით, ყოველივე ეს უღაოდ იმსახურებს ყურადღებას” [Conversation with John Updike, 1994:11]

შეიძლება ითქვას, რომ ანდერსონის ქმნილებებისაგან განსხვავებით აპლაიკის ნოველებს აკლია დადებით თუ უარყოფით ემოციათა სიმძაფრე; ისინი ბევრად უფრო დანაწევრებული და ფრაგმენტული სახით წარმოგვიდგებიან (ხშირ შემთხვევაში მთელი ციკლიც არ ქმნის ერთიან, დასრულებულ სურათს). ეს ყველაფერი იმითაცაა განპირობებული, რომ “დამთრგუნველი მოწყენილობისა და ერთფეროვნების” განცდამ აპლაიკის შემოქმედებაში პიკს მიაღწია. მისი გმირები უფრო გულგრილნი არიან ცხოვრების მიმართ, რადგან ვერ ხედავენ სიცოცხლის აზრს. სულის შემსუთველი ერთფეროვნებისაგან თავის დაღწევის იშვიათი მცდელობა

ბაც კი მათ შემთხვევაში ძირითადად გაუაზრებელ, უმიზნო ხასიათს ატარებს. “აპდაიკის პროტაგონისტი თანამედროვე ამერიკული საზოგადოების სულიერი სიღარიბის სიმბოლოს წარმოადგენს” [John Updike's literary via negativa, 1995].

მოსაწყენი ყოველდღიურობა და ერთფეროვნება ერთ-ერთი მთავარი მოტივია ჯონ აპდაიკის ნოველათა იმ კრებულებისა, როგორცაა “იგივე კარი” (The Same Door, 1959), “მტრედის ბუმბული” (Pigeon Feathers, 1962), “ოლინჯერის მოთხრობები” (Olinger Stories, 1964), “მეტად შორია წასასვლელად” (Too Far To Go, 1979) და სხვ. ყოფითი მოწყენილობით დაღდასმული, სასოწარკვეთილი, გაღიზიანებული ადამიანები აპდაიკის მხატვრულ სამყაროში ხშირად მიმართავენ მოგონებებს. ეს კიდევ ერთი დომინანტი თემაა მწერლის შემოქმედებაში. კონტრასტი არსებულ სასოწარკვეთილებასა და წარსულ სურვილებს შორის აპდაიკის ნოველებს ემოციურ დატვირთვას აძლევს. გუშინდელი დღე უკიდურესად ღირებულია მის ქმნილებებში და არა აქვს მნიშვნელობა სასიამოვნო მოგონებებს უკავშირდება იგი თუ მწარეს. როგორც დ. გრაინერი აღნიშნავს, “წარსული ჩავლილია და აღარ შეიცვლება, მაგრამ იგი ყოველთვის გარკვეულ ზეწოლას ახდენს ახლანდელზე” [Greiner, 1981, XIX]. აღიქვამს რა ამ ზეწოლას ერთგვარ მორალურ პასუხისმგებლობად, აპდაიკი მიუთითებს: “ყველა ჩემი წიგნი მიზნად ისახავს მკითხველთან მორალური კამათის გამართვას და თუ ისინი უაზროდ ეჩვენება ვინმეს, ეს იმითაა განპირობებული, რომ მკითხველი კამათში არ ჩართულა” [Greiner, 1981, XIX].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ დაუშვებელია ჯონ აპდაიკის მოთხრობების უგულვებელყოფა. უფრო მეტიც, ისინი დიდ ინტერესს იწვევენ ლიტერატურული, ენობრივი, შინაარსობრივი თვალსაზრისით და მათ ავტორს თანამედროვეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნოველისტად აქცევენ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მწერლის მოთხრობები თემატურად მჭიდრო კავშირში არიან მისსავე რომანებთან, მით უფრო აშკარა გახდება რაოდენ უსაფუძვლო და მცდარია ჯონ აპდაიკის აღქმა და შესწავლა მხოლოდ რომანისტიკის ჭრილში.

ლიტერატურა:

- 1) თოფურიძე ც. ამერიკული ნოველა, შეს. სტ. წიგნში: ამერიკული ნოველა, ტ. I, გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, თბილისი 1967.
- 2) *Conversations with John Updike*, edited by James Plath, University Press of Mississippi, 1994.
- 3) Greiner, Donald J. *The Other John Updike (Poems/Short Stories/Prose/Play)*, OhioUniversity Press, 1981.
- 4) *John Updike's literary via negativa*. The Christian Century. The Christian Century Foundation. 1995. HighBeam Research. Accessed May 24, 1995; available from <http://www.highbeam.com/doc/1G1-16997241.html>; Internet.
- 5) КандельБ., *Шервуд Андерсон*, вст. ст. вкн.: Андерсон Шервуд, Рассказы, Москва, Ленинград, 1959.
- 6) КореневаМ., *предисловие* вкн.: *Anderson Sh., Selected Short Stories*, Moscow Progress Publishers, 1981.

ნათია კვაჩაკიძე

**Важность рассказа в работе Джона Апдайка
Резюме**

В статье рассматриваются некоторые особенности характерно для рассказов Джона Апдайка, современный американский писатель, который является общепризнанным писателем, несмотря на то, что его творчество, как правило, невероятно разнообразно. Автор статьи не согласен с теми литературными критиками, которые считают историй Апдайка гораздо менее ценно, чем его романы, и пытаются доказать свою точку зрения, уделяя особое аргументы. Она решительно противоречит отношение, что истории вызывают интерес только в связи с их универсальным стилем и может рассматриваться как просто настроиться окна для романов. Она утверждает, что Апдайка рассказов являются неотъемлемой частью в развитии этого жанра в американской литературе и имеют много общего с работами таких выдающихся авторов, как Шервуд Андерсон, Эрнест Хемингуэй и т.д. Большинство темы рассматриваются в рассказе коллекции Джона Апдайка (например, семейную жизнь, отношения между родителями и детьми, мужьями и женами, формирование личности подростка, не найдя смысла существования и т.д.), кроме того, проанализированы и обобщены в его романах. Кроме того, в большинство как его рассказов и романов, любимое предмет писателя американских протестантских маленького городка среднего класса. Потому что там, где "столкновение крайностей" и "двузначности беспокойно правила".

Natia Kvachakidze

**The Importance of a Short Story in John Updike's Work
Abstract**

The article deals with certain peculiarities characteristic to the short stories of John Updike, a contemporary American writer, who is generally acknowledged as a novelist notwithstanding the fact that his creative work tends to be incredibly diverse. The author of the article disagrees with those literary critics who consider Updike's stories far less valuable than his novels and tries to prove her own point of view giving particular arguments. She strongly contradicts the attitude that the stories arouse interest only due to their versatile style and can be considered as just tune-ups for the novels. She claims that Updike's short stories form an indispensable part in the development of this genre in American literature and have much in common with the works of such distinguished authors as Sherwood Anderson, Ernest Hemingway, etc. The majority of themes dealt with in the short story collections by John Updike (such as family life, relationships between parents and children, husbands and wives, formation of the personality of an adolescent, failing to find the sense of existence, etc.) are further analyzed and generalized in his novels. Besides, in the majority of both his stories and novels, the writer's favourite subject matter is the American Protestant small-town middle class. Because it's there where "extremes clash" and "ambiguity restlessly rules".

რეცენზენტი: პროფ. მ. მეგრელიშვილი

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

ნაზი ხელაია, თამარ გუმბერიძე

ქუთაისი, საქართველო

ცხოვრების მეტაფიზიკური პლანი, ანუ მიღმა სამყაროს
გამოსახვის ხელოვნება ვაჟას შემოქმედებაში

ვაჟა-ფშაველა შემოქმედთა და ზოგადად მოაზროვნეთა იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომელთაც არა მხოლოდ რეალური ცხოვრების მხატვრული გამოსახვის ხელოვნება ძალუძთ, არამედ ცხოვრების მეტაფიზიკური პლანის, ანუ მიღმა სამყაროს გამოსახვის ხელოვნებითაც ამდიდრებენ თავიანთ შემოქმედებას.

ვაჟას ხშირად გადაყვავართ სულეთის ქვეყანაში. ვაჟას პერსონაჟები მხოლოდ ამქვეყნიური ყოფის არსებანი არ არიან. მისი გმირები ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურს შორის ისე გადადიან.

თავისთავად ცხადია, რომ ვაჟას სიკეთე და კარგი გული მარადიულობის სიმბოლოდ დაუსახავს. ადამიანს კეთილი ქმედება სულეთის გზაზეც მიჰყვება. კაი ყმა და კარგი გულის ადამიანი სულეთში გმირობისა და სიკეთის გამომაშუქებელია. ცხოვრების მეტაფიზიკურ პლანში სწორედ ამქვეყნიური არსებობიდან გადაყოლილი მადლი დომინირებს.

ვაჟა-ფშაველა შემოქმედთა და ზოგადად მოაზროვნეთა იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომელთაც არა მხოლოდ რეალური ცხოვრების მხატვრული გამოსახვის ხელოვნება ძალუძთ, არამედ ცხოვრების მეტაფიზიკური პლანის, ანუ მიღმა სამყაროს გამოსახვის ხელოვნებითაც ამდიდრებენ თავიანთ შემოქმედებას. ვაჟას შეუძლია წარმოსახვით თავიანთ პერსონაჟებს მიღმა სამყაროშიც გადაჰყვებს და ირეალური სამყაროც რეალურად წარმოგვიდგინოს.

ის მრავალი მოტივი, რომელიც ასე ამდიდრებს ვაჟას შემოქმედებით თვალთახედვას, გვარწმუნებს, რომ ვაჟა ცხოვრების შუაგულისაკენ მიისწრაფოდა, იქ ეძიებდა თავისი მსოფლმხედველობის საყრდენს. იქედან ამოჰქონდა ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი მხატვრული რეალობისათვის, და მართლაც შეძლო მან, რომ ღვთის ბოძებული ქვეყნის მრავალსახოვნება ასე საინტერესოდ გამოესახა თავის შემოქმედებაში, მაგრამ ვაჟამ, როგორც ფილოსოფოსმა და ამქვეყნიურ ყოფაზე დიდად დამკვირვებელმა კარგად უწყის, რომ ადამიანი და მისი აზროვნება არც მხოლოდ ამქვეყნიურ ყოფაში იწყება და რაც მთავარია, არც ამქვეყნიური ყოფით შემოიფარგლება, ანუ აქ არ მთავრდება ყველაფერი, აქ არ ესმება წერტილი ყოველივეს.

ვაჟას შემოქმედებიდან, მხოლოდ სტუმარ-მასპინძელი რომ გაგაანალიზოთ და დავინახოთ იმ რაკურსით, რაზეც ჩვენს მიერ წამოჭრილი პრობლემა მიგვანიშნებს, დავრწმუნდებით, რომ ნაწარმოების პერსონაჟთა იდეალური ყოფა სწორედ იმქვეყნიური ჰარმონიაა. ვინ არის ჯოყოლა? გმირი და რაინდი, რომელსაც კარგად ძალუძს სხვათა გმირული სულის შეგრძნობა.

თემის აზრმა და ადათ-წესებმა ძლიეს ჯოყოლას. თემმა თავისი გაიტანა, მართალია თავი-

სივე წესი სტუმარ-მასპინძლობისა დაარღვია, მაგრამ სამაგიეროდ მტრისაგან სისხლის აღებისა და მტრის თავისი მკვდრის საფლავზე შეწირვისა აღასრულა, თუმცა ზვიადური ისე ძლიერია სულიერად რომ ქისტებმა იგრძნეს:

„ვერ აუსრულდათ წადილი,
ვერ გაუკეთეს თავის მკვდარს,
მის შესაფერი სადილი.
დაკლულმა დაჰლა მათ გული
და გაუცრუა ქადილი“.

ზვიადური არ შეეწირა დარლას - „ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა“-ო, პასუხობდა ქისტების მოწოდებას „დარლასამც შეაწირები“-ო და სანამ თავს მოსჭრიდნენ, ძაღლს უგზავნიდა დარლას სულს. აქედანაც კარგად იგრძნობა გმირი და გულადი ხევსურის შემართება, თითქოს სასიკვდილოდ კი არ არის განწირული, სადღაც მიემგზავრება სხვა მხარეში, სადაც აუცილებლად სახელიანი და დაუჯახბელი უნდა შთავიდეს.

ამ შემთხვევაში შეიძლება ვთქვათ, რომ გმირი სიკვდილშიც გმირად რჩება, ანუ როგორც ვთქვით, სულეთშიც ძლიერი და შეუდრეკელი გადადის, წამს, რომ საიმქვეყნოდაც უნდა გაიყოლოს თავისი გრძნეული სახელი. იმდენად ამადლებული და განუმეორებელია ზვიადურის სიკვდილის პროცესი, თვით მტრებიც კი მოხიბლა:

„კარგი ვაჟკაცი ყოფილა
ყველა ალღახსა ჰფიცავდა,
იმიტომ ვეფხვებრ გვებრძოდა,
თავის მიწა-წყალს იცავდა“.

და ზვიადურმა არა მარტო თავისი სიკვდილით დამსჯელი ქისტების, მასპინძლისა და ამ შემთხვევაში ძმადნაფიცობამდე მისული ჯოყოლას მეუღლის აღაზას გულიც კი მოინადირა. მიუხედავად იმისა, რომ თავად ჯოყოლაც უებრო ვაჟკაცია, მიუხედავად იმისა რომ ქისტების დაუძინებელი მტერია ზვიადური, გმირული სულისა და ამადლებულის ადვილად შემგრძობი აღაზა მისი თანამგრძნობელია. აღაზა მიჰყვა თავის გრძნობას და გადაწყვეტს. შებინდებამდე მოიცადოს, რომ შემდეგ ღირსეული ვაჟკაცი და ღირსეულადვე დაიტიროს. ასეც მოიქცა, მართალია თავის მკვიდრების რისხვაც კი გამოიწვია ამით, მაგრამ თითქოს თავის ცოცხლად დარჩენილ გმირებსაც ამზადებს ვაჟა სულეთისათვის, რომ იმიერში ღმერთის წინაშე გაწბილებულნი არ წარსდგნენ. თავიდან აღაზას ეძნელებოდა ჯოყოლასათვის გაემხილა თავისი საიდუმლო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს აღიარა თავისი ტანჯვის მიზეზი:

„ცრემლები შემიწირია
იმ შენის მეგობრისადა,
ძლიერ შემბრალა ბეჩავი,
რომ უცხოეთში კვდებოდა“.

საინტერესოა, როგორ მიიღებს აღაზას ამგვარ თანაგრძნობას ხევსური ზვიადურისადმი ქისტი ჯოყოლა. მათავარი ამ შემთხვევაში მხოლოდ ის არ არის, რომ ზვიადური სხვა ხალხის წარმომადგენელი და თანაც ქისტეთის მტერია, მთავარია, რომ მათ შორის განსხვავებული სარწმუნოების სულიც ტრიალებს, თუმცა თავად ხევსური ალუდა ქეთელაური ხომ დაეჭვდა, რომ სარწმუნოებრივი ბარიერი, მხოლოდ ხელოვნური ჯებრია ადამიანთა ურთიერთობის დასათრგუნავად. განა ალუდამ არ მიახალა თავის თემს პირში

„ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ
მარტოთ ჩვენ გეზდიან დედანი,
ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ,
კუპრში მოელის ქშენანი.
ამის თქმით ვწარამარაობთ,
ღვთიშვილთ უკეთეს იციან.
ყველანი მართალს ამბობენ
განა, ვინაცა ჰფიციან?!

აღუდამაც ხომ თავისივე მოკლული ქისტის თანაგრძნობა, იმით გამოხატა, რომ ხევესურთა ტრადიცია, მოკლული მტრის მკლავის მოჭრისა უარყო, რადგანაც გმირი და შეუდრეკელი მუცალი ვერ გაიმეტა მარჯვენის მოსაჭრელად". ის კი არადა, იარაღიც კი არ აჰყარა „არ აყრის იარაღებსა, არ ეხარბება თვალით", თუმცა როგორც ვიცით აღუდამ თანამომქმეთა რისხვა გამოიწვია, ადათისაგან განსხვავებული მოქმედებისა გამო, თემისა და პიროვნების ჭიდილი, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში პიროვნების მოკვეთითა და ფიზიკური დამარცხებით მთავრდება, მაგრამ როგორც ვთქვით, გმირებს კიდევ რჩებათ გზა გასავლელი, სულეთის გზა, სადაც აუცილებლად პირნათელი უნდა წარსდგნენ დამბადებლის წინაშე. ისინი იმიერ ყოფისთვის ემზადებიან და ამდენად ქისტი ალაზას მიერ ზვიადაურის დატირება ამ შემთხვევაში თანაგრძნობაა გმირობისა და სიმამაცისა, შეიძლება რაღაც სხვა იღუმალის გრძნობისაც, მაგრამ არც თავად ვაჟას გამოაქვს ეს იღუმალეობა სააშკარაოზე და ჩვენც მხოლოდ იმას ვხედავთ, რაც ამ გმირებს „ცხოვრების მეტაფიზიკური პლანისთვის" ამზადებს. იქ სულიერი ცხოვრებისათვის დასაბამსა და დასაყრდენს აძლევს. მაგრამ ამ შემთხვევაში როდესაც ალაზა ქმრის წინაშე წარსდგა და მიუხედავად მცდელობისა, ვერ დაუარა თავისი მღელვარებისა და ცრემლის მიზეზი, ახლა საინტერესოა, როგორ შეხვდება იმ ამბავს თავად ჯოყოლა, ამაღლდება იგი თუ არა სარწმუნოებრივ და მამაკაცურ კომპლექსებზე და ისიც არაა ყურადღებას მოკლებული, რომ თავად ვაჟაც დიდხანს ფიქრობდა, რა უნდა ეპასუხა ჯოყოლას ალაზას აღიარებისათვის და საბოლოოდ მისმა პასუხმა დაგვარწმუნა, რომ ჯოყოლა ყოველმხრივ ცხოვრებისეულ კომპლექსებზეა ამაღლებული:

„იტირე, მადლი გიქნია,
მე რა გამგე ვარ მაგისა?
ღიაცსა მუდამაც უხდება
გლოვა ვაჟაკის კარგისა"

ჯოყოლა განდიდებული და ხელდასხმული გმირია ამ შემთხვევაში. მას არ ჰქვია ადამიანური ალღო შექმნილი სიტუაციიდან ამაღლებული და შეუცნობელი გამოვიდეს. უფრო სწორად გვგონია რომ ამ შემთხვევაშიც ვაჟა თავის გმირს ამზადებს სულეთის ქვეყანაში პირნათლად წარსდგეს ზვიადაურის წინაშე, რათა მათი მეტაფიზიკური ცხოვრების გზაც ისევე უხინჯო და მართალი იყოს როგორც ამქვეყნიური.

ჯოყოლა ბრძოლაში იღუპება, ალაზას სოფელმა ზურგი აქცია, იგი თავს იკლავს.

დამთავრდა გმირთა ამქვეყნიური ყოფა, თითქოს ნაწარმოებიც დასრულდა. წერტილი დაეცვა ყოველივეს, მაგრამ ნაწარმოების ბოლო XV თავი მთელ იმ პრობლემებზე ამაღლებული და საინტერესოა, რაც „სტუმარ-მასპინძელში" ზოგადად აისახა. სწორედ ამ XV თავშია გადმოცემული ცხოვრების მეტაფიზიკურ პლანში წარმოდგენის საკითხი. სწორედ აქ აისახება სულეთში გარდასულ ჯოყოლას, ზვიადაურისა და ალაზას ამქვეყნიურ ცხოვრებიდან გარდასული მეტაფიზიკური არსებობის საკითხი. ურთიერთთან ამქვეყნად დაკავშირებული გარდასული სულეები იმიერშიც აგრძელებენ მეგობრობას:

„კლდის თავს წარსდგება ჯოყოლა,
სასაფლაოსკენ იბახებს:
„ზვიადაურო, ძმობილო,
რად არ მაჩვენებ შენს სახეს?!"
სასაფლაოდან წამოვა,
აჩრდილი ფარ-ხმალიანი...
...მივა და მიესალმება
თავის ძმობილსა მდუმარედ,
იქვე ალაზაც ამოდის
სახე მოწყენით, მწუხარედ".

მწერალს თითქოს ჩვენც გადავყავართ უმზეო ქვეყანაში, სადაც მდუმარე აჩრდილებიც კი ვაჟაკობაზე, ერთ-ერთის დანდობაზე, სტუმარ-მასპინძლობის წესზე და დაძმობის ამაღლებულ გრძნობაზე საუბრობენ. მათი ერთობა ადამიანის მომავლის იმედით ადავსებს და არწმუნ-

ნებს, რომ ოდესმე კაცობრიობა ამ მაღალი გრძნობებით განიმსჭვალება, ადგილი არ ექნება ეთნიკურ დაპირისპირებებს, რელიგიურ ომებსა და ბორბლებს. ის ჰარმონია რაც ამ გმირებს შთააგონებს, რომ სულეთის სამყაროში, ცხოვრების მეტაფიზიკურ არსში, ყოველივე თავის ადგილის პოულობს და ყოველგვარი კრიზისი დაიძლევა, თანაც საინტერესოა, ქალის, დედის ადგილი აქაც მკვეთრი და მყარია. ქალი ეს სიცოცხლის წყარო და დედა ჩვეულებრივ ყოფაში, სულეთის ქვეყანაში ვაჟკაცთა მასპინძელი, მათი სუფრის მუფუვა:

„ენტება ცეცხლი მათ გვერდით,
მერთალადა ბუტავს მთაზედა,
იმათ მასპინძლობს ალაზა,
ჯიხვის მწვადს უწვას ალზედა“.

მწერლის ასეთი წარმოსახვა შთამბეჭდავია და ადამიანს ამადლებულ და ესთეტიურ გრძნობებს განუმტკიცებს, ცხოვრების ამ მეტაფიზიკურ პლანში არის რაღაც უხილავი ძალა, რომელიც ყველა ჩვენთაგანისთვის საგულისხმო და სამაგალითოა, თუ ადამიანი ცხოვრების არსებობის გზას მხოლოდ ბრძოლასა და დაპირისპირებაში განლევს, მაშინ როგორ გასცეს პასუხი კითხვაზე, რისთვის მოვიდა ქვეყნად, რა შემატა ან თავის ხალხს, ანდაც კაცობრიობას, რით აამაღლა და გაამშვენებრა ცხოვრება? და თუ ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს, მაშინ ამაოდ გვიცხოვრია, ქვეყნად ამაოდ მოვსულვართ და ვერც იმ მეტაფიზიკურ არსამდეც მივადწევთ. როგორც თავად ვაჟა, ისე მისი გმირები მხოლოდ წუთიერი ყოფისთვის არ ევლინებიან ქვეყანას, ისინი ამქვეყნიურ არსებობაში საყრდენ ნიადაგს ქმნიან სულეთში ცხოვრების პეტაფიზიკურ პლანშიც თავიანთი იდეალებით გააგრძელონ მიმართულება.

ვაჟას ხშირად გადავყავართ სულეთის ქვეყანაში. ვაჟას პერსონაჟები მხოლოდ ამქვეყნიური ყოფის არსებანი არ არიან. მისი გმირები ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურს შორის ისე გადადიან, როგორც მუშიათნი თოკზე და საინტერესოა ისიც, რომ ამ სულეთში გარდასულთა სახეებიც, ისეთივე წილს დაიდებს იმიერში, როგორც ამქვეყნად დაიმსახურა. კაი ყმა იქაც კაი ყმად რჩება, იქაც ისეთივე დაფასებით ეგებებიან მას, როგორც ამქვეყნიურ ყოფაში:

„სულეთს შავიდეს ხმლიანი
ლადი ლადისა ცხენითა,
წინ მიუძლოდეს არწივი
ხმით მოყაშყაშე ფრენითა
ქება უყივლონ გმირებმა
გადასრულებმა ჩვენითა.
ერეკლემ ხელი მაჰხვიოს,
დაისვას თავის გვერდითა,
გამაეგებოს თამარი
მცინარი თავის ფეხითა.
გახარებული უფალი
კარგს ყმას ჯვარს სწერდეს ზენითა
ანგელოზები ხარობდნენ
ალ-ქაჯნი იყვნენ წყენითა“.

ვაჟასთვის არც ამ სამყაროში და არც სამყაროს მიღმა ფარდა არ არსებობს, ანდაც თუ არსებობს ერთი თვალისათვის ის გამჭირვალეა და მათ ყოველივეს სხვათა თვალისთვის მიუწვდომელის ხილვა ძალუძს, განა ამ შეგრძნებით არ მიემგზავრება ფაუსტი დედათა საუფლოში, განა დანტე ალიგიერი ამ ძალით არ გვამოგზავრებს „ღვთაებრივი კომედიით“ ჩვენ თვალისა და გულისათვის მიუწვდომელში.

„ბუნება მბრძანებელია“ და ამასთან ერთად დიდი გენიალობაცაა იგი, თუ მარადიულობა არ მიეპობა ყოველ კაცთაგანს, სამაგიეროდ მისი საქმენი, მისი გულის სითბო მარადისობასთანაა შეზიარებული. ვაჟა კარგად სწვდება ბუნების ამ საიდუმლოს და გვარწმუნებს, რომ კარგს გულს არა ჰკლავს ბუნება“.

„მრწამს, ფერფლნი კარგის გულისა,

ქარმა, რომ გაფანტოს ხმელადა,
 თითოში მაინც ენთება
 ტიალ სურვილი ცხელადა...
 ... კარგს გულის არა ჰკლავს ბუნება,
 სულ დააქვს ძველის-ძველადა!"

თავისთავად ცხადია, რომ ვაჟას სიკეთე და კარგი გული მარადიულობის სიმბოლოდ დაუსახავს. ადამიანს კეთილი ქმედება სულეთის გზაზეც მიჰყვება. კაი ყმა და კარგი გულის ადამიანი სულეთში გმირობისა და სიკეთის გამომამაშუქებელია. ცხოვრების მეტაფიზიკურ პლანში სწორედ ამქვეყნიური არსებობიდან გადაყოლილი მადლი დომინირებს. საერთოდ ვაჟა ძირითადად მაინც ამქვეყნიურის მომდერალი შემოქმედია, სისხლსავსე ცხოვრების აღმქმელი და გამააზრებელი. როგორც მიუთითებენ, ხელოვნების განვითარების ადრეულ საფეხურებზე დომინანტობდა ძირითადად ცხოვრების „მეტაფიზიკური“ პლანში წარმოსახვის ხელოვნება, ხოლო მას შემდეგ რენესანსული და შემდეგ ბაროკოს ხელოვნების გზა განვითარდა, ადამიანის არსებობის ამქვეყნიური ვნებებით აღძრული და ამოძრავებული ყოფიერება გამოიხატა, ცხოვრების მეტაფიზიკური გამოსატყვის ხელოვნება თანდათან გაუჩინარდა. ზ. კაკაბაძე აღნიშნავს: „ბაროკოს ხელოვნებაში თანდათან გაუჩინარდა ყოფიერების „მეტაფიზიკური პლანი და ამასთან დაკავშირებით განელდა ამაღლებულის ინტონაცია: ბაროკო როკოკოსა და ბოლოს ნატურალიზმში გადაიზარდა; ამიერიდან ხელოვნება ამქვეყნიურ ცხოვრებას მეტაფიზიკურ პლანის „მიღმა სამყაროს“ გარეშე გამოსახავს; ხოლო ძნელი არაა ამ ხელოვნების ფილოსოფიური პარალელის მითითება - ესაა ემპირიზმი და პოზიტივიზმი, რომელსაც სხვათა შორის, ზოგჯერ ნატურალიზმს უწოდებენ. რაც შეეხება თანამედროვე დასავლურ ხელოვნებასა და ფილოსოფიას, მათ შორის კავშირი და სიახლოვე სავსებით ნათელია. ამ მხრივ ფრიად ნიშანდობლივი ფაქტია, რომ თანამედროვე ფილოსოფოსები ხშირად მოვალედ თვლიან თავს, თავიანთი იდეები აგრეთვე ხელოვნების ენაზედაც გამოსთქვან“¹

ვაჟამ მხერა გადააწვდინა მთელ ამქვეყნიურ ყოფას და ცხოვრების „მეტაფიზიკურ“ არსსაც გაუსწორა თვალი. თუმცა მთელი თავისი პირადი არსებობითაც დაგვარწმუნა, რომ მისებრი ადამიანების გული და სული ამქვეყნიურთაც გვიწინამძღვრობს და სულეთსაც გადასწვდება. საინტერესო დასკვნას აკეთებს ერთ-ერთი თავის წერილში ვაჟას შესახებ გურამ ბენაშვილი „პირზე ღიმილით მიეახლება იგი თავის წინაპრებს, რადგან ილიაზე ნაკლებად არც მას ჰყვარებია თავისი სამშობლო და ამიტომ, წინაპართა გულრგილობის სენით შეპყრობილ შვილებზე აუგის თქმა კიდე უფრო დააწყლულება ვაჟას ისედაც ნატრილობევე გულს. ასეთი იყო უღმობელი ბედისწერისაგან ბოძებული სიცოცხლის უკანასკნელი წერტილი.

... მაგრამ ეს არ იყო, უფრო სწორად ყველაზე უფრო ნაკლებად იყო დასასრული, ყოველივე ეს დიდი დასაწყისი იყო, რომლის ერთი გამონაკრთობი დღევანდელი დღის საერთო აღტაცება და სიყვარულია...

ვაჟა-ფშაველას მხატვრული სამყარო ჩვენთვის ის დაუმრეტელი და ამოუწურავი ეროვნული სიმდიდრეა, რომლის ცხოველმყოფელ მშვენიერებას დროთა მდინარებაში უფრო და უფრო, მოქმადება ბრწყინვალეობა და ადამიანზე შემოქმედების მაღალი შთამაგონებელი ძალა“²

ბოლოს და ბოლოს თავად ვაჟაც შთავიდა სულეთის ქვეყანაში. ლაღი, ლაღისა ცხენითა, წინ მიუძღოდა არწივი ხმით მოყაშყაშე ფრენითა, ქება უყივლეს გმირება, გარდასრულებმა ჩვენითა“.

გვიქრობთ, როგორც მისი პერსონაჟები ასხივოსნებენ სულეთის ქვეყანას ვაჟა-ფშაველას კარგი გულიც გაამრავალფეროვნებს და გაასხივოსნებს, ცხოვრების „მეტაფიზიკურ პლანს“.

1 ზ. კაკაბაძე, „ხელოვნება, ფილოსოფია, ცხოვრება“, 1970 წ. გვ. 322

2 გ. ბენაშვილი, ლიტერატურული ძიებანი, 1998 წ. გვ. 243

ლიტერატურა:

1. ზ. კაკაბაძე, „ხლოვნება, ფილოსოფია, ცხოვრება“, 1970 წ. გვ. 322
2. გ. ბენაშვილი, ლიტერატურული ძიებანი, 1998 წ., გვ. 243
3. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, თბ., 1964

Нази Хелая, Тamar Гумберидзе

**Метафизический план жизни или искусство отображения потустороннего мира
в творчестве Важа-Пшавела
Резюме**

Важа - Пшавела принадлежит к числу творителей и мыслителей той категории, которые умением художественно отображать реальную жизнь искусством отображения потустороннего мира, метафизического плана жизни тем самым обогащают свое творчество.

Поэт часто переносит нас в мир духов. Персонажи Важа -Пшавела – не только персонажи мирского бытия. Его герои перемещаются между миром потусторонним и мирским.

Человека его добрые дела сопровождают и в ином мире. В том, ином мире человек, имеющий доброе сердце, олицетворяет собой героизм и доброту. Благодать мирских деяний доминирует в метафизическом плане жизни.

Nazi Khelaia, Tamar Gumberidze

**Metaphysical Plan of the Life or Art of Universe Expressing in
Vazha-Pshalela's Oeuvre
Abstract**

Vazha-Pshavela belongs to the category of general speculators, who can not only artificially express a real life but also metaphysical plan of the life, i.e. they make richer their work by the art of expression of beyond the world.

A poet often attracts us in the world of souls. Vazha's characters are not only the creatures of the real world but they are moving between the real and beyond world.

A kind action follows a man in the beyond world as well. Good man and a man with kind heart always lights with heroism and kindness. In the metaphysical plan of the life dominates followed grace from the real life.

რეცენზენტი: პროფ. ვ. კორენკოვა

ისტორია

История

History

რუსუდან ჯაშია

ქუთაისი, საქართველო

ტრადიციული ხალხური მედიცინის საკითხები - ეთნოისტორიული ჰარალელები

ქვემო იმერეთში ეთნოგრაფიული მასალის მოძიებამ და შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ხალხური მედიცინის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები კვლავაც გრძელდება და ხალხურმა მეხსიერებამ დღემდე შემოინახა წინაპართა სამკურნალო ცოდნა-გამოცდილება.

კვლევის პროცესში გამოვლინდა მეცნიერებისათვის უცნობი შინაური წამლის რეცეპტები. მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა შეჯერებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ჩაწერილ სამკურნალო საშუალებებთან და უძველეს სამკურნალო წიგნებთან.

მოყვანილი შედარებითი მაგალითებით დასტურდება, რომ ბევრი სამკურნალო მეთოდი სწორედ ოფიციალური მედიცინის, სამკურნალო კარაბადინების გავლენით გადმოეცა ხალხურ მეხსიერებას. მეტწილად ეს იმ სამკურნალო საშუალებებს შეეხება, რომლებიც ეფექტურობით და შედეგიანობით გამოირჩეოდა, ამიტომ გაუძლო საუკუნეებს და დღესაც გამოიყენება ხალხურ, შინაურ მედიცინაში.

უძველეს ქართულ წერილობით წყაროებში, ძველ სამედიცინო კარაბადინებში მოცემული სამკურნალო მეთოდების შეჯერებამ ხალხურ რეცეპტებთან თვალნათლივ დაგვანახა, რომ რამდენიმე ეფექტური სამკურნალო საშუალება დღემდე შემოუნახავს ხალხურ მეხსიერებას. მკვლევარი ნ. მინდაძე აღნიშნავს: „არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ქართული ოფიციალური მედიცინის გავლენით დამკვიდრდა ხალხურ მედიცინაში ზოგიერთი სამკურნალო საშუალება“ [ნ.მინდაძე, ნ. ჩირგაძე, 2005, გვ.53].

ჩვენ შევეცადეთ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე დაგვედასტურობინა აღნიშნული მოსაზრების მართებულობა. გაგაცნობთ ზოგიერთ დაავადებათა მკურნალობის შინაურ რეცეპტებს, რომელთა წარმომავლობა ხალხურ მედიცინაში უძველესი კარაბადინებისა და სამკურნალო წიგნების გავლენითაა დამკვიდრებული.

სასუნთქი გზების დაავადებების შესახებ ცალკეული ცნობები V საუკუნიდან გვხვდება. ხოლო მათი, როგორც გარკვეული სნეულებების აღწერა უკვე XI საუკუნიდან მომდინარეობს. უძველესი მედიცინა იყენებდა ისეთ რთულ მანიპულაციებს, როგორცაა ცხვირში პოლიპების ამოკვეთა. ლორწოვანი გარსის ანთებისას ავადმყოფს ურჩევდნენ პირადმა წოლას, ოფლის მოდენასა და ორთქლის მანიპულაციებს [სააკაშვილი, გელაშვილი, 1956, გვ. 92, 193- 4] „წისკვილისა ქვა გაახურვე და ღვინოშივა ჩააგდე და თავი ზედა წაიშვირე და დაიბერე, რომე ბუხარი ცხვირშივა შევიდეს“ [ქანანელი, 1940, გვ. 235].

საოჯახო პირობებში ხშირად მიმართავენ ინჰალაციურ მეთოდებს, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია სოლიანი და იოდიანი ცხელი წყლის შესუნთქვა.

XV ს. ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი“ საინტერესო მეთოდს გვთავა-

ზობს: „თუ კაცსა სენი ცხვირშიგა შეექმნას, ესე იორთქლოს, ანაკვეთი ძმრითა მოადულოს და იორთქლოს” (ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, 1988, გვ. 361)

გაციებული ავადმყოფის საშინაო პირობებში მკურნალობის იგივე მეთოდები გამოიყენება დღესაც. ოფლის მოსადენად იღებენ ასევე ცაცხვის ჩაის ჟოლოს მურაბით ან შინდის წვენი.

ანგინას XI ს. წყაროებში „მაღაზას” უწოდებდნენ. მის სამკურნალოდ იხმარებოდა: „აიღე თეთრი შაბი ოთხი დრამი, გულნარი რვა და ქაფური და ნიშადური, ყველა დანაყე და რკინის კოვზი დაასოვლე და ეს წამალი დააყარე და შეუყარე პირშიგა” [ქანანელი, 1940, გვ. 346] გარდა ამისა, ავადმყოფს ყელში სავლები საშუალებები ენიშნებოდა (მრავალძარღვა, ქინძის წვენი და სხვ.) სამკურნალო წიგნებში იგი „ღარღარას” სახელითაა ცნობილი.

ყელის ტკივილის დროს „ხმის ჩავარდნის” გამო „უსწორო კარაბადინში” ვკითხულობთ: „წამალი ხმის ჩავარდნისა ის არის, რომ ფიცხლავ უწამლო, თუ ხანი გამოვა, ძნელად ეწამლები” [ქანანელი, 1940, გვ.250] სამკურნალოდ ავადმყოფს ეძლეოდა ნუშის გულის ზეთში დამბალი თეთრი ჩამაჩი, ასევე გოგლიმოგლი ცხელი რძითა და კარაქით [„წიგნი სააქიმოდ”, 1936, გვ.154].

მსგავს მეთოდებს იმეორებს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი”, სადაც ვკითხულობთ: „ღარღარა აქნევისოს ოსპის და ბროწეულის წყლისა” [ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, II, 1988, გვ. 304].

XVI ს. „იადიგარ-დაუდი” ყელის ტკივილის სამკურნალოდ გვთავაზობს: „მოიტანე გუნდი და ხმელი ვარდი, ოსპი და თუთუბო, ბროწეულის ყვავილი, პიტნა და შაქარი” [დ. ბაგრატიონი, 1985, გვ.337] ხალხურ მედიცინაში იდენტური სამკურნალო საშუალებებია დაფიქსირებული. ქვემო იმერეთის, ოკრიბის, სამეგრელოს, კახეთის მასალებში ყელის ტკივილის დროს მეტწილად იყენებენ კვაწარახს, ტყემლის ტყლაპს, რძეში ჩაგდებულ თხის ქონს. ბროწეულის, ასკილისა და პიტნის ნაყენში გარეულ თაფლსა და ევკალიპტის ფოთლების ნახარშს.

ცნობები ყურის სნეულებათა შესახებ ჯერ კიდევ V-VI საუკუნეების წერილობით წყაროებში გვხვდება. ყურის ცალკეული დაავადებები აღწერილია მოგვიანო ეპოქის სამედიცინო კარაბადინებში. თუ ყურის ტკივილის გარდა ავადმყოფს სხვა მოვლენები არ ექნებოდა გამოხატული, ამას „ყურის ხმელად ტკივილს” უწოდებდნენ, ასეთ შემთხვევაში ტკივილის დასაყუჩებლად ქაფურში შერეულ სხვადასხვა სამკურნალო ნივთიერებებს აწვეთებდნენ ყურში [სააკაშვილი, გელაშვილი, 1956, გვ.97].

XI ს. „უსწორო კარაბადინში” ვკითხულობთ: „ცოტა მურდასანგი ძმრით გაღესე და მატყლისა პატრუქში შექენ და ამაშიგა გაურივე და ყურშიგა შეუდეგ” [სააკაშვილი, გელაშვილი, 1956, გვ. 98].

XIII ს. „წიგნი სააქიმოდ” გვასწავლის: „აიღე ჟანგი ერთი დრამი და ბზისა ხე... თაფლშიგან გაურივე და პატრუკითა მიეც” ამდენად, ფილთა ანუ პატრუქი შეჰქონდათ მტკივან ყურში [წიგნი სააქიმოდ, 1936, გვ.232].

ქვემო იმერეთში ეთნოგრაფიული მასალის მოძიების დროს ჩავიწერეთ ყურის ტკივილის სამკურნალოდ იდენტური მეთოდი: ტილოს ნაჭერს უსვამენ გამდნარ სანთელს, ნაჭერს ახვევენ ძაბრივით და უდებენ ავადმყოფს ყურში, განიერი წვერიდან უკიდებენ ცეცხლს, სანამ ყურამდე ღრმად მივა, სწრაფად გამოიღებენ. იგივე სამკურნალო მეთოდია მითითებული კახეთის ეთნოგრაფიულ მასალაში [ნ.მინდაძე, ნ. ჩირგაძე, 2005, გვ.21] აჭარაში ჩაწერილი მასალის მიხედვით ყურის ტკივილისათვის იყენებენ კრაზანის ნახარშს და ქაფურს [რ. კაშია, დ. შავიანიძე, 2011, გვ.123].

XV ს. დაწერილ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი” ჩამოთვლილია ყურის დაავადების შემდეგი სამკურნალო საშუალებები: „აიღე საბრი და ზაფრანა... ოთხი მარცვალი მუხუდო. ეს სამივე დანაყე, მერმე გაღესილი ქაფური სამისა მარცვლისა ქერისაწონა ამ წამლებშიგა გაურიე ორი დრამი იისა ზეთი და ამისი წონა ქალის დედისა რძე შიგან გაურიე და მერმე წვეთ-წვეთი ყურშიგა ჩაუშიე” [ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, II, 1988, გვ.357].

იმერეთში ყურის ტკივილის დასაამებლად იციან გახურებული (მარლაში გამოკრული) მარლის დადება, აწვეთებენ გამობარ ქაფურს, ქალის რძეს და შავი ბოლოკის წვეთებს. იყენებენ ყურის გამორეცხვის მეთოდებს, რისთვისაც იხმარება თბილ რძეში არეული თაფლი. კახეთში ყურ-

ში აწვევებენ შემობარ ზეთს ან ანწლის ნახარშის წვეთებს, ადებენ ცხელ მარილს (ნ. მინდაძე, ნ. ჩირგაძე, 2005, გვ.25)

თავის ტკივილები შეიძლება გამოწვეული იყოს ფრონტიტ-ჰაიმორიტის დაავადებით, რომელიც ხალხში „დაჩრდილვის“ სახელითაა ცნობილი. ძლიერ ტკივილს იწვევს სამწვერა ნერვის ანთება ანუ შაკიკი, მისთვის დამახასიათებელია ნახევარი თავის მწვერულ ტკივილი, რომელიც პერიოდულად ერთსა და იმავე დროს მეორდება. მესხურ კარაბადინში, ნახევარი თავის ტკივილის დასაამებლად ვკითხულობთ: „პურის გული სპირტში შეხილეთ ცომსავით და გაპარსულს თავზე ჩამოაცვით“ [ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი H – 2199] XIII ს. კარაბადინში [ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი H – 304] შაკიკის დროს მჯავე მაწვნის საფენებია დასახელებული.

ძველი ქართული მედიცინა თავის ტკივილის დასაყუჩებლად იყენებს ხმელ ქინძს. „იადიგარ-დაუდი“ ვკითხულობთ: „თავის ტკივილის წამალი ესე არის, რომე ქინძის წვენი გალესილი თავზედა შემოსცხონ, ან სალათის თესლი დანაყონ, ძმრით დააყენონ, ცოტა ქაფურიცა ურიონ და მტკივან თავზედა შემოსცხონ, ან შაქრითა ხმელი ქინძი ჭამონ“ [დ. ბაგრატიონი, 1985, გვ. 243] ოკრიბაში ჩაწერილ შაკიკის შინაურ რეცეპტებში მითითებულია ტყემლის ტყლაპი და დაჩქვილი ხმელი ქინძი. იმერეთის სოფ. კუხში მცხოვრები სვანური მოსახლეობა დაჩრდილვის დროს იყენებს ნიორ გარეულ არყის კომპრესებს. არაქში გარეული დანაყილი ნივრით თავის შეხედა ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში [ნ. მინდაძე, 1981, გვ. 60] აჭარაში იყენებენ ხმელ ქინძს, იის ფესვების ნახარშს, მჯავე მაწონს [რ. კაშია, დ. შავიანიძე, 2011, გვ.124].

საქართველოს ყველაკუთხეში „დაჩრდილვის“ დროს აქტიურად გამოიყენება ტყემლის ტყლაპის კომპრესები. ტყემალი მოხსენიებულია ძველ ქართულ სამედიცინო წიგნებში („უსწორო კარაბადინი“, 1799 წლით დათარიღებული სამკურნალო წიგნი) როგორც სამკურნალო თვისებების მქონე.

თავის ტკივილის დასაამებლად ძმრით დაყენებული წამლის რეცეპტებს გვთავაზობენ: „იადიგარ-დაუდი“, „წიგნი სააქიმოჲ“ და ერთ-ერთი კარაბადინი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი H – 1231)

„თრიაქი, ფუფალი, ქაფური, ვარდის, იისა და ყაყახოს წყალი ერთპირად გალესოთ და ცოტა ძმარი გაურიოთ და თავმტკივან კაცსა თავზედა შემოსცხონ, თავის ტკივილს უსათუოდ უშველოს“ – გვასწავლის „იადიგარ-დაუდი“ [დ. ბაგრატიონი, 1985, გვ. 242] „დაჩრდილვის“ სამკურნალოდ იმერეთში ჩავიწერეთ რეცეპტი, სადაც გამოიყენება ძმარი, როგორც სამკურნალო საშუალება, მასში აღბობენ ტყემლის ტყლაპს და უკრავენ ავადმყოფს თავზე.

დიდიექტოლოგიის ინსტიტუტის მომხიებელთა ჯგუფმა სოფ. კურსებში ჩაიწერა კანის იშვიათი დაავადების - წითელი ქარის წამალი, რომელიც თითქმის იდენტურია სამკურნალო წიგნებში მოცემულ რეცეპტებთან. მალამოს ძირითადი შემადგენელი კომპონენტებია - ტყვიის ჟანგი და ქაფური.

ძირმაგარას, ჩირქოვანი გამონაყარის სამკურნალოდ „იადიგარ-დაუდი“ გვთავაზობს: „დამწვარი ხახვი და ცომის საფუარი ორივე მუწუკსა მწოვედ დაამწიფებს და შემოიყვანს“ [დ. ბაგრატიონი, 1985, გვ. 508] მსგავსი რეცეპტია მოცემული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის ერთ-ერთ ხელნაწერში (XIX ს. I ნახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი H – 1148^o)

თანამედროვე შინაური საშუალებები ეხმიანება ძველ სამკურნალო ცოდნას. ქვემო იმერეთსა და ოკრიბაში ძირმაგარის შემთხვევაში იხმარება ერთმანეთში არეული მომწვარი ხახვი, თაფლი, ნიორი. ზემოდან აფარებენ ეკლის ან მრავალძარღვას ფოთოლს. ძირმაგარას წინააღმდეგ აღოსავლეთ საქართველოშიც შემწვარი ხახვი და ქუმელის ფაფა გამოიყენება [ნ. მინდაძე, 1981, გვ. 66].

მეჭკეჭისმოსაცილებელი საშუალება ჯერ კიდევ XIII ს. წყაროებშია მოცემული [სააკაშვილი, გელაშვილი, 1956, გვ. 67] XVI ს. სამედიცინო წიგნში ვკითხულობთ: „ძველის ყირმიზის აბრეშუმით შეუჭირეთ და გაუშვას, მეჭკეჭი გახმეს და ჩამოვარდეს“ [დ. ბაგრატიონი, 1940, გვ. 512] XIX ს. დათარიღებული სამედიცინო ხელნაწერი მეჭკეჭის გასაქრობად გვასწავლის: „მოიღე დამბალის დიდგულიანი მარცვალი და ამ მარცვალს მოუსვამდე მეჭკეჭზედ, სამდღემდინ ყოველთვისა და

უთუოდ გაქრება” (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი H – 2197) მეჭეჭის მოშორების მსგავსი მეთოდები მოქმედებს დღესაც ხალხურ მედიცინაში.

დამწვრობის სამკურნალოდ ძველი ქართული მედიცინა სხვადასხვა სამკურნალო საშუალებებს გვთავაზობს: „ახლად დამწვრისათვის კვერცხის ცილა ერბოთი შეხიდე და შემოსდე და კარგია და მარგე... კარაქი დამწვარს უშველის” [ქანანელი, 1940, გვ. 390, 433] ასევე „კვერცხისათვის ვარდის ზეთითა გაადგინოს და ტილოს მწვარი მით დაასოვლოს მრავალჯერ და შემოსდვას, ერგების” [წიგნი სააქიმოდ, 1936, გვ. 295] „იადიგარ-დაუდის’ თანახმად, დამწვარ ადგილზე ცივი წყალი უნდა გადაასხას, შემდეგ გვთავაზობს მაღამოებს, რომელთა შემადგენლობაში შედის: კვერცხის ცილა, ქაფური, ზეთი, ძირმწარე, დანაყილი საბრი, ძმარში მოხარშული ჭადრის ქერქი, სუსანის ძირი, ტუხტი ან მოლოქის ყვავილი [დ. ბაგრატიონი, 1985, გვ.543].

დამწვრობის მკურნალობის დღევანდელი ხალხური რეცეპტები (ჩაწერილი ქვემო იმერეთში, ოკრიბაში, სამეგრელოში, აჭარაში, კახეთისა და მთიანეთის მასალებში) ძირითადად იგივე კომპონენტებს შეიცავს: უმარილო ღორის ქონი, კურდღლის ქონი, კვერცხი, ზეთი, თაფლის სანთელი, კარაქი, დათვის ქონი, ფიჭვის ზეთი, კრაზანა.

გვიქრობთ, მოყვანილი შედარებითი მაგალითებით დასტურდება, რომ ბევრი სამკურნალო მეთოდი სწორედ ოფიციალური მედიცინის, სამკურნალო კარაბადინების გავლენით გადმოეცა ხალხურ მეხსიერებას. მეტწილად ეს იმ სამკურნალო საშუალებებს ეხება, რომლებიც ეფექტურობით და შედეგიანობით გამოირჩეოდა, ამიტომ გაუძლო საუკუნეებს და დღესაც გამოიყენება ხალხურ, შინაურ მედიცინაში.

ლიტერატურა:

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი, II, თბ., 1988
 ქანანელი, უსწორო კარაბადინი, თბ., 1940
 დავით ბაგრატიონი, იადიგარ-დაუდი, თბ., 1985
 ლ. კოტეტიშვილი, მედიცინა ძველ საქართველოში, წიგნი სააქიმოდ, თბ., 1936
 მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. III, წ. 3, თბ., 1956
 ნ. მინდაძე, ქართული ხალხური მედიცინა, თბ., 1981
 ნ. მინდაძე, ნ. ჩირგაძე, ქართული ხალხური სამედიცინო ტრადიციები (კახეთი) თბ., 2005
 რ. კაშია, დ. შავიანიძე, მკურნალო ზემო აჭარიდან, წელიწდული (ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის შრომები), III, ქუთ., 2011

Русудан Кашиа

**Вопросы Традиционной Народной Медицины - Этноисторические Параллели
 Резюме**

Изучение этнографического материала нижней Имерети, убедил, что многовековые традиции народной медицины продолжают существовать и народная память сохранил лечебные знания и опыт предков.

В процессе исследования выявлены незнакомые рецепты домашних лекарств. добываемый этнографический материал сравнен с лечебными средствами других регионов Грузии, а также с старинными медицинскими книгами.

Изученный материал подтверждает, что народная медицина переживает влияние официальной медицины. Некоторые лечебные методы дошли до нас путём старинных лечебных книг. Народная память сохранил эффективные лечебные средства.

Rusudan Kashia**Traditional folk medicine, ethno-historical parallels****Abstract**

Ethnographic studies and researches in Lower Imereti assured us that the centuries-old traditions of folk medicine continue and folk memory is still preserves ancestral medicinal knowledge and experience.

During the survey, revealed domesticated drug recipes, unknown for the science. Collected ethnographic material is combined with various medicinal remedies and with ancient medical books recorded in different corners of Georgia.

By the following examples and comparative is evidenced that the most of healing methods convey to the people and folk memory by Official medicine “Karabadini”. This is mostly for those drugs which were distinguished with their effectiveness and results. That is why it has survived many centuries and is still used in folk domestic medicine.

რეცენზენტი: პროფ. ა. კოვტუნო

ისტორია

История

History

ლაურეტა ქაცარავა

ქუთაისი საქათრველო

1911 წლის საპარლამენტო რეფორმა ინგლისში

დიდ ბრიტანეთში XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ბურჟუაზიულ დემოკრატიასე გადასვლა განხორციელდა რეფორმების მეშვეობით, მათ შორის საპარლამენტო რეფორმების გზით. საპარლამენტო რეფორმის საბაზი გახდა კონფლიქტი მთავრობასა და ლორდთა პალატას შორის, რომელმაც უარყო მთავრობის მიერ წარდგენილი, თემთა პალატის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი. დადგა ლორდთა პალატის არსებობის საკითხი. გამოსავალი ნაპოვნი იქნა პარლამენტის ზედა პალატის რეფორმაში.

საპარლამენტო რეფორმებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მონარქიული დიდი ბრიტანეთის, როგორც დემოკრატიული კონსტიტუციური ქვეყნის განვითარებაში.

დიდი ბრიტანეთისათვის XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ბურჟუაზიულ დემოკრატიასე გადასვლა. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც ბურჟუაზიული დემოკრატიული წესრიგი ყალიბდებოდა რევოლუციების გზით, დიდ ბრიტანეთში იგი განხორციელდა რეფორმების მეშვეობით, მათ შორის საპარლამენტო რეფორმით.

Father more; there may be more communicative aspects more fully developed and explicit. The texts often use the students’ own life experiences as context and introduce topics of interest to stimulate the free expression of ideas in structured as well as open discussion. The only thing students should do is to follow and learn the grammar in order to use it properly for father communication.

While using **grammar** students meet differences in oral and written forms:

American English;	British English;
-------------------	------------------

He just left/ He has just left	He has just left.
--------------------------------	-------------------

We saw that film.	We have seen that film.
Did he hand in the report yet?	Has he handed in the report yet?
Hello, is this David?	Hello, is that David?
Do you have a ticket? /	Have you got a ticket?
Have you got a ticket?	

As for lexical units, I should mention that there are still many challenges not only while teaching but learning as well. The teacher chooses the course-book based on her students level and knowledge. This approach is rather efficient while teaching. Each book has different topics and exercises which are appropriate for developing all skills. As well, there are several projects which involve students' individual or cooperative work with others. They should search the information from other recourses, and those recourses are full of variety of words and phrases that have different meaning and understanding based on its originality. Especially this problem is connected with authentic materials. When students are assigned to listen to the breaking news and later write a report or an article, they hear both British and American languages. If their listening skills are good and they are using predictions in needs, students have rather less problems while understanding, but if they are elementary or pre-intermediate levels, some of them have challenges and even more they sometimes lose the contest of the topic. Especially these problems are connected with the spelling and expressions with prepositions and particles.

Spelling differences;

Analyze	analyse
Center	centre
Color	colour
Defense	defence
Jewelry	jewellery

Expressions with prepositions and particles:

Different from/than	different from/to
Live on X street	live in X street
On a team	in a team
On the weekend	at the weekend
Monday through Friday	Monday to Friday

All these examples are taken from the course-books which are taught at university.

When students see the written forms their understanding is much easier then when they listen. But for improving their listening and speaking skills, students use practicing in internet where they meet both British and American English, especially the last one.

While a survey, which we have conducted at Telavi State University, most of the students agreed to be taught American English, as they consider it more useful and preferable for communication. Students decision is quiet reasonable as they meet the shortening forms of language, often omitted grammar structure. But while writing different kinds of formal letters, such as cover or motivation letters, they have problems based on sentence structure.

That's why my and most of professionals suggestion is first of all study basic grammar and use it while learning process. As for speaking they will easily adopt with different aspects and use while communication.

Reference:

1. Active Study Dictionary (2010) Longman. England
2. Webster's dictionary (1997) Ashland, Ohio.

მაია აბდელანი

ამერიკული და ბრიტანული ინგლისურის გამოყენება უცხოური ენების სწავლების დროს რეზიუმე

აღნიშნულ სტატიაში ძირითადად განხილულია ის პრობლემები, რომელიც ხშირად გვხვდება ინგლისური ენის სწავლების დროს. სტუდენტების უმრავლესობა უნივერსიტეტში სწავლის დროს ერთ დროულად რამდენიმე უცხო ენას შეისწავლიან. მათ შორის არის ინგლისური ენაც, რომელიც თავის მხრივ იყოფა ეგრედ წოდებულ ბრიტანულ და ამერიკულ ენებად. სტუდენტების უმრავლესობა უპირატესობას ამერიკულს ანიჭებს, რადგანაც აღნიშნული ენა უფრო ხშირად ესმით ფილმებსა და სხვადასხვა პროგრამებში. მაგრამ წერის დროს მათ აუცილებლად სჭირდებათ გრამატიკულად გამართული ენის ცოდნა. განსაკუთრებით როდესაც სხვადასხვა ტიპის ოფიციალურ წერილებზე მუშაობენ. ამიტომაც ჩვენი რეკომენდაცია იქნება რომ, სტუდენტებმა პირველ რიგში შეისწავლონ ის გრამატიკული ასპექტები რომელიც საჭიროა ენის ფუნდამენტალური სწავლისთვის.

Maia Abdelani

Использование американского и британского английского во время преподавания иностранных языков
Резюме

В данной статье, в основном, рассмотрены те проблемы, которые часто встречаются во время преподавания английского языка. Во время учёбы в университете большинство студентов одновременно изучают несколько иностранных языков.

Наряду с другими языками изучается и английский язык, который, в свою очередь, подразделяют на так называемые британский и американский языки. Большинство студентов предпочитает американский английский, поскольку этот язык они чаще слышат в фильмах и разных программах. Однако во время письма им необходимо знание правильного литературного языка, знание грамматики. Использование грамматических норм особенно важно во время работы над разными официальными документами.

Именно поэтому мы рекомендуем, чтобы студенты в первую очередь изучали грамматические аспекты, которые необходимы для фундаментального изучения языка.

რეცენზენტი: პროფ. მ. მიქაძე

სწავლების მეთოდოლოგია

Методика

Methodic

ნათია გაბაშვილი

თელავი, საქართველო

გენდერის როლი უცხო ენის შესწავლის პროცესში

სტატია ეხება გენდერული როლების შედარებას ინგლისური ენის დაუფლების პროცესში.

ვეელასათვის კარგადაა ცნობილი, რომ სქესთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლის გარეშე შეუძლებელია ადამიანისა და საზოგადოების კომპლექსური შესწავლა, ამიტომ დღეს ეს საკითხი სხვადასხვა მეცნიერების შესწავლის ობიექტს წარმოადგენს, მათ შორის იგი დიდ როლს ასრულებს ინგლისური ენის შესწავლაშიც. ხშირად გავვიგია, რომ ვოკალები გაცილებით უკეთ სწავლობენ ენას და უფრო მოტივირებულნი არიან უცხო ენის შესწავლის პროცესში, ვიდრე ვაუები, რომლებიც სიზარმაცითა და მოუწესრიგებლობით გამოირჩევიან. ჩვენ შევეცადეთ მოკლედ განგვეხილა გენდერული როლების მიდგომა ინგლისური ენის სწავლისადმი და გამოგვევლინა ის მიზეზი, რომლებიც ამ ორ სქესს შორის ერთ-ერთს ანიჭება უპირატესობას.

სტატიაში ვეხებით გენდერული როლების ტერმინის აგებულებასაც, რაც მართლაც რომ გასაღები მათი გნსხვავებული ქმედებებისა როგორც სხვა ქცევაში, ისე ენის დაუფლებაში.

კაცობრიობა ქალებისა და მამაკაცებისაგან შედგება. საზოგადოებაში მათ სხვადასხვა ადგილი უკავიათ და განსხვავებულ ფუნქციებს ასრულებენ, რაც ამა თუ იმ საზოგადოების განვითარების დონით არის განპირობებული. სქესთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლის გარეშე შეუძლებელია ადამიანისა და საზოგადოების კომპლექსური შესწავლა, ამიტომ დღეს ეს საკითხი სხვადასხვა მეცნიერების შესწავლის ობიექტს წარმოადგენს.

ტერმინი "გენდერი" მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან "გენოს" – დაბადება, წარმოშობა, ჯიში, გვარი, შთამომავალი, სქესი. ტერმინი „გენდერი“ აღნიშნავს ქალებისა და მამაკაცების სოციალურად კონსტრუირებულ როლებს რომელიც მიეწერებათ მათ სქესობრივი ნიშნის მიხედვით. ამდენად გენდერული როლები დამოკიდებულია კონკრეტულ სოციო-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტუროლოგიურ კონტექსტზე და განიცდის სხვადასხვა ფაქტორების გავლენას რასის, ეთნიკურობის, კლასის, სექსუალური ორიენტაციის და ასაკის მიხედვით. გენდერული როლების შესწავლა ხდება საფუძვლიანად და ფართოდ განსხვავდება თითოეული კულტურის ფარგლებში და კულტურებს შორის. პიროვნების ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებით გენდერული როლები შეიძლება შეიცვალოს.

(ბრანდერი, პ.) ცნება პირველად ანთროპოლოგმა გეილ რუბინმა (1975წ.) შემოიტანა მეცნიერებაში და განსაზღვრა, როგორც „შეთანხმებათა კომპლექსი, რომელიც როგორც საზოგადოებრივი მოდერნიზაციის საგანი, არეგულირებს ბიოლოგიურ სქესს“.

თანამედროვე მეცნიერებაში ტერმინი „გენდერი“ (gender), სქესის (sex) ბიოლოგიური გაგებისაგან განსხვავებით, სქესის სოციალური ფენომენისა და სოციოლოგიური დისკურსის აღსანიშნავად იხმარება. იგი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ერთ-ერთი საბაზისო განზომილებაა, რომელიც სხვა კულტურულ და სოციალურ-დემოგრაფიულ მონაცემებთან ერთად (რასა, ასაკი, ეთნოსი, სტრატა) აყალიბებს სოციალურ სისტემას. ეს არის გარკვეულ კულტურაზე და-

ფუნქციური მამაკაცებსა და ქალებს შორის საზოგადოების ძირითად სოციალურ ინსტიტუტებში კონსტრუირებული სოციალური ურთიერთობების ფუნდამენტური მანქანებელი. გენდერული როლების განსაზღვრა სუბიექტურია და კონკრეტულ-ისტორიულ ხასიათს ატარებს. თითოეულ საზოგადოებას აქვს თავისი ჩვეულებები, ტრადიციები და ნორმები, რომლებიც სოციალურ-სქესობრივ როლებს განსაზღვრავს. დღეს გენდერული ურთიერთობები განიხილება როგორც მამაკაცებსა და ქალებს შორის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (მართვის, პოლიტიკურ, ოჯახის და სხვ.) არსებული ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ასპექტი. (კიკნაძე თ).

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გენდერული როლები დიდ როლს ასრულებენ მეცნიერების სხვადასხვა სფეროს მიღწევებში, მათ შორის ინგლისური ენის შესწავლაშიც. ხშირად გაგვიგია, რომ გოგონები გაცილებით უკეთ სწავლობენ ენას და უფრო მობილიზებულნი არიან უცხო ენის შესწავლის პროცესში, ვიდრე ვაჟები, რომლებიც სიზარმაცითა და მოუწესრიგებლობით გამოირჩევიან. ჩვენ შევეცდებით მოკლედ განვიხილოთ გენდერული როლების მიდგომა ინგლისური ენის სწავლისადმი და გამოვაკლინოთ ის მიზეზი, რომლებიც ამ ორ სქესს შორის ერთ-ერთს ანიჭება უპირატესობას.

უცხო ენის შესწავლის უნარ-ჩვევების განსხვავებული დონის არსებობა ვაჟებსა და გოგონებში უკვე მრავალი წელია რაც მეცნიერების განხილვის საგანია. ამ საკითხის ირგვლივ კვლევების უმრავლესობამ დაადასტურა გენდერის ამ ორ წარმომადგენელს შორის არსებული მახასიათებლები, რომლებიც გოგონების გაცილებით დიდ უპირატესობას ადასტურებს სწავლაში, ვიდრე ვაჟების.

აღსანიშნავია, რომ გოგონები გაცილებით მაღე იწყებენ მეტყველებას უცხო ენაზე და თანაც უფრო გასაგებად, ვიდრე ვაჟები. ჯერ კიდევ თოთოობის ასაკში, დაახლოვებით ორი წლის გოგონას ორჯერ უფრო მეტი ლექსიკური მარაგი აქვს დაგროვილი, ვიდრე ამავე ასაკის ვაჟს. გარდა ამისა, გოგონები უფრო გასაგებად და სუფთად წერენ, ვიდრე ბიჭები. გარდა ამისა, გოგონები საწარმოოქმ და გრამატიკული უნარ-ჩვევების უფრო მაღალი დონით გამოირჩევიან, ვიდრე ბიჭები.

ეს ყოველივე ბადებს შემდეგ კითხვას: ეს თვისებები გოგონებს თანდაყოლილი აქვთ, თუ რაიმე სოციალური ფაქტორით გამოწვეული? მეცნიერული კვლევები ადასტურებს, რომ ბიოლოგიური წარმომავლობა და თავად სქესის ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური აგებულება სწორედ რომ განმსაზღვრელია უცხო ენის შესწავლის პროცესში როგორც ელემენტარულ, საშუალო თუ უმაღლესი დონის შემსწავლელელებში.

მოდით შევხედოთ ვაჟებისა და გოგონების ტვინის აგებულებას. თითოეული ადამიანის ტვინი შედგება ასი მილიარდი ნეირონებისა და ასი ტრილიონი დამაკავშირებელი უჯრედისაგან. ტვინს გააჩნია ოთხი ნაწილი ზედა მხარეს, რომლებიც ადამიანს ფიქრში ეხმარება. ეს ზედა ნაწილი თავის მხრივ მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფეროებად იყოფა. მარჯვენა ნაწილი სივრცითი უნარების მარეგულირებელია, რომლებიცაა საგნების გაზომვა, მიმართულებების გარკვევა და მუშაობა რაიმე იარაღებით, ხოლო მარცხენა სემენტის ვერბალურ უნარებს ავითარებს ადამიანში, რომელშიც შედის კითხვა, საუბარი, წერა, მოსმენა.

საქმე იმაშია, რომ ვაჟები აქტიურად იყენებენ მარჯვენა ნახევარსფეროს, ხოლო გოგონები მარცხენას.

ზოგადად რომ ვთქვათ, ქალის ტვინი უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე მამაკაცის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გოგონებს უკეთესად და სწრაფად უვითარდებათ ვერბალური უნარები, ვიდრე ვაჟებს. მეორეს მხრივ, ბიჭები უკეთესად სწავლობენ ისეთ საგნებს, როგორიცაა გეომეტრია, ფიზიკა და სხვა ტექნიკური შინაარსის საგნები.

მეცნიერი გურიანი ამტკიცებს, რომ ბიჭების ტვინში არსებული სეროტონინის დონის (ნივთიერება, რომელიც ტვინს სიგნალებს გადასცემს) გამო ვაჟები უფრო მოუსვენრები და იმპულსურები არიან, ვიდრე გოგონები, რაც მათ სწავლაშიც აისახება. გასათვალისწინებელია პორმონალური მდგომარეობა გენდერში, რაც გავლენას ახდენს ენის შესწავლაზე. მამრობითი სქესის წარმომადგენლები გამოირჩევიან ტესტოსტერონის პორმონის სიჭარბით, ხოლო მდედრობითი

ესტროგენისა და პროჟესტერონის ჰორმონების სიმრავლით. ამ უკანასკნელი ჰორმონების არსებობა კი გავლენას ახდენს ადამიანის განწყობასა და სწავლის უნარ-ჩვევებზეც. ანუ, გოგონები უფრო მომართულნი არიან სწავლისადმი ვიდრე ვაჟები. კვლევები ამტკიცებენ, რომ გოგონები სმენითაც კი უკეთ ისმენენ, ვიდრე ვაჟები და მხდველობითაც გამოირჩევიან. აღსანიშნავია, რომ ბნელში გოგონები გაცილებით უკეთ ხედავენ, ვიდრე ვაჟები.

ვაჟებისა და გოგონების თავის ტვინის შესწავლის შედეგად, გამოვლინდა შვიდი მახასიათებელი, რომელიც ამ გენდერული როლების სხვაობას გვაძლევს სწავლაში.

1. გოგონები და ბიჭები უცხო ენის სწავლისას იყენებენ ორ განსხვავებულ მიდგომას-ინდუქციურსა და დედუქციურს. ვაჟები ინფორმაციას ამუშავებენ ძირითადად და მიდიან კონკრეტული საკენ (დედუქციური მეთოდით), ხოლო გოგონები იყენებენ ინდუქციურ მეთოდს, ანუ კონკრეტული მაგალითებიდან მიდიან ძირითადად ინდუქციურ მეთოდს კი უფრო ღრმა ფიქრისა და ანალიზისაკენ მიეყვართ, და რასაკვირველია სწავლაზეც უკეთ აისახება.

2. ინგლისური ენის სწავლის დროს გოგონების უმეტესობას სხვევით ხმამაღლა კითხვა და სწავლა, ხოლო ბიჭები ჩუმად სწავლას ანიჭებენ უპირატესობას. ხმამაღლა კითხვა კი სწავლის შედეგზეც უკეთესად აისახება.

3. აუდიტორიაში გოგონები უკეთესი მსმენელები არიან, ვიდრე ვაჟები, ამიტომაც გოგონები მასალას უკეთ ითვისებენ.

4. ვაჟებს სწავლისადმი წახალისება და მოტივაციის აღძვრა მუდმივად ესაჭიროებათ, ხოლო გოგონები უფრო შინაგანი მოტივაციით გამოირჩევიან.

5. ბიჭები ძალიან მოძრავები და მოუსვენრები არიან აუდიტორიაში და უჭირთ ერთ ადგილზე დიდი ხნით გაჩერება, რაც სწავლაში ხელს უშლით.

6. გოგონები ჯგუფურ მუშაობაზე უარს არ იძახიან სწავლაში, ვაჟები კი უპირატესობას ანიჭებენ სწრაფად აზროვნებას და პასუხის მაღე პოვნას, ვიდრე ჯგუფისათვის ფეხის აწყობას. ისინი შემტევი ხასიათისანი არიან, უყვართ პირველობა. როდესაც ჯგუფში მუშაობენ სულ კამათობენ თუ ვინ იქნება პირველი.

7. ვიზუალური საშუალებების აღქმას ბიჭები და გოგონები სხვადასხვანაირად ახერხებენ. სურატები და ცხრილები ვაჟებს უფრო იტაცებთ, ვიდრე გოგონებს. სიმბოლოებითა და სურათებით ბიჭები უკეთ სწავლობენ, ვიდრე გოგონები. ეს უკანასკნელნი წერილობით ტექსტებს ანიჭებენ უპირატესობას, რომლის წაკითხვა ვაჟებს ეზარებათ. გრაფიკული გამოსახულებების მოწონება ადასტურებს იმას, რომ ბიჭებს უფრო მიდრეკილება აქვთ ტექნიკური საგნები შესწავლისაკენ.

ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტებისაგან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გოგონები უფრო მობილენი და ბეჯითები არიან. ეს მათი თავის ტვინის აგებულებითა და ჰორმონალური მდგომარეობიდან გამომდინარეობს. გოგონები მუდამ დაფიქრებულები არიან და უკეთეს შედეგებს აჩვენებენ უცხო ენის სწავლაში. ისინი რამდენიმე დეტალს უკირკიტებენ ერთდროულად, ტექსტის კითხვისას თუ მოყვლისა ფიქრობენ გრამატიკულ თუ საწარმოთქმო სიზუსტეზე, ვაჟები კი უფრო ჩქარობენ, იმპულსურები არიან და ძალიან მოძრავნი, რაც მათი სწავლის ხარისხზეც აისახება.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენი რჩევა იქნება პედაგოგებისათვის, რომ თუკი ეცდებიან გააკრიტიკონ ვაჟები სიზარმაცისა და უცოდინრობის გამო, გურჩევთ ცოტათი მაინც გაითვალისწინონ ვაჟების ბიოლიგიური აგებულება, რაც ვფიქრობთ, გასაღებია იმისა, რომ ისინი ასეთი მოუწესრიგებელი და უმართავნი არიან ინგლისური ენის შესწავლის პროცესში.

ლიტერატურა:

1. (ბრანდერი, პ. და სხვა. 2004. კომპასი ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით .ქართ. გამოც. რედ: გიორგი კენჭოშვილი. თბილისი)
2. (კიკნაძე თ. დონაძე, ნ. 2006. გენდერი-სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი / - თბ.: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი).
3. [www. Google.com](http://www.Google.com)

Natia Gabashvili**The Role of Gender in the Process of English Language Acquisition****Abstract**

The article deals with the comparison of gender roles while English language acquisition.

It is a well known fact that without dealing the gender issues one can't fundamentally acquire person and the whole society, that is why this issue became crucially important for various scientific fields; accordingly gender roles are thoroughly important in the process of English language acquisition. We all know that girls are better mobilized learners of English language than boys, who tend to be lazy and disorganized. In the article we've tried to discuss gender attitude towards learning and reveal those reasons that gives priority to one gender type only.

In the article we have also discussed brain structure of female and male learners, which are key factors for their different behavior and learning outcomes itself.

რეცენზენტი: პროფ. ნ. მაღლაკელიძე

სწავლების მეთოდოლოგია

Методика

Methodic

თამარ თვალაძე

ქუთაისი, საქართველო

სწავლების მიზნები ან სავარაუდო შედეგები

სტატიაში განსაზღვრულია უმაღლესი სწავლების საერთო მიზნები, შედარებულია სწავლების პროცესის ტრადიციული ქცევითი და თანამედროვე კოგნიციური თეორიები. იმის გათვალისწინებით, რომ სწავლება და სწავლა წარმოადგენენ ორ ურთიერთ დამოკიდებულ პროცესს, მასწავლებლის ძირითადი ამოცანა ხდება სწავლების პროცესი. საჭიროა ყურადღება მიექცეს სწავლება /სწავლის საკითხის დაყენების კუთხით მიდგომას. თანამედროვე პედაგოგიკურ მეცნიერებაში ჩნდება ახალი კონცეპცია-სწავლების შედეგები, რომელიც მიმართულია ხაზი გაესვას, რომ მთავარია არა სწავლება, არამედ სწავლა, ანუ ქმედება შესრულებული უშუალოდ სტუდენტთა მიერ, რომელთა სწავლისადმი დამოკიდებულების მიხედვით არსებობს ორი ძირითადი მიდგომა - ზედაპირული და ღრმა.

სწავლების თანამედროვე მიზნების მისაღწევად მეტად მნიშვნელოვანია ისტორიულად ჩამოყალიბებული მრავალფეროვანი, ოპტიმალური გზების, ფორმების, მეთოდების შერჩევა, დადგენა და ამოქმედება. წერა-კითხვის კარგად დაუფლება, როგორც მშობლიურ, ისე უცხოურ ენაზე წარმატების მიღწევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საფეხურზე სოციალურ, კულტურულ, პირად თუ პროფესიულ ცხოვრებაში. უმაღლესი სწავლების საერთო მიზნებია: განუვითაროს სტუდენტებს დამოუკიდებელი და კრიტიკული შეფასების, დამოუკიდებლად აღქმის, ფორმულირებისა და პრობლემების გადაჭრის უნარები;

უზრუნველყოს მათი მზადყოფნა გაუმკლავდნენ შრომითი ცხოვრების ცვლილებებს; გაუღრმავოს მიღებული ცოდნა, ჩვევები და უნარები; სტუდენტთა მიერ ცოდნის ინტეგრირების და დამოუკიდებლად გამოყენების, როგორც მოვლენებთან, პრობლემებთან და სიტუაციებთან მუშაობის უნარებისა და პროფესიული, მეცნიერულ-კვლევითი მოღვაწეობის პოტენციალის განვითარებით უზრუნველყოს მათი აზროვნების დამოუკიდებლობა.

დღეისათვის შედარებით გავრცელებულ მიდგომას განათლების თეორიისადმი უპირისპირებენ კონსტრუქციული თეორიის ტრანსფორმაციის თეორიას. პედაგოგიკური მეცნიერების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ სწავლების ძირითადი ხერხია - ცოდნის პირდაპირი გადაცემა მასწავლებლიდან სტუდენტზე. ამიტომ ითვლება ლექცია სწავლების ძირითად ფორმად, ხოლო წერითი და ზეპირი გამოცდები ცოდნის შემოწმებისა და შეფასების ძირითად ფორმად. ტრანსფორმაციის თეორიის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ცნება, რომ ცოდნა სამყაროს შესახებ წარმოადგენს სტატისტიკურს და ფიქსირებულს და უნდა მივიღოთ როგორც რაღაც თავისთავად არსებული. ასეთი სახით მასწავლებელი გადასცემს აწვლეულობით დაგროვილ ცოდნას და ცნებებს. განათლების ამ მოდელს უწოდებენ “გადაცემის” მოდელს.

ფართო პროპაგანდა ეწევა კონსტრუქციულ თეორიას, რომელიც გამოდის იმ თეზისიდან, რომ ცნება აქტიურად კონსტრუქტირდება ადამიანის ტვინით. ახალ ცოდნას ვიძენთ უკვე არსებული ცოდნისა და იდეების საფუძველზე. განათლების კუთხით თეორიის ძირითადი მიზანია - განუვითარდეს სტუდენტებს აზროვნების შესაძლებლობა. დევიდ პერკინსი განასხვავებს ორ გაგებას: ღრმას და ზედაპირულს. მისი მტკიცებით, ზედაპირული შესწავლის შედეგად მიღებული ცოდნა, თავისუფლად ეძლევა დავიწყებას, მაშინ როდესაც, “ღრმა გაგება დაკავშირებულია უკვე არსებულ ცოდნასთან. აქ ჩვენ არა მარტო ვაგროვებთ ცოდნას, არამედ შეგვიძლია გავიგოთ და გამოვიყენოთ იგი საჭიროებისამებრ”[2:13]. ვ. რიჩარდსონი კონსტრუქციულ პედაგოგიკას ასე განსაზღვრავს: “შეიქმნას ჯგუფში მოღვაწეობის ორგანიზაციისა და მეთოდების გამოყენების პირობები, რომლებიც დაფუძნებულია სწავლების კონსტრუქციულ მეთოდზე, აგრეთვე მიზნების დაყენება, რომლებიც მიმართული იქნება შემსწავლელთა განვითარებაზე, საგნის ღრმა გაგებაზე, ასევე აზროვნების განვითარებაზე, რაც აუცილებელია მომავალი სწავლებისათვის”[5: 162].

ანალოგიური იდეებია წარმოდგენილი ჯონ ბიგსისა და ქეთრინ ტანგის წიგნში “სწავლება უნივერსიტეტში ხარისხიანი სწავლებისათვის.” სწავლებისადმი ზედაპირული და ღრმა მიდგომის საკითხებზე მსჯელობის გარდა [1: 22-29], დიდ ყურადღებას იხევენ განათლებისადმი. მათ მიაჩნიათ, რომ განათლების სფეროში უნდა განხორციელდეს ცვლილებები, რომლებიც დააყენებენ სტუდენტს ამ სფეროს ცენტრში. ძირითადი კითხვა, რომელიც უნდა დაისვას განათლების განხილვისას არის - რას აკეთებს სტუდენტი? და არა- რას აკეთებს მასწავლებელი? აღნიშნულის შესაბამისად ავტორები აღწერენ არა სწავლების მეთოდებს, არამედ მასწავლებლისა და სტუდენტის ერთობლივ მოღვაწეობას (ინგ. Teaching/Learning Activities). ფედერი და ფოგელი წიგნში “სწავლების მეთოდები”[3] სწავლების პროცესში ადარებენ ორ თეორიას: ტრადიციულ ქცევით თეორიას და თანამედროვე კოგნიციურ თეორიას.

ტრადიციული ქცევითი თეორია:

- სწავლება –ეს არის ინფორმაციისა და ჩვევების დაგროვება;
- მასწავლებელს შეუძლია გადასცეს ცოდნა უშუალოდ სტუდენტებს;
- სწავლება მიმდინარეობს მასწავლებლისა და სტუდენტის ურთიერთქმედების დროს;
- განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლებას.

თანამედროვე კოგნიციური მეთოდი:

- სწავლება წარმოადგენს მთლიან პროცესს, უფრო მეტს, ვიდრე ინფორმაციის დაგროვება;
- სტუდენტები აქტიურად უკეთებენ კონსტრუქტირებას თავის ცოდნას და გაგებას;
- სწავლება წარმოადგენს სოციალურ პროცესს და ვარაუდობს თანამშრომლობას;
- განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლების უზრუნველყოფას.

სწავლების პროცესში მოღვაწეობის მიზნები და სახეები დამოკიდებულია, იმაზე თუ როგორი სახის(დონის) ცოდნა უნდა შეიძინონ სტუდენტებმა. იმის გათვალისწინებით, რომ სწავლება და სწავლა წარმოადგენენ ორ ურთიერთ დამოკიდებულ პროცესს, მასწავლებლის ძირითადი ამოცანა ხდება სწავლების პროცესი. ცოდნის დონის შესახებ სხვადასხვა თეორიების განხილვისას, საჭიროა ყურადღება მიექცეს სწავლება/სწავლის საკითხის დაყენების კუთხით მიდგომას. თანამედროვე პედაგოგი- კურ მეცნიერებაში ჩნდება ახალი კონცეპცია – სწავლების შედეგები. ბიგსმა და ტანგმა შემოიღეს ტერმინი – სწავლების სავარაუდო შედეგი (Intended Learning Outcomes). ეს კონცეპცია მიმართულია ხაზი გაესვას, რომ მთავარია არა სწავლება, არამედ სწავლა, ანუ უშუალოდ სტუდენტების მიერ შესრულებული ქმედება. სწავლების შედეგები ფორმულირდება ტერმინებში, რომლებიც გამოხატავენ თუ რა უნდა იცოდნენ სტუდენტებმა, გაიგონ, გამოიყენონ, შეძლონ გააკეთონ სწავლების განსაზღვრული პერიოდის დამთავრებისას. სწავლების შედეგები ფორმულირდება მას შემდეგ, როდესაც განისაზღვრება ცოდნის დონე, რომლის მიღწევაც არის საჭირო.

განესაზღვროთ სწავლების სავარაუდო შედეგების ფორმულირება.

- ცოდნის დონე: ორგანიზაცია გაუკეთოს, მოაწესრიგოს, განსაზღვროს, გაიმეოროს, დაასახელოს, რიგის მიხედვით დააყენოს, დაიმახსოვროს, გამოავლინოს, აღადგინოს.
- გაგებინების დონე: აღწეროს, განსაჯოს, განმარტოს, გამოხატოს, განსაზღვროს, მიუთითოს, მიაკუთვნოს, აღიაროს, განიხილოს, შეარჩიოს, გადათარგმნოს.
- გამოყენების დონე: გამოიყენოს, ამოარჩიოს, გაუკეთოს დემონსტრაცია, გაუკეთოს ილუსტრირება, გაუკეთოს ინტერპრეტირება, პრაქტიკაში დანერგოს, გადაჭრას, დაწეროს.
- A- ანალიზის დონე: შეაფასოს, გამოთვალოს, გაუკეთოს კლასიფიცირება, შეადაროს, შეაპირისპიროს, გაუკეთოს ანალიზი, განახსვავოს, შეისწავლოს, ჩაატაროს ექსპერიმენტი, მისცეს შეკითხვები, გაუწიოს წინააღმდეგობა.
- G- განზოგადება/სინთეზის დონე: გაუკეთოს ორგანიზება, შეკრიბოს, შეადგინოს, შექმნას, დაგეგმოს, შეიმუშაოს, განავითაროს, გაუკეთოს ფორმულირება, მართოს, მოამზადოს, შესთავაზოს.
- შეფასების დონე: შეაფასოს, შეაწვეილოს, ამტკიცოს, შეარჩიოს, იწინასწარმეტყველოს, ამოარჩიოს, ხელი შეუწყოს.

პოლ რამსდენი [5] გვთავაზობს საუნივერსიტეტო განათლებაში მასწავლებლის როლის აღსაწერად შემდეგ კლასიფიკაციას: 1. სწავლება, როგორც ინფორმაციის გადაცემა. 2. სწავლება, როგორც სტუდენტთა მოღვაწეობის ორგანიზაცია. 3. სწავლება, როგორც სწავლების (სწავლის) უზრუნველყოფა.

არსებობს მასწავლებელთა სხვადასხვა ტიპები. მათი მუშაობა დაფუძნებულია სხვადასხვა მეთოდებზე. ისინი იყენებენ სხვადასხვა მიმართულებებს და სტილებს. მასწავლებელთა მოღვაწეობის მიმართულებიდან გამომდინარე გამოიყოფა მასწავლებელთა სამი დონე:

დონე 1. “რას წარმოადგენს სტუდენტი”

პირველ რიგში მასწავლებელი აკეთებს განსხვავებას სტუდენტებს შორის. არსებობენ კარგები და ცუდები. მასწავლებლის მნიშვნელოვანი ამოცანაა - ფლობდეს მასალას და დაიყვანოს იგი სტუდენტამდე. სტუდენტების მოვალეობაა - დაესწრონ ლექციებს, ყურადღებით უსმინონ, გააკეთონ ჩანაწერები, წაიკითხონ ლიტერატურა და ა. შ. ძირითად ფაქტორს წარმოადგენს სტუდენტთა შესაძლებლობები. სასწავლო პროგრამა წარმოადგენს საგანთა ჩამონათვალს, გადმოცემულს მასწავლებელთა მიერ და განმეორებულს სტუდენტთა მიერ. თუ სტუდენტები არ სწავლობენ, ეს მთლიანად მათი დანაშაულია.

დონე 2. “რას აკეთებს მასწავლებელი”

ამ დონის მასწავლებლების ყურადღება მიპრობილია მასზე, თუ რას აკეთებენ ისინი. ასეთი თვალსაზრისი სწავლებაზე წინანდებულად დაყრდნობილია ცოდნის გადაცემაზე. მასწავლებელი პასუხისმგებელია მასზე, რომ დაიყვანოს ცოდნა სტუდენტამდე. მისი ამოცანაა მოიპოვოს სწავლების უფრო ეფექტური საშუალებანი და მეთოდები. სწავლება დამოკიდებულია მასზე, რამდენად კარგია მასწავლებელი და თუ სტუდენტები არ სწავლობენ, ეს მთლიანად მათი ბრალია.

დონე 3. “რას აკეთებს სტუდენტი”

მესამე დონე წარმოადგენს მოდელს, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტზე. ამიტომ, მასწავლებლის მთავარი ამოცანა მდგომარეობს სწავლების/სწავლის უზრუნველყოფასა და მხარის დაჭერაში. მასწავლებელმა თავისი მუშაობა უნდა წარმართოს სტუდენტების მიერ საჭირო შედეგების მისაღწევად. იგი უნდა დაინტერესდეს, გებულობენ თუ არა სტუდენტები მასალას და მოძებნოს მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს გაგებინების დონის ამაღლებას. სხვა სიტყვებით სწავლებამ სტიმული უნდა მისცეს სწავლას.

სტუდენტების მიერ სწავლისადმი დამოკიდებულების მიხედვით გამოიყოფა ორი ძირითადი მიდგომა - ზედაპირული და ღრმა მიდგომა სწავლებაზე.

1. ზედაპირული მიდგომა.

ამ მიდგომის ძირითადი თავისებურება მდგომარეობს მასში, რომ სტუდენტთა სურვილია კურსის ამოცანებს გაუმკლავდნენ მინიმალური ძალისხმევით. ფაქტების დამახსოვრება და აღდგენა ნაწილობრივ ხდება გაგებით, რომელიც არსებითად არც მიმდინარეობს. სტუდენტების მხრიდან ასეთ მიდგომას სტიმულს აძლევენ ზოგიერთი ფაქტორები:

- სურვილი მიიღონ ჩათვლა მინიმალური ძალისხმევით. ასეთი დამოკიდებულება შეიძლება წარმოიშვას, მაგალითად ისეთი საგნის შესწავლისას, რომელსაც არა აქვს დამოკიდებულება სწავლების ძირითად პროგრამასთან.

- არამეცნიერული პრიორიტეტები.
- არასაკმარისი დრო, ძალიან დიდი დატვირთვა
- კურსის მოთხოვნების, ან მთლიანი პროგრამის არასწორი გაგება.
- კონკრეტული შინაარსის დრმა დონეზე გაგების უუნარობა.

სწავლების გაუმჯობესებისათვის საჭიროა თავიდან ავიცილოთ ფაქტორები, რომლებიც სტიმულს აძლევენ სწავლებისადმი ზედაპირულ მიდგომას. მიზანშეწონილად მივიჩნევთ ჩამოვთვალთ ფაქტორები, რომლებიც უნდა ავიცილოთ თავიდან:

- შერჩევითი სწავლება (მასალა გადაიცემა ნაწილობრივ, იკარგება თემის ან საკითხის შინაგანი სტრუქტურა).

- დამოუკიდებელი ფაქტების კონტროლი და შეფასება, და არა ცოდნისა და უნარების კომპლექსისა (გამოცდები და ტესტები მიმართულია მასალის აღდგენაზე)

- სწავლება ირონიული წაქეზებით (მაგ. მტკიცება “მე არ მიყვარს ამ მოსაწყენი საკითხის სწავლება, მაგრამ ჩვენ უნდა გავიაროთ ეს თემა”)

- დავალების შესასრულებლად არასაკმარისი დროითი უზრუნველყოფა.
- დადაბლებული მოსალოდნელი შედეგი (“ეს ძალიან ძნელია, თქვენ მაინც ვერ გაუმკლავდებით”).

2. დრმა მიდგომა.

სწავლებისადმი დრმა მიდგომა ხასიათდება სტუდენტის სურვილით, გაიგოს და გადაჭრას ამოცანა. ამოცანების გაგებისა და აქტიურად გადაჭრისას მოქმედებაში ერთვებიან მაღალი დონის კოგნიტიური პროცესები. სტუდენტები არიან მოტივირებულები და დაინტერესებულები. როდესაც სტუდენტები განიცდიან მოთხოვნილებას ცოდნისადმი, ისინი ავტომატურად ცდილობენ ყურადღება მიაპყრონ მნიშვნელობებს, ძირითად იდეებს, პრინციპებს და ა. შ. ამ მიდგომას სტიმულირებას უკეთებენ შემდეგი ფაქტორები:

- განზრახვა გადაიჭრას ამოცანა გაგებით და სათანადო სახით. ასეთი განზრახვა შესაძლებელია აღმოცენდეს ცნობისმოყვარეობიდან, ან კარგი მოსწრების გადაწყვეტილებით.

- შესაბამისი ბაზური ცოდნა.
- უპირატესობის მინიჭება კონცეპტუალურ დონეზე მუშაობისათვის შესაძლებლობებზე და არა დეტალების დონეზე.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ფაქტორებს, რომლებიც სტიმულირებას უკეთებენ სტუდენტების სწავლებისადმი დრმა მიდგომას:

- თემის, ან საკითხის სწავლება სტრუქტურული პოზიციიდან;
- სწავლება, სტუდენტის საპასუხო რეაქციის მისაღებად, მაგალითად, გამოკითხვის გზით, პრობლემების განხილვით;

- სწავლება, დაფუძნებული სტუდენტთა არსებულ ცოდნაზე;
- სტუდენტთა შეცდომების (გზააბნეულობის) თავიდან აცილება;
- ცოდნის მოელი სტრუქტურის შეფასება და არა ცალკეული ფაქტების;
- სწავლება და შეფასება, რომლებიც წაქეზებულია პოზიტიურ სამუშაო ატმოსფეროზე. სტუდენტებს შეუძლიათ დაუშვან შეცდომები და ისწავლონ მათზე;

- სწავლება ხაზგასმული სწავლების სიღრმეზე, და არა სასწავლო მასალის ფართოდ მოცვაზე;

- სწავლების მეთოდებისა და შეფასების გამოყენება, სრულად უნდა იყოს მიმართული კურსის, ან პროგრამის ზუსტად დასახული მიზნებისა და შედეგებისათვის;

ცოდნა შესაძლებელია დაიყოს სამ ფორმად:

- ფაქტები: ფუნდამენტური ცოდნა, ტერმინოლოგია, სპეციფიკა.
- ცნება (გაგების უნარი): კლასიფიკაციები და კატეგორიები, პრინციპები, კანონები, თეორიები, მოდელები.

- ჩვევები: კონკრეტულ დისციპლინებთან დაკავშირებული ჩვევები და მეთოდები, მეთოდების გამოყენების კრიტერიუმები.

უნდა განვასხვავოთ დეკლარაციული (აღწერიითი) და ფუნქციონალური ცოდნა. დეკლარაციული ცოდნა განისაზღვრება, როგორც ცოდნა საგნების შესახებ, კერძოდ ის ცოდნა, რომელიც შეიძლება ამოიღო წიგნებიდან, ლექციებიდან და ა.შ. ფუნქციონალური ცოდნის განსაზღვრებაში ძირითადია ის, რომ ის გამოიყენება მოღვაწეობაში და ეფუძნება გაგებინებას. ეს ცოდნა წარმოიშობა გამოცდილების ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ეს პრაქტიკაში და მუშაობაში გამოყენებული დეკლარირებული ცოდნაა, ანუ პრობლემების გადაჭრა, მშენებლობის პროექტირება, სწავლების დაგეგმვა, ან ოპერაციების ჩატარება.

სწავლების საფუძველში მდებარე თეორიაზე შეხედულებების ცვლილებისას, მასწავლებელს მუდმივად უნდა ახსოვდეს, რომ სწავლება/სწავლა (learning) – ეს ძირითადი პროცესია, ხოლო სტუდენტი/მოსწავლე – ეს ცენტრალური ფიგურაა განათლებაში. მასწავლებლის ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს არა ცოდნის გადაცემაში, არამედ მათი ფორმირების პირობების შექმნაში. სწავლების თანამედროვე მიზნების მისაღწევად საჭიროა ყველაზე ოპტიმალური გზების, ფორმების, მეთოდების შერჩევა, დადგენა და ამოქმედება.

ლიტერატურა:

1. Biggs J., Tang C. *Teaching for quality learning at university*. Open University Press, 2007
2. Feden, Preston D., and Vogel, Robert M. *Methods of teaching: applying cognitive science to promote student learning*. Boston: McGraw-Hill, 2003
3. McKeachie J.W., Svinicki M. *Teaching Tips: Strategies, Research, and Theory for College and University Teachers*. Houghton Mifflin Company, 2006
4. Ramsden P. *Learning to teach in Higher Education*. Routledge Falmer, 2003
5. Richardson V. *Constructivist Pedagogy in Teachers College Record*, 2003
6. Scoullos M.J, Malotidi V. *Handbook on Methods used in Environmental education and education for Sustainable Development*. Athens, 2004

Тваладзе Тамара

Цели или предполагаемые результаты обучения

Резюме

Принимая во внимание, что преподавание и обучение являются двумя взаимосвязанными процессами, основной задачей преподавателя становится учебный процесс. В соответствии с теориями о различных уровнях знаний, следует также обратить внимание на подход к постановке целей преподавания/обучения. В современной педагогической науке появляется новая концепция: результаты обучения, которая призвана еще раз подчеркнуть, что главное - это не преподавание, а обучение (учение), т.е. действие выполняемые непосредственно студентами. Обсужден вопрос о поверхностных и глубоких подходов к обучению. Существуют различные типы преподавателей, их работа основана на разных теориях. Изменяя взгляд на теорию, лежащую в основе обучения, преподаватель должен постоянно помнить, что обучение/учение – это основной процесс, а студент/учащийся - это центральная фигура в образовании. А основная функция учителя заключается не в передаче знаний, а создании условий для их формирования.

Tamar Tvaladze**Objectives or expected learning outcomes****Abstract**

The article deals with the learning aims. Traditional learning process is compared to modern cognitive theory. Taking into account that teaching and learning are two interrelated processes, the main task of the teacher becomes a learning process itself. The article emphasizes that great attention should also be paid to the approach to setting target for teaching/learning. In modern pedagogics there is a new concept: learning outcomes, which is designed to emphasize again that the main thing - it's not teaching, but learning, e.g. actions that are carried out directly by students. Learning outcomes are formulated how different levels of knowledge are achieved. The article highlights that there are two approaches of learning: surface and deep approach and characterises different kinds of teachers. The article discusses the possible outcomes of teaching/learning approaches. The teacher must always remember that learning / teaching - is the primary process, and students are the central figures in education. A main function of the teacher is not the knowledge transfer but creating conditions for knowledge development.

რეცენზენტი: პროფ. მ. მიქაძე

სწავლების მეთოდოლოგია

Методика

Methodic

ქეთევან გოჩიტაშვილი

თბილისი, საქართველო

სქიმინგის ტექნიკა კითხვის უნარების გასაავითარებლად მშობლიური და უცხო ენების სწავლების პროცესში

სტატიაში განხილულია კითხვის როლი მშობლიური და უცხო ენების სწავლების პროცესში და მისი ერთ-ერთი ტექნიკა -სქიმინგი. ნაშრომი გვთავაზობს დაწვრილებით მიმოხილვას, თუ რა შემთხვევებში შეიძლება სქიმინგის გამოყენება (ძირითადად, ექსპლიციტური ინფორმაციის, ძირითადი აზრის ამოსაღებად ტექსტიდან) და რა ხერხები არსებობს სქიმინგის მეთოდით საკითხავად. სტატია საინტერესო იქნება პრაქტიკოსი პედაგოგებისათვის, რადგან, გარდა თეორიული ინფორმაციისა, პრაქტიკულ მითითებებსაც შეიცავს.

როგორც მშობლიური, ისე უცხო ენების შესწავლის პროცესში კითხვის როლი განუზომლად დიდია. გარდა იმისა, რომ კითხვა ერთ- ერთი მნიშვნელოვანი ენობრივი უნარია (წერას, მოსმენას, ლაპარაკს, სოციოკულტურულ და ლექსიკურ-გრამატიკულ კომპეტენციებთან ერთად), ფაქტობრივად, ის საბაზისო კომპეტენციაა თითქმის ყველა სხვა ენობრივი უნარის გასაავითარებლად. სასწავლო ამოცანისა და საკითხავი მასალის მოცულობის გათვალისწინებით, მასწავლებელმა თავის მოსწავლეებს კითხვის განსხვავებული ტექნიკები და ხერხები უნდა შესთავაზოს. კარგი მკითხველი კი, როგორც წესი, ფლობს კითხვის მრავალ ტექნიკას და თავისი ამოცანებისა და მიხედვით სწორად იყენებს მას.

თავისთავად, კითხვა რთული კოგნიტური პროცესია, რომელიც მკითხველისაგან გარკვეულ მზაობას მოითხოვს. გარდა ფონური ცოდნისა (ფონეტიკური, ლექსიკური, გრამატიკული, კულტურული...), მასში აქტიურად არის ჩართული მკითხველის წარმოსახვა, აბსტრაქციების, განზოგადების, სტრუქტურირებისა და სხვა უნარები, რომლებიც ერთიანობაში იძლევიან ტექსტის სწორად გაგებისა და აღქმის საშუალებას.

კითხვა მრავალსაფეხურიანი და ინტერაქტიული პროცესია, რომელსაც განსხვავებული მიზნები აქვს. სანამ კითხვის ზოგად მიზნებზე ვისაუბრებთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ უცხო ენაში კითხვის უნარის განვითარება, ერთი მხრივ, მჭიდროდაა დაკავშირებული იმასთან, თუ როგორია შემსწავლელის კითხვის უნარის დონე მშობლიურ ენაში.

ცნობილია, რომ არსებობს კითხვის რამდენიმე ძირითადი მიზანი, რომლებსაც ჩვენ ქვემოთ შემოგთავაზებთ. ჩამონათვალი წარმოადგენს მ. ინასარიძის მიერ შემთავაზებულ სქემას:

- ტექსტის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნა.
- კონკრეტული და სპეციფიკური ინფორმაციის მოპოვება.
- გართობა და სიამოვნების მიღება.
- ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა.

პროფესიული ინტერესის დაკმაყოფილება და ა. შ. [ინასარიძე, ნაჭყებია, 2006: 131]
 გარდა ზემოთ ჩამოვლილი ყველა მიზნისა, ვფიქრობთ, არანაკლებ მნიშვნელოვანია:

- ცოდნის შექმნა, შემოწმება და განახლება.
- აკადემიური საჭიროებების დაკმაყოფილება.
- პიროვნული ინტერესების დაკმაყოფილება.

გარდა ამისა, უცხო ენაში ტექსტის კითხვას დამატებითი ფუნქცია აქვს და ეს, უპირველეს ყოვლისა, ლექსიკური მარაგის განვითარებას გულისხმობს, კულტურული და გრამატიკული კომპეტენციების განვითარებასთან ერთად.

როგორც მშობლიური, ისე უცხო ენის სწავლა/სწავლების პროცესში რთული ამოცანების წინაშე დგანან მოსწავლეებიცა და მასწავლებლებიც. საკითხავი მასალის შერჩევა და კითხვის სხვადასხვა მეთოდის შეთავაზება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა, რომლის გადაჭრაც პედაგოგს უხდება. ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში უკანასკნელ წლებამდე, ტრადიციულად, კითხვის ერთადერთ რესურსად სახელმძღვანელოებში დაბეჭდილი ტექსტები მიიჩნეოდა, რომლებიც, სამწუხაროდ, თავიანთი ერთგვროვნებისა და ხელოვნურობის გამო, სრულად ვერ აკმაყოფილებდნენ შემსწავლელის სასწავლო საჭიროებებს. უკანასკნელ წლებში მიდგომა გარკვეულწილად იცვლება და პედაგოგის როლის მნიშვნელობა საკითხავი მასალების შერჩევის პროცესში იზრდება. ქვემოთმოკლედ მიმოვიხილავთ იმ გარემოებებსა და სასწავლო აქტივობებს, რომლებიც განაპირობებს საკითხავი მასალის სწორად შერჩევას.

რ. ვილიამსი თავის სტატიაში „ათი უმთავრესი პრინციპი კითხვის სწავლებისათვის [უილიამსი, 1986: 42-45]. გვთავაზობს პრინციპებს, რომლებიც კითხვის სწავლების პროცესის ხელშემწყობად მიიჩნევა:

1. საკითხავი მასალა უნდა იყოს იოლი.
2. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მრავალფეროვანი საკითხავი მასალა სხვადასხვა საკითხზე.
3. მკითხველი თვითონ ირჩევს საკითხავ მასალას
4. მკითხველები კითხულობენ იმდენს, რამდენიც შესაძლებელია, ანუ მაქსიმალურად ბევრს.
5. კითხვის მიზანი, ჩვეულებრივ, სიამოვნების მიღებასთან, ინფორმაციის მოპოვებასთან ან ტექსტის ზოგად გაგებასთანაა დაკავშირებული.
6. კითხვათავისთავადარისსასიამვნოპროცესი.
7. როდესაც კითხვის პროცესის წრაფია.
8. კითხვა ინდივიდუალური და ჩუმი პროცესია.
9. მასწავლებლები ორიენტაციას აძლევენ და ეხმარებიან სტუდენტებს.
10. მასწავლებელი მისაბაძი მაგალითი, ნიმუშია თავისი სტუდენტისათვის.

ვფიქრობთ, აქ მოცემული დებულებების ნაწილი შეიძლება საკამათო იყოს (ჩვენი აზრით, მაგალითად, 1-ლი პუნქტი შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: საკითხავი მასალა შეესაბამება სტუდენტის ცოდნის დონეს (ფონური და, უცხო ენის შემთხვევაში - ენობრივისაც). გარდა ამისა, შესაძლებელია დავმატოს ან გაფართოვდეს ცალკეული პუნქტები, თუმცა ჩამონათვალი დაეხმარება მასწავლებლებს, რომ ზოგადი წარმოდგენა შეექმნათ, თუ როგორ უნდა შეარჩიონ საკითხავი მასალა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კითხვის სხვადასხვა მეთოდი (ტექნიკა) არსებობს, რომლებსაც პედაგოგები პედაგოგიური საჭიროებების და მიხედვით იყენებენ სხვადასხვა მოცულობითა და ინტენსივობით. მათ შორისაა ე. წ. „სქიმინგის“ მეთოდი, რომელიც უცხო ენის სწავლების პროცესში საკმაოდ აქტიურად გამოიყენება, ხოლო დასავლურ სამეცნიერო და მეთოდურ ლიტერატურაში მეთოდს მრავალრიცხოვანი კვლევა ეძღვნება. ვინაიდან დღესდღეობით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კითხვის ამ ტექნიკის შესახებ ლიტერატურა ხელმისაწვდომი არ არის, შევეცდებით, წარმოვადგინოთ, თუ რა იგულისხმება სქიმინგის მეთოდით კითხვაში და როგორ უნდა გამოიყენონ პედაგოგებმა ის პრაქტიკაში.

ტერმინი “სქიმინგი” ინგლისური ენიდან არის აღებული, სადაც ის რძიდან ნაღების მოხდას ნიშნავს. სქიმინგი სწრაფი კითხვის ტექნიკაა, რომლის გამოყენების შედეგადაც შემსწავლელმა უნდა შეძლოს, ტექსტის ყველაზე მნიშვნელოვანი მოსაზრებები მაქსიმალურად სწრაფად გაიგოს. მიჩიგანის აზრით, ამ ტექნიკის მიზანია, მკითხველმა სწრაფად მოახდინოს მნიშვნელოვანი სიტყვებისა და იდეების იდენტიფიცირება [მიჩიგანი, 1998: 78]. ბრაუნის მოსაზრებით, სქიმინგის დროს სწრაფად უნდა მოხდეს არსისა და ძირითადი იდეის გაგება [ბრაუნი, 2004: 213]. არსებობს მოსზრება, რომ სქიმინგის მიზანია, რომ მკითხველმა გაიგოს ტექსტის ფრაგმენტის ან მთელი წიგნის ძირითადი აზრი და არა სპეციფიკური დეტალები [მიკულესკი, ჯეფერები, 2004: 38]. გარდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზნისა, სქიმინგის დროს მკითხველმა უნდა შეძლოს გარკვევა, თუ როგორ არის ფრაგმენტი (ტექსტი) ორგანიზებული (ტექსტის სტრუქტურა და ამოცნოს ავტორის განზრახვა (<http://fis.ucalgary.ca/Brian/611/readingtype.html#skimming>)). ვინაიდან სქიმინგის მეთოდით კითხვა მშობლიურ ენაშიც გამოიყენება, თუკი შემსწავლელი ამ ტექნიკას დაუფლებულია მშობლიურ ენაში, ადვილად შეიძლება მისი გადატანა უცხო ენაშიც.

სქიმინგის მეთოდით კითხვა ზოგ შემთხვევაში ეფექტურია, ხოლო ზოგჯერ მისი გამოყენება არ არის მიზანშეწონილი. ზოგადად, სქიმინგის გამოყენების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ეს მეთოდი ეფექტურია მაშინ, როდესაც ტექსტში ვეძებთ ექსპლიციტურ ინფორმაციას, ანუ პასუხს კითხვებზე „ვინ“, „რა“, „სად“ და „როდის“.

სქიმინგს უნდა მივმართოთ მაშინ, როდესაც ჩვენს ინტერესებში არ შედის კონკრეტული, დეტალური ინფორმაციის მოძიება, შემდეგი ტიპის ტექსტებში (სქიმინგის ტექნიკას ამ თვალსაზრისით უცხო და მშობლიურ ენებში ერთნაირი გამოყენება აქვთ):

- დამოწმებული ლიტერატურის ჩამონათვალი სამეცნიერო ხასიათის წიგნებიდან.
 - საგაზეთო ინფორმაციები.
 - ფილმების, სპექტაკლების, გამოყენების მიმოხილვა.
 - სარეკლამო, სააგიტაციო ინფორმაცია.
 - აკადემიური ტექსტები, როდესაც ჩვენ ის გვინტერესებს არა მთლიანობაში, არამედ მხოლოდ მისი რომელიმე იდეა ან ცალკეული იდეები.
- რაც შეეხება ქვემოთ ჩამოთვლილი ტიპის ტექსტების კითხვისას, სქიმინგის მეთოდი, როგორც წესი, გაუმართლებელია:

- პროზაული მხატვრული ტექსტების კითხვისას. ამ ტიპის ტექსტები შეიცავს ნაკლებ დასათაურებულ თავსა და ქვეთავს, ბევრ დიალოგს, პერსონაჟს, მხატვრულ ხერხს. ტექსტის ნაწილების გამოტოვებისას შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს ისეთი ინფორმაცია, რომელიც ჩვენს მიზანს დაგვაშორებს.
- პოეტური ტექსტების აღქმა, ზოგადად, მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. სიმბოლური მნიშვნელობებისა და სხვა მხატვრული თავისებურებების გამო, მიზანშეწონილია რარისმის ცალკეული ნაწილების გამოტოვება.
- ინსტრუქციები, რეცეპტები – თავისთავად, ამ ტიპის ტექსტებში ინფორმაცია ისედაც მაქსიმალურად დაწურული და შეკუმშულია, ხოლო მკითხველს, როგორც წესი, უმცირესი დეტალებიც კი აინტერესებს.
- სტატისტიკური ინფორმაციის შემცველი ტექსტები – ბევრი ციფრის, დიაგრამის, ცხრილის დამუშავებისას, სიტყვიერია ხსენა-განმარტება გვეხმარება მათ გაგებაში.

როდის უნდა გამოვიყენოთ სქიმინგის ტექნიკით კითხვა?

- სქიმინგის ხერხი ხელსაყრელია, როდესაც მკითხველმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ტექსტთან მიდგომის შესახებ - ღირს თუ არა დაკვირვებით წაკითხვა.
- გვაქვს შეხედულები დრო ტექსტის წასაკითხად.
- საკონკურსო გამოცდებზე, სადაც დროის ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია.
- სქიმინგი სტუდენტებს უმტკიცებს რწმენას, რომ ტექსტის გაგება შესაძლებელია მაშინაც კი, თუკი ტექსტის ყველა სიტყვა არ გვაქვს წაკითხული.

• სქიმინგი გამოიყენება, როგორც კითხვის SQ3R მეთოდის ნაწილი (SQ3R= დაკვირვება surveying, questioning (კითხვების დასმა), reading (კითხვა), reviewing (მიმოხილვა) და reciting (მოყოლა, გადმოსცემა). სქიმინგის ტექნიკა გამოიყენება დამოუკიდებლად და დაკვირვებისა და მიმოხილვის დროს. (სქემა, ძირითადად, ეყრდნობა <http://fis.ucalgary.ca/Brian/611/readingtype.html#skimming>-ზე განთავსებულ ინფორმაციას და შეესაბამება სტატიის ავტორის მიერ).

გარდა ამისა, სქიმინგის მეთოდი განსაკუთრებით მოსახერხებელია არამშობლიურ, უცხო ენაზე შექმნილი ტექსტების კითხვის დროს, ვინაიდან კითხვის ამ ტექნიკის დაუფლების შემდეგ მკითხველს შეუძლია, რომ ტექსტის ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია ისე გაიგოს, რომ ყველა სიტყვისა და ფრაზის მნიშვნელობა არ იცოდეს (უცხო ენის მასწავლებლებმა კარგად იციან, თუ, ზოგადად, როგორ ართულებს ლექსიკური პრობლემები ტექსტის გაგებას).

მასწავლებლის როლი

კითხვის დაწყებამდე მასწავლებელი მოსწავლეებს უნდა დაუსვას კითხვები და/ან მიაწოდოს ინფორმაცია :

- რომელია უდიდესი სათვალისაა შექმნილი ტექსტი (ასაკი, პროფესიული ჯგუფი, განათლების დონე, სოციალური კუთვნილება, კულტურული ფასეულობები...).
- რა ტიპის ტექსტია ან ვაჟს საქმე? (ოფიციალური წერილი, რეკლამა, ინსტრუქციები, ლიტერატურული ნაწარმოები, სამეცნიერო ტექსტი...).
- რა არის ავტორის მიზანი? (მკითხველის დარწმუნება, ინფორმირება, ინსტრუქციების მიცემა, ცოდნის გადაცემა...).

აგრეთვე, ეფექტურია გონებრივი იერიშის მოკლე სესიის ჩატარება ტექსტის თემასთან დაკავშირებით. მოსწავლეებმა ერთმანეთს უნდა გაუზიარონ, თუ რა იციან საკითხთან დაკავშირებით, რას ელიან ...

ტექნიკები, რომლებიც ხელს უწყობენ სქიმინგის ხერხით კითხვას:

- უცხო ტექსტის შემთხვევაში ეფექტურია მოკლე preview-ს შექმნა. განსახდვრეთ, რა არის თქვენთვის ტექსტში საინტერესო. გადახედეთ დასკვნებსა და რეზიუმეს.
- შეეცადეთ ამოიცნოთ სასიგნალო სახელები, ფაქტები და იდეები. იმ შემთხვევაში, თუ საკითხი თქვენთვის ნაცნობია, ამის გაკეთება ძნელი არ არის.
- დააკვირდით სათაურს, ეპიგრაფს, ქვესათაურებს, გრაფიკულ მასალას - ცხრილებსა და ტაბულებს. ძალიან ხშირად, ისინი მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავენ ტექსტის შესახებ.
- წაიკითხეთ ტექსტის შესავალი თავი ან ნაწილი. ძალიან ხშირად ის შეიცავს მკითხველისათვის საჭირო უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას, გადმოსცემს ავტორის მიზანს, ამდენად, შეგიძლიათ განსახდვროთ, ღირს თუ არ ატექსტის წაკითხვა თქვენი კონკრეტული ამოცანის გათვალისწინებით.
- დააკვირდით პუნქტუაციურ ნიშნებს - ფრჩხილებს, კვადრატულ ფრჩხილებს, ბრჭყალებს - დიდი ალბათობით, ეს პუნქტუაციური ნიშნები გამოყენებულია არა ძირითად ინფორმაციასთან, რაღაცის დაზუსტება-დაკონკრეტებას ემსახურება.
- დააკვირდით ტექსტში მოცემულ ნათვალებს (ბულეტენებით ან სხვა ნიშნებით გამოყოფილს). ისინი, როგორც წესი, ძირითად ინფორმაციას გადმოსცემენ.
- ხშირად (განსაკუთრებით უმცროსი ასაკისთვის განკუთვნილ საკითხავ ლიტერატურაში, თუმცა, არა მხოლოდ) არავერბალური შეტყობინებები (ნახატები, ფოტოები...) ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას გადმოსცემენ.

როგორ გამოვიყენოთ სქიმინგის ტექნიკა

განსახდვრეთ თქვენი მიზანი

სანამ სქიმინგის გამოყენებას დაიწყებთ, ჩამოაყალიბეთ, რისი გაგება გინდათ ტექსტიდან. მოიფიქრეთ 2-3 ტერმინი, რომლებიც გადმოსცემს იმას, რისი გაგებაც თქვენ გაინტერესებთ და სქიმინგის პროცესში ყურადღების არეალში გქონდეთ ეს (და მათთან დაკავშირებული) ტერმინები და ინფორმაცია.

ტექსტის წინასწარი შესწავლა

იგულისხმება ტექსტის გრაფიკული გადახედვა. შეისწავლეთ ტექსტი, სანამ მის კითხვას დაიწყებდეთ. მონიშნეთ ის ადგილები, რომლებიც, მიგაჩნიათ, რომ აუცილებლად უნდა წაიკითხოთ და რომელთა გამოტოვებაც შესაძლებელია. ამაში დაგეხმარებათ სათაურები, ნახატები, გრაფიკული მასალა, განსხვავებული შრიფტით დაბეჭდილი ნაწილები და ა.შ.

ექვთ ძირითადი იდეა

სქიმინგის ტექნიკით კითხვისას მკითხველს ვეალება, გაიგოს ძირითადი აზრი ტექსტის შესახებ. გაითვალისწინეთ, რომ, როგორც წესი, ძირითადი იდეა პარაგრაფის (აბზაცის) პირველივე წინადადებაშია ხოლმე წარმოდგენილი და მეორდება დასკვნაში. თუმცა, გვხვდება გამონაკლისებიც.

საკვანძო სიტყვები

თუკი ტექსტს ახლავს საკვანძო სიტყვების (key words) ჩამონათვალი, შეეცადეთ, კონცენტრირება მათზე გააკეთოთ. ზოგჯერ ასეთი სიტყვები ცალკე არ არის გამოყოფილი, მაგრამ ხაზგასმულია ან იტალიკის (დახრილი) სახითაა წარმოდგენილი ტექსტში.

გარდა ამისა, ყურადღება გაამახვილეთ აღწერით სიტყვებსა და კავშირებზე, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მთლიანად ცვლის ტექსტის აზრს (მიუხედავად ამისა; თუმცადა; ზემოთქმულის მიუხედავად...).

იკითხეთ ვერტიკალურად

სპეციალისტები გვირჩევენ, რომ სქიმინგის დროს ეფექტურია ვერტიკალურად, ანუ ზემოდან ქვემოთა მიმართულებით კითხვა [damaianti, http://www.academia.edu/1142418/Implementing_Skimming_to_Teach_Reading_Comprehension].

მხედველობიდან არ გამოგრჩეთ აბზაცის დასაწყისი

აბზაცით, ძალიან ხშირ შემთხვევაში, ახალი იდეის განვითარება იწყება. ანუ, აბზაცი, როგორც წესი, (თუმცა, არა უგამონაკლისოდ) მიგვანიშნებს, რომ ერთი იდეა დასრულდა და მეორე იწყება. ამდენად, ყურადღებით იყავით აბზაცების მიმართ.

გამიჯნეთ ძირითადი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია

ყოველი ტექსტი შეიცავს ძირითად და დამატებით, მეორეხარისხოვან ინფორმაციას. ნებისმიერი ტექსტი (სტატია, წიგნი, ვებგვერდზე განთავსებული ტექსტური ინფორმაცია...) შექმნილია იმისათვის, რომ გარკვეული აზრი გადმოსცეს. შეეცადეთ, განსაზღვროთ ავტორის მიზანი (ამაში დაგეხმარებათ ტექსტის სათაური, შესავალი, ტექსტის ტიპი, ჟანრი) და კონცენტრირება მხოლოდ მნიშვნელოვან, პირველხარისხოვან ინფორმაციაზე გააკეთოთ, ხოლო მასალა, რომელიც მხოლოდ მხარს უჭერს, კიდევ ერთხელ განმარტავს ავტორის მთავარ სათქმელს ან არგუმენტს და არ ავითარებს მას, შეგიძლიათ გამოტოვოთ.

წინადადებების ბოლომდე წაკითხვა სავალდებულო არ არის

სქიმინგის დროს ყურადღება გაამახვილეთ წინადადების დასაწყისზე. ფაქტობრივად, პირველი 2-3 სიტყვა შეიცავს გარკვეულ სიგნალებს, ღირს თუ არა წინადადების ბოლომდე ჩაკითხვა. თუ მკითხველი ასრულებს ზემოთ წარმოდგენილ ინსტრუქციებს (ანუ იცის ტექსტის მიზანი, ავტორის პოზიცია, შეუძლია მთავარი მოსაზრებების გამოყოფა...), ამ რჩევის ეფექტურად გამოყენება პრობლემას არ წარმოადგენს.

გადაახტით მაგალითებსა და მტკიცებულებებს

ავტორები ძალიან ხშირად თავიანთი ნათქვამის დასამტკიცებლად წარმოადგენენ ხოლმე მაგალითებსა და მტკიცებულებებს. როგორც ზემოთ უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, სქიმინგის მეთოდით კითხვა არ ითვალისწინებს დეტალური ინფორმაციის მოძიებას ტექსტიდან, ასე რომ, შესაძლებელია მათი გამოტოვება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სქიმინგი, როგორც კითხვის ერთ-ერთი სახეობა, ჩართული უნდა იყოს მშობლიური და უცხო ენების სწავლების პროცესში. მასწავლებლებმა მოსწავლეებს ეტაპობრივად უნდა განუვითარონ სქიმინგით კითხვის ტექნიკა, რათა მათ, საბოლოოდ, შეძლონ მისი სწორად გამოყენება. თუკი სტუდენტები ფლობენ აღნიშნულ ტექნიკას მშობლიურ ენაში, ადვილად შესაძლებელია მისი ტრანსფერი უცხო ენაშიც.

ლიტერატურა:

1. ინასარიძე მ. ნაჭყეზია მ. 2006: ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები; 131
2. Brown, Douglas. 2004: Language Assessment Principles and Classroom Practices. New York: Pearson Education Ltd; 213.
3. Damayanti Y: Implementing Skimming to Teach Reading Comprehension 4. http://www.academia.edu/1142418/Implementing_Skimming_to_Teach_Reading_Comprehension
5. Michigan, E. A. 1998: Speed Reading With Word Power. New Delhi: Infinity Boks; 78.
6. Mikulecky, S. -Beatrice and L. Jeffries. 2004: More Reading Power. New York: Pearson Education Ltd; 38.
7. Williams, R. 1986: "Top ten" principles for teaching reading. ELT Journal, 40(1), 42-45. <http://fis.ucalgary.ca/Brian/611/readingtype.html#skimming>.

Кетеван Гочиташвили

**Техника Скиминга для развития навыков чтения в процессе обучения Первых
и Иностраных языков
Резюме**

В статье мы обсуждаем роль чтения в процессе обучения Первого и Иностранного языка, также, представлены методы Скиминга. В статье изложена подробная информация, когда и как можно использовать технику Скиминга (главным образом, чтобы извлечь эксплицитную информацию, главные идеи). Статья будет интересна практикующим учителям, так как помимо теоретической информации, включены практические предложения.

Ketevan Gochitashvil

**Skimming Technique for Developing a Reading Skills in the Process of Teaching First and
Foreign Languages
Abstract**

In the current paper we are discussing the role of reading in the process of First and Foreign Language Teaching, also, the Skimming techniques are presented. The detailed information when and how could be Skimming technique used are given (mostly, to extract explicit information, main ideas...). Paper would be interesting for practitioner teachers, because, besides the theoretical information, practical suggestions are included.

რეცენზენტი: პროფ. მ. მიქაძე

პედაგოგია

Педагогика

Pedagogical Sciences

ლელია აბიანიძე, ნინო სოხაძე

ქუთაისი, საქართველო

საოჯახო აღზრდის პრობლემები ფრანც ჯაფას „წერილი მამას“ მიხედვით

პრობლემა მეტად მწვავეა. კომუნისტურ ეპოქაში ითვლებოდა, რომ არ არსებობს და არც შეიძლება იყოს საკამათო დამოკიდებულება მშობლებს და შვილებს შორის. დღეს კი ამაზე ყველა ღიად საუბრობს. რომ ბევრ ახალგაზრდას უჭირს საკუთარი რეალიზება. ეს არის გამოწვეული იმით, რომ მშობლები ცდილობენ დაიმსგავსონ თავიანთი შვილები, რომ შვილები იყვნენ მათი გავლენის ქვეშ. უნდოდეთ და უყვარდეთ ის, რაც მათ მშობლებს უყვართ. მშობლებს სამწუხაროდ ავიწყდებათ, რომ თითოეული ადამიანი განუმეორებელი ინდივიდია და მშობელმა უნდა შეძლოს ამ ინდივიდუალურობის აღზრდა და განვითარება და არა მასთან მიმსგავსება.

არავინ არ კამათობს იმაზე, რომ მშობლების და შვილების ურთიერთობა ყველაზე ძლიერი და ფაქიზია, მაგრამ მშობლებმა შვილებს უნდა ასწავლონ იყვნენ დამოუკიდებლები, თავისუფლები, მაგრამ მათი თავისუფლება უნდა იყოს პასუხისმგებლობით ხაზგასმული.

თავის მხრივ შვილებმაც არ უნდა აირჩიონ მშობლებთან ურთიერთობისას არც რადიკალური გზა, როგორც ეს ფრანც ჯაფამ გააკეთა, განერიდა მამას და მის მრისხანებას. და ასევე არ უნდა დანებდნენ მშობლებს, რომლებიც მათ ზოგჯერ იოლ ცხოვრებას სთავაზობენ.

ადამიანი მაშინ არის ძლიერი და მთლიანი, როცა შესწევს ძალა, ყველაზე ძვირფას ადამიანებსაც დაანახოს და აგრძნობინოს საკუთარი ინდივიდუალიზმი.

ფრანც ჯაფა XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მწერალია. მისი პირადი ტრაგიდიის მიზეზი მატერიალური სიდუხჭირე არ ყოფილა. იგი საკმაოდ შეძლებული ოჯახიდან იყო. თავად მწერალი საკუთარი ტრაგედიის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს მამასთან ურთიერთობაში ხედავდა. მეგობარმა ჯაფას სიკვდილის შემდეგ გამოაქვეყნა მისი ნამუშევრები, მათ შორის „წერილი მამას“, რომელიც წარმოადგენს საკუთარი განცდებისა და აზრების ანალიზს, გამოირჩევა გულწრფელობით. როგორც ჩანს, მან ეს წერილი იმიტომ დაწერა, რომ იმედი ჰქონდა მამა გაუგებდა. იგი ამ წერილით შეეცადა პასუხი გაეცა კითხვაზე, თუ რატომ ეშინოდა მამის. ჯაფა მამას ადანაშაულებს იმაში, რომ იგი ზედმეტად ძლიერი და მრისხანე იყო, მაგრამ ამავდროულად მადლიერია მისი, რადგან იგი მთელი ცხოვრება ოჯახსა და შვილებზე ზრუნავდა. შვილი კი მამას გაურბოდა, მათ შორის არ არსებობდა მამა-შვილური ურთიერთობა, ისინი ერთმანეთისთვის უცხონი იყვნენ. ჯაფა ყველანაირად ცდილობდა მამის გავლენისაგან თავის დაღწევას და გაურბოდა მასთან ურთიერთობას, რაც, ჩვენი აზრით, გამოსავალი ნამდვილად არ არის. მწერალი სწორად აღიქვამს და აფასებს მამა-შვილის ურთიერთობის პრობლემას და გულწრფელად საუბრობს საკუთარ და მამის შეცდომებზე. ვფიქრობთ, მამის დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ მან ვერ შეარჩია სათანადო და სწორი მიდგომა შვილის აღზრდის პროცესში, არ გამოხატავდა სიყვარულს მის მიმართ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მას არ უყვარდა შვილი. შვილის დანაშა-

ული კი იმაში მდგომარეობდა, რომ მან მამასთან დაშორების და მისგან გაქცევის გზა აირჩია. ამით კიდევ უფრო გააღრმავა პრობლემა. კაფკა საბოლოოდ იმ დასკვნამდე მიდის, რომ ურთიერთობაში დამნაშავეა როგორც მამა, ისე თვითონ. თუ ამ პრობლემას წმინდა პედაგოგიური კუთხით შევხედავთ, მამამ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა შვილის აღზრდის პროცესში, მან გამოიყენა არასათანადო მეთოდები, არ გაითვალისწინა ბავშვის ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებები და მის აღზრდას არასწორი მიმართულება მისცა. იგი უფრო მეტად დამყარებული იყო შიშზე, ვიდრე ურთიერთგაგებაზე. მამის აღზრდის მეთოდებმა არ გაამართლა მაშინაც, როცა მან დასჯის მეთოდი გამოიყენა ბავშვის ახირების ჩასახშობად. ეს მომენტი მხოლოდ დასაწყისი აღმოჩნდა იმისა, რამაც შვილს უფრო მეტად გაუღვივა საკუთარი არსებობის განცდა; შვილს, რომელსაც უკვე ისედაც ჰქონდა საკუთარი თავის რეალიზაციის პრობლემა მამის წინაშე. კაფკა ყოველთვის ცდილობდა მამისათვის დაემტკიცებინა, რომ რაღაცას წარმოადგენდა, მაგრამ შიშის გამო ამას ვერასოდეს ახერხებდა და ერთადერთი გამოსავალი – გაქცევა რჩებოდა. მწერალი არ ერიდება საკუთარი თავის დადანაშაულებასაც მაშინ, როცა ამბობს, რომ ეგებ მამის აღზრდის თავისებური მეთოდები სხვა ბავშვის შემთხვევაში წარმატებულიც ყოფილიყო. კაფკა საკუთარ თავსა და შესაძლებლობებში დარწმუნებული არ იყო და ამიტომ ჰქონდა მას საკუთარი რეალიზაციის პრობლემა. იგი აღიარებს საკუთარ სუსტ მხარეებს, ასეთად წარმოგვიდგება მასთან

შედარებით ხედმეტად ძლიერი მამის ფონზე. მამის უარყოფითი ზეგავლენა, რამაც მასში არარაობის განცდა გამოიწვია, დაეხმარა კაფკას გამოსულიყო დიდი მწერალი. კაფკას უარყოფითი თვისებები გამოწვეული იყო ასაკობრივი თავისებურებებით, რომელიც მეტ-ნაკლები მსგავსებით ახასიათებს ყველა ბავშვს სიყმაწვილეში გადასვლისას. თანდათან ბავშვობის შიში და უმწეობა გადადის ყმაწვილობისათვის დამახასიათებელ დაუმორჩილებლობასა და წინააღმდეგობის გაწევის უნარში. ამ გზით ახერხებს ახალგაზრდა საკუთარი ადგილის დამკვიდრებას საზოგადოებაში, თუმცა, როგორც ჩანს, შიშის დაძლევა კაფკამ ბოლომდე მაინც ვერ შეძლო გამომდინარე იქედან, რომ მან მხოლოდ 36 წლის ასაკში მიწერა მამას წერილი. მამა-შვილის ურთიერთობის პრობლემა ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა და უდიდეს ყურადღებას, სწორ მიდგომასა და დროულად დანახვას მოითხოვს როგორც მშობლების, ისე საზოგადოების მხრიდან. საჭიროა პრობლემის დროულად აღმოჩენა და მასზე სათანადო რეაგირება თავიდანვე, რადგან თავიდანვე სწორად აღზრდა გაცილებით უფრო მარტივი და შედეგიანია, ვიდრე ხელახლა აღზრდა.

მიუხედავად იმისა, რომ კაფკა მოღვაწეობდა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, აღნიშნული პრობლემაც საკუთარ მაგალითზე აქვს განხილული, ძალიან მარტივია დავინახოთ, რომ იგი საერთო, საზოგადო პრობლემას წარმოადგენდა საუკუნეების წინათ და ახლაც ასეა. ალბათ, საკუთარი რეალიზაციის პრობლემა აწუხებდა კაფკას სიკვდილის წინაც, რაც შეიძლება დავასკვნათ იქედან, რომ მან მეგობარს აუკრძალა საკუთარი ხელნაწერების გამოქვეყნება და სთხოვა მათი განადგურება. ძნელია შევაფასოთ, სწორად მოიქცა თუ არა მეგობარი, როცა კაფკას თხოვნა არ შეასრულა. მისი ეს საქციელი შეიძლება გავამართლოთ იმით, რომ მან კაფკას შემოქმედების გამოქვეყნებით მკითხველს თვალნათლივ გადაუშალა წინ მწვავე პრობლემა, რაც მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგან თუ პრობლემა არ იქნა დანახული, მისი მოგვარებაც ვერ მოხერხდება, ისე როგორც, თუ დიაგნოზი არ დადგინდა, მკურნალობაც უშედეგო და არაეფექტური იქნება. საჭიროა ვაღიაროთ პრობლემის არსებობა, არ შეგვეშინდეს მისი და დავსახოთ გზები მის გადასაჭრელად, გამოვიტანოთ იგი სააშკარაოზე და ყოველი ცალკეული ადამიანების მსგავსი პრობლემები აღვიქვათ საზოგადოების საერთო პრობლემად, რადგან საზოგადოება ინდივიდებისაგან შედგება და თითოეულ მათგანს თავისი როლი და დანიშნულება აქვს საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებაში. ყველა მათგანის სრულფასოვანი ცხოვრება განაპირობებს საზოგადოების კეთილდღეობას. მწერლის ტრაგიკულმა ბავშვობამ დიდი გავლენა მოახდინა მის პირად ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

აღნიშნული პრობლემა თანამედროვე ცხოვრებისთვისაც დამახასიათებელია, მიუხედავად

იმისა, რომ თანამედროვე ბავშვს საკუთარი თავის რეალიზების საშუალება უფრო მეტად აქვს, იგი ნაკლებად განიცდის მშობლების გავლენას, ამის გამო შეიძლება ვისაუბროთ თავისუფალ აღზრდაზე დემოკრატიულ სახელმწიფოში, მაგრამ ახლა აღნიშნულმა პრობლემამ სულ სხვა კუთხით იჩინა თავი. ბავშვები არასწორად იყენებენ მათთვის მინიჭებულ თავისუფლებას, მშობლების გავლენის შესუსტებამ გამოიწვია მათი არასწორი გზით სვლა. თუ ადრე მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობა უფრო მეტად შიშსა და მასთან ერთად პატივისცემას ემყარებოდა, დღეს ამ ურთიერთობამ სრულიად დაკარგა სახე და თავი იჩინა გაუცხოების პრობლემამ, რამაც მეტი სიმწვავის გამო გადაფარა და ჩაანაცვლა საკუთარი რეალიზების პრობლემა. ბუნებრივია, არც ერთი მათგანი მისაღები არ არაა. ზომიერების დაცვა ნებისმიერ ურთიერთობაში სავალდებულოა, საჭირო არ არის ზედმეტი შეხედულება და არც ზედმეტი თავისუფლების მინიჭება. ამ ურთიერთობას კი საფუძველი ბავშვობის ასაკში უნდა ჩაეყაროს. სწორად წარმართული საადამიროდელი პროცესის მეშვეობით, რომელშიც აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული მშობლები, დედ-მამის თანაბარი მონაწილეობა აუცილებელია. სამწუხაროდ, კაფკას აღზრდის პროცესში, როგორც ჩანს, დედას არ მიუღია მონაწილეობა, გვერდზე გადგა და ესეც მისი დანაშაულია. პატარა ბავშვის აღზრდა მან მიანდო ზედმეტად მკაცრ მამას, რომელიც შვილებზე ყველანაირად ზრუნავდა, მაგრამ სანაცვლოდ მათგან მორჩილებას ითხოვდა. სწორედ მამის ამ შეცდომამ განსაზღვრა შვილების ცხოვრება, დაღი დაასვა მას. როგორც ვიცით, კაფკასთან ერთად მისი დაც უწევდა მას წინააღმდეგობას, უფრო მეტად და აშკარად, ვიდრე ამას ძმა აკეთებდა. ეს კიდევ უფრო მეტად ამყარებს ჩვენში იმ მოსაზრებას, რომ შეცდომა მამის მხრიდან იყო დაშვებული და კაფკას მიერ საკუთარი თავის დადანაშაულება ალბათ უფრო მისი პიროვნების მაღალ ზნეობრიობას ამტკიცებს, რადგან ყოველი ღირსეული ადამიანი ცდილობს პირველ რიგში საკუთარ თავში იპოვოს მიზეზი და შემდეგ სხვა დაადანაშაულოს. კაფკა გამომჩენილ მწერალთან ერთად დიდი პიროვნებაცაა საკუთარი სუსტი მხარეებით.

ლიტერატურა:

1. ლიტერატურული კომენტარები. გამომცემლობა „დიოგენე“, 2008 წელი.
ზურაბ კაკაბაძე „ფილოსოფიური საუბრები“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1988 წელი

ლეილა აბზიანიძე, ნინო სოხაძე

Проблемы семейного воспитания по произведению Франца Кафки «Письмо отцу».

Резюме

Проблема очень острая. В коммунистическую эпоху считалось, что не существует и не могут быть спорными отношения между родителями и детьми. Сегодня же об этом все говорят открыто, что многим молодым людям трудно реализовать себя. Это вызвано тем, что родители стараются, чтобы дети были похожи на них, чтобы дети находились под их влиянием, желали и любили бы, как их родители.

К сожалению, родители забывают, что каждый человек является неповторимым индивидом и родитель должен суметь воспитать и развить эту индивидуальность, а не стараться уподобить себе.

Никто не спорит о том, что отношения родителей и детей самые сильные и нежные, но родители должны научить детей быть независимыми, свободными, но их свобода должна быть подчеркнута ответственностью.

В свою очередь, дети не должны выбирать по отношению к родителям такой радикальный путь, как это сделал Кафка, который отстранился от отца и его суровости и не идти на поводу родителей, которые иногда предлагают им легкую жизнь.

Человек силен и целен, когда ему хватает сил и показать, и дать почувствовать даже самым дорогим ему людям свою индивидуальность.

Leila abzianidze, Nino Sokhadze

The problems of upbringing about Franz Kafka's "Letter to my father"

Abstract

The problem is very acute. Communist era was considered that there is not and cannot be disputed attitude of parents and children were. Today we all openly talk about this. It is fact that many young people can't realization themselves. This is due to the fact the parents are trying that their children be like them and they also want children will be under parents influence. They want children love such things as they love.

The parents forget that person is unique and parents should be able to grow and develop this individualism.

No one argues that parents and children to communicate all strong and fragile but parents should teach their children to be independent and free, but their freedom responsibly should be emphasized. The children did not choose their parents with a radical way as it has got rid of Franz Kafka his father and his anger and also do not receive the way of life which suggest their parents.

It is a powerful and full of people, when they have the power. The most precious people is to show their individualism.

რეცენზენტი: პროფ. თ. გუსევა

პედაგოგია

Педагогика

Pedagogical Sciences

ნატო დვალთი

ქუთაისი, საქართველო

უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგის ეთიკა

პედაგოგმა, რომ ეთიკური ნორმები დაიცავს, უპირველესად უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობები, ანუ კარგად ასწავლოს, რაც სათანადო კომპეტენციას და ზოგად ერუდიციას მოითხოვს.

უმაღლესი სკოლის პედაგოგში სტუდენტი გულისხმიერ თანამოაზრეს და სიმართლისათვის მებრძოლს უნდა ხედავდეს, ვისთვისაც მიუღებელია ეროვნული, რელიგიური და სხვა ნიშნების მიხედვით ადამიანების დაყოფა. დექტორი თავად უნდა იყოს სამართლიანობისა და ჰუმანისტური იდეალების ერთგულების განსახიერება და სხვებსაც ამისთვის აღნთებდეს

მასწავლებლის პროფესიის მნიშვნელობის შეცნობა მთელი საზოგადოების ზნეობრივი მოვალეობაა. ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განათლების მეშვეობით საზოგადოებას შეუძლია ჩამოაყალიბოს საკუთარი მიზნები, მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობებისა და რესურსების ორგანიზება.

ამჯერად პედაგოგის პროფესიულ თავისებურებათა კონტექსტში, მისი სოციალური ქცევისა და ზნეობრივი მოქმედების შესახებ გვექნება საუბარი.

ზნეობის ანუ მორალის არსს და კატეგორიებს ეთიკა სწავლობს. სწორედ ეთიკის მეცნიერების საგანს წარმოადგენს ზნეობა, რომელშიც ამ ნორმათა ერთობლიობა იგულისხმება, რომლებიც პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების თანაფარდობის შეგნებას და მისდამი უანგარო დაქვემდებარებას გამოხატავენ.

თანამედროვე ეთიკის მეცნიერებაში გამოყოფენ ზნეობის შემდეგ ფუნქციებს, ესენია შემეცნებითი შეფარდებითი, საორიენტაციო, მოტივაციური, აღმზრდელობითი, ჰუმანისტური და პროგნოსტიკური. ისინი საზოგადო ღირებულებებია ყოველი პროფესიის ადამიანისათვის.

ზნეობრივი პრობლემების მიმართ გამორჩეულ ინტერესს ამჟღავნებს პედაგოგიკა, რაც ლოგიკურია. რადგან ზოგადად აღზრდა და მათ შორის ზნეობრივი აღზრდაც, პედაგოგიკის ერთ-ერთ ცნებას და ძირითად კატეგორიას წარმოადგენს.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ეთიკური ნორმები საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. მან შედარებით რეგლამენტირებული ხასიათი შუა საუკუნეების უნივერსიტეტებში შეიძინა, თუმცა უფრო ადრეც, ანტიკურ ეპოქაში არსებობდა მასწავლებლის ქცევის ზოგადი წესები, მაგრამ ისინი თვითრეგულირების საფუძვლზე აღმოცენდნენ.

ბოლო პერიოდში განვითარებულმა დემოკრატიულმა პროცესებმა შესაბამისი გავლენა მოახდინა უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობაზე და მათ შორის პედაგოგებისა და სტუდენტების დამოკიდებულებაზე. თუმცა პრაქტიკამ ცხადყო, რომ ლიბერალური საზოგადოების პირობებშიც კი, ის პრობლემები რაც ადმინისტრირებას და ზოგადად კანონმდებლობის ფარგლებს სცილდება, ზნეობის სფეროში ექცევა, ამიტომ უმაღლეს სასწავლებლებში ეთიკური

ნორმების დამკვიდრებისათვის მყარი გარანტიების შექმნით მთელი ევროპელი საგანმანათლებლო სამყარო დაინტერესდა. სწორედ ამის რეალური გამოძახილი გახდა უნივერსიტეტის დიდი ქარტია, რომელიც ბოლონიაში მიიღეს ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტების რექტორებმა. სწორედ მისი ზოგადი პრინციპები ედება საფუძვლად უმაღლესი სკოლის ეთიკურ ნორმებს, რომელსაც ზოგჯერ ეთიკურ კოდექსსაც უწოდებენ.

უნივერსიტეტების დიდი ქარტიის ფუნდამენტურ პრინციპებში სათანადო ადგილი უჭირავს ზნეობრივ პრობლემებს, მასში მითითებულია, რომ უნივერსიტეტებში კვლევა და სწავლება ზნეობრივად და ინტელექტუალურად დამოკიდებული უნდა იყოს ნებისმიერი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლებისაგან. უნივერსიტეტისთვის ასევე არსებითია შეუწყნარებლობისა და ნებისმიერი ძალადობის დაგმობა, იგი იდეალური ასპარეზი უნდა იყოს ისეთი მასწავლებლებისათვის, რომლებიც მზად არიან სხვას გაუზიარონ თავისი ცოდნა, განავითარონ იგი კვლევებისა და ინოვაციების საშუალებით და გადასცენ სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ ამ ცოდნასთან ზიარების უფლება, სურვილი და უნარი.

ევროპული უნივერსიტეტები საუკეთესო ჰუმანიტური ტრადიციების ერთგულნი რჩებიან და მათი ზრუნვის საგანი სტუდენტთა უფლებების დაცვა და მათ მიერ ისეთი გარემოთი სარგებლობაა, რომელშიც შესაძლებელია კულტურისა და ცოდნის შექმნა. სწორედ ამგვარადაა ჩამოყალიბებული ევროპული უნივერსიტეტების დიდ ქარტიაში აღნიშნული ფუნდამენტური პრინციპების განხორციელების საშუალებები.

გლობალიზაციის ეპოქაში კიდევ უფრო მეტი სიმწვავე შეიძინა აღნიშნულმა პრობლემამ. დინამიზმით აღსავსე თანამედროვეობამ თითქოს უკან გადასწია ადამიანის უმთავრესი და აღნიშნულება და ეს ტენდენცია გაჩნდა საგანმანათლებლო სექტორშიც. რატომღაც ყველას ავწყობდა, რომ მარტო კვალიფიკაცია არ არის საზოგადოების წინსვლისთვის საკმარისი, თუ მას პიროვნების, მოქალაქის სრულფასოვანი აღზრდაც არ ახლავს. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ მაღალკვალიფიციური ექიმი ან მასწავლებელი, რომელიც ზნეობაში მოიკოჭლებს. ამდენად, კვალიფიკაციის მიუხედავად, ეთიკის ნორმების დაცვა ყველას მოწოდება უნდა იყოს, მით უფრო, უმაღლესი განათლების მქონე პირებისათვის, რომელთა მოქალაქეობრივი აქტიუობა ძირითადად განაპირობებს საზოგადოების ზნეობას.

ამ თვალსაზრისით, უდიდესი მისიის შესრულება შეუძლია უმაღლესი სასწავლებლებს. სწორედ უმაღლესი სკოლებშია ის დიდი პოტენციალი, რომელიც ტონის მომცემია საზოგადოების ზნეობრივი გაენითარებისათვის. ამ მხრივ გამორჩეული ადგილი უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური პერსონალს უჭირავს.

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ იყო დიდი მეცნიერი, სრულიად არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ამავე დროს იყო კარგი პედაგოგიც. პედაგოგობა განსაკუთრებული ფსიქო-სოციალურ და ზნეობრივ უნარებს მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით კ. უშინსკი წერდა: „სწავლების ყოველგვარი პროგრამა, აღზრდის ყოველგვარი მეთოდიკა, როგორც სრულყოფილიც უნდა იყოს იგი, თუ აღმზრდელის რწმენაში არ არის გადასული, მკვდარია და არავითარი ქმედითი ძალა არ გააჩნია“. აქედან გამომდინარე პედაგოგისთვის იმის რწმენა, რომ იგი უკეთილშობილეს საქმეს აკეთებს, უმნიშვნელოვანესია. ამასთან ერთად ისე როგორც ნებისმიერი სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების მასწავლებლებისათვის, უმაღლესი სკოლის პედაგოგისთვისაც მთავარია, არა მარტო ნორმატიულ ფარგლებში შეასრულოს თავისი მოვალეობები, არამედ მთელი გატაცებით მიეცეს დაკისრებულ საქმეს. სხვა პროფესიებისაგან განსხვავებით, პედაგოგის ხემომქედების ობიექტი მოზარდი ან სტუდენტია, რომელიც ზედმიწევნით ფაქიზ მოპყრობას მოითხოვს.

დიახ, ჭეშმარიტებაა, რომ უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგის უპირველესი მოვალეობა სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესში კეთილსინდისიერი მონაწილეობა, სტუდენტისათვის ხარისხიანი განათლების მიცემაა. მაგრამ ამ მასშტაბური ამოცანის შესასრულებლად უმაღლესი სკოლის პროფესორის უამრავი პრობლემის გადაწყვეტა და ბარიერის გადალახვა უხდება. მათი გათვალისწინებით, ყველას როდი ძალუძს მასწავლებლის რთული, მაგრამ საპატიო წოდების ტარება.

უპირველესად პედაგოგის ეთიკური ნორმების შესრულებისთვის მასწავლებლის მომზადებაა საჭირო. შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ ეთიკა რწმენის სფეროა და ამას სწავლება არ უნდაო, მაგრამ, თუ საკითხს უფრო ჩავეუღრმავდებით, აღმოჩნდება, რომ რაგინდ დიდი სიყვარულით და რწმენით ვიყოთ აღვსილნი აღსაზრდელების მიმართ, თუ სათანადო კომპეტენცია არ გვექნება, ჩვენი შრომაც ფუჭი გამოვა და ისინიც მოტყუებულნი აღმოჩნდებიან, თუმცა რწმენა და სიყვარული ყოველთვის პედაგოგიური საქმიანობის განუყოფელ ატრიბუტებად დარჩება.

ამდენად, პედაგოგმა, რომ ეთიკური ნორმები დაიცვას, უპირველესად უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობები, ანუ კარგად ასწავლოს, რაც სათანადო კომპეტენციას და ზოგად ერუდიციას მოითხოვს. სწორედ მასში მოიაზრება პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური და მეთოდოკური მომზადება, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის ნებისმიერი საგნის პედაგოგის საქმიანობის განმსაზღვრელია. ამათთან ერთად, ანგარიშგასაწევია ლექტორის ინტელიგენტურობა, პუმანუტრობა, სამართლიანობა, შემწენარებლობა, ობიექტურობა და სხვა მრავალი თვისება, რომელთა უზადოდ დაცვის მაგალითებს სწორედ უმაღლესი სკოლის პედაგოგი უნდა იძლეოდეს.

უმაღლესი სკოლის პედაგოგი სამართლიანობისთვის უნდა აღანთებდეს სტუდენტს, სასურველია ავტორიტეტების პატივისცემა, მაგრამ რეალობის გრძობამაც არ უნდა გვიდალატოს და ვინმე კერპად არ გავიხადოთ. ლექტორმა ჭეშმარიტების ძიებაში უნდა წაახალისოს სტუდენტი, თავდაჯერებულობა შესძინოს მას. როგორც სოკრატე მის სახელოვან მოწაფეს პლატონს მიმართავდა: „როცა მე მომყვები ნაკლებად იფიქრე სოკრატეზე და მეტი ჭეშმარიტებაზე“.

ლექტორმა პირადი საქციელით უნდა მოიპოვოს სტუდენტების ნდობა და პატივისცემა. იგი უფროსი მეგობარი და თანამოაზრეა სტუდენტებისათვის. კარგი პედაგოგი სამართლიანად იცავს სტუდენტის ინტერესებს. ამიტომ მის სამართლიანობაში ეჭვიც არ ეპარებათ ახალგაზრდებს. ავტორიტეტის მოპოვებას წარმატებული პედაგოგები სტუდენტებთან თანამშრომლობით ახერხებენ და არა ავტორიტარული მიდგომით, სტუდენტებს რეალური საქმეების უფრო სჯერათ, ვიდრე უსაგნო ლაპარაკისა.

უმაღლესი სკოლის პედაგოგში სტუდენტი გულისხმიერ თანამოაზრეს და სიმართლისთვის მებრძოლს უნდა ხედავდეს, ვისთვისაც მიუღებელია ეროვნული, რელიგიური და სხვა ნიშნების მიხედვით ადამიანების დაყოფა. ლექტორი თავად უნდა იყოს სამართლიანობისა და პუმანისტური იდეალების ერთგულების განსახიერება, და სხვებსაც ამისთვის აღანთებდეს. წარმატებული პედაგოგები ადვილად პოულობენ საერთო ენას სტუდენტებთან, ტაქტიანად ახერხებენ მათი პრობლემების გაცნობას და საჭიროების შემთხვევაში, სათანადო მორალურ მხარდაჭერასაც არ აკლებენ მათ. სტუდენტისა და ლექტორის დამოკიდებულებაში უშუალობა, რომელიც ზომიერ ფარგლებშია მოქცეული, მათი სასწავლო-შემეცნებითი თანამშრომლობის მტკიცე საფუძველია, რომლის გარეშეც ეფექტური განათლება არ არსებობს.

უმაღლესი სკოლის პედაგოგმა რომ კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინოს აღსაზრდელთა ზნეობაზე, ამისთვის, პირველ რიგში იგი თვით უნდა ფლობდეს ესთეტიკურ კულტურას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ესთეტიკური კულტურა არა მხოლოდ ხელს უწყობს ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას, არამედ მას შეუძლია დადებითი მუხტი გადაცეს სხვა ადამიანებსაც. აქედან გამომდინარე, ესთეტიკურად განვითარებული პედაგოგი ყოველთვის ეცდება პრაქტიკულ საქმიანობაში შეიტანოს ესთეტიკური საწყისი, რაც ვლინდება მის გარეგნულ იერსახეში, მეტყველების კულტურაში, ხელოვნების ნიმუშების შეფასებაში და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მოვლენების მიმართ დამოკიდებულებაში.

პედაგოგის ეთიკა ვლინდება არა მარტო კონკრეტული სასწავლო საგნის პრობლემებზე მსჯელობისას, არამედ მისი როგორც პიროვნებისა და მოქალაქის დამოკიდებულებით პოლიტიკასთან, სამართალთან, რელიგიასთან და რაც პედაგოგისთვის მეტად ახლოებულია - მეცნიერებასთან. ამ უკანასკნელთან კეთილსინდისიერი დამოკიდებულება პირდაპირი კავშირია პედაგოგის ავტორიტეტთან სტუდენტების თვალში.

პედაგოგს გათავისებული უნდა ჰქონდეს ეთიკის კატეგორიები: ბედნიერება, მოვალეობა,

ღირსება და თავმოყვარეობა, სინდისი და სამართლიანობა. უმთავრესი, რაც პედაგოგის პროფესიას გამოარჩევს სხვებისაგან - ესაა სხვა ადამიანების ინტელექტუალურ და სულიერ გაგნითარებაზე ზრუნვა, ხოლო, როცა ამგვარი ზრუნვა უანგაროა, მაშინ ეთიკური კატეგორიებიც მოქმედებაშია.

ეთიკის მეცნიერებაში გამოყოფილია ზნეობის პრინციპები: შრომისმოყვარეობა, პატრიოტიზმი, ინტერნაციონალიზმი, ჰუმანიზმი და ოჯახის სიყვარული. თითოეული მათგანის მიმართ პედაგოგის დამოკიდებულება ბევრად განაპირობებს სტუდენტთა ზნეობრივ აღზრდას. პედაგოგის შრომისმოყვარეობის უპირველესი დასტური მისი მეცნიერული და პედაგოგიური მიღწევებია, რომელსაც მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ სტუდენტები.

მეგობრული გარემოს ჩამოყალიბებაზე ზრუნვა პედაგოგის მოღვაწეობის არსებითი სფეროა, როგორც ცნობილია კარგად შეკავშირებულ სტუდენტურ ჯგუფში გაცივებით გაიოლებულია სასწავლო ამოცანების გადაწყვეტა, ხოლო სტუდენტთა ზნეობრივი სრულყოფილებისათვის მისი მნიშვნელობა განუხომელია.

ჰუმანიზმის პრინციპი პედაგოგის საქმიანობის ქვაკუთხედი. მასწავლებლის მთელი მოღვაწეობა ამ პრინციპის რეალურად ხორცშესხმას გულისხმობს. პედაგოგის საქმიანობა ჰუმანიური იქნება, თუ მას სტუდენტი უყვარს ხლო ის პედაგოგი, ვისაც ეს კეთილშობილური გრძნობა არ აქვს, მარცხისთვისაა განწირული.

სწორედ ასეთი ჰუმანიური ქმედებები ექცევა ეთიკის ინტერესთა სფეროში და მას მართებულად ეძლევა პედაგოგის ეთიკის კვალიფიკაცია.

მასწავლებელთა მომზადება და განათლება უნდა იყოს ორიენტირებული პრაქტიკულ და რეალურ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ამის მიხედვით, შესაბამისად უნდა იცვლებოდეს მოთხოვნები მასწავლებელთა კადრების მომზადების გასაუმჯობესებლად.

ლიტერატურა:

- ვასაძე ნ. პედაგოგიკა 2000 წ.
 ჯ. ბერიშვილი - პედაგოგიკი 1994 წ.
 ა. ასათიანი - უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა - თბ., 2008 წ.
 მ. არახამია - პრაქტიკული დიდაქტიკისა და სკოლათმცოდნეობის ზოგიერთი საკითხი. ქუთაისი 2010 წ.
 მაღაზონია შ. - პედაგოგიკა თბ., 2005 წ.

ნათო დვალი

Этика педагога высшей школы

Резюме

Чтобы соблюдать этические нормы, педагог, прежде всего, должен выполнять свои обязанности, то есть хорошо обучать, что требует соответствующей компетенции и общей эрудиции.

В преподавателе высшей школы студент, прежде всего, должен видеть борца за справедливость и духовного единомышленника, для которого неприемлемо разделение людей по национальным, религиозным или другим признакам. Лектор сам должен быть олицетворением идеалов справедливости и гуманизма и призывать других.

Nato Dvali

Ethic of teachers at high school

Abstract

If the teacher wants to be ethical the first she do their duties.

She must learn well and it means she is educated person.

In High school pedagogic student must see the educated person whom is same nation, religion and other thing divide persons.

The teacher must be educated, up-bringing person whom the most value is moral and education.

I don't agree the teachers who think only knowledge the most important is up-bringing.

რეცენზენტი: პროფ. ქ. მამისეიშვილი

პედაგოგია

Педагогика

Pedagogical Sciences

ნინო სოხაძე

ქუთაისი, საქართველო

მოზარდი და თავისუფლება აღბერ კამიუს „დაცემის“ მიხედვით

ახალგაზრდობის დიდ ნაწილს არ ესმის, რას ნიშნავს თავისუფლება. რომ ეს არის დიდი პასუხისმგებლობა და არჩევითობა. ეს პრობლემა შევეცადეთ აგვეხსნა აღბერ კამიუს „დაცემის“ მთავარი მოქმედი პირის კლემენსოს მაგალითზე. მის მაგალითზე მკაფიოდ ჩანს, თუ როგორია თავისუფლების მაქსიმალური შეზღუდვა საკუთარი თავისათვის. როცა სხვას ბრძანებლობ ან ძალაუფლება გიყვარს ეს იმას ნიშნავს, რომ შენ სხვას თავისუფლებას ართმევ და ამავდროულად შენსას კარგავ.

ადამიანი თავისუფალია მაშინ, თუ ის არასდროს კარგავს საკუთარ მწარმს. არ დალატობს საკუთარ პრინციპებს და ის არასდროს ემორჩილება ძალაუფლებას.

თანამედროვე განათლების მოთხოვნა არის, რომ ახალგაზრდა იყოს ნაკითხი, განათლებული, რომ მან თავის პროფესიულ უნარებთან ერთად შეძლოს საკუთარი თავის პოვნა. იცვლება და შეიცვალა სასწავლო პროგრამები. ძალიან საინტერესოდ არის შედგენილი მე-12 კლასის ქართული ენის დამხმარე სახელმძღვანელო; განათლება მოითხოვს ახალგაზრდამ შეძლოს აზროვნება, საკუთარი შეხედულებების გამოხატვა, მისი დაცვა. ამისათვის კი აუცილებელია მწიგნობრობა, წიგნის სიყვარული.

სტუდენტი, რომელიც იღებს უმაღლეს განათლებას, მისთვის მხოლოდ საკმარისი არ არის ის სასწავლო კურსი, რასაც ის სწავლობს. მისაღებია, რომ პედაგოგიური ფაკულტეტის სასწავლო პროგრამაში ჩაისვა ახალი საგანი – განათლების ფილოსოფია, სადაც სტუდენტს ექნება საშუალება გაეცნოს და შეძლოს ფილოსოფიური ნააზრვეის ანალიზის გაკეთება.

თემა „ახალგაზრდობის ზნეობრივი მრწამსი კამიუს „დაცემის“ მიხედვით“. კაცობრიობის ისტორია გამუდმებული მოძრაობაა წინ თავისუფლების შემეცნებისაკენ.

როცა ზნეობაზე ვსაუბრობთ, უსიტყვოდ ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ვერ იქნები ზნეობრივი პიროვნება, თუ არ ხარ თავისუფალი.

ახალგაზრდების დიდ ნაწილს არ ესმის, რას ნიშნავს თავისუფლება. თავისუფლება, რომლის ფილოსოფიური განმარტება ასეთია: „თავისუფლება ეს არის გაცნობიერებული აუცილებლობა“. ახალგაზრდებს ჰგონია, რომ თავისუფლება ყველაფრის კეთების უფლებას აძლევს მას. ამიტომ თვლიან ფილოსოფოსები თავისუფლებას ტვირთად და სასჯელად. „ადამიანს მისჯილი აქვს თავისუფლება“ (სარტრი).

შევეცადოთ თანმიმდევრულად გავხსნათ ეს პრობლემა.

ადამიანი თავისუფალია მაშინ, თუ მისი მოქმედება ან გადაადგილება ფიზიკურად შეზღუდულია, მაგრამ ამ პირობებშიც კი მას საკუთარი მრწამსი არ დაუკარგავს, საკუთარ პრინციპებს არ დალატობს.

როგორია თანამედროვე ახალგაზრდა თავისუფლებასთან და ძალაუფლებასთან მიმართებაში? სამწუხაროდ, თანამედროვე ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო სწორად გაეგო, რას ნიშნავს იყო თავისუფალი. ამის შესაბამისად ის სწორად ვერ ახერხებს თავისი ძალისა და უფლების გამოყენებას.

უფლება – რაიმე მოქმედების, რისამე კეთების განხორციელების შესაძლებლობაა, რაც განსაზღვრული და განმტკიცებულია სახელმწიფო კანონთა და საზოგადოებრივ ურთიერთობაში დამკვიდრებული მორალით. თავისუფლება კი ფილოსოფიურად ნების გამომჟღავნების შესაძლებლობაა, რომელიც ზღუდავს რომელიმე კლასის, მთელი

საზოგადოების ან მისი წევრების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას ან მოქმედებას. თავისუფლების უპირველესი და უმთავრესი ნიშანია არჩევანის შესაძლებლობა. სადაც ეს შესაძლებლობა არ არსებობს, იქ არც თავისუფლებაზე შეიძლება ლაპარაკი. მხოლოდ ის არის თავისუფალი, ვინც დამოუკიდებლად აზროვნებს და არ იმეორებს სხვის სიტყვებს. თავისუფალია ადამიანი, რომელიც თავისი თავის უფალია, საკუთარი ნების აღმსრულებელია და ცხოვრობს საკუთარი არსის შესატყვისად.

კაცობრიობის ისტორია გამუდმებული მოძრაობაა თავისუფლების შემეცნებისაკენ. მისი მოპოვება უმსხვერპლად შეუძლებელია, ზოგჯერ კი ესეც არ კმარა. თავგანწირვით შესაძლოა საბოლოო შედეგი ვერ იქნეს მიღწეული, მაგრამ ეს აუცილებელია. თითქოს თავისუფლება ყველაფრის კეთების უფლებას გვაძლევს, მაგრამ ეს რომ ასე იყოს სამყაროში სრული ქაოსი გამოვლდებოდა. თავისუფლებას დიდი პასუხისმგებლობაც ახლავს და რაც მეტია თავისუფლების ხარისხი, მით მეტია თავისუფლების გრძნობაც. როგორც ვხედავთ, თავისუფლების ცნებას ერთი რომელიმე კონკრეტული განსაზღვრება ვერ ამოწურავს და მისადმი მრავალი მიდგომა, გაგება არსებობს.

ადამიანი თავისუფალია მაშინაც კი, თუ მისი მოქმედება ან გადაადგილება ფიზიკურად შეზღუდულია, მაგრამ ამ პირობებშიც კი მას საკუთარი მრწამსი არ დაუკარგავს, საკუთარ პრინციპებს არ დალატობს, მზადაა თავისუფლებას შეეწიროს, რომ ძალაუფლებას არ დაემორჩილოს და მისი მონა არ გახდეს. ძალაუფლება – საზოგადოების ხელმძღვანელი კლასის ან პიროვნების ბატონობაა. ძალაუფლება და თავისუფლება მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებია. საზოგადოებაში დამკვიდრებული და გაბატონებული შეხედულების მიხედვით, თუ ძალაუფლება ხელში გიჭირავს, მაშინ თავისუფალიც ხარ, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული გამოხატულებაა ამ ცნებისა. შეიძლება ითქვას, რომ რაც მეტი ძალაუფლების პატრონი ხარ, იმდენად უფრო შეზღუდულია შენი თავისუფლება, რადგან ამ შემთხვევაში იზრდება პასუხისმგებლობის გრძნობა.

როგორც ჩანს, თავისუფლებისა და ძალაუფლების პრობლემა ძალზედ აქტუალურია როგორც თანამედროვე ეპოქაში ტექნიკური გაუცხოებისა და ცხოვრების აჩქარებული ტემპის პირობებში, ისე გასული საუკუნის შემოქმედებაში. 1956 წელს გამოქვეყნდა ამავე საუკუნის ცნობილი მოაზროვნის, ფილოსოფოსისა და მწერლის – ალბერ კამიუს მოთხრობა „დაცემა“, რომელიც თავისუფლებისა და ძალაუფლების ურთიერთობის გარკვევას და ზოგადად ამ პრობლემას ეხმიანება. კამიუ „აბსურდიზმის“ თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლება და მისი გმირები ისწრაფვიან თავისუფლებისაკენ. ერთის ძალაუფლება მეორეს ხშირად უჯდება თავისუფლების ფასად. ეს ოდითგანვე ასე იყო და ალბათ ამ კავშირს საუკუნეებიც ვერ შეცვლის.

კამიუს გმირი საკუთარი პრინციპებით ცხოვრობდა. კლემანსი ისე მოექცა ცხოვრების მწვერვალზე, რომ ამისთვის ბრძოლა არ დასჭირვებია.

სიმბოლური დატვირთვა აქვს ნაწარმოების დასაწყისში ნახსენებ სურათს, რომლის შესახებაც მის ბოლოს ვიგებთ. ესაა მისტიური კრავის ერთ-ერთი პანო – „მოუსყიდველი მსაჯულები“. ზედ ცხენებზე ამხედრებული მსაჯულები იყვნენ, რომლებიც წმინდა კრავის თაყვანისსაცემად მიეშურებოდნენ. კლემანსი ტაძარს არ უბრუნებს ამ სურათს, მთავარ მიზეზად კი ის მოაქვს, რომ მსაჯულები უბიწო კრავის სანახავად მიიჩქარიან, კრავი კი აღარ არსებობს, ისევე როგორც უცოდველობა, საბოლოოდ გამოეყო ერთმანეთს უცოდველობა და მართლმსაჯულება. „მონანიე მსაჯული“ კი მისი ცხოვრების გზაზე მიუთითებს, თუ ვინ იყო აქამდე და რად იქცა – მსაჯული აღმსარებლად.

ფვიქრობთ, კამიუს გმირი გარეგნულად თავისუფალია, მის სრულყოფილ თავისუფლებას კი სულის სიმშვიდე აკლია, რაც ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე მოსვენებას უკარგავს მას, ეს იმის შემდეგ, რაც მასში სინდისის ხმა გაიღვიძებს.

დაცემა გამოთენისას ხდება – ესეც სიმბოლურია, რადგან დღის სინათლეზე ადამიანის სულიერი დაცემა, რაც გამოწვეულია მისივე მანკიერი თვისებებით, უფრო ნათელი და აშკარა შესამჩნევია მაშინ, როცა ყოველგვარ სიბილწესა და მანკიერებას ღამის წყვდიადი შთანთქავს და გააქრობს.

კამიუს გმირმა ცხოვრებას მორგებულად აუწყო ფეხი. მთელი თავისი ცხოვრება თავისუფალი და ძლიერი იყო, გააჩნდა ისეთი მისწრაფებები, როგორც ალბათ საზოგადოების უმრავლესობას – იბატონოს სხვაზე. ეს კი თავისთავად გულისხმობს ვიდაცისთვის თავისუფლების შეზღუდვას. მისი აზრით, შეუძლებელია ისე იცხოვრო, რომ არ მბრძანებლობდე და ვინმე არ იმსახურო. იგი კარგად იცნობს სასტიკ ბუნებას ადამიანისას, რომელიც გრძნობებისაგან დაცლილი პირუტყვს ემსგავსება. მაგრამ მათ შორის განსხვავებაცაა, ადამიანი მოაზროვნე ცხოველს წარმოადგენს, ცხოველი კი არ წარმოადგენს მოაზროვნე ადამიანს. ჩვენში ადამიანური გრძნობები მხოლოდ ადამიანთა დაღუპვის შემდეგ იღვიძებს. მკვდრების მიმართ უფრო სამართლიანი ვართ, რადგან მათი აღარაფერი გემართებს და ისინი ჩვენს თავისუფლებას აღარ ზღუდავენ.

ჟან ბაპტისტ კლემანსი უდავოდ დიდი ფსიქოლოგია, რადგან ადვილად შეუძლია მის გარშემო მყოფ ან უცხო ადამიანებზე გავლენის მოხდენა. ის ნიჰილისტია, მაგრამ არაბანალური. მიესწრაფვის გრძნობად-ხორციელ სიამოვნებებს, რაც კარგად ჩანს ქალებთან მის დამოკიდებულებაში. სულიერი ღირებულებებისაგან დაცლილი გულგრილი პიროვნებაა და ამას ალბათ ის საზოგადოებაც განაპირობებს, რომელშიც მას უხდება ცხოვრება და მოღვაწეობა. თუ კაცი სრულ ბედნიერებასა და ფუფუნებაშია, ის სულით ვერ ამადლდება და პირუტყვივით გადაყოლილია თავის მძორს.

თვითკმაყოფილების გრძნობით შეპყრობილი გმირის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა მას სინდისის ხმა ჩაესმის, მაგრამ ამას ჯერ კიდევ ვერ ხვდება. ხიდზე გავლისას მას მოესმის სიცილის ხმა, მაგრამ არა მოხვენებითი, სრულიად ბუნებრივი, ადამიანური. ეს სწორედ ის სინდისის ხმაა, რომელიც მას შემდეგ მთელი მისი ცხოვრების გზას აჩრდილად გასდევს და სულიერ სიმშვიდეს უკარგავს. ამ მომენტიდან იწყება ცვლილებები მის ცხოვრებაში. იგი იწყებს საკუთარი ქმედებების, ზოგადად განვლილი ცხოვრების განსჯას და დაშვებული შეცდომების აღიარებას, თუმცა მხოლოდ ამით შემოიფარგლება და მათი გამოსწორებისათვის არაფერს აკეთებს. ჩვენ ადვილად ვივიწყებთ ჩვენს შეცდომებს, თუ მათ შესახებ ჩვენს გარდა არავინ იცის. საკუთარი ცოდვების დავიწყება უსირცხვილობას ბადებს, ნაკლოვანებების ნათელი შეგნება კი ადამიანს სრულყოფასთან აახლოვებს. დასაფასებელი კამიუს გმირში ისაა, რომ იგი ბოლოს საკუთარი თავის წინაშე მანც იხსნის ნიღაბს, აღიარებს საკუთარ უმსგავსოებას. მას შეუძლია მაშინ მანც გაუსწოროს თვალი რეალობას, როცა საკუთარ თავთან მარტოა და საზოგადოების წინაშე არ უწევს ცხოვრების მიერ შემოთავაზებული როლების თამაში. არადა ეს ნიღაბი თავის დროზე იმიტომ მთიერგო, რომ ცხოვრების მაღალი მწვერვალებისთვის მიედწია და ამან შედეგიც გამოიღო. მის მსგავსად, ბევრი სხვაც მიისწრაფვის დიდებისა და ძალაუფლებისკენ, რადგან იციან, რომ ამ შემთხვევაში მათ ბრალს იოლად ვერ დასდებენ. მან მიაღწია ცხოვრების მაღალ მწვერვალებს, საიდანაც შეძლო სხვისი გასამართლება.

როგორი გვინდა იყოს ახალგაზრდა ანუ როდის ხარ თავისუფალი? როცა შეგიძლია სწორად დაინახო ქრისტიანული რელიგიის ღირებულებები, შეგიძლია ნამდვილი, წრფელი, უანგარო სიყვარული, აცნობიერებ შენი ერის ისტორიულ წარსულს და ამ წარსულში ეძებ შენს თავისუფლებას. შეძლო, გაერკვე შენს შესაძლებლობებში, შეძლო შენი ინდივიდუალურობის გამოხატვა, ცხოვრებას შეხედო იმ რეალობით, რაც არის და არა ისე, როგორც შენ გინდა იყოს, შეძლო თავის დამკვიდრება. არასდროს დაპატარავდე, რომ ძებნა დაუწყო შენი სურვილების შემსრულებელ ადამიანს და ამით დაუკარგო მას ღირსების გრძნობა.

ნურასოდეს წაშლი ადამიანში მადლიერების გრძნობას და სინდისის განცდას. იყავი ბუნებრივი, უბრალო და მადლით აღვსილი.

ლიტერატურა:

1. ზურაბ კაკაბაძე „ფილოსოფიური საუბრები“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1988 წელი.
2. ალბერ კამიუ „დაცემა“.
3. ჯემალ ქარხიაძე „შემოქმედების კანონი“.

Нино Сохадзе**Молодежь и свобода по произведению Альбера Камю "Падение"****Резюме**

Большая часть молодежи не знает, что значит свобода. Что это является большой ответственностью и выбором. Мы попытались объяснить эту проблему на примере главного героя произведения Альбера Камю "Падение" Клеменсо. На его примере ясно видно, каким является максимальное ограничение свободы для себя. Когда ты приказываешь другим или любишь властвовать _ это значит, что ты отнимаешь свободу у других и одновременно теряешь свою.

Человек свободен лишь тогда, если он не предаёт собственную веру, не предаёт собственных принципов и никогда не подчиняется власти.

Nino Sokhadze**Young people and Freedom about Albert Camus's "The Fall"****Abstract**

A lot of past of young people do not understand what it means freedom. It is great responsibility and elections. This problem we try to explain about Albert Camus's ~The Fall" the main character's Clement example. Which clearly shows you what the maximum reduce freedom about himself.

When you make order others or like the power this means you take away freedom other people and lost yours.

Human is free if he or she never loose his or her values and never subordinate power.

Freedom and mood are two concept. You must not be free if you have not moral and you have not moral if you are not free.

You are free when you can estimate your mistakes. You don't like mask. And often stay alone yourself.

You are free when you know freedom is responsibility of justice life.

You are free when you have never became so little that you search your wishes implementation people.

რეცენზენტი: პროფ. ლ. კიროვა

პედაგოგია

Педагогика

Pedagogical Sciences

გულიზარ მენგელია

ქუთაისი, საქართველო

აღზრდა-განათლება და პედაგოგიური აზრის განვითარება მე-20 საუკუნის 20-იან წლების საქართველოში

საქართველო წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ განაპირა კოლონიურ მხარეს. მის სამეურნეო კულტურულ განვითარებას განზრახ აფერხებდა რუსეთის მთავრობა, რომელიც ქართველი ხალხის განვითარებასა და სულიერი კულტურის ამაღლებისათვის დიდ ღტოლვას ყოველმხრივ ბორკავდა, ქართულ სკოლებში კრძალავდა მშობლიურ ენაზე სწავლებას, ნერგავდა მეფისადმი მონური მორჩილების სულისკვეთებას. სახალხო განათლება ნგრევის გზაზე იყო. უარესდებოდა მშრომელი ხალხის მდგომარეობა. მათი სამუშაო დრო 12–16 საათს შეადგენდა, ხოლო ხელფასები მათი მოთხოვნილებების მინიმუმს ვერ აკმაყოფილებდა, არ არსებობდა მშრომელთა დაზღვევა, დასვენება, განათლება. უვარგისი სასკოლო მოწყობილობა, სკოლის მატერიალური ბაზის სიღარიბე, კვალიფიციური მასწავლებლების სკოლებიდან განდევნა, სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სასკოლო ნივთების სიმცირე შლიდა მთელ სასკოლო მუშაობას. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა იყო საქართველოს პერიფერიებში, რომელსაც მთავრობა სრულიად უყურადღებოდ ტოვებდა. მაგ: დუშეთის მაზრაში 35 სასწავლებელი იყო, მაგრამ ფაქტიურად ეს სასწავლებლები არ არსებობდა, არსებობდა მხოლოდ ქაღალდზე. სკოლების უმრავლესობა ნორმალური მუშაობისათვის შეუფერებელ დაქირავებულ ბინებში იყო. ამის გამო საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე განათლების მინისტრიც კი იძულებული იყო ეთქვა, საქართველოს რესპუბლიკაში სკოლების მდგომარეობა მოშლილია. სკოლების რიცხვი სისტემატიურად მცირდებოდა; მთავრობა ფინანსური კრიზისის საბაბით მასობრივად ხურავდა ეროვნულ უმცირესობათა სკოლებს, ხელს უწყობდა ნაციონალური შუღლის გაღვივებას, ნერგავდა მოსახლეობაში უკულტურობას, სიბნელესა და უვიცობას. სკოლების შენობების მდგომარეობაც სავალალო იყო, შენობები შეკეთებას საჭიროებდა, რასაც მთავრობა შეგნებულად არ აკეთებდა. მაგალითად, თელავის მაზრაში იყო 40 სკოლა, სადაც სწავლება მხოლოდ 25 სკოლაში მიმდინარეობდა. არანაკლები მდგომარეობა იყო სამეგრელოში. სენაკის მაზრის სოფელ ეწერის სამრევლო სკოლის შენობა განადგურებული იყო, სკოლის დარბაზს აწვიმდა, ბავშვები მერხების უქონლობის გამო იატაკზე დაწოლილები წერდნენ, ასეთი მდგომარეობის გამო სკოლებში სწავლა ხშირად წყდებოდა.

მე-20 საუკუნის 20–იან წლებში სკოლებში უსისტემო მუშაობა იყო. არ არსებობდა გეგმები და პროგრამები. ყოველივე ეს ხელს უწყობდა სასკოლო ასაკის ბავშვების სკოლის ჩამოცილებას. სკოლებს ტოვებდა კვალიფიციურებული მასწავლებლები. ყველაფერი კი ხელს უწყობდა მოსწავლეთა ცოდნის დონის დაცემას. სკოლებში ფაქტიურად გლეხის შვილები ვერ სწავლობდნენ, რადგან მაღალი იყო სწავლის გადასახადი, ვერც ძვირადღირებულ სა-

ხელმძღვანელოებს ყიდულობდნენ. იყო ისეთი სოფლები, სადაც ასამდე ბავშვიდან მხოლოდ 15–20 ბავშვი დადიოდა სკოლაში. ფართოდ იყენებდნენ ბავშვების შრომას. იზრდებოდა სწავლის გადასახადი. მაგალითად, საშუალო სასწავლებლის უმცროს სკოლაში 500, ხოლო უფროს კლასებში 1200 მანეთი იყო. ეს იმ დროს ხდებოდა, როცა საქართველოში მიმდინარეობდა სიღატაკე, სიძვირე იყო. მთავრობა აცხადებდა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარებას, რაც არ ხერხდებოდა. სკოლები ფაქტიურად გაბატონებული კლასის ინტერესებს ემსახურებოდა, ღარიბთა შვილები მოკლებული იყვნენ ელემენტარული განათლების შესაძლებლობას.

სასკოლო მუშაობაში დამკვიდრდა ანარქიზმი, არ არსებობდა ერთიანი სასკოლო სისტემა, ამიტომ იყო რომ ხშირად ერთნაირი ტიპის სკოლებში სხვადასხვა სასწავლო გეგმებით მუშაობდნენ, არ ექცეოდა ყურადღება სუფთა წერას, ისტორიას. არსებობდა პროგრამები, რომელიც „შრომითი სკოლის“ პრინციპებს ექვემდებარებოდა. სკოლებს არ გააჩნდათ აუცილებელი სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები, არ არსებობდა სტაბილური პროგრამები, სასწავლო გეგმები, სკოლებს არ ჰქონდათ ბიბლიოთეკები, კაბინეტები, დიდაქტიკური მასალები. მიუხედავად ამისა, მაინც ხდებოდა სწავლების საქმის გაუმჯობესებისათვის ფართო მუშაობა. მოწინავე ინტელიგენცია თავს არ იხოვავდა ამისთვის, გამოსცემდნენ სახელმძღვანელოებს, სხვადასხვა დამხმარე წიგნებს. გამოვიდა ზალიშვილის „მოკლე სახელმძღვანელო ბუნების მეტყველება“ „ალგებრა და ელემენტარული გეომეტრია“, ჭიჭმაძის „პირველი დაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა“. ი.ოცხელის „ქრესტომატია საშუალო სკოლის პირველი კლასის კურსი“ და სხვები. ივ.ჯავახიშვილის ინიციატივით შეიქმნა კომისიები:

- საზოგადო ისტორიის (შ.ნუცუბიძე, დ.უზნაძე, რ.ნათაძე)
- საქართველოს ისტორიის (მ.კეკელიძე, ივ.ჯავახიშვილი, ე.თაყაიშვილი)
- ქართული ენისა და ლიტერატურის (აკ.ყიფშიძე, აკ.შანიძე, გ.ახვლედიანი)
- უცხო ენების და ლიტერატურის (ალ.ყიფშიძე, აკ.შანიძე, გ.ახვლედიანი)
- მათემატიკის (ანდრია რაზმაძე, გ.ნიკოლაძე)
- ფიზიკა-ქიმიის (ა.დიდებულიძე, ი.მოსეშვილი)
- ბიოლოგიური დარგების (ზ.ყანჩაველი, დ.გედევანიშვილი)
- ფილოსოფიის დარგების (შ.ნუცუბიძე, დ.უზნაძე)
- სპეციალური და ტექნიკური დარგების (ალ.ყიფშიძე, ი.დიდებულიძე)

ამ კომისიებს მთავრობა არავითარ მატერიალურ დახმარებას არ უწევდა. მიუხედავად ამისა, კომისიები ენერგიულად ეწეოდნენ სახელმძღვანელოების შექმნის საქმეს.

მოწინავე ინტელიგენციის უკმაყოფილება მთავრობის საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ ღვივდებოდა, მოსალოდნელი ცვლილებები შეიძლება განხორციელებულიყო „ქვევიდან“, ამიტომ მთავრობამ დაასწრო და „ხვევიდან“ შესძლო გაეტარებინა ცვლილებები განათლების დარგში. შეიცვალა სასკოლო განათლების სისტემა, სკოლებმა მიიღეს შესაძლებლობა ნორმალურად წარმართათ სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა. შეიქმნა აკადემიურ ცენტრთან სახალხო განათლების სისტემის საორგანიზაციო კომისია, რამაც ხელი შეუწყო სასკოლო საქმის ახლებურ ნიადაგზე მოწყობას. მთავარი იყო სკოლა უნდა გათავისუფლებულიყო ბურჟუაზიული, ფეოდალური, კლასობრივი წოდებრივი კლანებისაგან და შექმნილიყო ნამდვილი ეროვნული სკოლა, რომელზეც ზრუნვა ძირითადად სახელმწიფოს დაევალებოდა, სკოლაში სწავლება დედაენაზე უნდა წარმართულიყო, უნდა განხორციელებულიყო ქალისა და ვაჟის სრული თანასწორობის პრინციპი განათლებაში, უნდა მომხდარიყო მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია, ყველა მოქალაქისათვის უნდა შექმნილიყო საერთო სკოლა, ისეთი სასკოლო სისტემით, რომელიც დააკავშირებდა ერთიანი სწავლების ყველა საფეხურს, უმაღლესი სკოლის ჩათვლით.

20-იან წლებში გამოიცა სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე, არა მარტო დაწვებითი სკოლებისთვის, არამედ საშუალო სკოლის უფროს კლასელებისათვისაც. ეს სახელმძღვანელოები არ იყო სრულყოფილი აღზრდის პრინციპების თვალსაზრისით, ვერ პასუხობდნენ ყველა აუცილებელ საკითხებს, მაგრამ ამ სახელმძღვანელოებში იყო ბევრი დადებითი, რომლის გამოყენება შეიძლებოდა.

მარტო სახელმძღვანელოები ვერ წყვეტდა სკოლის გაერთონების საკითხს. საჭირო იყო სკოლის სრულყოფა მასწავლებელთა ადგილობრივი კადრებით. გვერდს ვერ ავუვლით იმ სავალალო მდგომარეობას, რომელშიაც მასწავლებლები იყვნენ. ხელუფლების სიმცირე, ხშირად უბინაობა და ჩაუცმელობა იწვევდა მასწავლებელთა უკმაყოფილებას. 1918 წლის იანვარში, ჩოხატაურის რაიონის სახალხო სკოლის მასწავლებლები გაიფიცნენ, ისინი მოითხოვდნენ სამრევლო და საერო სკოლების გაერთიანებას, მიუღებელი ჯამაგირების დარიგებას, თვიურ ჯამაგირის 30 მანეთით გაზრდას, ერთდროულად 500 მანეთით დახმარებას, ომის პერიოდში დღეში 1 მანეთისა და 20 კაპიკის დანიშვნას. თუ ის არ შესრულდებოდა, თავს დაანებებდნენ მუშაობას. გაიფიცა ქუთაისის სახალხო მასწავლებლები, რომლებსაც მხარი დაუჭირეს მუშებმა და მოსამსახურებმა.

20-იანი წლების საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს მძიმე ფინანსურ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. სახელმწიფო ბიუჯეტი არ იძლეოდა საშუალებას სკოლებს მიეღოთ მინიმუმი, რომელიც აუცილებელი იყო მასწავლებლების შესანახად, სკოლის შენობებისა და სასკოლო ავეჯის შესაკეთებლად. ბავშვები სახელმძღვანელოებისა და რვეულების სიმცირეს განიცდიდნენ, რაც გამოწვეული იყო ქაღალდის ნაკლებობით. არ მზადდებოდა საკმარისად ფანქრები, კალმები, მათი შოვნა კი ჭირდა. მიუხედავად ამისა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელი მაინც იზრდებოდა.

შემოიღეს ახალი სასკოლო სისტემა. ეს სისტემა გულისხმობდა სოციალურ-ჰუმანური ტექნიკუმების გაუქმებას, 7 წლიანი სკოლები 9 წლიან სკოლებად უნდა გადაკეთებულიყო, საპატიო ადგილი უნდა დაეჭირა სასოფლო-სამეურნეო სკოლებს, სხვადასხვა პროფილით ოთხი კლასის ბაზაზე და ტექნიკუმების შვიდწლიანი სკოლის ბაზაზე.

დიდი ყურადღება ექცეოდა საქართველოს მთიან მხარეს: სვანეთს, ხევსურეთს, ფშავს, სადაც განათლების დონე დაბალ საფეხურზე იყო. დიდი გარდაქმნები დაიწყო მთის სკოლებში.

უმაღლესი სკოლა

საქართველოში ბრძოლა უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო, მაგრამ ეს ვერ განხორციელდა, რადგან რუსეთი ნაციონალური კულტურის განვითარებას ძირშივე ახშობდა. ცარიზმის დამხობის შემდეგ პროგრესული ინტელიგენციის ნაწილმა (ივ.ჯავახიშვილი, პ.მელიქიშვილი, ა.რაზმაძე, ი.ყიფშიძე, კ.კეკელიძე, დ.უზნაძე) განაახლა ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისათვის. ინტელიგენციის ერთი ნაწილი მოითხოვდა დამოუკიდებელი სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებას. მეორე კი – ქალთა უმაღლესი კურსების თანდათანობით გადაკეთებას სახელმწიფო უნივერსიტეტად.

1917 წლის 20 ოქტომბერს თბილისში მოწვეული იქნა უმაღლესი განათლების სექციის სასწავლო კომისია და ქალთა უმაღლესი კურსების წარმომადგენელთა გაერთიანებული სხდომა. კრებამ გამოაყენა კომისია, რომელსაც დაევა ქალთა უმაღლესი კურსების და უნივერსიტეტის ურთიერთდამოკიდებულების გარკვევა. კომისიამ უმაღლესი განათლების სექციის სხდომაზე წარადგინა მოხსენებითი ბარათი, რომლითაც უნდა მომხდარიყო დამოუკიდებელი სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის ნაცვლად ქალთა უმაღლესი კურსების გადაკეთება უნივერსიტეტად, რადგან კომისიის აზრით, უნივერსიტეტს უნდა გადაეცემოდა

მზამზარეული მატერიალური ბაზა, სასწავლო ხელსაწყოები, პროფესორ-მასწავლებლების ძირითადი ბირთვი, მსმენელთა კონტიგენტის საკმაო რაოდენობა.

1917 წლის 13 ნოემბერს თბილისის ქალთა უმაღლესი კურსების საბჭომ აირჩია უნივერსიტეტის საგანგებო კომისია, რომელსაც დაევადა უნივერსიტეტის რექტორისა და დეკანის ღირსეული კანდიდატების შერჩევა. ეს ყველაფერი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა დაწერილი. მხოლოდ 1918 წლის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. უნივერსიტეტის რექტორად 1919 წლის 13 იანვრიდან არჩეულ იქნა პეტრე მელიქიშვილი. 1920 წელს დაიხურა ამიერკავკასიის უნივერსიტეტი (ყოფილი ქ.უ.კ.) მისი ქონება გადაეცა სახელმწიფო უნივერსიტეტს. სტუდენტები კი განაწილებული იქნა მეორე და მესამე კურსებზე.

უნივერსიტეტში სტუდენტებს არავითარი შეღავათები არ ეძლეოდათ, დაწესებული იყო მაღალი გადასახადი. გაბატონებული იყო სწავლების სქოლასტიკური მეთოდი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განმტკიცება შესაძლებელი გახდა მომდევნო წლებში.

ლიტერატურა:

1. უ.ობლადე. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საბჭოთა საქართველოში, თბილისი 1961 წ.
2. სახალსო განათლება და პედაგოგიკის მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში. 1921–1961 წ. (კრებული) თბილისი 1962
3. უ.ობლადე. განათლება და პედაგოგიური აზროვნება საქართველოში. 1921–1956 წ.
4. უ.ობლადე. სახალსო განათლება საბჭოთა საქართველოში. თბილისი 1961 წ.

Гулизар Шенгелиа

Образование и развитие педагогической мысли в Грузии в 20-х годах двадцатого века

Резюме

Грузия представляла собой одну из окраинных колониальных сторон Российской империи. Ее культурное и хозяйственное развитие тормозило Российское правительство. Дело образования находилось в упадочном состоянии, в массовом порядке закрывались народные школы, не существовало учебных планов и программ, у школ не было библиотек, дидактических материалов, кабинетов-лабораторий.

Несмотря на все это, передовая грузинская интеллигенция не щадила себя для улучшения дела образования, создавались предметные комиссии, ввели новую школьную систему. Большие перемены происходили в горных районах Грузии.

В Тбилиси открылся государственный университет, ректором которого был избран Петр Меликишвили.

Guliko Shengelia**Education and Development of Pedagogical opinion at the beginning of the 20 th century****Abstract**

Georgia was the colony of the Great Russian Empire. Its agricultural and cultural development was prevented by Russian Government. No attention was paid to education. Schools were closed having no teaching programmes, curriculum, libraries, labs even any methodical materials. In spite of this Georgian intelligentsia was doing its best in order to improve educational level creating new school system. Those reforms took place in mountainous regions as well.

State University was opened in Tbilisi and Petre Melikishvili was elected as a Rector.

რეცენზენტი: პროფ. თ. გუსევა

ჟურნალისტიკა

Журналистика

Journalistic

ნათია ჯიქია

ქუთაისი, საქართველო

„ნავის მქექავნი“ - ანუ ამერიკელი მაკრეკერები მე-19-20 საუკუნის მიჯნაზე

სტატია ეხება აშშ-ში მე-19-20-საუკუნის მიჯნაზე წარმოშობილი მიმდინარეობის არსსა და სპეციფიკას, იგი გვაცნობს ამ მაკრეკერთა ცნობილ წარმომადგენლებს, მათ ბეჭდვით ორგანოებსა და მოღვაწეობის ძირითად ასპექტებს. სტატიაში, ასევე, მოთხრობილია მაკრეკერთა-იგივე ნავის მქექავთა, მიმდინარეობის მარცხის ზოგად მიზეზებსა და თავისებურებებზე.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ამერიკული ჟურნალისტიკა “მაკრეკერულ” პერიოდს გადის (“ნავის მქექავთა მოძრაობა”) ანუ იგივე მამხილებელი ჟურნალისტიკა. 1880 წლებისათვის საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ორმა მნიშვნელოვანმა ჟურნალმა, რომელთაც კურსი აიღეს აგრესიულ ჟურნალისტიკაზე და მამხილებელ მასალებზე. ეს იყო ნიუ-იორკის “ზე ფორუმ”, რომელიც მკითხველს სენსაციურ მამხილებელ-მასალებს სთავაზობდა პოლიტიკური და ეკონომიკური სფეროების ირგვლივ.

ტრადიციულად, “მარკერობის” შემოსვლა უკავშირდება ჯეკობ რიისისა და გენრი დემა-რესტ ლლოიდის გამოჩენას.

ჯეკობ რიისი, “ზე ნიუ იორკ სანის” კორესპონდენტი წერს თავის პუბლიცისტურ მასალას ნიუ-იორკის ჯურღმულებზე და თავის შეხედულებებს გეთავაზობს წიგნში “როგორ ცხოვრობს მეორე ნახევარი” (1890). რიისის მიერ მოძიებულმა ფაქტებმა, რომელიც მან მიიღო ჯურღმულში მცხოვრებ ადამიანებთან თანაცხოვრების შედეგად, მკითხველებზე შოკისმომგვრელი შთაბეჭდილება გამოიწვია. ამერიკელი პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი (რომელსაც ეკუთვნის ტერმინის “მაკრეკერული ჟურნალიზმის” ავტორობა) მოგვიანებით წერდა, რომ რიისის წიგნი იქცა მისთვის იმ “შთაგონებად და, რომლისადმი ვერასოდეს ვერ გამოხატავდა თავის მადლიერებას.” ათწლიანი “ჯვაროსნული სვლა” ჯეკობ რიისისა, რომელიც აღწერილია მის მიერ პუბლიცისტურ წიგნში “ბრძოლა ჯურღმულებთან” (1902) იქცა იმის საწინდარად, რომ მან ამერიკული ჟურნალისტიკის ისტორიაში მან ადგილი დაიჭირა.

არანაკლები მნიშვნელობა “ნავის მქექავთა” მოძრაობის ჩამოყალიბებაში ითამაშეს პენრი ლლოიდის სტატიებმა და წიგნებმა. იგი იყო დამოუკიდებელი ჟურნალისტ-რეფორმატორი ჩიკაგოდან. ლლოიდმა თავდაპირველად მიიქცია ყურადღება 1881 წელს გამოქვეყნებული სტატიით ჟურნალში “ზე ატლანტიკ მანსლი”. მაშინ ზუსტად, შემოკლებით და დამაჯერებლად აისახა “სტანდარტ ოილის” ზღვაგამოსილი ნავთობკომპანიის ბიზნესის წარმოების ბინძური მეთოდები. ლლოიდის კლასიკურ ნაწარმოებად იქცა წიგნი “სიმდიდრე კეთილდღეობის წინაღმდეგ” (1894), რომელშიც მოთხრობილია იმის შესახებ თუ როგორ აგროვებდნენ სიმდიდრეს ძღვევამოსილი ადამიანები, რომლებიც არ ერიდებოდნენ ხარჯებსა ხელისუფლების, ეკლესიასა და განათლების სფეროებში თავიანთი გავლენის მოსაპოვებლად. ლლოიდმა

დაუმტკიცა ყველას, რომ შეიძლება ისაუბრო კონგრესის კომისიის ანგარიშებსა და სასამართლო ოქმებზე დაყრდნობით ისეთი დამაჯერებლობითა და ადამიანური ვნებებით, რომ ნაწარმოები ეკონომიკურ თემაზე იქცეს მნიშვნელოვან ჟურნალურ ნაწარმოებად და დაიჭიროს ღირსეული ადგილი XIX საუკუნის ბოლო მეოთხედის ლიტერატურაში” ლლოიდის ავტორისტული ფრაზა – “თავისუფლება წარმოშობს სიმდიდრეს და სიმდიდრე – ანგრევს თავისუფლებას” – იქცა “ნაგვის მქექავთა” დევიზად. ეს სოციალური კრიტიკა მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემისა განასხვავებდა “ნაგვის მქექავთა” მოძრაობას მომდევნო ათასწლეულების მამხილებელი ჟურნალისტიკისაგან, რომელთაც თან სდევდათ პოლიტიკური მისწრაფებები.

1900-იან წლებში შეიმჩევა მთელი რიგი ჟურნალების გამოჩენა, რომლებიც შეიძლება დავახარისხოთ, როგორც “მაკრეკერული” – **“McClure’s Magazine”**, (“მაკკლურეს მეგეზინი”), **“The Arena”** (“ზე არენა”), **“Everybody’s Magazine”**, (“ვერებოდის მეგეზინი”), **“The American Magazine”**, (“ზე ამერიკან მეგეზინი”), **“Cottier Magazine”** (“ქოუშერ მეგეზინი”), **“Cosmopolitan Magazine”** (“კოსმოპოლიტენ მეგეზინი”) და ა. შ. მაკრეკერული ჟურნალისტიკის წარმატებას უზრუნველყოფდა საუკუნეთა მიჯნაზე დამკვიდრებული ტექნიკური სიახლეები, რომლებიც უკავშირდებოდა ლინოტიპის გამოჩენას, როდესაც მოხდა საგამომცემლო საქმის სრული მექანიზაცია. უფრო ძვირადღირებული და მისაღები ტექნიკა ფოტოტიპისა საწინდარი გახდა ძვირადღირებული ქსილოგრაფიისა. შედეგად კი სოლიდური ილუსტრირებული გამომცემები მივიღეთ. მაგალითად, “ზე სენჩურში” (**“The century”**) დაკარგა თავისი პრიორიტეტულობა “ყვითელი პრესის” იაფფასიანი გამომცემების ფონზე, მსგავსი ორიენტაციის გამომცემებში უფრო დიდი აღიარება მოიპოვა ნიუ-იორკულმა ჟურნალმა **“McClure’s Magazine”** (მეკკლურის მეგეზინი). 1902 წლის ოქტომბერში მის გვერდებზე გამოჩნდა ლინკოლნ სტეფენსონის სტატია “ტვიდის დრო სენტლუისში”, ამ პუბლიკაციით, რომელშიც მხილებულ იქნა მუნიციპალური ხელისუფლების კორუფცია, დაიწყო ახალი ერა მაკრეკერულ ჟურნალისტიკაში. ეს ნომრები ისეთი სისწრაფით გაიყიდა, რომ მკითხველები ახალ სენსაციურ მამხილებელ მასალებს თხოულობდნენ.

სტეფენსონი ჟურნალის რედაქტორის პოსტზე მიიწვიეს, სადაც 1902-1906 წლებში მოღვაწეობდა. ჟურნალში დაიბეჭდა ახალი სერია სენსაციური წერილებისა, რომელმაც თავი მოიყარა მის ცნობილ წიგნში “ქალაქების სირცხვილი” (1904), რომლის მთავარ თემად იქცა სახელმწიფო ინსტიტუტების კორუმპირებულობა, პოლიციის კავშირი დამნაშავეთა სამყაროსთან, სხვადასხვა მონოპოლიების საეჭვო ქმედებები და სხვა არანაკლებად “ცხელ-ცხელი” მასალები. არცთუ მაღალი ფასი (15 ცენტრი) და სენსაციური მასალა ტირაჟის გაზრდას განაპირობებდა, რომელმაც 3 მილიონ ეგზემპლიარს მიაღწია

“მეკკლურე მეგეზინი“-ში მუშაობდა მთელი პლეადა ნიჭიერი ჟურნალისტი მაკრეკერებისა, რომელთა პუბლიკაციები აერთიანებდა მკითხველთა მილიონიან აუდიტორიას. 1902-1904 წლებში აიდა ტარბელმა, რომელმაც გააგრძელა ლლოიდის ტრადიცია, დაწერა მთელი რიგი სენსაციური რეპორტაჟები, რომელშიც ამხელდა მსხვილი მონოპოლიების გამდიდრების მეთოდებს. ამ სტატიებმა საფუძველი დაუდგეს წიგნს “სტანდარტ ოილის” ისტორია”, რომელშიც ტარბელმა გამოიკვლია ჯ როკფელერის ნავთობკორპორაციის წარმოშობისა და გამდიდრების ისტორია.

ტარბელმა გამოავლინა მჭიდრო კავშირი დიდ ბიზნესსა, პოლიტიკურ წრეებსა და სახელმწიფო აპარატს შორის და უჩვენა საშიშროება დემოკრატიული საზოგადოებისათვის მიუღებელი მონოპოლიისა უკონტროლო საქმიანობის წამოების შემთხვევაში.

ჟურნალისტი-მაკრეკერების პუბლიკაციებს ჟურნალების რედაქტორებისათვის მნიშვნელოვანი შემოსავალი მოჰქონდათ, ამიტომაც საუკუნის დასაწყისში გამომცემებმა და რედაქტორებმა ფართო ასპარეზი მისცეს მაკრეკერების მოღვაწეობას. მაკრეკერთა სამხილებში ბევრი ადამიანის რეპუტაცია ილახებოდა, ნებისთ თუ უნებლიეთ. ამიტომაც ამერიკის გავლენიანი წრეების მხრიდან სრულიად მოსალოდნელი იყო კონტრშეტევა “ნაგვის მქექავებზე” და იმ რეფორმატორულ იდეებზე, რომლებსაც ქადაგებდნენ ეს ჟურნალისტები. თავდასხმა კი, ძირითადად, ხორციელდებოდა კონსერვატორი რედაქტორების, პოლიტიკოსებისა და ეკლე-

სიის მოძღვართა მხრიდან. ბიზნესმენები ერეოდნენ პოპულარული პერიოდიკის საგამომცემლო პოლიტიკაში, ემუქრებოდნენ განთავსებული რეკლამის გამოთხოვაში, ხშირ შემთხვევაში ისინი აღწევდნენ კონტროლს გამოცემის პირდაპირი შესყიდვის გზით. “ამერიკან ნიუს კომპანი” ასევე, ფართოდ სარგებლობდა თავისი გავლენით პროგრესულ ჟურნალებზე, ეწინააღმდეგებოდა მათ გავრცელებას. შედეგად კი მაკრეკერული ჟურნალები თანდათან გაქრნენ ერთი-მეორის მიყოლებით და დაიწყეს თავისი საგამომცემლო პოლიტიკის შეცვლა. 1910 წელი გამოცემებისათვის გარდატეხის წელი იყო. უდიდესი ტირაჟები რამდენიმე წლის თავზე “ტიტანიკით” ჩაიძირნენ, წავიდნენ ფსკერისაკენ. ამას თავისი გამომწვევი მიზეზები ჰქონდა: ზეწოლა დიდი ბიზნესის მხრიდან, მკითხველთა ინტერესის დაცემა, საგამომცემლო ბაზრის კონიუნქტურის შეცვლა. თითქმის ყველა ჟურნალები მსგავსი ორიენტაციისა ან იცავდნენ თავის პროფილს, ან ითქვიფებოდნენ სხვა დანარჩენ გამოცემებთან ერთად. AD

ლიტერატურა:

1. Михайлов С.А. Журналистика Соединенных Штатов Америки СПб.: Изд-во Михайлова В.А., 2004 г. www.evartist.narod.ru
Беспалова А.Г., Корнилов Е.А., Короченский А.П., Лучинский Ю.В., Станько А.И.
ИСТОРИЯ МИРОВОЙ ЖУРНАЛИСТИКИ. Москва – Ростов-на-Дону: издательский центр «Март», 2003. www.evartist.narod.ru
2. Wikipedia, the free encyclopedia, muckrakers.

ნათია დჯიკია

Макрекеры- разгрябители грязи в США Резюме

В этот же период в журналистике США формируется направление, представители которого ставили перед собой задачу бороться против общественных пороков путем расследования злоупотреблений и привлечения к ним внимания общественности. По их мнению, разоблачение зла должно было помочь людям понять его сущность и первопричины, побудить стремление к переменам, создать в обществе предпосылки для реформ, которые покончили бы с произволом, коррупцией, обманом. Вслед за журналом «Арена» в конце XIX – начале XX в. и в других американских изданиях, главным образом в массовых журналах «McClure's», «Collier's», «Everybody's», «Cosmopolitan», появляются многочисленные разоблачительные публикации, посвященные недостойным и преступным действиям крупных компаний, коррупции на различных уровнях исполнительной и законодательной власти. В 1906 г. президент США Теодор Рузвельт, которого раздражала критика журналистов-разоблачителей в адрес госаппарата, уничижительно назвал их макрейкерами (*muckrakers*), что означает «разгребатели грязи», «копающиеся в навозе», «любители грязных сплетен». Однако сами разоблачители, искренне полагавшие, что их миссия заключается в очищении общества от всякого рода скверны, восприняли подобную характеристику их деятельности одобрительно. Оформившееся на рубеже веков движение представителей расследующей, разоблачительной журналистики стало именоваться движением макрейкеров. «Разгребателями грязи» называли публицистов и писателей, не связанных какой-либо единой идейной программой, но объединенных общей борьбой против коррупции, морального разложения государственной бюрократии и деловых кругов, против экономических злоупотреблений и обмана потребителей.

Макрейкерское движение пошло на спад после финансового кризиса 1911 г., ударившего по массовым журналам.

Natia Jikia

The muckrakers- in USA**Abstract**

The term muckraker refers to reform-minded journalists who wrote largely for popular magazines, continued a tradition of [investigative journalism](#) reporting, and emerged in the [United States](#) after 1900 and continued to be influential until [World War I](#), when through a combination of advertising boycotts, dirty tricks and patriotism, the movement, associated with the [Progressive Era](#) in the United States, came to an end.^[1]

Before World War I, the term "muckraker" was used to refer in a general sense to a writer who investigates and publishes truthful reports to perform an auditing or watchdog function. In contemporary use, the term describes either a journalist who writes in the adversarial or alternative tradition or a non-journalist whose purpose in publication is to advocate reform and change.^[2] Investigative journalists view the muckrakers as early influences and a continuation of [watchdog journalism](#).

The term is a reference to a character in John Bunyan's classic [Pilgrim's Progress](#), "the Man with the Muckrake" that rejected salvation to focus on filth. It became popular after President [Theodore Roosevelt](#) referred to the character in a [1906 speech](#).

While a literature of reform had already appeared by the mid-19th century, the kind of reporting that would come to be called "muckraking" began to appear around 1900.^[3] By the 1900s, magazines such as [Collier's Weekly](#), [Munsey's Magazine](#) and [McClure's Magazine](#) were already in wide circulation and read avidly by the growing middle class.^{[4][5]} The January 1903 issue of McClure's is considered to be the official beginning of muckraking journalism,^[6] although the muckrakers would get their label later. [Ida M. Tarbell](#) ("The History of Standard Oil"), [Lincoln Steffens](#) ("The Shame of Minneapolis") and [Ray Stannard Baker](#) ("The Right to Work"), simultaneously published famous works in that single issue. Claude H. Wetmore and Lincoln Steffens' previous article "Tweed Days in St. Louis", in McClure's October 1902 issue was called the first muckraking article. According to Fred J. Cook, the muckrakers' journalism resulted in litigation or legislation that had a lasting impact, such as the end of [Standard Oil](#)'s monopoly over the oil industry, the establishment of the [Pure Food and Drug Act](#) of 1906, the creation of the first [child labor laws in the United States](#) around 1916. Their reports exposed bribery and corruption at the city and state level, as well as in Congress, that led to reforms and changed election results.

რეცენზენტი: პროფ. გ. ქობალიანი

ქვეყნისმცოდნეობა

Страноведение

History

ღარეჯან ღემეტრაძე

ქუთაისი, საქართველო

ავსტრია და ავსტრიელები

ავსტრია მდებარეობს ცენტრალური ევროპის სამხრეთით და მოიცავს როგორც აღმოსავლეთ ალპების ნაწილს, ასევე მდინარე დუნაის სივრცეს, მისი ფართობი შეადგენს 83585 კმ². ავსტრიას შემდეგი სახელმწიფოები ესაზღვრება: გერმანია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, სლოვენია, იტალია, შვეიცარია და ლიხტენშტაინი.

ავსტრიის დემოკრატიული რესპუბლიკა ფედერალური სახელმწიფოა და შედგება დამოუკიდებელი მხარეებისაგან:

1. ბურგენლანდი (დედაქალაქი აიზენშტადტი)
2. კარინთია (დედაქალაქი კლაგენფურტი)
3. ქვემო ავსტრია (დედაქალაქი საკნტ-პილტენი)
4. ზემო ავსტრია (დედაქალაქი ლინცი)
5. ზალზბურგი (დედაქალაქი ზალცბურგი)
6. შტირია (დედაქალაქი გრაცი)
7. ტიროლი (დედაქალაქი ინსბრუკი)
8. ვენა (დედაქალაქი ვენა)

ალპებში მდებარე სახელმწიფო და მდინარე დუნაის ხეობის ვაკე ადგილები ჯერ კიდევ პრეისტორიულ დროში იყო დასახლებული. მშობლიური წიადისეულის, უპირველესად მარლის და რკინის წყალბოთი, წარმოიშვა შექმნილი კელტური მოსახლეობა, რომელიც უკვე ქრისტეშობამდე I საუკუნეში მოსაზღვრე რომის იმპერიის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი გახდა. ქრისტეს დასაბამიდან ნორისის ეს სამეფო რომის იმპერიას შეუერთდა და ამავდროულად დაპყრობილი რეგიონი (დასავლეთ ავსტრია) და პანონიით (ქვემო აღმოსავლეთ ავსტრია და ბურგენლანდი) რომაული რეზინდენცია გახდა. თითქმის 500 წლის განმავლობაში მეფობდნენ რომაელები დუნაიზე. როდესაც რომაელები ხალხთა დიდი გადასახადების შემოტევის გამო დათმობაზე წავიდნენ და დუნაი დატოვეს, უკან მხოლოდ ერთ დროს აყვავებული ქალაქები დარჩა.

მე-8 საუკუნის დასასრულამდე ავსტრიის ტერიტორია ხალხთა გადაადგილებისათვის გადასავლელი მხარე იყო. დუნაიზე გერმანელები გადადიოდნენ, ხოლო ჰუნები, რომლებიც აღმოსავლეთიდან მოედინებოდნენ, მხედრული სვლით საფრანგეთამდე ახწევდნენ. შემდეგ ავსტრიის აღმოსავლეთში ავარები დასახლდნენ, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილიდან მდინარე დუნაის ქვემოთ ბავარიელები შეიჭრნენ, ქვემო ავსტრიის ჩრდილოეთ ნაწილში – კარინთიასა

და სამხრეთ შტირიაში – სლავური წარმოშობის ერი სახლობდა. მე-8 საუკუნის დასასრულს კარლოს დიდმა მდინარეების დუნაისა და დრავას შორის ავარების შემდგომი შეჭრის საწინააღმდეგოდ, ბასტიონად კაროლინგური სამარკგრაფო დააარსა. რომაელთა ბატონობის დასასრულიდანვე ალპების სივრცე შოტლანდიელ ბერთა მიერ თანდათან გაქრისტიანდა.

როცა 976 წელს ბაბანბერგთა ბავარიულ სათავადაზნაურო გვარს ამ მხარის მართვა მიენდო, ავსტრია ჯერ კიდევ მწირად იყო დასახლებული. ძლიერ მიზანსწრაფულად აფართოებდნენ ბაბენბერგები შემდგომ საუკუნეებში თავიანთი ძალაუფლების სფეროს, გონიერი ქორწინების პოლიტიკით ისინი იმპერიის ერთ-ერთი წამყვანი ოჯახის წოდებისკენ მიიწევდნენ წინ. 1156 წელს ავსტრია გახდა საჰერცოგო, რომელიც სპეციფიკური უფლებებით იყო წარმოდგენილი. როდესაც ბაბენბერგები მე-13 საუკუნის შუა წლებში საერთოდ აღარ არსებობდნენ, მათ თავიანთი სამეფო მხარე უკვე მნიშვნელოვნად აკონდათ გაფართოებული. ბაბენბერგების დინასტიის შემდეგ ავსტრიის ტერიტორიის უმეტეს ნაწილს 1251 წლიდან განაგებდა ჩეხიის მეფე პრჟემისლ II ოტოკარი.

პრემისლოვიჩების დინასტიის წარმომადგენლების პრემისლ II ოტოკარის მეფობის შემდეგ ხანმოკლე უმეფობის ხანა დადგა და ამის შემდეგ 1282 წელს ავსტრიის საჰერცოგო წარმოშობით შვაბიელ ჰაბსბურგებს ებოძათ ლენით. ისინი მიზანდასახულად და უაღრესად მოხერხებულად განუწყვეტლივ აფართოებდნენ თავიანთ ძალაუფლების სფეროს, მათ მემკვიდრეობითი შეღწეკრულებით მოიპოვეს საჰერცოგოები – შტირია, კარინთია და თიროლი, შემდეგ კი მიიმატეს ისტრია, გოერცი და ტრიესტი.

1437 წელს ჰერცოგმა ალბრეხტმა, რომელიც იმპერატორ სიგიზმუნდის (სიგიზმუნდ I -, „საღვთო რომის იმპერიის“ იმპერატორი; უნგრეთის, ჩეხიის მეფე 1368-1437წწ.) ქალიშვილზე იყო დაქორწინებული, სიმამრის გარდაცვალების შემდეგ, პირველად მოიპოვა იმპერატორის ღირსება ჰაბსბურგთა სახლში. შემდგომ საუკუნეებში მისი შთამომავლები გამუდმებით ატარებდნენ საღვთო რომის იმპერიის იმპერატორის გვირგვინს. გონიერი ქორწინების პოლიტიკით ჰაბსბურგთა სახლი თავის ტერიტორიას აფართოებდა, მან მოიპოვა ბურგუნდია და ნიდერლანდი. ჰაბსბურგები ესპანეთშიც მმართველობდნენ, 1522 წელს ჰაბსბურგთა ოჯახი ესპანურ და ავსტრიულ შტოებად გაიყო, რომელთაგან ავსტრიულმა შტომ იაგელონების დინასტიის აღარ არსებობის შემდეგ ჩეხეთი და უნგრეთი მოიპოვა.

მე-16-17 საუკუნეებში ავსტრიისათვის აღსანიშნავია ოსმალეთის იმპერიასთან უთანხმოებებით, რომლის ურიცხვი ჯარები ვენის კარიბჭემდე ორჯერ მიიჭრნენ. ოსმანთა ექსპანსიის ჩახშობის შემდეგ ავსტრიამ მრავალი მხარე დაიპყრო და ეპროპაში უძლიერესი სახელმწიფოს ადგილი დაიმკვიდრა.

მე-18 საუკუნის მე-2 ნახევარში გატარებული რეფორმებით იმპერატრიცა მარია ტერეზიამ და მისმა ვაჟიშვილმა იოზეფ II საფუძველი ჩაუყარეს ახალი ტიპის მმართველობის სახელმწიფოს. საფრანგეთის რევოლუციის და მის შემდეგ ნაპოლეონის მიერ წართქეზილი ომების შედეგად ევროპის რუკაზე მომხდარმა ცვლილებებმა საღვთო რომის იმპერიის ნგრევა გამოიწვია. იმპერატორმა ფრანც II 1806 წელს გვირგვინი მოიხსნა, ორი წლით ადრე კი მან ნაპოლეონის საიმპერატოროს მიბაძვით ავსტრიაც საიმპერატოროდ აქცია.

ავსტრიისთვის გადამწყვეტი დამარცხებების შემდეგ ჰაბსბურგთა სახელმწიფო დათმობებზე უნდა წასულიყო. 1867 წელს იმპერატორი ფრანც-იოზეფი თანახმა გახდა ავსტრია-უნგრეთის ორმაგი მონარქიის დაარსებისა. ეს მრავალეროვანი სახელმწიფო I მსოფლიო ომის შემდეგ დაინგრა. ყოფილი ორმაგი მონარქიის ნგრევის შემდეგ დარჩენილი ავსტრიის სახელმწიფო 1918 წელს რესპუბლიკად ჩამოყალიბდა. დიდი ძალისხმევით მოიპოვა აწ უკვე პატარა სახელმწიფომ თავისი ადგილი ახალი წყობის ევროპაში. 1938 წელს ეს ქვეყანა ჰიტლერული გერმანიის აგრესიის ზეწოლის და ქვეყნის შიგნით არამყარი დამოკიდებულებების გამო მსხვერპლად იქცა. 1945 წელს მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ აღდგენილი ავსტრიის

დამოუკიდებელი რესპუბლიკა 1955 წლამდე საფრანგეთის, ინგლისის, საბჭოთა კავშირის და ამერიკის ჯარებს ეკავათ. 1955 წელს ეროვნულმა საბჭომ კონსტიტუციით მიიღო ავსტრიის მუდმივი ნეიტრალიტეტი, ამავე წელს ავსტრია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შევიდა. შემდგომ ათწლეულებში ავსტრიამ ევროპულ სტრუქტურაში აღიარებული ადგილი პპოვა. ევროპულ ინტეგრაციაში მონაწილეობისათვის მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ 1995 წლის 1 იანვარს ავსტრია ევროკავშირის წევრი გახდა.

ავსტრიელთა 53% ამყობს იმით, რომ ავსტრიელია, ეს სხვა ქვეყნებთან შედარებით საოცრად მაღალი ციფრია. ავსტრიელები თავის ომის მსხვერპლად თვლიან.

„ავსტრია ისეთი პატარა ქვეყანაა, რომ შეგიძლია შენი პაწია თითოთ დაფარო ის მსოფლიო რუკაზე და, მაინც: მთელი მსოფლიოდან მოდის ურიცხვი ხალხი ავსტრიაში; აი, ახლაც ვიღაც შემოდის!” – ასეთი განმარტება აქვს ავსტრიას საბავშო ენციკლოპედიაში.

ჰაიმიტო ფონ დოდერერის განმარტებით კი: „ავსტრია რომ საერთოდ არ არსებობდეს, ავსტრიელები მაინც იქნებოდნენ, რადგან ავსტრიელის წოდების მინიჭება, ავსტრიელად კურთხევა, ცალკეულ შემთხვევაში და პერსონალურად იქნებოდა შესაძლებელი”.

„ჩვენ ცოტანი ვართ, მაგარამ დახვეწილნი” – ამბობენ ავსტრიელები, რომელიც გერმანულად ესოდენ ლამაზად უღერს: “Wir sind klein, aber fein!”

ლიტერატურა:

1. Die deutschsprachigen Länder-Land und Leute.
2. DACH – Österreich im Spiegel. Franz Theodor Csokor.
3. Tatsachen über Österreich. Herausgegeben vom Bundesspressdienst. Wien 2000.

Darejan Demetradze

Resümee

Die demokratische Republik Österreich ist ein Bundesstaat und wird aus den selbstständigen Ländern Burgenland, Kärnten, Niederösterreich, Oberösterreich, Salzburg, Steiermark, Tirol, Vorarlberg und Wien gebildet.

Schon in urgeschichtlichen Zeiten besiedelt, ließ seine zentrale Lage in der Mitte Europas Österreich an allen historischen Entwicklungen teilhaben. Aus einer Grenzmark entstand ein mächtiges Reich, ein Vielvölkerstaat, der mit dem Ende des Ersten Weltkrieges zerfiel. Die kleine Republik Österreich fand sich 1918 nur schwer im europäischen Umfeld zurecht.

1955 erfolgte die Aufnahme von Österreich in die Vereinten Nationen und der österreichische Nationalrat beschloss ein Bundesverfassungsgesetz über die immerwährende Neutralität des Landes.

Seit dem 1. Jänner 1955 ist Österreich Vollmitglied der EU.

რეცენზენტი: პროფ. ს. კოროტკაია

ესთეტიკა

Эстетика

Esthetics

ნინო მგალობლიძე

თბილისი, საქართველო

ქართული მოდა პოსტსაბჭოთა სოციოკულტურულ კონტექსტში (90-იანი წლები)

წარმოდგენილი ნაშრომი არის ჩვენი სადოქტორო დისერტაციის ნაწილი. დისერტაცია ეძღვნება მოდის თეორიის პრობლემატიკასა და საქართველოში მოდური პროცესების განვითარების ანალიზს. თანამედროვე ქართული მოდური პროცესის უფრო სრულყოფილად წარმონიშნათვის, ჩვენს შრომაში მივმართავთ პოსტსაბჭოთა პერიოდის, კერძოდ, 90-იანი წლების ტანსაცმლის რეტროსპექტულ მიმოხილვას. ვფიქრობთ, მიუხედავად იმისა, რომ ტანსაცმელში ნათლადაა გამოკეთილი ვესტერნიზაცია და სხვა გლობალური ტენდენციები, 90-იანი წლების საქართველოს ტანსაცმელი ჯერ-ჯერობით მოიცავს საბჭოთა წარსულის სემიოტიკურ მნიშვნელობას. ჩვენს მიერ ტანსაცმლის მოხმარების სტილისა და ხასიათის ასახვა როგორც ყოველდღიურობის კულტურის ერთ-ერთი ფენომენისა - არის პირველი ცდა ქართულ ჰუმანიტარულ ცოდნაში.

XX-XXI საუკუნეთა მიჯნა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა: მეცნიერთა ინტერესის სფეროში მოექცა „ჩვეულებრივი“ ადამიანის ცხოვრების პრაქტიკა. ყოველდღიურობის ისტორიის ძირითადი სიუჟეტები, ისეთები, როგორიც არის: ყოფა, ტანსაცმელი, შრომა, დასვენება, წესჩვეულებები გარკვეული ასპექტით ადრეც შეისწავლებოდა, მაგრამ მათი სისტემური კვლევით მხოლოდ ბოლო ათწლეულებში დაინტერესდნენ. ერთ-ერთ მეტნაკლებად მნიშვნელოვან პრობლემად და პერსპექტიულ თემადა თანამედროვე კულტუროლოგიაში ჩაცმის გამოცდილება იქცა, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვიძენთ.

წინამდებარე ნაშრომის კონტექსტში ჩვენი გვაინტერესებს ტანსაცმლის სტილების ტრანსფორმაცია 90-იანი წლების საქართველოში. გამოკვლევა ნაწილია ჩვენი სადოქტორო დისერტაციისა, რომელიც მოდის თეორიის პრობლემათა შესწავლასა და საქართველოში მოდური პროცესის განვითარების თავისებურებებს ეძღვნება. ამჯერად ჩვენ წარმოვადგენთ პირველ მცდელობას ქართულ ჰუმანიტარულ ცოდნაში ავსახოთ ყოველდღიურობის კულტურის ფენომენი, კერძოდ, ტანსაცმლის მოხმარების თავისებურებები აღნიშნულ პერიოდში. როგორ შეიცვალა ქალაქური მოდა და რა დარჩა საბჭოური მოქალაქეთა გარეგნულ იერში. კვლევის მეთოდად თბილისის ქუჩების მოდის შესასწავლად ვიყენებდით დაკვირვებას. კვლევის პრაქტიკაში დაკვირვების მეთოდი არის სასწავლო ობიექტის მიზანდასახული, ორგანიზებული დაფიქსირება (Жоль, 2004), მოდის თეორიების უმეტესობა ეფუძნება სწორედ ადამიანების ღია ქმედებებსა და ცალკეული ინდივიდების ქცევაზე დაკვირვების მონაცემებს. ეს მეთოდი შევარჩიეთ ჩვენც. დაკვირვების ობიექტებად გვევლინებიან ცალკეული პიროვნებები, ადამიანთა ჯგუფები, მოვლენები, პროცესები და სხვა. მონაცემთა შეგროვების ვიზუალურ პროცედურას იმგვარად ვაწარმოებდით, რომ, გვეჩვენებინა, პირველ რიგში, ტანსაცმლის სტილების ვარი-

აციათა მაქსიმალური რაოდენობა, ხოლო, მეორე მხრით, ტანსაცმლის ყველაზე ტიპობრივი სტილები, რისი დანახვაც კი შეიძლებოდა თბილისის ქუჩებში

იმ სფეროებს, რომელთა ცვალებადობაც ჩვენ გვანტერესებს, მიეკუთვნება მოხმარების კულტურა. ამავდროულად, მიუხედავად რა სემიოლოგთა იდეებს, ტანსაცმელს განვიხილავთ როგორც ნიშანთა სისტემას. აქედან გამომდინარე, ჩვენ თვალს მივადევნებთ მოდური ნიშნის ცვალებადობას და მასში ჩადებულ მნიშვნელობებს საზოგადოების საბჭოურიდან თანამედროვეობაში გადასვლის პროცესში. ვაჩვენებთ, როგორ ასახვას მოდური ნიშანი სოციალურ ცვლილებებს საქართველოში. მოცემული ნაშრომი წარმოადგენს მსგავსი კვლევის პირველ მცდელობას და უდაოდ მოითხოვს შემდგომ სისტემურ გააზრებას. „სამომხმარებლო რევოლუციები“ და მოდა. თანამედროვე მოდასა და მოხმარების კულტურაზე გავლენა მოახდინა „სამომხმარებლო რევოლუციამ“. „სამომხმარებლო რევოლუციის“ მცნებას მკვლევარები იყენებენ იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებიც საჭიროებით განპირობებულ მოხმარებიდან (necessary consumption) გადაჭარბებულ მოხმარებაზე (overconsumption) გადავიდნენ. იმ ქვეყნების ნიმუშებიდან, რომლებმაც ამ ბოლო ხანებში გადაიტანეს ან ახლა გადააქვთ „სამომხმარებლო რევოლუციები“, როგორც წესი, ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს (უნგრეთი, ესტონეთი), ლათინური ამერიკის ქვეყნებს (ბრაზილია, არგენტინა) და აზიის ქვეყნებს (ჩინეთი) ასახელებენ (Löfgren, 1994.P.51; Davis, 2000; Caldwell, 2002; Cweglédý, 2002; Fehérváry, 2002; Patico, Caldwell; 2002).

როდესაც მკვლევარები “სამომხმარებლო რევოლუციებზე” საუბრობენ, მხედველობაში აქვთ პოლიტიკური ცვლილებები, - სოციალიზმის პოსტსოციალიზმსა და კაპიტალიზმში გადასვლა, სოციალისტური ეკონომიკის შეცვლა საბაზრო ეკონომიკით, საცალო ვაჭრობის ბაზრისა და მოხმარების სტრუქტურის განვითარება; მკვლევარებს მხედველობაში აქვთ აგრეთვე საშუალო კლასის ჩამოყალიბება, ინდივიდუალური მოხმარების გაზრდა (Davis, 2000; Caldwell, 2002; Cweglédý, 2002; Fehérváry, 2002; Patico, Caldwell, 2002). ლოგიკას თუ შიშვევებით, აღნიშნული ტრანსფორმაციების ფონზე ტანსაცმლის სოციალისტური კულტურის პრაქტიკა, ასევე საბჭოთა მოდის ღირებულებებიც უნდა შეიცვალოს ან გაქრეს. თუმცა ანთროპოლოგებმა დაამტკიცეს, რომ მოხმარების საგნები და მოდელები, რომლებიც ცირკულირებენ გაერთიანებული დენაციონალიზირებული არხებით, ასე უბრალოდ ვერ შეიჭერებიან „ძირეულ“ კულტურებში და მთლიანად და სრულად ვერ შეცვლიან ლოკალურ ყოველდღიურ ყოფას. უფრო მოსალოდნელია, რომ მოხმარებლები მოერგებიან ახალ ტენდენციებს მოხმარების სფეროში მათთვის ჩვეულებად ქცეული პრაქტიკის გათვალისწინებით. ამიტომ თანამედროვე მოხმარების კულტურა ყალიბდება ძველი და ახალი სტილებისა და საგნების თანაარსებობს პირობებში (Patico, Caldwell: 2002, 286). ჩვენ შევეცდებით, თვალი მივადევნოთ ამ პროცესებს ქართულ სინამდვილეში და წარმოვანიშნოთ მისი თავისებურებები.

საქართველო უკვე შექმნება სამომხმარებლო რევოლუციას. ახლა საკითხი დგას ასე: როგორ აისახება მიმდინარე მიკროცვლილებები მოხმარების კულტურაზე.

ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე (განსახილველი პრობლემის სპეციფიკიდან გამომდინარე) ჩვენ გამოვიყოფთ ქართულ სამომხმარებლო კულტურაში ტენდენციებს, რომლებიც განსაზღვრავენ ცვლილებებს ტანსაცმლის სტილებში. ეს ტენდენციებია - ვესტერნიზაცია, გლობალიზაცია, ლოკალიზაცია, ტანსაცმლის სტილების სულ უფრო მნიშვნელოვანი ვიზუალური დიფერენციაცია.

საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნები ყოველთვის ატარებდნენ ნიშნობრივ შინაარსს და, აქედან გამომდინარე, მიანიშნებდნენ იმ ადამიანების სოციოკულტურულ კუთვნილებაზე, რომლებიც ამ საგნებს იყენებდნენ. მაგალითად, რომაელის ტოგა ან გლეხის ჩოხა მიუთითებდნენ სოციალურ კუთვნილებაზე, მაგრამ არა - ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ახლა ვითარება იცვლება: ბერეტის, კეპის, შლიაპის კომბინაცია ე.წ. “გიმნასტიორკასთან”, პიჯაკთან ან სვიტრთან, ჩექმებთან, კრასოვკებთან ან მოკასინებთან საშუალებას აძლევს ადამიანს გამოხატოს თავისი ინდივიდუალური შეგრძნებები და ემოციური დამოკიდებულება სინამდვილისადმი. კერძოდ, ჩვენ გვინდა ვთქვათ, რომ კოსტიუმის ესთეტიკა ცდილობს გადალახოს ყოველდღიურისა და ოფიციალურის დაპირისპირება, როცა ერთად უყრის თავს პირველის

„ნებას” და მეორის „სილამაზესა” და „წესიერებას”. ანუ, თანდათან ყოველდღური ყოფა და მისი ატრიბუტიკა თავის თავზე იღებენ ემოციური თვითგამოხატვის ფუნქციას, რაც დიდი ხნის მანძილზე იდეოლოგიისა და მაღალი ხელოვნების მონოპოლიას წარმოადგენდა. თანამედროვე მოხმარების, კერძოდ, ტანსაცმლის, სფეროში მომხდარი ცვლილებების აღწერისათვის მეტნაკლებად შესაფერის კატეგორიად მიიჩნევა „სემიოტური ბაგაჟი” (Dickinson, 2008).

„სემიოტური ბაგაჟი”. ეს კატეგორია გულისხმობს საბჭოური კულტურის იმ ნაკვალევს (ნიშნებს; მნიშვნელობებს; პრაქტიკებს; სხვადასხვა სემიოტური კოდები), რომლითაც ჯერ ისევ გაჯერებულია თანამედროვე კულტურა. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ გვინტერესებს ვესტიმენტარული მოდა, როგორც კულტურის ფენომენი. ტანსაცმლის საშუალებით და ტანსაცმელში მხოლოდ ის ელემენტები არ გამოიხატება, რომლებიც გარემო პირობებისგან სხეულის დაცვის აუცილებლობასთან არიან დაკავშირებული. კოსტიუმის ვიზუალურ ენას აქვს აგრეთვე საკუთარი ნიშნების სისტემა, რომელშიც თავისებური კოდებია ჩადებული. ერთი ამ კოდთა შორის ტრადიციულია, მას წარსულში აქვს ფესვები გადგმული, მეორე - თანამედროვე, რომელიც უახლოესი ტექნოლოგიების გავლენით წარმოიქმნება. პირველში უხვად არის კლიშეები და სტერეოტიპები, ის ძალიან ნელა იცვლება. მეორე სწრაფად ეხმარება ტექნოლოგიებს, ხელოვნებასა, მეცნიერებასა და მოდაში მიმდინარე ცვლილებებს. შესაბამისად, კოსტიუმი ერთგვარ სოციოკოდს წარმოადგენს, რომელიც ინფორმაცია გადასცემს წარსულიდან მომავალში. კოსტიუმი შეიცავს ინფორმაციას პიროვნების ასაკზე, სქესობრივ სტატუსზე, პროფესიაზე. კოსტიუმის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ეპოქის შესახებ, რომელშიც ის შეიქმნა, ქვეყანაზე, სადაც ცხოვრობს მისი პატრონი, და კიდევ სხვა მრავალზე. გარდა ამისა, ტანსაცმელი ავსებს ინდივიდის სახეს. ყოველივე ამის გამო ტანსაცმელი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მრავალმნიშვნელოვანი ფენომენი. ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტანსაცმელი, როგორც ნიშანი, ერთგვარ შუამავალ ელემენტად გვევლინება ინდივიდსა და სოციალურ გარემოს შორის. მისი მეშვეობით ხორციელდება სოციალური ურთიერთობა.

ჩვენი ინტერესის სფეროს ამ შემთხვევაში თანამედროვე კოსტიუმის ბაზაზე ჩამოყალიბებულ ნიშანთა სისტემის სოციოკულტურული მხარის შესწავლა წარმოადგენს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ გავრცელებული ვესტერნიზაციისა და გლობალური ტენდენციების მიუხედავად, 90-იანი წლების საქართველოში მოდა არ ყოფილა მთლიანად ვესტერნიზებული – ტანსაცმელი კვლავაც ინარჩუნებს საბჭოთა წარსულის სემიოტიკურ „ბაგაჟს”. შევეცდებით, არგუმენტებით გავამყაროთ ჩვენი მსჯელობა. 1990-იანი წლების საქართველოში თვალში საცემი იყო საბჭოურად იყო ჩაცმული ადამიანი თუ არა საბჭოურად: „საბჭოურობა” კოსტიუმში მომენტალურად და შეუცდომლად იკითხებოდა. ეს სიტყვა „საბჭოური” კოსტიუმთან მიმართებით 1990-იან წლებში ერთმნიშვნელოვნად ნეგატიურ ელფერს ატარებდა (ისევე, როგორც სიტყვა „საბჭოთა” პოლიტიკურ თუ ნებისმიერ სხვა კონტექსტში). ჩაცმულია საბჭოურად ან არა საბჭოურად - ეს იყო პრინციპი, რომლითაც განასხვავებდნენ ჩაცმულობას. ეს მიუღებლობა ტანსაცმლის დახასიათებისას „საბჭოური” ჩაცმულობის მიმართ დღემდე არის შემორჩენილი. ჩვენ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ამ პერიოდში გაფორმდა სპეციფიკური პოსტსაბჭოური ჩაცმის გარდამავალი კულტურა, რომელიც ჩაცმის იმ კულტურას მიესადაგებოდა, მკვლევარები „ჰიბრიდულს” რომ უწოდებენ (Тихомирова, 2007). ამგვარი ჩაცმის კულტურის წარმომადგენლებს ხშირად შეხვდებოდათ თბილისის ქუჩებში. ისინი საგამოყენო ნიმუშად გამოდგებოდნენ იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ არის თავმოყრილი ერთად სრულიად შეუსაბამო ნივთები: ძველმოდური ორბორტიანი მორუხო-მომწვანო ფერის ლაბადა, წვრილცხვირიანი ტყავის თეთრი ჩექმები, თეთრი მეტალის დიდი ბეჭედი და პოლიეთილენის პაკეტი ქალბატონის პატარა ჩანთის ნაცვლად. რ.ბარტის დეფინიციებს თუ მოვიშველიებთ, აქ საუბარია განხეთქილების შესახებ ტანსაცმლის ენასა და „ერთი ჩასმული მოდური საგნის” (Барт, 2004) ძალაუფლებას შორის. ზემოთ აღწერილ შემთხვევაში ამგვარი საგანის როლში აღბათ თეთრი ჩექმები უნდა ვივარაუდოთ. ტენდენცია, რომელიც ასეთ ეკლექტიურობას იწვევს, დამახასიათებელია ზოგადად პოსტსაბჭოთა კულტურისთვის. ამგვარი ეკლექტიურობის მიზეზად,

რაც ძალიან დამახასიათებელი იყო 90-იანი წლების საქართველოში ჩაცმის კულტურისთვის, ჩვენი აზრით, გახდა: დეფიციტი, რომელმაც საგრძნობლად შეზღუდა ტანსაცმლის „გამოხატვის“ შესაძლებლობები და ხელი შეუწყო თურქულ-ჩინური საქონლის ინტენსიურ შემოდინებას; ტანსაცმლის გამოყენების ახალი წესების გაჩენა, რომელსაც უცხოური ჟურნალები და კატალოგები გვთავაზობდნენ; პარალელურად ძველი წესების შესუსტება და უარის თქმა ჩვეულებრივ მიხნულ ტანსაცმლის გამოყენებაზე. და ბოლოს, მიგვაჩნია, რომ ამ ეკლექტიურობის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი ინდივიდუალურობისკენ მისწრაფება იყო. ქართველებმა, როგორც კი განთავისუფლდნენ ნების შემბოჭავი განაწესების, წესდებებისა და კანონებისაგან და ტანსაცმლით საკუთარი თავის გამოვლენის საშუალება მიეცათ, თავისუფლად ამოსუნთქეს.

90-იანი წლების საქართველოში ჩაცმის კულტურის თავისებურებები შეინიშნება არა მხოლოდ საგნების, ფასონისა და სტილის შერჩევაში, არამედ ფერების შეხამებაშიც. გავიხსენოთ, რომ საბჭოთა მოდისათვის ანსამბლში ფერების მიხედვით შერჩევის პრინციპი ძირითადი სტილისტური პარამეტრი იყო. სხვა პარამეტრებს – ფაქტურას, ფასონს, საგნების ჟანრობრივ შესაბამისობას – მნიშვნელოვნად არ მიიჩნევდნენ ფერების შერჩევა მაშინ მჭიდროდ უკავშირდებოდა ტანსაცმლის სტილის საბჭოურ თვისებას – გამოურჩევლობას. მკვლევარები ტანსაცმლის ამგვარ სტილს „შეუმჩნევლობის შეუმჩნეველ“ კატეგორიას მიაკუთვნებდნენ. მისთვის დამახასიათებელია გამომხატველობას მოკლებული, უფერული, საყოველთაო საგნები, ნეიტრალური (რუხი, კაკაოსფერი, შავი, თეთრი) ფერები, რაიმე გამორჩეული დეტალის უარყოფა (Бартлетт, 2007). ეს თვისება მეტნაკლებად ვრცელდება მთელ საბჭოურ პერიოდზე (Дашкова, 2007). ნიშანდობლივია, რომ 90-იან წლებში ქართველი ქალის ტანსაცმელში არ არის ნათელი ფერები. ალბათ არსებობს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ეს საბჭოთა მენტალიტეტიდან შემორჩენილი ელემენტია. მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირქუში, მუქი ტონების სიჭარბე ქართველი ქალების იმდროინდელ ტანსაცმელში შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო იმ ეგზისტენციალური მდგომარეობით, რომელშიც ისინი იმყოფებოდნენ 90-იანი წლების დასაწყისის დრამატული მოვლენების შემდეგ. 90-იანი წლების თბილისელი ქალები ფოტოსურათებზე ტყუპებივით გამოიყურებიან. ეს გამოწვეული იყო მრავალფეროვანი სტილური მიმართულებების არარსებობით. იცვამდნენ იმას, რასაც თითოთოროლა კომერციული მაღაზია სთავაზობდა, რომლებიც აზიური წარმომავლობის იაფფასიანი და უკემოვნო საქონლით ვაჭრობდნენ.

ამდენად, ჩვენს მიერ შერჩეულ ვიზუალური მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტანსაცმელში ნათლადაა გამოკეთილი ვესტერნიზაცია და სხვა გლობალური ტენდენციები, 90-იანი წლების საქართველოს ტანსაცმელი ჯერ-ჯერობით მოიცავს საბჭოთა წარსულის სემიოტიკურ მნიშვნელობას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ, ზოგადად, 90-იანი წლების ქართული ტანსაცმელი – ეკლექტიკური სტილის ნიმუშია, როცა საბჭოთა გამოურჩევლობა ტანსაცმლის დიზაინის თანამედროვე ტენდენციებს ემეზობლება და ამით სტილის „ჰიბრიდულობის“ დემონსტრირებას ახდენს.

ლიტერატურა:

Davis D.S. Introduction: A Revolution in Consumption // (Ed.) Davis D.S. The Consumer Revolution in Urban China. University of California Press, 2000.

Caldwell M. The Taste of Nationalism: Food Politics in Postsocialist // Ethnos. 2002. Vol. 67. № 3.

Cweglédý A.P. Manufacturing the New Consumerism: Fast-Food Restaurants in Postsocialist Hungary // Markets and Moralities. Ethnographies of Postsocialism. Ed. by Mandel R. & C. Humphrey. Oxford, New York: Berg, 2002.

Fehérváry K. American Kitchens, Luxury Bathrooms, and the Search for a “Normal” Life in *Löfgren O.* Consuming Interest // (Ed.) Friedman J. Consumption and Identity. Chur, Switzerland: Harwood Academic Publishers, 1994.

Postsocialist Hungary // *Ethnos*. 2002. Vol. 67. № 3.

Patico J., Caldwell M. Consumers Exiting Socialism: Ethnographic Perspectives on Daily Life in Post-Communist Europe // *Ethnos*. 2002. Vol. 67. № 3.

Барт Р. Система моды. Статьи по семиотике культуры. - М.: Изд-во Сабашниковых, 2004.

Бартлетт Дж. Давайте оденем их в беж: мелкобуржуазный мирок официального социалистического костюма // Теория моды. Одежда, тело, культура. 2007. № 3.

Дашкова Т. Невидимые миру рюши: одежда в советском предвоенном и военном кино // Теория моды. Одежда, тело, культура. 2007. № 3.

Жоль К.К. Текст: Социология (в систематическом изложении). Учеб. пособие для вузов.-2-е изд. / испр. и доп. К.К. Жоль -М.: ЮНИТИ-ДАНА, - 2004.

Тихомирова А. Советское в постсоветском: размышления о гибридности современной российской культуры потребления одежды // Неприкосновенный запас. 2007. № 4(54)

Нино Мгалоблишვილი

Развитие модного процессов в Грузии

Резюме

Данная работа является частью нашей докторской диссертации, посвященной разработкам проблем по теории моды и развитию модного процесса в Грузии. Для более полноценного представления о современном грузинском модном процессе мы обратились к ретроспективному анализу костюма постсоветского периода и представили первую попытку в грузинском гуманитарном знании - отразить один из феноменов культуры повседневности, в частности, характера потребления одежды в 90-ые годы прошлого века. В результате мы пришли к заключению, что, несмотря на вестернизацию и прочие глобальные тенденции, в Грузии 90-х годов мода не является полностью вестернизированной - одежда все еще содержит в себе семиотический багаж советского прошлого

Nino Mgaloblishvili

Georgian fashion process of the post-Soviet period

Abstract

In this work, for a more complete picture of the contemporary Georgian fashion process, we turned to the retrospective analysis of the post-Soviet period costume, in particular, the 90-th years. It seems to us that, Westernized and other global trends in Georgia 90 's fashion is not fully Westernized and clothing still contains a semiotic baggage of the Soviet past

რეცენზენტი: პროფ. ა. არველაძე

ენათმეცნიერება

ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე ევფემიზმები ფრანგულ და ინგლისურ პრესაში.....	13
Ekatériné Gatchétiladzé Symétrie dans la Grammaire Générative.....	19
ნინო დემეტრაძე ტექსტის ლინგვისტიკა, როგორც სრულიად ფილოლოგიური დისციპლინა.....	22
ლელა ეძგვერაძე სიტყვისა და ჯონტექსტის ურთიერთმიმართების საკითხისათვის.....	26
ეკატერინე თოფურია ინტრაჯულტურული კომუნიკაცია და კონცეპტოსფერო „ადამიანი“.....	31
ათინა თოიძე კვანტორული განსაზღვრება როგორც სარეკლამო ინგლისურენოვანი ბეჭდური ტექსტის მარკერული მაჩვენებელი.....	38
იაგოვკინა ე., მელქაძე ნ. ტექსტის სემიოტიკის საკითხისათვის.....	45
მარინე კუხალაშვილი აბზაცი, როგორც ტექსტის ძირითადი ერთეული.....	46
მაია მადუაშვილი ენის დოკუმენტირება და საფრთხეში მყოფი ენები.....	50
მანანა მიქაძე ქართულ-აღმოსავლური ენობრივი ურთიერთობებიდან (3).....	56
მანანა ნაპირელი გერმანულიდან ქართულ ენაზე რთული წინადადების თარგმნის ზოგიერთი საკითხისთვის (იოჰანა შოკ მაიერის დედის შეგონებანი ქალიშვილს- ჩვენეული ქართული თარგმანის მიხედვით).....	60
რამაზ სვანიძე ტოქშოუს სათაურების სტილისტური თავისებურებანი	65
ნათელა ფარტენაძე ბგერის დაჯარგვისა და ჩართვის შემთხვევები შავშურში.....	69
მარინა ქაცარავა, ლეილა აბზიანიძე კინოფილმი „მაგდანას ლურჯა“ - ქართული კინოს მშვენიერება.....	74
გიგა ქამუშაძე თურქული ენის გავლენის შედეგებისათვის იანეთში რეპატრიირებულთა ქართულ მეტყველებაზე.....	79

სოფიო ყიფიანი ეპისტემური მოდალობის გამომხატველი საშუალებები ე. ჰემინგუეის ნაწარმოებში „მოხუცი და ზღვა“.....	83
ელისო ქორიძე დისკურსი - ენათმეცნიერული თუ ფილოსოფიური ცნება?.....	87
ნუნუ ჩარკვიანი ჩართული სიტყვები და გამოთქმები და მათი შეპირისპირებითი კვლევა (ქართული, ინგლისური და ამერიკელი მწერლების ნაწარმოებების მიხედვით)	91

ლიტერატურათმცოდნეობა

სოფიკო გვარამაძე ნათლის ესთეტიკა არჩილის შემოქმედებაში და ქართული მესიანისტური ტრადიცია....	100
ეკატერინე გოგიაშვილი „ამირანდარეჯანიანის“ იდეალური გმირი.....	104
თამარ გუმბერიძე ეროვნული ცნობიერებისა და ხასიათის თავისებურებათა სიმბოლური წარმოსახვა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში.....	108
თინათინ თუშაბრამიშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილის მოთხოვნილებათა იერარქია ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით.....	114
Наталья Кузьмич Особенности поэтики рассказа Галины Богдановой «Прыгожая прыйшла (Тры каханні Неферціці)».....	119
ნინო გოგიაშვილი მუხრან მაჭავარიანის ლექსის ზოგიერთი თავისებურების შესახებ.....	122
ნანა რჩეულიშვილი „მე უაცი ვარ და ვარ შემოქმედი“ (გურამ რჩეულიშვილის ლიტერატურული შეხედულებანი პირად წერილებსა და ჩანაწერებში).....	130
მარიამ სულხანიშვილი „სად გაგონილა მძვინვარე ნადირის ნებაზე მიშვება“ ?!.....	135
ნათია ქვაჩაყიძე ნოველის ჟანრის მნიშვნელობა ჯონ აპდაიკის შემოქმედებაში.....	143
ნაზი ხელაია, თამარ გუმბერიძე ცხოვრების მეტაფიზიკური პლანი, ანუ მიღმა სამყაროს გამოსახვის ხელოვნება ვაჟას შემოქმედებაში.....	148

ისტორია

რუსუდან ჯაშია ტრადიციული ხალხური მედიცინის საკითხები - ეთნოისტორიული პარალელები.....	154
---	-----

ლაურეტა ქაცარავა 1911 წლის საპარლამენტო რეფორმა ინგლისში.....	159
კობა ბუაძე ტერორისტული დანაშაულების კრიმინალური ხასიათი.....	172

სწავლების მეთოდია

მაია აბდელანი ამერიკული და ბრიტანული ინგლისურის გამოყენება უცხოური ენების სწავლების დროს.....	175
ნათია გაბაშვილი გენდერის როლი უცხო ენის შესწავლის პროცესში.....	176
თამარ თვალაძე სწავლების მიზნები ან სავარაუდო შედეგები.....	180
ქეთევან გოჩიტაშვილი სქიმინგის ტექნიკა ყითხვის უნარების გასავითარებლად მშობლიური და უცხო ენების სწავლების პროცესში.....	186

პედაგოგია

ლელია აბიანიძე, ნინო სოხაძე საოჯახო აღზრდის პრობლემები ფრანც ჯაფას „წერილი მამას“ მიხედვით.....	192
ნატო დვალი უმალტესი სასწავლებლის პედაგოგის ეთიკა.....	196
ნინო სოხაძე მოზარდი და თავისუფლება ალბერ ჯამიუს „დაცემის“ მიხედვით.....	201
გულიზარ შენგელია აღზრდა-განათლება და პედაგოგიური აზრის განვითარება მე-20 საუკუნის 20-იან წლების საქართველოში.....	205

ჟურნალისტიკა

ნათია ჯიქია „ნაგვის მქექავნი“ - ანუ ამერიკელი მაკრეკერები მე-19-20 საუკუნის მიჯნაზე.....	210
---	-----

ქვეყნის მცოდნეობა

დარეჯან დემეტრაძე ავსტრია და ავსტრიელები	214
---	-----

ისტორია

ნინო მგალობლიშვილი ქართული მოდა პოსტსაბჭოთა სოციოკულტურულ კონტექსტში (90-იანი წლები).....	217
--	-----

Contents

Lingusitic

Tsiuri Akshvlediani, Giorgi Kuparadze Euphemisms in French and English Mass Media.....	18
Ekaterine Gachechiladze Symmetry in Generative Grammar.....	21
Nino Demetradze Text linguistics is the "Wholephylological" discipline.....	25
Lela edzgveradze A word in context	30
Ekaterine Topuria Intercultural Communication and Conceptsphere "a human-being".....	37
Atina Dolidze Quantitative definition - a marker of printed media.....	42
Yagovkina H., Melkadze N. To the Question of Text Semiotics.....	45
Marina Kukhalashvili Paragraph, as the text's main unit.....	49
Maia Maduashvili Language Documentation and Endangered Languages.....	55
Manana Mikadze From Georgian-Orientalistic Language Relations.....	59
Manana Napireli About Translation German Compound Sentences at Georgian Language.....	64
Ramaz Svanidze Stilistische Besonderheiten der Talkshowtitel.....	68
Natia Fartenadze Acoustic losses and switching to Shavshuri.....	73
Marina Katsarava, Leila Abzianidze "Magdana's Lurja" - beauty of Georgian cinema.....	78
Giga Qamushadze The action of the Turkish language in Iveti on the dialect of the Georgian language repatriated.....	82
Sophio Kipiani Epistemic modality in E. Hemingway's "The Old Man and the Sea".....	86

Eliso Qoridze Resümee.....	90
-------------------------------	----

Nunu Charkviani Insertion and its contrastic research (According to Georgian, English and American Literature).....	99
--	----

Literature

Sofia Gvaramadze According to the aesthetics of art and the tradition of Georgian mesianizm.....	103
---	-----

Ekaterine Gogiashvili The Ideal Hero in „Amirandarejaniani“.....	107
---	-----

Tamar Gumberidze The Symbolic Expression of National Consciousness and Peculiarities of Character in Konstantine Gamsakhurdia Creation.....	113
---	-----

Tinatini Tushabramishvili Hierarchy of Nikoloz Baratashvili's Requirements according to the Epistolary Legacy.....	118
---	-----

Natalija Kuzmich The poetics' peculiarities of the story «The beautiful went (The three loves of Nephertiti)» of Galina Bogdanova.....	121
--	-----

Nino Gogiashvili M. Machavariani – novator of Georgian poetry.....	129
---	-----

Nana Rcheulishvili “I am a man and a Creator” Literary Thoughts by Guram Rcheulishvili in his Personal Letters and Notes.....	134
---	-----

Mariam Sulxanishvili French writer Michel Houellebecq.....	142
---	-----

Natia Kvachakidze The Importance of a Short Story in John Updike's Work.....	147
---	-----

Nazi Khelaia, Tamar Gumberidze Metaphysical Plan of the Life or Art of Universe Expressing in Vazha-Pshalela's Oeuvre.....	153
---	-----

History

Rusudan Kashia Traditional folk medicine, ethno-historical parallels.....	158
--	-----

Laureta Katsarava 1911 parliamentary reform in England.....	163
--	-----

Methodic

Maya Abdelani Usage of American and British English while learning Foreign Languages.....	173
--	-----

Natia Gabashvili	
The Role of Gender in the Process of English Language Acquisition.....	179
Tamar Tvaladze	
Objectives or expected learning outcomes.....	185
Ketevan Gochitashvil	
Skimming Technique for Developing a Reading Skills in the Process of Teaching First and Foreign Languages.....	191

Pedagogical Sciences

Leila abzianidze, Nino Sokhadze	
The problems of upbringing about Franz Kafka's "Letter to my father".....	195
Nato Dvali	
Ethic of teachers at high school.....	200
Nino Sokhadze	
Young people and Freedom about Albert Camus's "The Fall".....	204
Guliko Shengelia	
Education and Development of Pedagogical opinion at the beginning of the 20 th century.....	209

Journalistic

Natia Jikia	
The muckreckers- in USA.....	213

History

Darejan Demetradze	
Resümee.....	216

Esthetics

Nino Mgaloblishvili	
Georgian fashion process of the post-Soviet period.....	221

Содержание

Языковедение

Циури Ахвледиени, Гиорги Купарадзе Эфремизмы в Языках Французской и Английской Прессы	18
Екатерине Гачечиладзе Симметрия в Генеративной Лингвистике.....	21
Нино Деметрадзе Лингвистики текста является "Wholephylogenetic" дисциплины.....	25
Лела Едзгверадзе Слово в контексте.....	30
Атина Тоидзе Количественное определение маркера печатных средств массовой	42
Яговкина Е.П., Мелкадзе Н.С. К вопросу о семиотике текста.....	43
Маиа Мадуашвили Документирование языка и языки находящиеся в опасности.....	54
Манана Напирели Некоторые вопросы перевода сложно-сочиненного предложения.....	63
Рамаз Сванидзе Стилистические характеристики название ток-шоу.....	68
Натиа Партенадзе Акустических потерь и переключение в Шавшури.....	73
Марина Кацарава, Леила Абзианидзе "Лурджа Магданы" - красота грузинского кино.....	77
Гига Камушадзе Действие турецкого языка в Ианети на диалект репатриированного грузинского языка.....	82
Софио Кипиани Эпистемические модальности Э. Хемингуэя "Старик и море"	86
Элисо Коридзе Дискурс лингвистический или философский термин.....	90
Н. Чарквиани Вводные слова и предложения и их контрастное исследование (По произведениям грузинских, английских и американских писателей).....	99

Литературоведение

Софико Гварамадзе Согласно эстетике искусства и традиции грузинского мессианизма.....	103
Екатерине Гогиашвили Идеальный герой „Амиранадареджаниани“	107
Тамар Гумберидзе Символическое воспроизведение национального мышления и характера в творчестве К. Гамсахурдиа.....	113
Тинатин Тушабрамишвили Иерархия Требования Николоза Бараташвили в соответствии с эпистолярного наследия.....	118
Наталья Кузьмич Особенности поэтики рассказа Галины Богдановой «Прыгожая прыйшла (Тры каханні Неферціці)».....	121
Нино Гогиашвили Мухран Мачавариани новатор грузинского поэзии	129
Нана Рчеулишвили "Я мужчина и Творца"	134
Мариам Сулханишвили Французский писатель Мишель Уэльбек.....	142
Натиа Квачакидзе Важность рассказ в работе Джона Апдайка.....	147
Хелая Нази, Гумберидзе Тамар Метафизический план жизни или искусство отображения потустороннего мира в творчестве Важа-Пшавела.....	153

История

Русудан Кашиа Вопросы Традиционной Народной Медицины - Этноисторические Параллели.....	157
Лаурета Кацарава 1911 парламентская реформа в Англии.....	163
Коба Буадзе Криминалистический характер террористических преступлений.....	164

Методика

Маиа Абделани Использование американского и британского английского во время преподавания иностранных языков.....	175
Тваладзе Тамара Цели или предполагаемые результаты обучения.....	184

Кетеван Гочиташвили Техника Скиминга для развития навыков чтения в процессе обучения Первых и Иностранных языков.....	191
---	-----

Педагогика

Леила Абзианидзе, Нино Сохадзе Проблемы семейного воспитания по произведению Франца Кафки «Письмо отцу».....	194
Нато Двали Этика педагога высшей школы.....	199
Нино Сохадзе Молодежь и свобода по произведению Альбера Камю "Падение".....	204
Гулизар Шенгелиа Образование и развитие педагогической мысли в Грузии в 20-х года двадцатого века.....	208

Журналистика

Натиа Джикиа Макрекеры- разгрябители грязи в США.....	212
--	-----

Эстетика

Нино Мгалоблишвили Развитие модного процессов в Грузии.....	221
--	-----

